

საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული“
19 თბილისი 62

დ ე დ ა ს

დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო!— ასე იტ-ყოდნენ ჩემს ყრმობაში.

ჩემი სოფლის ტყისპირებში ყოველ გაზაფხულზე ია ბღუჯეულად ამოდიოდა, არემარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე.

მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში.

ძალზე მიკვირდა და თან სათუთად ვკრეფდი იებს, შე ხომ თვითეული ია დედის ცრემლი მეგონა!

— უჰ, რამდენი უტირნია დედაჩემს! — ქვრივი დედა მყავდა, შავკაბიანი.

იის სიყვარული დედამ შთამაგონა, იასავით სპეტაკი ადამიანი იყო.

თვითონაც ხომ პირველი იების მოსვლის დღეებში გაგვ-შორდა...

ეს პატარა წიგნი გამთბარია იმ პირველ იების სურნელით და ცხოვრების იმ შეგნებით, რომ ია მხოლოდ დედის ცრემლის ნაწვეთალზე ამოდის.

ამ წიგნს ვუძღვნი ძვირფას დედას, რომელმაც მასწავლა იების სისპეტაკისა და მშობლიური მიწის სიყვარული.

ა ვ ტ ო რ ი.

მშობლიურ ხეთა ჩრდილეგში

ეს პატარა წიგნი, — ჩემი ყრმობის მოგონებანია. მაშინდელი განცდილი, დანახული ქართულ სოფელში.

მინდა მკითხველს გავუწოდო, როგორც სახილე ტაბაკი თუ ხახალი და მით ჩემი ბავშვობის მოგონებათა ხილი მივუწილადო.

კი არ უნდა ვწერდე, ყვავილებით უნდა ვწნავდე. ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაბადონებს. შიგ ჩემი ცისა და მიწის ღიმილია ჩართული, შიგ ჩემი ყრმობის სუნთქვაა!

რა ტკბილი იყო შუქილვარა დილა პატარძეულში! ოქროვანი ხმით მოწკრიალე გაზაფხულის დღეები, როცა ჩვენც ნუშებივით ვყვაოდით, როცა ფეხქვეშ მიწა გრიალებდა, გული გვედგა ოქროს ბურთისა და თავს ოქროს წვიმა გვაწვიმდა...

ეს ჩემი სიტყვაც იმ გაზაფხულის დილიდან არის გამონაწური, იმ წყაროებიდან გამონაჟური, რომელთა თავზე მდგარ ნიგვზნართა ხეივანში გულყვითელა „ბიჭო-გოგიას“ მომძახოდა, როგორც თანამოსახელესა და მეგობარს...

ეს სიტყვები იმ ლურჯთვალა იებში მიპოვნია, ჩვენს მიდა-

მოებში რომ ვკრეფდი, იმ ყაყაჩოგარეულ ჯეჯილებში, მზით ამოვსებულ თავთავებში, შეთქვირებულ ყანებში რომ დგანან სხივმოსილი სიტკბოებითა და იდუმალებით.

ვერცხლულა იორი მიმღერდა ამ სიტყვას, ვენახებიანი, ხილნარიანი, ბარდნარ-ჭალებიანი, ჯალჯიან-შამბნარიანი.

ივრის თვალსამოთხე ნაპირები—ალაგ ქვიშრობში გამონაჟური ფშებით, სველი ღვინჭრობებით, ხასხასა მდელოთი, იყო ჩემი ყრმობის ემბაზი, ჩემი პირველი პოეტური საასპარეზო.

იქ ივრის წნორებს ვუკითხავდი ჩემს პირველ ლექსებს.

იქ რიყიანი და ხმიანი იორი მასწავლიდა ქართული ლექსის მუსიკას!

დღესაც იქით არის ჩემი მუდმივი მისახედავი, იქიდან ველოდები ჩემი სიმღერის ხმებს.

ისევ იქა დგას ჩემი მშრომელი დედა ვაზებით გარმოდგმული, ქართულკაბიანი, იქიდან მეღიმილება!

დილის სხივთა სიმღერაში ფუტკრის ზუზუნი მიყვარდა!

რა კარგი იყო ჩვენი წყნარი საფუტკრე! — აპრილის დილით რომ შევიდოდი, ატმის ქვეშ ვარდისფერი თოვლი რომ იდო! ნიავს თუ გაევლო წუხელ ჩვენს საფუტკრეში! ნეტავ კიდევ გამარბენინა ფეხშიშველა იონჯაზე! ნეტავ კიდევ დამაძინა ჩვენი იასამნის ქვეშ!

...ჩვენი დაბადაგებული ცაცხვები, ზედ შესეული ფუტკარი... ჩემი შრომის მაგალითი ჯერ ფუტკარი იყო, მერე დედაჩემი და სოფლის ხალხი!

ამ წუთშიც ისევ მომესმის ჩვენი კალოს სევდიანი ოროველა, საწნახლის სამაჭრე ღარის შხრიალი, ჩვენი ბოსტნის მწვანილეულის ფშვინვარება.

ისევ მეზმანებიან ჩემი ალ-ავარდნილი ვარდები, სამასწლოვანი ფშატი, რთვილივით რომ ჩამოჰყრიდა ყვითელ ყვავილს... ყრმობისას დაკმეული მისი სურნელი დღესაც გულზე ტკბილად მომებოლება. ჩვენი რქაგალაღებული ვაზები, თავთავდაწმენდილი, აყრილი ყანები!

ეს სიტყვები იქა მაქვს აკრეფილი, იქ მაქვს ნაპოვნი!— იმ მოოქროვილ დღეთა ყვავილსურნელება ახლაც ისევ მესალბუნება!

და ისევ... დაყანებული, ყვავილოვანი მინდვრები... ტყეების ბურვილი თავგუმბათი... ნუშის, ატმის და ვაშლის, ტყემლის გამოფეთქილი ნამქერი, — ბუნების მადლიანი, შეუზომელი სილამაზე!

...ისევ იორის ლაჟვარდული ჩაღიმილება, მისი სადაფური აელვარება, ქვიშასა და კენჭებზე გადამავალი ტბორი ფშაწყაროსი, უწმინდესი კამკამა ჭავლებით.

ჩემი მეორე მშობელი — იორია!

როგორ მიყვარდა ივრის ბროლნამსხვრევი, დაიისფრებული ზვირთები, მუდამ მჩქროლავი, მთრთოლავი ტოროლას ფრთებივით, მხიარული, მოსიყვარულე!

ახლაც ისე ვერ შევხედავ იორს, რომ გული არ ამიჩქროლდეს!

ისევ ჩემი სამწყურვალოა იორი!

მთელი ჩემი ბავშვობა მის ერთ ციმციმა ზვირთზე იყო აკიდებული და იმ ზვირთმა დიდი ხანია ჩაიქროლა, ჩაიგრიალა!

რა კარგი იყო ივრის მურწა, ნაფოტა, ჭანარი! მიყვარდა ჩანგლის ჩაყრა დილით, ბადის მოსმა, ხოლიხი, ივრის ტოტის დაწურვა, დაწყვეტა, მერე ქვებში ხელაობა.

ხან მორევში ჩახერგილ კამეჩის გახრეშილ ქედზე ყინჩად ჯდომა. ხან მორევის ძირში ყურყუმელაობა. დავრბოდით, დავკუნტრუშობდით ბასრი ეკლით მოკირწყლული ტერფებით ჭყანტობ-ჭაობნარში. ეჰ, ვინ იცის რამდენჯერ შემჭრია ფეხისგული ფესვის ამონახეთქზე? ვინ ჰგრძნობდა ტკივილს?

ლურჯად ციმციმებდა იორის თვალი. საამო იყო ცვართა გადაშხეფება, ნიავზე ჩალების სისინი, თევზის ვერცხლური შეციმციმება ზვირთის ქეჩოზე!

აქ, ივრის ჭალებში, ფშანებსა და ლერწმებში ვიდექ სმენად ყურდაპყრობილი, რომ ოქროს ჩიტის ხმა გამეგონა, ბავშვობიდან რომ ამდევნებია.

ზამთრობით, როცა ვაშლის გორა დაეყრებოდა ჩვენს ძირა ოთახებში, ჩემთვის იმაზე საყვარელი არა იყო რა! ვაშლის საამო სურნელით გაჟღენთილი იყო ჩვენი სახლი!

ვაშლის ნაფცქვენს არ გადავყრიდი. დედამ მასწავლა: ვაშლის ქერქი უთუოდ ცეცხლში უნდა ჩაყაროო, ერთი ჩიტი მაგისი სურნელით ცხოვრობსო! ეს სწორედ ის ჩიტია, დღემდის რომ არ მაძლევს მოსვენებას, მივდევ და ვერ დამიჭერია!

მიყვარდა მაისში ვარდმოფენის დღე! დილიდანვე დავიწყებდით სახლის მორთვას ვარდით, სოსანით, ფშატის აყვავილებული ტოტებით, მინდვრის ფერადფერადი ყვავილებით. მთელი ურემი ყვავილი მოგვქონდა მინდვრიდან. განსაკუთრებით ირთვებოდა სახლის წინამო-აივანი, სარკმელები, სვეტები; თვითეულ სვეტს შემოვაწნავდით ვარდს, სოსანს, ღიღილოს, გვირილას, შალგას...

იატაკსაც მოვფენდით ფოთლებითა და ყვავილებით.

ეს დღე მიყვარდა ბუნების დიდი სიყვარულით. ვარდმო-

ფენობას ჩვენი კერა არასდროს მოსცდებოდა დედაჩემის პოეტური ბუნების წყალობითა.

ის ფერადი ყვავილები გამოჰყვა ჩემს სულს, ჩემს სიტყვას! დღესაც ყველაზე მეტად მინდვრის ყვავილი მიყვარს!

დედაჩემი ყოველ გაზაფხულზე წაგვიყვანდა ხოლმე ყანის დასახედად:

ვიდექით, ვუმზერდით მოღაღანე ყანას და თვალს ვერ ვაშორებდით.

მომხიბლავი იყო თავანკარა, დათავთავებული, მზით ამოვსებული მაძღარი ყანა, ცხრაფრად რომ ლივლივებს ნიავის შექროლებაზე. „მზეკაბანი" ჰქვიან ყანაზე მზიანი ნიავის გადაცურება-გადალივლივებას, მზის ათასფერი კაბა ფრიალებდა, ბრიალებდა სავსე მინდორზე!

მოწიწებით ვიდექით ჩუმად გარინდებულები, ადამიანისა და ბუნების — შრომისა და შემოქმედების ამ საოცნებო ზღვის წინაშე, შევყურებდით, ვხარობდით, ამაგსა ვგრძნობდით და გულში კაცობის ნათელი დგებოდა!

მახსოვს, საახალწლო თონეში ჩემთვისა და ჩემი ძმებისთვის ნაზუქთან ერთად ცხვებოდა: ბასილა, პურის გუთანი, ბარები, წალდები, ცულები, ჭიგოები! — მაგრამ ყველაზე მეტად კი პურის ხმლები! გოგოებიც არა რჩებოდნენ უპატიოდ; მათთვისაც აცხობდნენ: პურის ჯარას, თითისტარს, ფურის ძუძუს, ქათმის კლანჭს.

ყოველივე ეს ბავშვობიდანვე შთაგვაგონებდა შრომის სიყვარულს.

თუმც ჩემთვის დედას კალამი არ გამოუცხვია, მაგრამ ასე მგონია, პურის კალამი მიჭირავს ხელთ და იმ ქართული

პურის მადლითა და სიმართლით ქაღალდზე გადამაქვს ის, რაც დამავალა დედამ და ჩემმა მშობელმა ხალხმა!

ისევ პატარძეულის აივანზე ვდგევარ...

ჩვენს შარაზე მიდი-მოდიან წარსულის აჩრდილები, ჩითისკაბიანები, თავშალიანები, ფარაჯიანები, ტყაპუჭებიანი, ქალამნებიანი.

გადავძახი:

— გამარჯვებათ, მეგობრებო, მეზობლებო, გამარჯვებათ! ვეღარ მიცანით? მე ხომ ის პატარა ბიჭი ვარ იისთვალება, ყვითელქოჩორა, ლოყებ-ატკრეცილი თქვენს შორის რომ დავრბოდი! მე ისა ვარ, თქვენს კევრზე რომ ვიჯექი, თქვენი გუთნის საყევარის უღელზე, თქვენს ურემზე: რომ დაგდევდით მინდორსა თუ ვენახში!

მე ისა ვარ, წიგნებს რომ გიკითხავდით; თქვენგან რომ ვიწერდი შაირებს, გამოცანებს, სიმღერებს!

— აღარ გახსოვართ?

— ამოდით, ამოდით ჩემსას, აივანზე, ნუ გერიდებათ!

ამოდით, აჩრდილებო, თამამად და თქვენი მძლავრი სიტყვით მომიყევით ყველაფერი!

მე ხომ თქვენს უბირ ცხოვრებასა ვწერ ამ წიგნში გამოუცდელი პროზაიკოსის ხელით; მე ხომ მხოლოდ თქვენ გიგონებთ...

— ამოდით, ამოდით, მეზობლებო, მეგობრებო! ვიცი, აღარა ხართ, მაგრამ როდი წარეცხილხართ ჩემი გულიდან, ისევ მეცნაურებით!

ყველანი მახსოვხართ!

მე ხომ თქვენით გავეცანი ცხოვრების სიტკბოსა თუ სიმწარეს!

თქვენ იყავით ჩემი პირველი მასწავლებელნი!

— ოჰ, თქვენც აქა ხართ, ნინუცი, გაიანე, მაგდა, მართავ, — ჩემო მეზღაპრეებო! რა უცნაურად გაიპარენით: რა უნანებლად დასტოვეთ აკვანი და ჯარა, ბოსტანი და თონე, ვენახი და მინდორი! დამიწებულებო, უღმერთო ჯაფით დაწრეტილებო, როგორც მკერდს ჩაიკრავდით თქვენს ბალღებს, ახლა ისე მიჰკვრიხართ მშობელ მიწას! თქვენც ხომ მისი ნაწილი ხართ!

თქვენ აღარა ხართ, მაგრამ ისევ იცინის დილა პატარძეულში: ისევ იპენტებიან ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა და ტყემლის ყვავილები!

თქვენს ეზოებში ახლა სხვა დიასახლისები ფუსფუსებენ, თქვენს ნაცვლად და არც კი იციან, რომ ოდესღაც აქ შრომობდით, ჩემო საყვარელო ადამიანებო!

— ამოდით, ამოდით, ჩემთან აივანზე, მეგობრებო, მომაგონეთ, შთამაგონეთ!

*
* *

ხელჩქარად მომიხდა ამ წიგნის წერა, სულ რამდენიმე თვეში!

ღოლოს უთქვამს: ნეტავი ჩემს პატრონს ათი წლის უნახავი ძმა მოუვიდეს, რომ ცოტა ხანს კიდევ ვიხარშოო!

მე ვინატრებდი: ნეტავ ჩემს გამომცემელს ქაღალდის მოსვლამ შეუგვიანოს ზღვითა თუ ხმელით, რომ ნება-ნება, მყუდროებითა და სიტკბოებით ვწერო; რათა ჩემი სიტყვა გავფურჩნო,

გავჩარხო, გავაკამკამო და ისე წარვდგე მკითხველის წინაშე, გულითა წრფელითა და სიტყვითა ნათელითა!

ო, როგორ მიყვარს მუხლადი, ბედაური, მაძღარი სიტყვა!

მშვენიერი ხარ ხოხობო,
ბოლო რომ გამოგიჩნდებაო, — ამბობს ხალხი.

ვნახოთ, რა ბოლო გამოაჩნდება ამ ჩემს პატარა წიგნს — ვაზფურცელას.

19 ივნისი
1961 წ.
სოფ. პატარძეული

ნაბვრის ხე

„ხეა ხეა ხერავანდი,
ზედ ასხია შარავანდი“.
ხ ა ლ ხ უ რ ი

დიაკვანი ელეფთერი საღამო ხანს სოფლის მოედანზე იდგა და გლეხებში საუბარს გულს აყოლებდა.

ეს ის ელეფთერია, რომელსაც სწორედ გასულ თვეს სცემეს კეტებით დღეობაში მოსულმა ჭირვეულმა სტუმრებმა — ელეფთერი რათა გქვიანო! ამ ელეფთერზე იტყო-

და სოფლის მღვდელი: ორი ელეფთერი რომ მყავდეს, ერთს უსათუოდ ჩამოვაღრჩობდიო!

დიაკვანი ელეფთერი ღვინის კაცი უფრო იყო, ვიდრე სულისა, თავქეიფა, ლხინიკო, ღვინის ხაპია! წირვა-ლოცვაზე საღვთო წერილს სულ უღიმღამოდ, ლუღლუღით ჩაიკითხავდა, მაგრამ ფსალმუნის იმ ადგილს, სადაც წერია: „ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო“, დიდი სიყვარულით, რიხითა და ხმის ამაღლებით წარმოსთქვამდა.

შებინდებამდე მინდვრიდან ნახირი დაბრუნდა, ყველამ თავის საქონელს მიაშურა, სოფლის მოედანი დაცარიელდა. უსაქმო ელეფთერს უღარიბესი გლეხი ელიოზი-ღა შერჩა ხელთ.

— მაშ, ეს კი არ იცი, შენ, ძმაო, დაღონებულო?—მიმართა ელიოზს, — რომ ვეშა-წყარო უკვდავების წყალია?!

დიაკვანმა გამვლელ გოგოს აბდიას სველი ლიტრა გამოგლიჯა ხელიდან და მიიყუდა. ჯერ პირში წყალი დაიგემოვნა, მერე დაახრიალა, ახლა ზედიზედ იწაფა და კმაყოფილმა, ბედნიერებით მიბნედილმა, წყნარად თქვა: — ვაი, ჩემი თავი მოგიკვდეს და აღარა გყავდეს, თუ არ იცი, რა არის ვეშა-წყარო!

— სად არის ეგ წყარო?

— თეთრობიანის მთებში!

— რის წამალია? — მორცხვად იკითხა ელიოზმა.

— წამალი კი არა, უკვდავებაა!

— უკვდავება რა არის?

— სულ ცოცხალი იქნები!

ელიოზი შეკრთა, უკან დაიხია.

— არა, არ მინდა! რათ მინდა, ამ ტანჯვასა და სიღარიბეში?

— მერე და ვინ გაძლევს შე საცოდავო! განა შენისთანებს ესვლებათ ვეშა-წყاროსთან?! — და თვალები გადაუბრიალა.

დიაკვანი ელეფთერი განაწყენებული შესცქეროდა ელიოზს, დიდად გაკვირვებული, რომ ასეთი ბნელი და ბნელში კაცი ნახა, რომელიც უარს ამბობს მის მიერ აღმოჩენილ უკვდავების წამალზე.

ტყუილად წყრებოდა დიაკვანი. წვრილშვილი ელიოზი საშველო ღატაკი იყო.

— ისეთია, ისეთი, რომ მშიერი ძაღლი პურს არ გამოითმევსო! — იტყოდნენ ხოლმე მეზობლები და მართლაც სამულო, უსარჩოო ელიოზის ჩამონგრეული მიწურის ნ მუდამ გუბე იდგა, მწვანე ბუზებით სავსე... ძონძები... რები... ჭუჭყი... შიმშილი... საზიზღარი სიღარიბის უკვდავეს- რათ უნდოდა საწყალ ელიოზს?

ნაზი გულის ადამიანი იყო ელიოზი და თან ცხარე მეოცნებე. ცხოვრების სისასტიკეს მის სულში ვერ ჩაექრო ოცნების ჰერწკალი და თავისივე შეთხზულ უცნაურ ოცნებებით იფარავდა თავს მხეცივით შემოტეულ სინამდვილისაგან.

ჯერ ოქროკვერცხას, ოქროს მდებელ ქათამს ეძებდა ბუჩქრებში, მერე დაეჟინა ნათელთევზას დაჭერა და მთელი დღეი დაკარწახებული იდგა იორში: მოჩხრიკა, ამოხაპა იორი, ღალა ბადე, ჩანგალი; წყლის ტოტებიც დაწურა, ხელაობა-

საც გადააკვდა, მაგრამ არ იქნა, ნათელთევზა ვერ იგდო ხელთ და ვერა!

ახლა გულში ჩაედო ხერევანდის ხისა ანუ ნატვრის ხის ნახვა და მისი ნაყოფის ჭამა; ამ სურვილის ასრულება და მისი გამდიდრება ხომ ერთი იქნებოდა!

ელიოზს სწამდა: იანვრის სასტიკ ყინვიან ღამეში, თუ შუაღამისას მოხვდი ტყეში და თუ ცის გახსნას შეესწარ, მაშინ დაინახავ ტურფად აყვავილებულ ჯადოსნურ ხეს. არა მშვენიერება მას არა სჯობია! ის ხე, თურმე ერთ საათში კიდეც აყვავდება, კიდეც ნაყოფს მოისხამს: თუ მისი ნაყოფი ხელთ იგდე, ერთი გაკვნეტა და მორჩა! სიღარიბე იმწამსვე ჩამოგეცლება სამუდამოდ! ვინ უთხრა, ვინ ჩააგონა, დღესაც არ ვიცი! ეს კია, რომ იანვრის ღამეებში, როცა ყინვით ცა გასკდომაზეა, ხშირად დახეტიალობდა დაკონკილი ელიოზი ტყეში, მარტოდმარტო, ცის გახსნისა და იმ ნატვრის ხის ნახვის მოლოდინში.

— ან დათვისა არ გეშინიან, ან მგლისა, ან აფთრისა, რომ შიშველი ხელებით დადიხარ უღრან ტყეში?

მაგრამ ელიოზის თვალწინ მხოლოდ წითელ-ყვითლად აბრიალებული, აყვავებული ხე იდგა და სხვას ვეღარას ხედავდა — ვერც საშიშს, ვერც სახიფათოს. და მისი კონკებში გამოხვეული სხეულიც ოცნებით გახურებული, ეტყობა ვერ გრძნობდა მოუთმენელ სიცივეს.

ცოლ-შვილი ვედრებით უშლიდა ელიოზს ტყეში სიარულს, მაგრამ მან თავისი არ დასთმო. ბოლოს შეეჩვივნენ კიდეც და თავი მიანებეს. ტყიდან დაბრუნებული შეშის გუდურას ჩამოგდებ ყოლებდა ხოლმე ხელს და ოჯახში კიდეც უხაროდათ.

— რა ჰქენი ელიოზ, იპოვე შენი ნატვრის ხე? — შეეკითხებოდით ღიმილით.

— ვერა, მაგრამ ვნახავ!

— ტყეში რომ ცივა, რომ ბაბანებ და თრთი ამ ფიცხელ სიცივეში?

— მაშ როგორ გინდა, შე ოჯახაშენებულო?

— და აი, ერთ ზამთრის დილას, როცა სიცივეს ჭახჭახი გაუ-ბიოდა, ტყიდან მარხილით ჩამოასვენეს გაფიჩხული ელიოზი. ნატვრის ხის ძიებაში, მის ყარაულობასა და ლოდინში, ყინვით ნაყვავებულ ხის ქვეშ გაყინულიყო.

— მართლაც ისეთი ლამაზი ხე ამოერჩია საწყალს, რომ იმის დანახვას არაფერი სჯობდა. ყინვას მოერთო ათასნაირი ყვავილებით, არშიებით, რუშებით, ჯინჯილებით, სულ დასუ-ფთავებული იყო,—ამბობდა ტყის მცველი ბოდაველი, რომელიც შემთხვევით ზედ წასდგომოდა გაყინულ ელიოზს ბნელ ტყეში.

ასე კი იყო...

ელიოზს კუბო თავისი ფარღალალა საბძლის ფიცრებიდან შეუკრეს.

დიაკვანი ელეფთერი კიდევ ერთხელ გამოთვრა ელიოზის ელეხი და მით მორიგი ოცნება გაინაღდა. მეორე დღეს მხოლოდ დარდის ამშლელ ნაღვინეობას უჩიოდა.

საწყალი ელიოზი მაინც ვერ გაექცა შემზარავ სინამდვილეს და ოცნების ხეს შეეწირა.

პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი ოდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე

ჩვენი ჭერამი

იორზე, ვენახში დიდი ჭერამი გვედგა, — შებუთქვილი, დახუნძლული.

თუ თავდაპირველად იგი ჩემი საყვარელი ხე იყო, მერე იგი მხოლოდ სევდას იწვევდა ჩემში, თან რაღაც ზიზღსაც კი; მერე ისე გაიარა ჩემმა ბავშვობამ, ზედ ერთხელაც აღარ ავსულვარ, აღარც მისი ტოტი დამირხევია. თითქოს უმძრახად

ვიყავ ამ ხესთან, გვერდით გავუვლიდი, ზედაც არ შევხედავ-დი. მერე დაბერდა, გახმა, წაიქცა, არცა მწყენია, თითქოს კი-დევაც გამეხარდა.

გულში მფიფქავდა ერთი მოგონება, თორემ უმიზეზოდ რათ შევიძულებდი ნაადრევი ხილით გამხარებელ ხეს?

მაშინ კახეთის რკინიგზა გაჰყავდათ. გზა ჩვენს ივრის ვენა-ხებზე გადიოდა. მალე დაიწყო ჯოჯოხეთური მუშაობა. მექა-ნიზმები მაშინ არ ჰქონდათ და ხელით ებრძოდნენ სალი-ანდაგო სათხრელ მიწას. დიდძალი მუშა ტრიალებდა — ქარ-თველები, სომხები, რუსობაც ბევრი იყო. ადგილი იყო დახაშ-მული, ჰაერი — ბოტორო. ივრის მწვანე ჭაობნარი, ჭყანტობე-ბი, ჭანჭრობები, ლიები საწყალ მუშებს უხვად ასაჩუქრებ-დნენ ციებ-ცხელებით, სიცხე სუნთქვას აგუბებდა, სახეს სწვავდა თონის ალმურივით. მუშას სასმელი წყალიც კი არ ჰქონდა, მღვრიე იორის გარდა. ავად ხდებოდნენ, იქვე მიწაზე ჭერეხებივით ეყარნენ. პატრონი ვინ იყო? ზედამდეგები, ში-ნამდეგები უყვიროდნენ, აგინებდნენ, ხოლო ქედწაგრეხილი მუშები უსიტყვოდ ასრულებდნენ მათს ბრძანებას.

საღამოობით, სამუშაოს აშვებისას, ახალგაზრდა მუშები ცდილობდნენ ვითომც გამხიარულებას, მაგრამ წელმოწყვე-ტილი დათუთქული ადამიანის ლხინი ვის გაუგონია? ერთხელ, ორჯერ მოსწევდნენ გარმონს, მაგრამ გულს ხალისი არა ჰქონ-და, ხოლო მარჯვენას — ღონე და გარმონი იქვე მიყუჩდებო-და, თითქოს შორიდან ვიღაცამ დაიკვნესაო! სიცხისაგან გათანგულ მუშებს საუბარიც კი ეზარებოდათ.

მათი ერთადერთი იმედი, გახარება და გასართობი ივრის

ვენახების ხილი იყო. ჩვენი ვენახიც ხომ ზედ ივრის პირას იდგა!

ვენახები ულეველი ხილით იყო სავსე: ბალი, თუთა, ჭერამი, თაფლა მსხალი, გულაბი, პანტა, ატამი, ვაშლი, კომში, ფშატი... ყურძენი ხომ იყო და იყო! შიგ და შიგ თავკარავიანი კაკლები იდგა, რომლის ტოტებზე ბალერინასავით დახტოდა ყვითელი ძოლაღური და „ბიჭო გოგიას“ დაგვძახოდა.

უთვალავი ხეხილი ზედ გზის პირას იდგა ლალ-ზურმუხტისფრად, მაგრამ არც ერთ მუშას არასოდეს უკადრია ხილის მოპარვა. მხოლოდ ფულის შემოძლევა კი იცოდნენ. გლეხებს ეხათრებოდათ ფულის აღება და ისე შესთავაზებდნენ ხოლმე, მაგრამ მუდამ ხომ არ შეიძლება თავაზა? და აი, თითქოს მიწიდან ამოცვივდნენ ჩარჩები, ვაჭრუკანები, დაერივნენ ჩვენს ვენახებს და თვითეული ხე, ძალითა თუ ნებით, შეისყიდეს, რათა მერე ერთი ათად გადაეყიდათ მუშებზე. ერთი ხეც კი აღარ დარჩა სადმე ბავშვების პირის ჩასატკბარუნებლად. როგორც მახსოვს, თითო ხეში ექვს შაურს, ათ შაურს, სამ აბაზს და ასე მანეთამდე იძლეოდნენ, თვითონ კი თუმნობით იგებდნენ.

ხეხილის მსხმოიარობით გახარებული საწყალი ბავშვი მიადგებოდა უხვად დასხმულ ხეს, მაგრამ უეცრივ მოაგონდებოდა სასტიკი სიტყვა „გაყიდულია“ და გველნაკბენივით უკან გამობრუნდებოდა. ასე დაემართათ ჩემს ფეხშიშველა ამხანაგებს — ფიფონას, ბათულას, აგლიას, არსენას. ვინ წაართო ეს თაფლივით ჭერამი?! იმ ვერცხლის ათშაურიანმა, რომელიც მათმა მამებმა ჩაიდეს დახეული ახალუხის ჯიბეში.

აი ქურდულად მიიხედ-მოიხედავს ბავშვი, — მერე რა მსხა-

ლია? მსხლებს რომ პირი ჰქონდეთ, ხომ ერთმანეთს დასჭამ-დნენ! მაგრამ დიდედას მუხლქვეშ გაზრდილებს ქურდობისა ეშინოდათ, თან ყურში ჩასძახოდათ ის სიტყვები, ჩარჩმა რომ დაავედრა მათ მამებს ათშაურიანის მიცემისას.

— აბა, გაბრო, ამ დასხმულ ხეს გაბარებ. ასევე უნდა დამახვედრო, ბავშვებმა არ მომიკრიფონ.

გაბროც მამის სულს დაიფიცავდა, შეჰპირდებოდა პატიოსნებას, მაგრამ რატომ თავისი ქერა ბიჭი ფიფონა არ ეცოდებოდა? ბარემ... მაგრამ ჩარჩის ათი შაური სიღარიბის რომელიღაც ჭუჭრუტანას ამოუვსებდა ბეჩავ გაბროს.

შეიკრა, გაიფიცა ბავშვების წინაშე ივრის ხეხილი. ვის გაეგონა წინათ ხილის აკრძალვა? მთელი ივრის ხილი ხომ ჩვენი იყო. ჩიტებივით დავნავარდობდით ტოტებზე ბალღები, ახლა კი, მთელი ივრის ბაღნარები ჩვენთვის შეკრული, მოკვეთილი აღმოჩნდა; ამ მოულოდნელმა რისხვამ დაგვამუნჯა. მეტად მოულოდნელი და შემზარავი იყო. გულზე ჯანღად დაგვედო.

ივრის ბაღნარი კი ისევ ისე შრიალებდა. ჭრელ-ჭრელი ხილი ისევ თვალს გვტაცებდა, ჩვენ კი თითქოს ერთ დღეში დავბერდით; თითქოს ბავშვობა აგვიკრძალეს იმ ხილის აკვეთით და ხილთან ერთად ხომ თვითონ იორიც იკრძალებოდა. რაღა საქმე გვქონდა იორზე, რაღათ უნდა ჩავქანებულიყავით სოფლიდან ივრის ჭალებში?

იორი კი ჩვენი ემბაზი და ასპარეზი იყო — საბანაო, სათევზაო. ივრის მორევში ჩაწოლილ კამეჩის გახეშილ კისერზე ჯდომა — დიდი ნეტარება იყო. ერთი სიტყვით, მთელი დღე იორზე ვეყარენით... და აი, ახლა ისე დამუნჯდა იორი, თითქოს შაჰ-აბაზი მეორედ შემოგვესია და ბავშვები მთლად გა-

ტეუეიაო თუ კევრით გაულეწიაო. მგონი ჩიტებიც კი აღარ ჭიკჭიკებდნენ ბავშვების ცოდვით.

მე ერთი ვიყავი იმედიანად, მე ხომ მქონდა იორზე საკუთარი ხელუხლებელი ჭერამი? ჰოდა, ჩემს ფეხშიშველა მეგობრებს ჩავიყვანდი ჩვენს ვენახში და ვეტყოდი:

— ადი ბიჭო, დაარხიე, დაკრიფე, გაიხარე!

და აი, ერთ კვირა დილას, ჩავცვივდით იორზე, — მთელი უბნის ბალღობა მყავდა დაპატიჟებული; ახლა რას გვიზამს ჩარჩის აკრძალვა? ჩემი ხეა და ჩემად შევინახე, ფულზე არ გამიცვლია! მაგრამ, იცით, რა მოხდა! შორიდანვე დავინახე, ჩვენ ჭერამთან იდგა ჩარჩი მელქო, გოდრებით აკიდებული ცხენი იქვე ეყენა და გულმოდგინედ კრეფდა ჩემს ჭერამს.

თურმე დედაჩემს ჩვენი ჭერამიც გაეყიდნა: ცოდონი არიან მეზობლის ბავშვები, რომ მარტო შენ გქონდეს ხილიო! არაუშავს რა, შენც მათთან ერთად იმარხულეო და გადმომცა სამი ვერცხლის აბაზიანი.

— შენი საყვარელი წიგნები იყიდეო!

მე მართლაც ვიყიდე ორიოდე წიგნი, მაგრამ მალე შემძულდნენ ის წიგნებიც და მათი დამწერნიც.

აი, რა მიზეზით იყო, რომ ჩვენი ჭერამი მხოლოდ სევდას და სიძულვილს იწვევდა ჩემში.

იგი სასტიკად მოექცა ჩემს უდარდელ ბავშვობას. მისმა მსხმოიარე ტოტებმა დაჩხვლიტეს, დაკბინეს ჩვენი ბავშვური უზრუნველობა.

თაღრიბა

— სინათლე გაგვდის ფერდებიდან, შიმშილით ნაწლავები გვეწურება! — შემომჩიოდნენ გლეხები.

ბევრი, უიმედო ცხოვრებას დამორჩილებული, წამოიკვნესებდა: ნეტავ როდის ამოსულა მთვარის ადგილს მზეო?

ცხოვრებაზე ხელჩაქნეული იყო ჩემი მეზობელი გლეხი თაღრიაც, ახოვანი, მტკიცე აგებულებისა, ყალიონის ბოლისაგან შექარვებულ თეთრ წვერ-ულვაშით შეხირხლული, წვრილშვილი, შვიდი გამურული გოგოს პატრონი — სიღარიბისაგან გაწყალებული, ჯანით მრეთა-მრე, სიღარიბის ვერ მომრევი.

ახლაც თვალწინ მიდგა თაღრია, ძალმიშვებული, დუნე, მთვლემარე, უსურვილო, სიღარიბით თითქმის გონებადაჩლუნგებული.

ამაყი კი იყო.

— „გვიბოძესი“ არა მინდა რაო! — ეჯიქური სიამაყით ითმენდა სიღარიბეს.

— დედაკაცო!

— რა გინდა შე ნაცარდასაყრელო, ავთვალო! — ასეთი ალერსით უპასუხებდა თაღრიას მეუღლე თოთოლა, რომელიც ცისკრიდან ბინდამდის ფეხჩაუხრელად ფუსფუსებდა, ფარფატებდა. ძილს არ იძინებდა. როგორც სურა არ დაწვება, ისე იდგა ფეხზე. ქიშმიშივით დამჭკნარსა და სარივით გამხმარს, ან რაში ედგა სული.

თავისი სიღარიბის საიდუმლო იცოდა თაღრიამ და კიდევაც უტყვად დამორჩილებოდა.

ღმერთი ხომ დიდი მექუდეა! განა თაღრიას კი არ დაჰყვა ქუდბედი დაბადებისას? მაგრამ მშობიარობის ორომტრიალში ბებია ქალებმა თურმე ქუდბედი დაუკარგეს, ვეღარც იპოვეს და... დარჩა თაღრია უქუდბედოდ. ამიტომაც არ აქვს ხვავი და ბარაქა მის შრომას. შვიდი გოგოს მამად ყოფნაც სწორედ ქუდბედის დაკარგვის ბრალია! ეს იცის და აღარც მუშაობს მონდომებით, იცის, რომ სულ ერთია, ცხოვრებაში არაფერი გამოუვა.

არც თოთოლას დაჰყოლია ბედი! მასაც აქვს თავისი წილი სასაყვედურო:

— ბედნიერი ბედი გინდა ძვირფასო? ამაღლება დღეს,

დილაადრიან მინდორში ოთხყურა უნდა მოსწყვიტო ოქროს ბეჭდით და ბედნიერებას მოგიტანს!

— მე კი, სწორედ იმ დილას ვნახე მსუქნად გადაშლილი ოთხყურა, ჩვენი ვენახის თავში! ბევრი ვუტრიალე, ჩემს გარდა არავინ იყო სიახლოვეს, მაგრამ ოქროს ბეჭედი ვინ მომაშავა? მამამ არ მიყიდა, ძმამ და ნათლიამ! ამიტომ დავკარგე ბედი და ახლა თაღრიას ცოლობაში უნდა ვცვითო ჩემი ღონე და ჯანი! შემაყელთა სიღარიბემ!

— ეჰ, რა ვიცოდი, თურმე მძინარე მდინარეს თუ მიეპარე, თუ უხელთე, რასაც ჩააგდებ შიგ, ოქროდ გადაიქცევა. მეც რა მენაღვლებოდა, უბრალო თითბრის ბეჭედი ჩამეგდო მდინარეში, გაოქროვდებოდა, ამოვიღებდი და მით ოთხყურას მოვწყვეტდი. მაგრამ რა ვიცოდი?!

— ახ, ჩემი ოთხყურა ვინ მოწყვიტა იმ უღმერთომ, ვინა? — მწარედ ჩიოდა თოთოლა და თან პატარა გოგოს გულმოდგინედ თავს უხილავდა.

სიღარიბისაგან გაოგნებული თაღრია ხან დღიურ მუშადაც წავიდოდა ხოლმე. სხვისას უკეთ მუშაობდა, ვიდრე თავის ოჯახში, რადგან იქ რიგიანი კვება ჰქონდა, შინ კი სად იყო ჯეროვანი შეპატიება! ამიტომ ეზარებოდა შინ მუშაობა და ცოლს მიანება ყველაფერი.

სიღარიბით იყო თაღრია დაქანცული. მისი მხიარულება არც მინახავს, არც გამიგონია. მხოლოდ ერთხელ, მახსოვს, სიმღერით შევიდა თავის ეზოში, ქუდი მოიხადა, დაახეთქა მიწაზე და შესძახა: „მართალ ძუძუს გაუმარჯოსო!“ და იქვე ფშატის ქვეშ მიწვა, მიიძინა. კარგა ხნის შემდეგ, ვენახიდან

დაბრუნდა თოთოლა, ნაგლეჯი ბალახით ხელში. მიწაზე გაწოლილი მთვრალი ქმარი რომ დაინახა, შეძრწუნდა, მაშინვე სველი მჩვარი დაადო შუბლზე; რომ არა გამოვიდა-რა, ვერ ჩაავდო გონებაში, მერე ლიტრით წყაროს ცივი წყალი შეასხა პირზე, ეგების გამოფხიზლდესო.

დაფეთებული წამოხტა თაღრია და კინაღამ გაბდღვნა.

— შე უღმერთოვ, რად გამომაღვიძე? მე უკანასკნელი გროში დავხარჯე, რომ დამთვრალიყავ, შენ კი მაფხიზლებ, ღმერთი არა გაქვსო? — გულმტკივნეულად ჩიოდა ძილიდან გამოსული და ახლა ისევ შეუბრალებელ სინამდვილეს შემცქერალი საწყალი თაღრია.

... მთელი დღეები გარინდებული იჯდა დერეფანში და განუყრელ ჩიბუხს აბოლებდა, მაგრამ ჩიბუხზე მეტად თაღრიას ძილი უყვარდა; ცოლიც ამიტომ ეძახდა „სამძილას“, რაზედაც თაღრია თავს იმართლებდა: — სულ ერთია, ქვეყანას ვერ გავასწრებ და ძილსაც მოვცდებიო.

— მეორედ მოსვლის საყვირიც ვერ გააღვიძებს მაგ სამძილასაო! — დაცინვით იტყოდა სოფლის მღვდელიც.

და... ეძინა გულიანად, შეუმღვრეველად... მისი გაღვიძება ერთი ამბავი იყო ოჯახისათვის.

მახსოვს, ცისკარი რომ აციალდებოდა ცაზე, ხმაური ატყდებოდა თაღრიას დერეფანში, მე მახლობლად, ჩვენს აივანზე ვიწექი. დილის ჰაერი ხომ მკაფიოდ გადმოსცემს ხმას და თითქოს ახლაც ჩამესმის ყურში ცოლ-ქმრის შეჯავახება:

— ადე კაცო, ადე! გეყოფა ძილუავ, არ გამოსცხვი ძილითა?

— თავი დამანებე, დედაკაცო! რას იღერღები ძაღლივ-თა! — და უფრო იკუჭავდა საბანს. წევს თაღრია და თან ფიქ-რობს თვალდახუჭული:

— ავდგე, თორემ ვაზით დაგრაგნილი ზვარი არ მელოდეს. ხარის ენის ტოლა ვენახი მიგდია რაღაც; იმას შენც ეყოფი, რა უნდა ვიმუშაო გამოღალულ, გამოფიტულ მიწაზე!

— ავდგე, თორემ გამართული გუთანი არ მიცდიდეს, შებ-მული ურემი, ცხვრის ფარა, ნახირი შორაქანზე არ მყავდეს გასარეკი და ცხენის ჯოგი, ღორის კოლტი მოსავლელად!

— ავდგე, თორემ მამა-პაპის ზედაშე არ მელოდეს და ხი-ზილალას შეჭამანდი არ დამიდგან წინ. ამ ჭილობის ძველაზე მეტი რა მაბადია? ამისთვის ავდგე?

— ადე თავხმელო, ცისკარი გადავიდა!

— ადე, მთელი ქვეყანა სარჩოთი აივსო, — არა ცხრებოდა ცოლი, თუმცა მხოლოდ ჯერ ცისკრის ციალი კრთოდა ცაზე.

— შე ძუძუნაწყვეტო, რას მისძარ-მოსძარ ხმელეთი? დე-დამიწა შეიზნიქა შენი ჭყვირილით!

— ადექი, შე დევერხანა, მარტო ამ ჩვენი დერეფნის მერ-ცხლისა მრცხვენია, რას იტყვის ჩვენს სიღარიბეზე.

— ადე, საცაა მზე ამოვიდა!

მაშინ კი იფეთქებდა თაღრია, თითქოს კლდემ გახუვ-ლაო.

— დედაკაცო, მე ვინა ვგდივარ, მზეს ავუსწრო! ჯერ მზე უნდა ამობრძანდეს, მერე მე ავეთრიო!

ეტყობა ამ ყოვლადშემძლე დასაბუთებას ვეღარ უძლებდა

თოთოლა და ისიც მცირე ხნით თავს მიანებებდა ქმარს, რომელიც ახლა საამო ნეტარყუჩობაში წავიდოდა.

მაგრამ მცირე ხანში ისევ ისე დაიწყებდა:

— ადე, შე გასაციებელო!

— ადე მამა, მამილო, მამაგულა, — ალერსით დაეხვეოდნენ ბალღები. თან მხარში უდგებოდნენ, ზოგი წინდას აწოდებდა, ზოგი ქალამანს, ქამარს, ზოგი ჩვრებს, რომელთაც ახალუხი და შარვალი ერქვა. ერთი წლის გოგო იამზე ცაცებით ქუდს მიაწოდებდა.

მაშინ დიდი ამბით დაიწყებდა ადგომას თაღრია; დაიჭერდა ცალ წინდას ხელში და ჩაცმის მოლოდინში გარინდდებოდა, თითქოს ფიქრობდა: ღირს ადგომა თუ არაო? ახლა ამაზე გაიხეთქავდა გულს თოთოლა:

— ახა ვაითას, ახა ვაგლახთას შენს ხელში!

— ნეტავ რა დროს მუშაობაა,ვერა ხედავ როგორ იკბინება მკათათვის მზის თვალი? — მორცხვად შეუბედავდა ცოლს თაღრია, მაგრამ კალო უკვე ჩაშლილი იყო თოთოლასა და ბავშვების მიერ და ცხენშებმული კევრი უცდიდა ოჯახის უფროსს. გოგო-ბიჭები კარგა ხანია რაც კევრზე ისხდნენ და ზარმაც მამას ჩუმად ახელებდნენ.

მალე თაღრია კევრზე იჯდა და თან ოროველას აზუზუნებდა.

მეტად მძიმე იყო კალოზე მუშაობა: უმზეურად კალოს ჩაშლა, მერე მთელი დღე სიცხიგულზე, საფიცხარაში კევრზე ჯდომა.

— რა ვქნათ, თუ ზაფხულის სიცხეში ტვინი არ ავიდუღეთ,

ისე ზამთარში ქვაბი ვერ აგვიდუღდებაო! — დასძენდნენ გლეხები.

ჩვენ, ბალღებს მეტად გვიხაროდა კალო: კევრზე სრიალი, კალოს მსხალი, არნადით კალოს შეხვეტა და განიავება, საღამოთი კი ახლად მორწყულ კალოზე წითელი ხვავი და მის გარშემო ლხინი, ტაშგოგონა, სიცილი, თქართქარი, ვარსკვლავების თვლა, ვერცხლურ მდინარის გამონაყონი — ირმის ნახტომი და მთვარე, მოქათქათე, ღიმილიანი მთვარე.

რა ვიცოდით, თუ რა აწუხებდათ ჩვენს უფროსებს; რა ვიცოდით, თუ მათ უმთვარო, უმთენარო ცხოვრება ჰქონდათ?!

ᲨᲣᲨᲐᲦᲐ

მკათათვე... გზისპირას მდუმარედ იდგნენ აყვითლებული ყანები. თავდაზნექილი თავთავები ფსიან ნამგალს უცდიდნენ. ნიავი სადღაც გახიზნულიყო. გზა იყო დახეთქილი, მტვრიანი... ირგვლივ მხოლოდ სევდა და თვლემა...

გზაზე გამოჩნდა მარტოდმარტო ბერიქალა. არსაფერისად ეცვა, სხვადასხვა მხიარული, ჭყეტელა ნაჭრებისაგან შეკერილი კაბა. ცალი ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა, მეორეთი ჭრელი ბოღჩა. ძველებური შავი თათმანი ეცვა ხელთ და ადამის

ხნის დაგლეჯილი, მაღალქუსლიანი, ჩაღილული, ყელიანი ფეხსაცმელი, მომტვრეული, შუაზე გადაჩეხილი ქუსლი ძალზე აწვალებდა. მოქანცული, შეოფლიანებული, გმინავდა, შეწუხებული ცალკე სიცხით, ცალკე უხერხული ფეხსაცმლით, ცალკე თავისი მწარე ბედით!

— როდემდის, როდემდის, ამდენი წანწალი! — კვნესოდა და თან მკერდზე თათმანით ოფლს იმშრალებდა, — მალე სიარულსაც ვეღარ შევიძლებ და სადღაც, ღობის ძირას ამომხდება სული!

გუშინ, სარკეში ჩაიხედა და სარკე მიწაზე დაანარცხა. სარკემ უთხრა, რომ პირის მთვარიანობა დიდი ხანია რაც ჩაჰქროდა, ბროლის ნათელი, ლალის ბდღვრიალი გაჰხუნებოდა, შუქგადამდგარ საღამოს მიჰგავდა. მისი ყვავილიანი სამზეო დალეულიყო. წყალმა წაიღო სილამაზეც და თაყვანისცემაც!

ოდესღაც კი სილამაზისთვის „ფუფალა“ უწოდეს!

— აგერ ჩემი სოფელიც... ამდენ ხანს დასანატრელი... ჩემი კერა, სადაც აღარც სახლი მაქვს, აღარც კარი! ვინ გამომეგებება? ვინღა მეტყვის დედასავით, ტკბილად, — შვილო, მშვიდობით მომიხველო? ჭირი მოგპარეო! ვინღა მეტყვის? — არავინ! ვინა მყავს ვათი ნაცვალგარდა? მოხრეკილი საწუთრო, უდაბნო-უგულო!

— რა კარგი იყო ჩვენი მთვარიანი აივანი, ჩვენი ხეივანი!

— საწყალი მამაჩემი, ყარსის ციხის ამღები! ხელმწიფემ მისი სურათი რომ მოითხოვა, მამამ დიდი, რუსული ცხენის ნალი მოღუნა ხელში, ეს ნალი გაუგზავნეთ სურათის მაგიერო! და მისი შვილი, აზნაურის ქალი, ახლა ააე დავწანწალებ!

ყანის ბოლოში, დიდი კაკლის ხე იდგა, ბერიქალას ჟრუანტელმა დაუარა.

ამ კაკლის ქვეშ, უკანასკნელად შეხვდა ტელეგრაფისტი გაბო.

— უშენოდ ველარ გამიძლიაო; შენს გარდა ველარაფერს ვხედავო; შენი სურვილი დამეცაო... ორი მკათათვე რომ შეერთდეს, მე უშენოდ ვერ დამთბებაო!

— მე როდი გავიკარე მისი სიტყვა? მეორე დღეს, საწამლავი დალია ჩემი გულისთვის! ვინ იცის, ახლა ციდან ხედავს ჩემს წანწალს და გული სტკივა. ვიცი, რომ უღმერთოდ სტკივა!

ფუფალამ მთაზე შეჰხედა ნგრეულ ნაშთს და პირჯვარი გადაიწერა.

რა კარგი იყო მისი დღეობა! განა აქ არ იყო, რომ თავზე ხელაღებული დოლენჯი, ფუფალას გულისთვის შვიდ ნაბადზე გადახტა შეკაზმულ ცხენით! ზაზუნა კი, დარდიმანდი ზაზუნა ეკითხებოდა, მზეღმერთი ხარო, თუ ვინაო?

— აჩრდილივით სულ თან დამდევდა არდაშელი: შენს იქით გზა არა მაქვსო, შემრისხე და შემიწყალეო! მაგრამ ქვაქალი ვიყავ, ვიღას ველოდებოდი უწამებელი, ურწმუნო?!

— ეს რა ხორშაკი ქარი ამომივარდა, რომ სულ ყველა ერთიანად შემომძარცვა?

გამოჩნდა ჩალური და წითელკრამიტიანი სახლები... ორღობეში აყოჩებულ სიმინდს თავი გადმოეყო. რეჰანის და კამის სურნელი მოდიოდა დარწყულ ბოსტნებიდან.

თავისი აოხრებული ნასახლარის დანახვაზე ფუფალას წა-

მოაგონდა წუხანდელი ნასიზმრი: ლოგინში მწოლარეს დედა ნაზად დაჰღიღინებდა:

ელი ელამდა,
ზღვა ბიბინებდა;
ზღვისა პირსა კარავი იდგა,
შიგ ქალი იწვა,
ფარჩა ეხურა,
ფარჩა ავხადე, სამი ვაკოცე,
სამმა კოცნამა ფერი უცვალა,
ფერმა ნაცვალმა წიგნი დასწერა,
ვის გაუგზავნა?..

— ვის გაუგზავნი? — ღიმილით ეკითხებოდა დედილო, — სულხანს თუ არჩილს? რამაზს? აბა, მაშ ვის, გენაცვალე! — ფუფალას ვერ გამოერკვია ვისთვის გაეგზავნა უსტარი და ჰოჰმანობდა. დედა კი ეხვეწებოდა ლოგინზე წამომჯდარს, — რად ეგრე? წარბი გახსენი, ჩემო სიცრცხლეო!

გაჰქრა თბილი სიზმარი... მყუდრო ლოგინი... ფუფალას ნათლიდედას ქოხში გამოეღვიძა, მიწაზე დაგებულ ჩალაზე. დერეფნიდან შემოესმა მასპინძელი გლეხის გამწყრალი ხმა, ცოლს ურისხდებოდა:

— თავიდან მომაშორე, თორემ შემოგვეჩვევა, ჩვენთან დაიდებს ბინასო!

— როგორ დავითხოვო, რომ მწამლობსო! ამას წინათაც თავის ტკივილებისაგან მომარჩინაო!

— ერბოხალი მიართვი, მამა უცხონდაო!

ბერიქალა ვითომ კიდეც ექიმბაშობდა ლუკმა-პურის გულისთვის.

— ყვავი მოხარშე ისე, რომ ორთქლი არ გამოუვიდეს, იმისი წვენი დალიე!

— მორიელის სისხლი გაახმე და მიიღე!

— მუხის ხის წყალი, მიმინოს ქონი აურიე ირმის ქონში, მტრედის გული ვარდის წყალში ჩააგდე!

მკურნალ ფუფალას აფთიაქს შეადგენდა: ბალახი ვირისგვერდა, ღელაღუნტის ძირი, ტირიფის არაყი, აქლემის ძვალი, ჯოჯოხეთის ქვა, ეშმაკის კიტრანა, კრაზანა — ბალახი...

ფუფალას წამალი არავის ეჭირვებოდა. არც თითონ ატანდა ძალას. მაინც სოფლის იმედი იყო... ისევ მკურნალის სახელით ცხოვრობდა, ოდესღაც სხვათა გულის დამჭრელი... ღვთისნიერი ნაცნობები შებრალებით აძლევდნენ თავშესაფარს.

ბერიქალა შედიოდა სოფელში; როგორც ქარიშხლისაგან დაგვემილი ნავი მიეჩქარება თავისს ნავსაყუდარში.

— იქნებ, უკანასკნელადაც მოვდივარ ჩემ სოფელში? — გაიფიქრა სევდიანად.

ზედ გზაზე, ღობესთან, დიდი ფშატის ძირას, — სოფლის არეოპაგზე, იჯდა ქალთა სინედრიონი. თვალყუბედი ჭორეელები ქაქანებდნენ.

რამდენი ენაც კი არსებობს ამ ქვეყანაზე, სულ აქ იყო შენაჯგუფარი: ენამძლე, ენაგესლი, ენაქლარცი, ენამორბედი, უკლიტო ენა, ენამუხლმალი, ენა გაბნეულ-გამობნეული, სახრიკო ენა, ენამრე, ენაწყალინაყია, ენაქუხილი, ენამახვილი, ორენა...

კიდევ დავუმატოთ? ორკაპა ენა, ენატლეკია, ენაჭრიჭინა. კიდევ ვინ იცის? რას არ იტყვის დაუყენებელი ყბა!

ჭორელებმა წამოანთხიეს გულის ღარღლი, დაღერღეს ყველა, დაასახიჩრეს, დააჩინჩხვარეს, მტვერი აადინეს!

განზე იჯდა ნაჯაფარი ბებია გაიანე, ხუთი შვილიშვილით, ცენახიდან გამოსული თითისტარს აძგრიალებდა, თან ალმაცერად გადახედავდა მეჭორეებს.

სალაყბოზე, სხვათა განწილვა-განქიქებაში, ყველაზე მეტად ბასრობდა ენით მქლეშელი „ქარცეცხლა“ — დალაქის ცოლი. ქარცეცხლასათვის მთელი ქვეყანა მოუწონარი იყო, არა მის ნებაზე გაჩენილი. სამყაროს მიმართ ამბოხებულს, ყველა ათვალული ჰყავდა კბილგასაკრავად. მას ბანს აძლევდა მიმტკნარი ბაბალე, რომელიც წინასწარ ნაზი გაფრთხილებითა და გაზვიადებით მოგანდობდა დიდ საიდუმლოს:

— გეთაყვა, ეგ სიტყვა კი ანგელოზმა შეინახოსო, — მაგრამ თვით მისგანვე, უკვე მთელმა სოფელმა იცოდა.

— თქვენს წინ კი, ია და ვარდი, ჰფენია! — და საოცარ თავზარდასაცემ ჭორს ჩამოჰყაჭავდა.

ახლაც დაიწყო... რა დაიწყო!..

ბაბალეს გადმოცემით, სოფლის მზეთუნახავ ნარგიზას ხალი მარცხენა ძუძუს ქვეშ რომ ჰქონდა, ბარემ ათ ბიჭს სცოდნია სოფელში!

— კარგადაც უქნია ნარგიზას! — წარმოსთქვა ნინუცამ, რომელსაც აღარც ერთი კბილი არ შერჩენოდა ყბაში და მხოლოდ ენას ალაღლაღებდა.

— მეტი რა უნდა წაიღოს ამ ქვეყნიდან. აბა, ჩემი პატიოსნებით რა გავიტანე? დიახამც, ვნანობ, რომ ჩემი სილამაზე სარეცხსა, ქათმებსა და საქონლის მოვლას გადავალიე!

— რა ყოფილა ჩვენი სიცოცხლე! მართლაც, წამიეთია,

წუთის ქვეყანაა, დამთქნარებას ვერც კი მოასწრობ, რომ ხელში გაგიცურდება... ეს ოხერი, როგორ ხუნდება! — ჩიოდა ისევ ნინუცა.

მზე ჩასავალზე იყო. ის იყო ჭორელებმა ყველაფერი ვაბათილეს, გადააბრუნეს და თითქმის აკლდებოდათ ჭორის მარაგი, აკი ღმერთმა უშველათ! სოფლის შარაზე ჩვენი მგზავრი ბერიჭალაც გამოჩნდა.

— აგერ, ფუფალაც მოდის!—დაიძახეს ერთხმად და შარას მიაჩერდნენ — რამდენი ხანია, რაც არ გამოჩენილა! სად რას არის გადაქინძული? აჰა, გინდ ეგეც განთქმული მზეთუნახავი, ახლა საფრთხობელას დაემსგავსა. მართლაც, რა ფუჭია წუთისოფელი!

— როგორ იქნებოდა მზეთუნახავი? სახე თონეში შემწვარ ვაშლს მიუგავს! — გაკვირვებით იკითხა ლურჯთვალა გოგომ.

ფუფალა ბოხჩითა და ქოლგით მიუახლოვდა ქალთა კრებას. სახე ატკრეცილი ჰქონდა, ოფლს ზოლდაზოლ უმარილი ჩამოერეცხა.

ფუფალა მიესალმა.

— კარგია, რომ დაგვხედე! სად გადაიკარგე?

— თვალი ჩამოგავლეთ! ისე შეგეწიოთ მზე, დედასთან მიმავალი, როგორც მე თქვენ მიყვარხართ!

— რაზე ზღაპრობდით — იკითხა ფუფალამ, როცა სული მოითქვა და დახეული ქოლგა დაკეცა დიდი სიფრთხილით.

— ტიალ წუთისოფელზე, ოხერი რა მალე ცვდება! აი, გინდ შენ! მე რომ მახსოვხარ, ღმერთო, რა იყავი! აღარ ვიცო-

დი, შენ იდექი ჩემს წინ, ვარდი თუ ბროწეული? დადიოდი, ანათებდი! — უთხრა ნინუცამ.

ფუფალამ შეიფერა... თავი ამაყად გადასწია:

— ჩემო დაო, შენ რომ პატარძლად მოგიყვანეს, მე სულ ცხრამეტი წლისა ვიყავი. მაშინ ყველა ლამაზია! საქმე დღეს არი, დღეს იყო ლამაზი, თორემ წასული სილამაზე ჩავლილი წყალივით არი, ვისღა ახსოვს? — და თან დაუმატა ნინუცას საამებლად:

— შენც კარგი იყავ, ნინუცი! — მაგრამ არავითარი შედარება არ გაიმეტა ფუფალამ ნინუცას წარსული მშვენიერების გამოსახატად.

— მთვარეს ჰგავდი, ცისკრიანად! — მლიქვნელურად შეაქო ნინუცა ბაბალემ.

ფუფალამ იწყინა მეტოქის ხოტბა. ისიც, არა გულწრფელი, უმართლო გადამეტფასება და ქორივით გადახედა ბაბალეს, რომელიც მის თვალთხედვის ქვეშ მწყერივით გაინაბა. უხერხულობა იგრძნო თითონ ნინუცამ, რომ მიაგეს მიუგებელი, მაგრამ ქათინაური არ იუარა და ფუფალას დასაშოშმინებლად, სიტყვა ქალის სხვა ღირსებაზე გადაიტანა.

— საქმე სილამაზე კი არ არის, პატიოსნები ვიყავით! ოჯახის ერთგულები! — აი, ეს არის თავი და თავი!..

— მართლაც ლამაზი ვიყავი! — ამოიოხრა ფუფალამ, სწორედ ვარდს ვგავდი! — ალქალას, ოქროქალას, თვალ-ეუეუნას მეძახდნენ.

— ახლა კი ბუს გეძახიან! — წამოიძახა კიტრიპარია ბიუმა და თავქვე მოჰკურცხლა.

— რას გარბიხარ, სასიკვდილევ! მე არ მეშინიან, ახლა,

რაც გინდა დამიძახონ! ხომ მიმჭკნარი ვარდი ვარ, მაინც ვარდი მქვიან! ნიორი და ხახვი ხომ არა ვარ დედაშენივით! ეჰ, ოა ლამაზი ვიყავი! — განაგრძობდა ფუფალა, — თვალადი, ტანადი, მაგრამ შიოლას შევსწირე ყმაწვილქალობა!

— ახლაც ვარდს იფენ, — ნახევრად დაცინვით სთქვა ქარცეცხლამ. — შენი ცალი და ნაჭერი სად არი! — თუმცა ფუფალამ, როგორც შესაკმევი სიტყვა, ისე გაიგო.

სამოც წელს გადაცილებული ფუფალა, მაინც ყველას დაწუნებაში იყო:

— ვინ არი? — ეტყოდნენ, ესა და ეს ვაქკაციო!

— ჩია თუ ქია? გინდაც ფთია იყოს! ერთი გოშია კაცი, უნდო ვიღაც, ქაქილა თუ ყაყლაჩა! — და ზედ ქვასა და ქაცვს მიაყრიდა.

— თვალში მეფუქსავატება! მაგას მაინც არ გავყვები, სულ რომ მარტო დავრჩე, მინდვრის თაგვივით!

სიძულვილით სძულდა ახლანდელი კაცები — ესე ვივლი, ცალა-რქა ირემივით! — და მოიღერებდა ყელს: — ციხის ამღების შვილი ვარ!

— რამდენს ვუყვარდე... რამდენი სისხლი მოიღვარა ჩემთვის! დამფრთხალ ჭივჭავივითღა ვარ! ეჰე, შიოლა... შიოლა... სადა ხარ? — ერთხელ, წყაროზე შემხვდა შიოლა, მიიხედ-მოიხედა; რომ არავინ იყო, ჩუმად მითხრა: მე რომ შენი საქმრო ვიყოო, გეფიცები, ყეინს არ მივცემდი სალამსაო! სწორედ ასე მითხრა, ჩემი ნაგონარი არ გეგონოთ!

იქვე მჯდარმა მეველე რეხვიამ ჩაიფრუტუნა. ცეცხლი ჰყარა ფუფალამ.

— აბა, სარკეში ჩაიხედე, ვითომც შენც კაცი ხარ, კაცი კი

აარა, საჩურჩხლე ქვაბი ხარ! — სიცილი ვერც ბირხლამ "ეიშაგრა. ფუფალამ შეუტია:

— რას იცინი, ნივრიგლეჯიავ, დოღრიალავ, მუხის ფუტუროსავით თავი რომ გაბია და ზედ ქინძი ამოგდის! — და თვალები სიბოროტით მიუელვარა.

— აბა, რა კაცი ხარ, კუჭია კაცუნა! შეუვსებელი ჯამი! — და იქვე მოკეცილ დედაკაცებს მოუბრუნდა, თითისტარს რომ აძგრიალებდნენ:

— ერთი მითხარით, გეთაყვათ, ეს კაცია თუ ფლასის ნაძველა?

ბირხლა იცინოდა...

— შიოლასავით არავინ არ გამოსულა, — განაგრძობდა ფუფალა, — მასავით ქამანდარი სროლაში, მასავით ხმატკბილი მღერაში... რა თვალადი, რა ტანადი, ბოჭორმის წმიდა გიორგი გეგონებოდა!

— ხატობაში დავენახე, სულ პირველად, ჩემი ატლასურნარინჯული კაბის შემხედვარე გაგიჟებულიყო! უნდა გენახათ ომის კარს, ომის კარს უნდა გენახათ, დუქნის კარს კი არა, ახლა რომ ჰყრიხართ მთელი დღე! — მიუბრუნდა ბირხლას.

ბირხლამ ვეღარ გაუძლო და გაიქცა...

ფუფალას თანამოსაუბრეთა ერთი ჯგუფი ჩამოეცლებოდა, ახლა სხვა დედაკაცები დასხდებოდნენ, შინიდან საჭორაოდ, დასამთქნარებლად გამოპარულები, ან ბავშვის საძებრად, ან დუქანში ნავთის მოსატანად გამოსულები... გამოჩნდებოდა ფუფალას ახალი გამამწარებელიც და იწყებოდა ფუფალას ახალი წამებანი.

— ეჰეი, მერცხლის თვალებავ, ისევ ცალადი ხარ? რატომ

არ თხოვდები, ხომ არ გადაკრუხებულხარ? — შეესიტყვებო-და ძმობილი მურწა, კვიმატი კაცი, — თუმცა სად არი შეწი ფანდი? — არც მურწამ დაინდო ნადობილარი!

— ეჰ, წავიდა, გული წაიღო შიოლამ! — და თითქოს შიოლას ესაუბრებოდა: — ერთი იყავი, რათ მოკვდიო?

— ეჰ, ვუყვარდი, ორმოცი წლის წინათ ვუყვარდი!

— რათ გინდა ორმოცი წლის დამიწებულის სიყვარული, რა ბედენაა!

— სიყვარული არა კვდება! — ნაზად უპასუხა ფუფალამ და თვალები ააციმციმა;

— გმირი იყო, მდიდარიც, ლამაზიც, მაგრამ არ მიყვარდა და არ გავყე! — აი, სად იყო ძველად ქალის პატიოსნება!

— მდიდარი იყო, მდიდარი, სიმდიდრე-შეუზომელი, შეუწონელი, მაგრამ არ გავყე; არც პირობა მიმიცია, ჩქამიც არ დამიძრავს!

— ეგ შიოლა ვინ-ღა იყო, როდის ცხოვრობდა, წარღვნის აქეთ, თუ წარღვნის იქით? — იკითხა ლურჯთვალამ.

— ღვრნა შენ და წარღვნა! — გაალმასდებოდა ფუფალა.

— დიამც, გაგიქებით ჟუყვარდი შიოლას! დაჩოქილი მეხვეწებოდა, — ერთი დღე შენთან მამყოფა და უკვდავება დამალევინაო. არ გავყე ცოლად, მაგრამ მიწაში ვენაცვალე!

ფუფალას სიტყვით, შიოლა ორმოცი წლის წინათ მომკვდარიყო. სოფელში კი აღარავინ იყო შიოლას მახსოვარი.

— დიახამც, საქვეყნო კაცი იყო შიოლა და მაინც არ გავყევი!

— არ გაჰყევ და ახლა საუძლურეში ამოჰყოფ თავს! — დანესტრა დედაკაცებში ისევ შემოპარულმა კიტრიპარიამ; მაგრამ

ისეთი დაუბრიალა ფუფალამ, რომ კიტრიპარია ბიჭი თავქვე გარბოდა.

— მგლის პირი შენ და ქორის კლანჭი! — გაადევნა ფუფალამ.

გზაზე ცხვრები ჩამოატარეს:

— ჩვენი სოფლის მთა-ბარი, მთლად შიოლას ცხვრით იყო შეხურხლული. ამ სოფლის სასაძოვრე თუ სათიბი შიოლას საქონელს ეჭირა!

— ამბობენ, სხვათა მოჯამაგირეობაში მოკვდაო! თუ ზღვასავით მდიდარი იყო, სხვას რად ედგა მოჯამაგირედ? — გესლიანად შეეკითხა ლურჯთვალა.

— არა, ის სხვა შიოლა იყო, სხვა გვარისა! — და ფუფალა უფრო გაზვიადებით განაგრძობდა:

— პირის მარგალიტი ეყიდა ჩემთვის შიოლას, ოქროს ჯაჭვიც, ლალის საყურე, ბეჭედი, მაგრამ სყიდვით კი ეყიდნა, შიშით ვეღარ გამოეგზავნა ჩემთვის! სულ ერთია, არ მიიღებსო, არ მიკადრებსო!

არავინ იცოდა, მართლა იყო თუ არა ამ ქვეყნად ფუფალის მიჯნური შიოლა; მართლა ოქროს ჯაჭვს უგზავნიდა თუ არა?

— აბა, რა კაცი ყოფილა შენი შიოლა, — მეცხვარე კაცი, წვერჩამობანდული, ქაცვისაგან ჩამოგლეჯილი, წვიმა-ავდრისაგან ჩამოსველებული, ჩამოღარული! წავიდა შიოლა, მაისის წყალი დალია! რას მისტირი, რას გამოელოდები? — არა ცხრებოდა მურწა.

— მეცხვარე კი არა, ცხვრის პატრონი იყო! — შეუსწორა ფუფალამ.

— ჩინჩალა ყოფილა, თურმე, ბეჩავი, უამური! — წამოედავა პირსიცილით ყელმძივიანი ქერა გოგო პირბალიშა.

— მიწამ კი დაგიკეტოს კარი, შე ულხინებელო! ფრინველს მიჰქონდეს შენი თმები თავისი ბუდისათვის! — წამოიკლაკნა ფუფალა და ხელთ ქვა აიღო. გოგო გაიქცა, ფუფალას ქვა შერჩა ხელში.

შერყეული, გულზე ეკალდასხმული იდგა ფუფალა და ფიქრობდა: ეჰ, რამდენი ბოროტი ადამიანია ქვეყანაზე?! ამოსწყდეს მათი ფესვი და ნაშენიო!

— აი, შე ეშმაკის დანარჩენო, — და წამოვიდა ამტუტეებული, შებეზრებული ფუფალას მეხმფრქეველი სიტყვები.

ფუფალამ დამშვიდებაც უმალ იცოდა. გაშფოთებული ჰალე დაწყნარდებოდა:

— დახეთ, დახეთ, სად გადამიბნელა დღე! სად გამიტეხა ნათელ-მირონი, ამ ბაბაჭუა ფეიქარამ! — და როდესაც ზემოდან ისევ ჩამოიარა მურწამ, წყრომის ნისლაყრილმა ფუფალამ ასე მიჰმართა:

— ბოლოსა და ბოლოს, მიწა ვართ, დავითრგუნებით! მაგრამ ძმაო გენაცვალოს შენი დის თვალები, ჩემო ჩამოქნილო სანთელო, რათ უნდა მაწყენინო? არა გრცხვენიან, რომ ამ მიწაზე დადიხარ? — მურწამ ფეხი გადადგა წასასვლელად.

— არა, არა, ჯერ ვერ წახვალ, ჯერ გული გამიმთელე ეჭვიდან, თუ არა და სიკვდილზე წილი ვიყაროთ: ღმერთმა გაგვასწოროს, ის იყოს ნების მყოფელი!

— ხმალი ხარ, ამოღებული, მძინარე ლომს გააღვიძებ! — ჩაიჩურჩულა მურწამ.

— ნამტკივნი გული ლაპარაკობს, განა მე! — ლმობიერებით ეუბნებოდა ფუფალა:

— სალბუნი მომეცი, სალბუნი, რომ დავმშვიდდე... სულ ვარდს მოგაშლი, ოღონდ გულის სალბუნი მომეცი!

— გულის ძმა ხარ! ერთად ვართ შეზრდილები, ვერაფერი გამიგია, ტვინის ძაფი დამექსაქსა. რათ უნდა მაწყენინო, შე უღმერთოვ! თუ ჩემგან რამე გეწყინა, გული გავიწმინდოთ, ვთქვათ ყველაფერი, თავწაყრით, ბოლომდე ვთქვათ და გავათაოთ!

— სალბუნი მომეცი, სალბუნი! — ემუდარებოდა თავდახრილი, მიწას ჩამცქერი ფუფალა მურწას. მაგრამ მურწა უკვე გაპარულიყო. ისე გართულიყო ფუფალა თავის მჭევრმეტყველებაში, თავი როცა აიღო, მურწას მაგიერ მოღიმარე ახალგაზრდა ქორია იდგა მის წინაშე.

— ეს ვიღაა, საიდამ მოთრეულა?

— წიწმატის ტოტზე ვიჯექი, წიწმატის ტოტი მომიტყდა! — წამოიძახა ქორიამ.

— რაო?

— შენი კუბოს ფიცრის სათლელად ვიყავი, ახლა მოველი, რომ კუბოს ზომა აგიღო, ხომ გაიგე? — თავხედად ჩაუმარგალიტა ქორიამ. ფუფალა გაფოთდა, მაგრამ ყური მოიყრუა.

— ჰო, ეს შენა ხარ, მუცელავ, ქორო, ბორიაქარო, სოფელი რომ გააცი! — შეუცეცხლა ფუფალამ. ქორია ხომ განოქმული ქურდი იყო, მტაცებელი! და თანაც ფუფალას უტიფარი მწვალებელი! — ისევ თავიდან დაიწყო ფუფალას წამება.

მზე ჩადიოდა... ასაღამურდა... ბინდი დაეცა სოფლის შარას.

— უფალო, შენ დამეხე, დაწვი, დანაცრე ჩემი მტერი!

უძილო მატლი სჭამდეს ჯოჯოხეთში! — იძახოდა დაღლილი, წამებული.

შარაზე ნახირი გამოჩნდა. დედაკაცობა წამოიშალა.

ფუფალაც წამოდგა, ჩააშტერდა ნინუცას და უცბად ორივე ხელით შემოეხვია. ზოგნი იქვე დარჩნენ ცნობისმოყვარეობით.

— ნინუცი, ერთი უმფარველო გოგო ვარ, ხომ გამიკითხავ, როცა მოვკვდები?

ნინუცა შეკრთა, — რას ამბობო, და მიესაყვარლა.

— არა, ხომ დამიტირებ შენი ლამაზი თვალებით? ნამდვილი ცრემლით, გულის ატირებით, ხომ ლოყას ჩამოიხოკავ, ჩამოიკაწრავ?

— რას ამბობ, უწინამც შენ დამაყრი მიწასა! — ამბობდა სახტად დარჩენილი ნინუცა.

დედაკაცობა შეხორხორდა...

— აბა, სიტყვა მომეცი, რომ ჩემზე თმას გაიშლი, ჩემზე შავს ჩაიცვამ, ჩემს კუბოზე დაახლი თავს! — და აზუზუნდა, ფუფალა ატირდა, აქვითინდა ადუღებული გულით, ცრემლდაუხმული თვალებით. ნინუცა ტიროდა, დედაკაცებმაც ცრემლი გაშალეს. გასათხოვარი გოგოები იკბინებოდნენ:

— ოჰო, ძუძუთა ნუკრს დამიხედეთ!

— ჩემო მიწის დამყრელო, ჩემო დამსუდვრელო, ჩემო მოკეთევ, სულ ლექსით დამიტირე, შენ გენაცვალე, ცრემლში გატარებული სიტყვებით! — იხვეწებოდა თავმორეული, ყველასგან გარიყული, უშტოვო ხესავით მარტო, ყინვა-სიცხეში ჩამომწვარი ფუფალა.

— სულ ცაში ადიოდეს შენი ტირილი. ხომ იცი, უპატრონო ვარ, ლიტაო. არა მყავს გულშემატკივარი! — კანკა-

ლებდა აძაგრული, საყელოცრემლიანი, ლოყაზე კურცხლმიწებებული, მინაცრებული ფუფალა.

— ცრემლის ღვარჩქერს დაგიყენებთ, თუ გინდა დანჩქერსაც! — ფრუტუნებდა ლურჯთვალასთან ერთად მზევარდამომავალი პირბალიშა.

თავდადრეკილი, გადასვენებული, ღონემიხდილი ფუფალა კუნძზე იჯდა გულგადალეული და ლიტრის წყლით აბრუნებდნენ...

ბოლოს, როგორც იყო დაშოშმინდა ფუფალა. ნინუცა არ მოშორებია. შინ უნდოდა წაეყვანა, მაგრამ ხეპრე ქმრისა ეშინოდა, ორივეს კარში გამოგვყრისო, გაიჯეჯილებსო, სად მაქვს მაგის შესანახი ლუკმაო!

ბოლოს კიტრიპარია ბიჭმა ხმამაღლა დაიძახა დაშლის ნიშანი: ჩიტმა თავის ბუდე იცისო!

კიდევ ერთხელ მიესაყვარლა ნინუცა ბოდიშით და შინისკენ გაეჩქარა.

მეპურმარილე არავინ გამოჩნდა.

ბინდი გამუქდა... ფუფალამ გაშალა ქოლგა და ლასლასით გაუდგა გზას. საით? თითონაც არ იცოდა!

ბინდში გაშლილი ქოლგა რომ დაინახა, — მზე არ მოგეკიდოსო, — გესლიანად მიაძახა ქარცეცხლამ.

— ხედავთ, ციცინათელა თავის შუქს მისდევს! — დასცინა ლურჯთვალამ.

— ჭრელო პეპელა, გაფრინდი ნელა! — მისძახოდა პირბალიშა.

— იცით რა, საიდუმლოს გეტყვით? — ბოროტიანმა ქარ-

ცეცხლამ დიდმნიშვნელოვნად პირზე ხელი მიიდო და გარინდდა.

— გვითხარ, შენი ჭირიმე, გვითხარ, თავს შემოგევლე!— შემოეხვივნენ დარჩენილები, მაგრამ ქარცეცხლა ასე იოლად როდი გაიმეტებდა საიდუმლოს.

— იცით რა — იძახდა ხმაშეკიდებით.

— ჩქარა გვითხარი, თორემ შინ სახრეს ვერ გადაურჩებით!

ბოლოს ქარცეცხლამ, როგორც იყო, გაამჟღავნა დიდი საიდუმლო:

— ისე არა ყოფილა შიოლა ამ ქვეყნად, როგორც მე არა ვარ ახლა დედოფალი! — წარმოსთქვა ჩამარცვლით.

— როგორ, შენი ჭირიმე, ეს როგორ? — ელდანაკრავები ეკითხებოდნენ ქარცეცხლას, — წმიდა გიორგი, შენ გვიშველე!

— ისე! სულ ფუფალას მოგონილია! შიოლა არცა ყოფილა ამ ქვეყანაზე, არც არავის უნახავს... ისევე როგორც მისი წამლები!

იმ ჭრელ ბოხჩაში მართლა წამლები კი არ უწყვია! არა, საყვარლებო, ჩემო სიცოცხლეებო, — აგზნებით ქაქანებდა ქარცეცხლა, — ფერუმარილი ულაგია, გუნდა, ლახუსტაკი, ზირა, ქარვახუთო, ზეთები, სახეს რომ ითითხნის ყოველდღე, სილამაზის ნაკვალევი მაინც შევინარჩუნოო! რომ ჩაიკეტება ხოლმე, განა მართლა წამლებს ამზადებს, ჯერ ნებივრად კამოიძინებს, მერე ჯიბის სარკეს დაიდგამს წინ და თავს ილამაზებს...

— უყურეთ, მაგ პეწენიკს, თვალთმაქცს, როგორ გვატყუილებდა! ერთი უყურეთ! — ვიშვიშებდნენ დედაკაცები. ლურჯ-

თვალა და პირბალიშა ზეიმობდნენ, ყველაზე მეტად კიტრიჰა-
რია ხტოდა გახარებული.

ფუფალა მიჰფარდა იქვე ორღობის მოსახვევში თავის ქოლ-
გით, ბოხჩითა და თექვსმეტნაჭრიანი კაბით. მიდიოდა პურ-
უპმელი, დაბეგვილი, მოთუთქული, დაქოლვილი, ნაწამები, და
არ იცოდა, რომ უკვე გაცემული იყო ყველა მისი დიდი საი-
დუმლოება, რომ ხვალიდან უკვე მზადდებოდა მისთვის ახალი
გოლგოთა. ახალი ჯვარცმით...

მეეჯღე იაგორა

ამ წვიმიან დღეს, რატომღაც ჩვენებური მოხუცი მეეტლე იაგორა შემახსენდა.

ორმოც წელიწადზე მეტი იყო სოფლიდან თბილისში მეეტლედ გაქცეული იაგორა და ერთხელაც არ გახსენებია სოფელი.

ჯმუხი, ჯანმრთელი მეეტლე თბილისში შრომისა და ცხოვრების ამაოებაში იყო გართული. ქალაქში პატარა ქოხიც ეყიდნა და უკვე მოქალაქედ გამხდარი, სოფელს აღარ კადრულობდა. ბოლოს კი მოხუცებაში „მიწამ მოიკითხა". თავათ უშვილო იყო, ცოლიც მოუკვდა თანანა; ცხენებიც დაეხოცა, ქოხში წვიმამ ჩამოატანა, მსოფლიო ომიც დაიწყო; გაღარიბდა,

დაავადმყოფდა ჩვენი იაგორა და სოფელს მოაშურა. ეს იყო მსოფლიო ომის მეორე წელს.

კარგად მახსოვს მისი ქალაქიდან დაბრუნების დღე. ჩვენს უბანში ეს იყო „ახალი ამბავი“, თუ გინდ, მთელი „მოვლენაც“. სწორედ იმ დღეებში წმიდა გიორგის ხატში ვიყავით, სოფლის განთქმულ სალოცავში. აპრილის გასულები იყო; ათქვირებული ბალახი მუხლზე გვცემდა, ზეიმობდა პირველი სიმწვანე გაზაფხულისა.

მეზობლები იაგორას პატივით ხვდებოდნენ და ხატობაშიც მიიპატიჟეს, რომელიც, აგერ ორმოცი წელიწადია, რაც არ ელოცნა.

იაგორა ხარობდა, იცინოდა, გამოიცვალა, თითქოს სიბერის ქურქი გადასძვრაო, თითქოს ფენიქსივით განახლდაო, აღტაცებული მწვანე ბალახში ეხვეოდა:

— უჰ, თქვენი ჭირიმეთ და!.. — თან მუხლი ეჭრებოდა.

როცა ხატობის სუფრაზე დავჯექით და იაგორას საკვესე კერძი მიაწოდეს, მან მოულოდნელად წამოიძახა:

— მთელ სიცოცხლეს ვნატრობდი: ღმერთო, აუწონაკი ხორცით გამაძღე-მეთქი! ჰოი, თქვენს დედის რძეს ვენაცვალე!

თამადა — მოხუცი რკინიგზელი მუშა თვითეულ სადღეგრძელოს ასე იწყებდა: „შაგნებულო და მომზადებულო ამხანაგებო!“ იაგორა კი არ აცლიდა თამადას მჭევრმეტყველებას და გაიძახოდა:

— აუწონავი ხორცი, აუწონავი! უჰ, თქვენი ჭირიმეთ!

ორმოც წელიწადს ქალაქის სასწორის შემყურე იაგორასათვის, ამ ომიანობის დამშეულ დროს, როცა შავი პური საძე-

ბარი გახდა, მართლაც და სანატრელი უნდა ყოფილიყო აუწონავი, მუქთი ხორცი... აქ კი, — კმასაყოფელი პურმარილი, ღვინო...

ზვარას ხარტყავი და დასისხლული თავი ეგდო ძირს, ბალახში, ჭიაფრად შეღებილ მიწაზე. გრძელი მწვადები შიშხინებდა, სიმსუქნის ქონი მიწას ეწვეთებოდა.

შიამიტ სოფლელებს უკვირდათ იაგორას აღტაცება; ერცხვინებოდათ ჭამაზე ლაპარაკი ქალაქელი კაცისა, განსაკუთრებით კრძალულ მანდილოსნებს. კაცები კი, ხორცთან ერთად, ღვინოსაც აძალებდნენ:

— ჩაიგემე, ჩაიგემე, ჩვენებური მირონიაო!

შემთვრალ იაგორას კი თითქოს ქვეყნის კიდური შემოევლოს, ისე მოჰქონდა თავი! ვის არ იცნობდა თურმე თბილისში, ვინ არ უტარებია თავისი ეტლით — თავადი, ბობოლა, მოხელე თუ დიდი ვაჭარი?

— გულბაათ ჭავჭავაძე გაგიგონია, „გალიცინი“ გაგიგონია, „შერემეტოვი“ იცი, ველიქ-აღა გინახავს? როგორც გასახელებულ კაცს შეეფერება, ერთი „საწუთროს ჯამში“ არ ჩაუხედია, თორემ სხვა ყოველივე იცოდა და ნანახი ჰქონდა, თუმცა კი სუფრაზე ბოზბაშისა თუ არტალის ჯამში უფრო ხარბად იყურებოდა იმ დღეს, „მიწასთან დაბრუნებული“ უძღები შვილი.

— უჰ, თქვენი ჭირიმეთ! — დიდხმაობდა, კუნტრუშობდა იაგორა, სოფლელები კი ტკბილად მუსაიფობდნენ, უხაროდათ ერთმანეთობა, გულახსნილობა. მალე კიდევაც მაგრად დაღვინიანდნენ. ღვინომოკიდებული იაგორა ქალაქურ ყაიდაზე ჭიკ-ჭიკებდა:

— სულ ოთხი ფუთი ვართ! ექვსი მისხალი ენა გვაქვს! არ გავაფუჭოთ!

— მე რომ დილით შინიდან გამოვდივარ, ენას შაქარში ვავლებ, რომ ტკბილად ვილაპარაკო.

— ენავ, ტკბილად გაისარჯე! ხალხში რომ მივიდეთ, გავატკბილოთ, ვინც ჩვენთვის ტკბილ ენას ამუშავებს, ცოცხალი იყოს.

— ეჰ, სულ ხორცით ვართ გაფუჭებული! კაცი ვიყოთ, ამ პატარა ენით ვიყვნეთ!

—ეჰ, რა დრო იყო, დაი დად გვეკუთვნოდა, დათ მიგვიღია! დედა ყოფილა, „დედა“ დაგვიძახნია, ნათელ-მირონი რომ შუბლზე წაუსვიათ, იმათ ძვლებს ვენაცვალე!

იაგორა ჩარჩა სოფელში, დაბრუნების აღტაცებამ ნელ-ნელა გაიარა. სოფლის სინამდვილემ მალე გააცნო თავი, ვეღარ გაისაძლისა, მძიმე გლეხური ცხოვრება სიცხესა თუ ტალახში ვერ აიტანა. დაიწყო ქალაქზე დარდიანობა. საღამოთი გადადგებოდა თბილისის მხრივ სოფლის ბექობზე, ვითომ ქალაქიდან მისი შუქი შორიდან უნდა დაენახა, თვალი მოეკრა.

— აგერ, აგერ მთაწმინდაზე შუქი აინთო, აჰა, სიონის ზარის ხმა მომესმის, — იძახოდა ღიმილით, თითქო შორეულ ტკბილ მოჩვენებას ესაუბრებაო. სულ ქალაქზე ფიქრობდა. სადაც ეგულებოდნენ ძმაკაცები, მუშტრები, იგონებდა ვერისა და ორთაჭალის სალხინო სახლებს და გულზე მუშტს იბაგუნებდა. მაგრამ აღარც ჯანი მოსდევდა, აღარც წელი, აღარც ჯიბე, ვეღარც გლეხურ ცხოვრებას მიუდგა. დარჩა უმწეო, გარიყული, მარტოდმარტო, ეული.

— ახ, ვერა ვძლებ უქალაქოდ, იქაურ სინათლეს ვენა-

ცვალე! კაციც ის არის, ვინც ქვაფენილი გამოიგონა! ვერა, ვერ ვიტან აქაურ ტალახს, აქაურ სიბნელეს! ქათმებთან ერთად როგორ დავიძინო? მარტო ვარ... მომწყინდა... შინ რა მინდა... თუ არა და ციხეში წავალ, იქ, ხალხში მაინც ვილაპარაკებ...

— როგორ გიკითხო, იაგორ?

— ვხმები, ვხმები ღაღუას ტირიფივით! — ქალაქურად ოხუნჯობდა სევდიანი იაგორა და აკი კიდეც გადაჰყვა ამ ტირიფს... წინასწარ ერთი ბოთლი ჭაჭის არაყი დაელია და თავი ჩამოეხრჩო სახლის წინ, სწორედ იმ ტირიფზე, რომელიც ძალზე უყვარდა მწვანიანობის გამო.



ხ ვ ე დ ი ̄ ა

ბორგი, უსმინარი, აღმართი-კაცი იყო ხვედია. ვის არ ახსოვს ჩვენ სოფელში, უკეთური, გულღორღიანი, ღვარძლა, ჭინჭყლიანი, ენიდან შხამის მდენელი!

შესახედავადაც ძნელი იყო: დამშხალული, შეკვამლული, ჩაღრუბლული, თანაც წყალდასხმულ-ნაცრისფერი.

მოთმინებიდან გამოსული ძმა ეტყოდა: — კაცი ხარ, ქვაკაცი თუ ხერკინა, შე გულდაფშვნეტილო?!

— რაო, დაგებეჟა ენის ხორცი განა? — მრისხანედ შეუძახებდა ხვედია ცოლს, თუ ორ სიტყვას გადააცდენდა საწყალი დედაკაცი.

— ღვიძლი ჩამილპო ამ კაცის გულგამომხრავმა სიტყვებმა!

თოკივით წამიჭერს ხოლმე ყელში! როგორც კალთაზე ნაკვერცხალი დაგეცეს და მაშინვე არ გადააგდე, თორემ დაიწვები, ისე ჩემი ქმრის სიტყვებია — ჩიოდა უბანში ნინორე.

არავინ უყვარდა ხვედიას. მით უმეტეს ჩიტები! სძულდა ნიბლია-ბეღურები. არც მათთვის იშურებდა გულის დამბოლავ სიტყვებს.

— რა ამბავი გაქვთ, სხვაგან ალაგი ვერ მონახეთ? — დილაობით შესძახებდა თავის ვენახში მოყღივილე ჩიტებს და გაბეზრებული, გაშმაგებული მოჰგლეჯდა სარს, შესტყორცნიდა ჩიტებით დახუნძლულ ხეს და გარეკავდა ისე, რომ წამში ის არემარე უდაბნოსავით დამუნჯდებოდა.

ჩიტებზე მეტად ბავშვები სძულდა. როცა დედაჩემს რძე გაუშრა და მე უძუძურად დავრჩი ცოტა ხანს, მაშინ ხვედიას ცოლი ნინორე მაწოვებდა ძუძუს, ხვედიას შიშით, ფარულად.

როცა ხვედია შინ იყო ხოლმე, მე უწოვნელად მისტუმრებდნენ.

ერთხელ, ცივი ზამთრის საღამოს, შალში თბილად გახვეული მიმიყვანეს ხვედიას ცოლთან ძუძუს საწოვრად.

ხვედია თურმე ახტა-დახტა: რა დროს მაგის ხეტიალია, ამ შუაღამისასო? ამ დროს აქ რა უნდა, დაეყვირა ჩემი მიმყვანისათვის, თითქოს საქეიფოდ მივსულიყავ და არა წვეთი რძისათვის! ერთი სიტყვით, იმ ღამეს ურძეოდ დამარჩინა თურმე ბოროტმა ხვედიამ.

უმცროს ძმას ჩიტალას, საცოლედ შეღერებულს, რომელიც კარგ მომღერლად ითვლებოდა, ჩონგურის დაკვრასა და სიმღერას უშლიდა:

— რას ჩაუშტერდი ჩონგურს, ცოლი გინდა განა? ჯერ სარჩოს მოეკიდე, რა დროს ჩონგური და სიყვარულია? თუ ბერა და ქალი ხომ არა ხარ, რომ მღერი?!

ხვედია ღამურა კაცი იყო; როცა ღამე გაიწონებოდა, მაშინ ადგებოდა, შემოივლიდა თავის პატარა კარ-მიდამოს, ეზოსა-ბოსტანს, კალოს, ვენახს, სადაც იგი თვითმპყრობელადა გრძნობდა თავს.

— ეს ჩემია! — თან დაარტყამდა ფეხით მიწას, ჩაჰბღუოდა: ჩემი მამულია! ჩემი საკუთარია! — და მკერდით ზედ გადაეფარებოდა.

ხან უსაფრდებოდა უხილავს მტერსა თუ ქურდს, რომელიც, მისი წარმოდგენით, უთუოდ იქვე ბუჩქებთან თუ ღობესთან იყო მიმალული, მისი საკუთრების წასართმევად.

ხვედია მზად იყო გამვლელ მგზავრისთვისაც კი ჩხუბი აეტეხა, იმდენად ეჭვიანი მესაკუთრე იყო! სწყინდა, ბრაზობდა თუ სხვა ვინმე გაივლიდა მის მიწაზე. მოსვენება არ იყო მისი გაუთავებელი ჩხუბისა და კივილისაგან.

— ერთი ხელის დადება მიჯნა გადაგიწევია, შე ქრისტეს ფეხის მომჭმელო! — შეუყვირებდა უდანაშაულო მეზობელს და დატრიალდებოდა კეტი, კომბალი, მარგილი, ცელი თუ ცული! მისი ბოროტებისა და ყაყანისაგან მოსვენება არ იყო.

— რატომ არ დაწყნარდები შე საბრალოდ აშენებულო, შე შავმუჯა მიწავ, შავო მტვერო! — შესძახებდა მოთმინებიდან გამოსული ღვთისნიერი ნინორე, ოდესღაც ფერწითური, შოლტივით ქალი, ლაღი, მხიარული, ახლა კი, ხვედიას ხელში ელდით ჩამომდნარი, მოხრილი, ჩამუმლული. ცოლი სულ იმის შიშში იყო, ან ახლა გამომაბავს ქმარი ცხენის ძუას, ან ახლაო!

ხარბმა ხვედიამ სიკვდილიც კი ადრე მიისაკუთრა. საკვირველი იყო, ცოლი დასტიროდა ქმარს და თან გულში შვებას გრძნობდა! რა დასამალია, ცოლმაც ამოისუნთქა, უბანმაც და მთელმა სოფელმა, — მოვისვენეთო!

ნინორე დასტიროდა: — აჰა, ეგეც შენი მიწა — სამი ადლი მიწა! სულ მაგას ნატრულობდი, რათ გინდოდა შე უბედურო, რომ ყარყაში არ მოგწყინდა მაგ შავი მიწისთვის!

ხვედია კი იწვა გულზე ხელდაკრეფილი, თითქოს დიდად კმაყოფილი, რომ ახლა საკუთარი მიწა დაეყრებოდა გულმკერდზე... თითქოს ბედნიერებისათვის მიეგნო და მზად იყო ორივე ხელით ჩაებღუჯა ის სამი ადლი მიწა, რომელიც ახლა საკუთრებად ერგო და მის სამუდამო მფლობელობაში გადადიოდა. მაგრამ სახის შენაცრულ ფერზე მაინც ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ ეშინოდა და ფრთხილობდა ვინმე უხილავი არ შემეცილოსო! ალბათ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გუნება დამყუდროებული.

ჩიტები კი მღეროდნენ, ჟღიოდნენ... ცა იყო ლურჯი... ლურჯი...



ორი შემოხედვა

თუ კახეთის გზაზე გივლიათ, გეცოდინებათ, თბილისის სიახლოვეს ლოჭინის ხევი!

ახალ ხიდქვეშ. ლოჭინის ხევისწყალი მოწანწკარებს თავმდაბლად, ქვიშაზე ტკბილად გადამავალი. ზაფხულის პაპანაქებაში ოდნავღა მოჩანს, დაჭრილი მტრედის ფრთის ბარტყუნივით ძლივსღა მიიგნებს გზას.

ამ წყალსაც ახსოვს ჩემი ბავშვობა!

ზემოთ, პატარა სოფელში, რომელსაც კლდის წყარო ჰქვიან, მამიდაჩემის განიერ მამულში ჩამოჩხრიალებდა, ჩამოციმციმებდა უნაღვლოდ. მე კარგად მიცნობს ეს პატარა წყალი!

ჰკითხეთ, მოგიყვებათ, თუ ჩემს ყრმობაში როგორ ვესტუმრებოდი ხოლმე მამიდაანთ! რა მოამაგე ბიძა მყავდა ნიკოლოზი, რა კარგი ტოლები მყავდნენ იმ სოფელში: საბედა, აგლია, არსენა, ზაზილა, ქეთე, მაისა, ჩიტიფეხა, ნიტრია, შოშია, ზეცურა, ლექსურა და ვინ მოსთვლის... ნიკოლოზის ძმას, გარსევანს — ისიც ხომ ნათესავად მომხვდებოდა, — ჩარხიანი წისქვილი ჰქონდა ზვარში. მბრუნავ ჩარხზე წყალი იმსხვრეოდა ალმასჩქერებად. ჩამოვჯდებოდი ხოლმე წისქვილის გვერდით, დიდ გადაჩრდილულ კაკლის გრილოში და ვტკბებოდი წყლის ჩქერალის ფრქვევით, თითქოს ჩარხზე ათასი ცისარტყელა ყოფილიყო დახვეული.

ერთ დღეს წისქვილი მოულოდნელად დაკეტილი დამხვდა. სიბერით დახვეწილი მეწისქვილე ჩალხია უეცრივ გარდაცვლილიყო, თითქოს მისძინებოდა ფქვილის ტომრებსა და საცალოებ შუა მიწოლილს.

ღრმა მოხუცს ბალღების თავი არა ჰქონდა, არ გვიკარებდა. გარსევანს მეტად შეენანა ამაგდარი ჩალხია და საქელეხო პურღვინო შეაწია. კეთილი იყო გარსევანი, თუმცა, ხელმაგარი, ჯიქი. მე ძალზე ვუყვარდი და ხშირად გაზეთებს მაკითხებდა; ესიამოვნებოდა, რომ ისე პატარა თავისუფლად ვკითხულობდი წიგნსა თუ გაზეთს.

სწორედ ამაზე ადრე, სანამ კლდის წყაროში გადავიდოდი, დედაჩემმა ჩემი საყვარელი გნოლა ხარი გაყიდა. მოჯამაგირე უჩიოდა — უღელს ეურჩება, უარშიობსო! მე კი ძალზე მიყვარდა. ლამაზი იყო ჩვენი ხარი, გნოლისფერი, ლამაზთვალება, მეც ვუყვარდი გნოლას, კისერზე ვეკიდებოდი, ბალახს ვთავაზობდი. არც ერთ სხვა ხარში არ გავცვლიდი გნოლას, მაგ-

რამ რა მექნა! მოვიდა მყიდველი, გახარებულმა აპეური გამოაბა, ჩასჭიდა ხელი წასაყვანად... და უცებ ჭიშკართან, გნოლა ხარმა შემომხედა ისეთი თვალებით, რომ კინაღამ იქვე არ გავიყინე. დღესაც კი მახსოვს გნოლას სამდურავიანი თვალები, გნოლას თვალის ღრუბელი...

იმ დღეებში სევდიანი ვიყავ, გნოლას გაშორებით აფორიაქებული... ერთხელ წისქვილს მივაშურე. წისქვილის კარები ღია დამხვდა. ჩარხი ისევ ტრიალებდა. ჩალხიას ნაცვლად ვინმე ახლად გადმობინადრებული მეწისქვილე დამხვდა, მე შევკრთი და უკანვე უნდა გამოვბრუნებულიყავი, მაგრამ მან თვითონ დამინახა, დამიყვავა... გამეცნო...

წყნარი და სათნო მეჩვენა რაკდენა, იმ წისქვილივით, იმ პატარა წყალივით, წისქვილს რომ ატრიალებდა; მაშინვე გული გადამიშალა... მეც ჩემი შევჩივლე, გნოლა ხარის ამბავი, გულმოდგინედ მომისმინა; თვითონაც ცრემლი გადმოსცვივდა... გამიკვირდა... გავიდა ხანი, დავმეგობრდით.

რაკდენაზე დაცინვით ამბობდნენ — ცის მეცნიერიაო, ვარსკვლავებს ანგარიშობსო, და მართლაც, არა ერთხელ მინახავს, როგორი გატაცებით შეჰყურებდა ხოლმე ვარსკვლავებით მოჭედილ ცას...

— აი, ის ჟუჟუნა სამხიარულო ვარსკვლავი მიყვარს, ბღუჯა-ბღუჯა სხივებს რომ ჰყრის, ის მაცოცხლებს, — და ხელს გაიშვერდა გვირგვინიან ვარსკვლავისაკენ. — ის კი, მეორე, ჩემსავით მიბჟუტული, გულმიმქრალი, არ მიყვარს, არა! — ღიმილით იტყოდა. წისქვილის გვერდით, მწვანეზე წამოწოლილი ფლამარიონივით მისჩერებოდა ცას: იტაცებდა ვარსკვლავთა დაკამკამება.

— ვინ იცის. იქაც არის ქალი და კაცი! იქაც არის ქალაქები; ვინ იცის, იქაც არის გადარეული სიმდიდრე თუ იქნებ სიღარიბით იქაც ქვას ლოკავს ადამიანი. იქნებ, იქ სიკვდილი არც არის, ვინ იცის! — დასძენდა დიდი სიჩუმის მერე.

— ხან მინდა სურვილი გავგზავნო; შევისხა ფრთები და გავფრინდე მზის დედასთან საჩივლელად!

— ვის უჩივლებ?

— ცხოვრებას, ბოროტ ადამიანებს, ბედს!

ეჰ, ვერ ვიპოვე ჩემი ვარსკვლავი!

საჩივარი კი მართლაც ბევრი ჰქონდა... სიტკბოიანი რაჟდენა ბედისაგან დაჩაგრული იყო; ჯერ ცოლი მოკვდომოდა: მერე ომსა თუ ხეტიალში უპატრონოს თურმე ჭლექი შეჰპარვოდა. გაეგო, რომ სადღაც არსებობდა აბასთუმანი, რომლის სამკურნალო ჰაერი მოარჩენდა, მაგრამ აბასთუმანი მისთვის მიუწვდომელ ოცნებად რჩებოდა.

ერთ ხანს სცადა კიდეც თავის მოვლა. რძესა და კვერცხებს შეეწყო, მაგრამ სოფელში დაცინვა დაუწყეს, — იძულებული გახდა კვერცხი ფარულად ეყლაპა, სადმე ბუჩქნარში, ვენახის მიფარებულ ყურეში, ან თავის დაკეტილ ქოხში. მაგრამ სოფლის დამცინარ თვალს რა დაემალებოდა? მალე სულაც აკვეთა რძე და კვერცხი, დაცინვამაც გააგულისა.

— მაინც არაფერი მარგოო...

...წისქვილის დახავსებული ჩარხის თვალი კი ცხოვრებასავით ტრიალებდა; ზედ ემსხვრეოდა ათი ათასი ვარგალიტი... ნაღამურზე ცა ქათქათებდა ირმის ნახტომის ალმასური მტვერით და ვარსკვლავთა უმანკოებით... რძედაღვრილ ღამეში

მთვლემარე კაკლის ხეები და ვერხვები მოშამბნარულ ჩრდილებით ბინდს აძლიერებდნენ:

მთვარეო, მთვარის ნალეო,
გორის პირს მოდი მალეო,
ბნელ-გული გამიხარეო...

ღიღინებდა თავისთვის რაჟდენა... ჩვენ, პატარა გოგო-ბიჭები ვუსმენდით.

თუ მზე ხარ დაბლა ჩამოდი.
მაღლა მთას რას ეფარები?

მეწისქვილე ათას რამეს გვიამბობდა. უწიგნო კაცი იყო, მაგრამ წიგნებს მაკითხებდა, თითონ ღიმილით მისმენდა. ზოგიერთ წიგნზე იტყოდა:

— არა, არა, მაგ წიგნში ის არა სწერია, რაც ჩემს გულს უნდაო!

რაჟდენა ბევრის მნახველი იყო.

— ერთი, წისქვილის ყელში არ გამომიელია, თორემ დანარჩენი ყველაფერი მინახავს ცხოვრებაში!

და მართლაც რა არ ენახა? მარტო იაპონიის ომში ყოფნა რად ულირდა? ორჯერ იყო დაჭრილი ლიაოანთან და პორტ-არტურთან.

— რა ყოფილა ომი, ნუღარ მკითხავთ. მე რომ იქ გაქუქული ხალხი ვნახე, გახრული მკლავები... თავის კენჩხო ქვიშაზე მეტი ეყარა, ნეტავ რა სამართალმა უნდა უშველოს ჩვენს ხელმწიფეს,—ჩუმად იტყოდა, თან სიფრთხილით აქეთ-იქით მიიხედავდა...—რას სჩადიან ეს ხელმწიფეები... რომ

ნახო მათი ნამხეცავი, ნაქნარი, ნადირიც კი არ იკადრებს! ზოგი სალდათი შავად, ქონივით დამდნარიყო მიწაზე. ძნელია საამბობლად...

ომიდან შინ მობრუნებულ რაჟდენას, სახლის მაგიერ პარტახი დახვედრია. დედა გარდაცვლია; მამა არც ომში წასვლამდე ჰყოლია, ერთადერთი დაც სხვა სოფელში გათხოვილიყო. გამოჯარული, ნატიალევი სახლიდა დარჩენილიყო. ნაეზოვარში, ღობეზე ატოტებული თხა სჭამდა მონაგარ ხეხილს. მეზობლებმა სამახსოვროდ აჭრილი და მისთვის საგანგებოდ შენახული დედის ჭაღარა დაახვედრეს.

მეორე დღეს, ნასალდათარს უნდა ეფიქრნა ცხოვრებაზე და მეზობლების თათბირით იგი ჩალხიას მონაცვლე გახდა.

...დიდხანს უგდებდა ყურს რაჟდენა ლელქაშის მუსიკას და ვერხნალას შრიალს:

— ვერხვისთანა შრიალი არა ხეს არ ვამოუვა! — იტყოდა დარწმუნებით. ბუნების ამბები უხვად იცოდა. მეტად უყვარდა მზის მშვენებით მოფენილი, უღრუბლო იალნოს მთის აივანი მარტყოფის თავზე, ცივ-გომბორის სერები...

უხაროდა ბროლოსანი ლაჟვარდი, ვარდნარი, თავაყრილი ყანა... მტევან-ოქროვანი ვაზი... ატმის ბრიალა კალთა...

მინდვრის თვითეული ყვავილისა და მცენარის სახელი იცოდა; ყველას ესაყვარლებოდა:

— აი, კოკროჭინა, ვარდკაჭაჭა, ოქროშვინდა, წალიკა, ხაჭიპორა, ფურფუშელა, ღრინჭოლა!

— აი ფამფარა, ყვავისკუდა, ჯორისძუა, ძირტკბილა, ხვართქლა, შალგა, სოსანი, ღვია, სვია...

— ნეტა, რომელია მათში უკვდავების წამალი?

— ეს გორველა ვარო; ეს ავშანი ვარო; ეს აბზინდა ვარო!

თვალსაზრიანი იყო: პურის ცილა მასავით არავინ იცოდა.

— აგერ, ღობეზე წიფლისჩიტა, კიდევ პატარა ჯიხოლა, მისხლა, შიშიმქრალა! მასზე საწყალი არავინაა, ბუდე არ აუნგრიო!

უყვარდა კალიის მჭამელი ტარბი, — ადამიანს ეხმარებაო, წაბლია ხარი გლეხის ძმააო! ჭიანჭველის გორალას დააცქერდებოდა: ერთ დღეს ცოცხლობს ჭიანჭველა და ექვსი თვის ცხოვრებისთვის ცდილობსო!

გულუბრყვილო შემოცქერა იცოდა — გამომცინარი თვალებით.

აჭრილი ვაზის აკიდოს ჰკოცნიდა; თურაშაული ვაშლი შუქით გულს უნათებდა, ჭირნახულს აღმერთებდა. — ჭინახული წმინდააო, მართლაც ჭირნახულიაო! ნიავწვრილზე პირსიცილი მოსდიოდა: — ეგრე შემოიქროლე ნიავო, არ დაიღალო. ცოდვაა ადამიანი. ჩვენ რომ ახლა ამ ჩრდილში ვისვენებთ, რამდენი მუშაობს მზის გულზე! ძნა მოდის ჯარა-ჯარა, ზედ ოფლის წვიმა მოსწვიმს, რომ იცოდე!

ხის ნაკოდი ეცოდებოდა...

— ყური მოიმახვილე, ყველა სულიერია! მაშ, მიწა რათ სტირის? არ გინახია მიწის ტირილი დილა ადრიან? ბალახი რომ ნამს გაუშვებს, ის მიწის ტირილია! რა ატირებს — ჩვენი ცოდვა? თუ მზის ამოსვლა უხარია? შენ იცი, რომ ხემ და ქვამაც იცის დარდი?! სიცილიც იცის დედამიწამ, — თეთრად რომ იცინის ხეხილი გაზაფხულზე, ყვავილით იცინის დედამიწა, ცა ვარსკვლავებით იცინის!

გულაღმა მიაჩერდებოდა ცაზე ირმის ნახტომს და მისი სა-

ნახაობით დამტკბარი, აღფრთოვანებული, იტყოდა: — ეს ირმის ნახტომი რომ არ იყოს, ცხოვრება ჩალად არ ეღირებოდაო!

...ოქროს საბადოს არ ეძებდა სხვასავით, ოქრომძივებით გაბრწყინებული კორდი, მდელო, ხევნარი თუ ელვარე ხილნარი მისი ოქროს საბადური იყო, მას ესაუბრებოდა ყოველდღიურად; მისი სიუხვე და უმანკოება იტაცებდა; წყლის ჩქრო უყვარდა, წყალცოტაობას ვერ იტანდა...

ცხოვრობდა ბუნების მფარველობით, სხვისი უმფარველო. გაკვირვებული იყო ყვავილიანი სამზეოს სიმდიდრითა და ადამიანის სიღარიბით! საიდან გაჩნდა ამ ელვარე მზეში ჭუჭყი ან სიღარიბე, როცა ჩემი სული ყვავილებშია გახვეულიო?

ძალზე უყვარდა ხევში მოსული „ქრისტეს ბალახა". ქრისტეს სიყვარულის გამო თაყვანს სცემდა. გრძელი და ბრტყელი ფოთლები ჰქონდა ამ ბალახს. ფოთლებზე თურმე ქრისტეს ტირილი ეწერა და რაჟდენაზე ამბობდნენ, იმ ფოთლებზე ქრისტეს ტირილს წიგნივით კითხულობსო!

მალე თითონ რაჟდენას სატირლად გაუხდა საქმე: გაუფრთხილებლობით მარცხი მოუვიდა, უნებურად, წისქვილის ჩარხში ხელი მოაყოლა. ჩარხმა ხელი ჩაითრია. დიდხანს იავადმყოფა, სოფლის დედაკაცებმა სიკვდილს გადაარჩინეს სამკურნალო ბალახებითა და მალამოებით, გადარჩა, მაგრამ ხელი კი სამუდამოდ დაკარგა, გაუხმა...

ცოტა რომ მოიმგლოვა, მოკრძალებით გარსევანს მოციქული მიუგზავნა, ზარალი შემიმსუბუქე, ლუკმის მათხოვრად ნუ გადამაქცევო! გარსევანმა გაიკმარა, — ჩემი რა ბრალია, თუ რა-

ქდენა ცას შეჰყურებდა, ვარსკვლავებს ითვლიდა და ხელი ჩარხში მოაყოლაო, და მეორეც, — მე თვითონ ვაპირებდი დავხმარებოდი, თხოვნა რად დამასწროვო, განა ასეთი გულქვა ვარო?!

მაშინ, სხვათა რჩევით, რაქდენამ უჩივლა. ახლა გარსევანმა იმწვიტინა, როგორ თუ ჩივილი მაკადრაო. ჯიბრზე დადგა.

გარსევანის სავსე სახლი ნაქონობით მართლაც ხეობის თვალი იყო: ავსებული ყანწი, დასხმული ჯამი! სახლს დოვლათის ნათელი ადგა; გარსევანი არ იყო ღვთის უბეში გაზრდილი, არც ოქროს არტახებში დაბადებული, მაგრამ თავის დროზე მეცადინე, საქმის გამრიგე, ახლა შეძენაზე გაჩერებული იყო; მეტი ხვეჭის ზრუნვაში აღარ იყო,როგორც უშვილძირო. რაც ქონება ჰქონდა, ისიც სხვას უნდა დარჩენოდა. ამიტომ მისი ცხოვრება უმეტესად ხელგაშლილ მასპინძლობაში მიდიოდა.

— ჭკვიანმა კაცმა სოფელი ააგოო! — ასეთი სახელი ჰქონდა დავარდნილი გარსევანს. მაგრამ თვითონვე თავმომწონებით დასძენდა: „ჭკვიანის სიტყვას რეგვენის ყურში სძინავსო!“

— ხევრე და ხევრე! — ტვინგაფიცხებით იტყოდა — შესაწევარი უნდოდათ?! — იმუშაონ და ექნებათ! მე რათ მევალება, ყველა ვარჩინოო, რა ჩემზე იპოვეს ტაროსიო!

ორივეს მხრივ სამდურავი, გულკლება გამოჩნდა. სოფელი ორ ბანაკად გაიყო: რიგი მემამულეს ემხრობოდა, რიგი — რაქდენას. შეიქნა სამართალში რბენა, მოწმეების შოვნა...

ორი წლის შემდეგ რაქდენამ წააგო საქმე! იმ დილას სამჯერ გახურდა გარსევანის თონე, ცხვართან ერთად ნასუქარი დეკეულიც წამოაქციეს, ქათმები გაწყვიტეს, ქვევრს ახადეს...

ჭამეს, სვეს, ილაღობეს, იბობოქრეს... მესამე დღეს ჭენებით, ცხენფრენით წავიდნენ სტუმრები... ერთ კვირას მოუნდნენ გარსევანიანი სახლის დალაგებასა და პირვანდელ წესრიგში მოყვანას.

რაოდენა აღარ მუშაობდა წისქვილში, მაგრამ წისქვილს ხშირად დახედავდა ხოლმე. დაჯდებოდა მწვანეზე და შორიდან ისე ესაუბარლებოდა. წისქვილში ახლა სხვა მუშაობდა.

ერთხელ მე და გარსევანი ვაშლის ქვეშ ვიჯექით. მე ახალ გაზეთს ვუკითხავდი, რადგან სათვალე დაჰკარგოდა. ზვარში ამოიარა რაოდენამ და გარსევანმა თვალი შეჰკრა დაბეჩავებულს. შეეცოდა, გამარჯვებული კაცის გულკეთილობით მთხოვა: დაეწიე, დაუძახე, ტკბილ სიტყვას ვეტყვიო! — აკი გითხარით, კეთილი კაცი იყო გარსევანი. მეც გამიხარდა, დავეწიე, გეძახის–მეთქი! აჩქარებული რაოდენა წამით მობრუნდა, შედგა და ერთი ისეთი შემომხედა, იმ გნოლა ხარივით, გული კინაღამ გადამიქანდა. მას მერე აღარ მინახავს...

ჰაგრამ დავინახავ თუ არა ლოჭინის წყალს, მაშინვე საწყალი რაოდენა მომაგონდება ხოლმე! თითქოს ლოჭინის წყლის წყნარი ზვირთებიდან რაოდენას სევდიანი ხმა მეძახისო. ამ ზვირთებიდან ხომ ჩემი ყრმობა მეციმციმება...

ვერა, ვერასოდეს ვერ დავივიწყებ რაოდენას შემოხედვას, ისევე, როგორც დღემდე არ მასვენებს გნოლა ხარის თვალის ღრუბელი!..

სამთო საბაღახე

— ეხ, შვილიერება ჩემი დასრულდა! სამემკვიდროდ ვაჟი არ მეყოლა! ცასა და ქვეყანაზე მარტო დავრჩი! დიდ გვარს, დიდებულს ღმერთმა შვილი არ მიბოძა. რა ვქნა, რომ ჩემს უკან არავინ რჩება ჩვენი დიდი გვარიდან! გვარია, განა მატყლია! ჭირს, განსაცდელს, შეწუხებას, ჭირდებულებას რამდენს შეეებრძოლე, ისევ ღმერთს უნდა შევწირო მადლობა! — ამბობდა ნამგალივით მოხრილი, თვალზე ნისლ-წაკრული ნათა-

ვადარი ყადორი რევოლუციის პირველ დღეებში და თან პირჯვარს იწერდა. — დიდება შენდა უფალო დაუსაწყისო! მაგრამ ვინ შესცვლის ზენასუფევას?

— მითხარ ყმაწვილო, რომელი ერთი ვიჩივლო? გვარის ამოწყვეტა, მხცოვანება თუ მამულიდან ცარიელათ დარჩომა? — ჩიოდა კომისრის კანცელარიის ზღურბლზე გვარის უკანასკნელი შთამომავალი, გვარის დამბოლოვებელი ყადორი, რომელიც ახლა უკანასკნელად თხოვნით მისულიყო კომისართან, რათა ნაკუთვნილარი საბალახე მთა უკან დაებრუნებინათ საზრდოდ, სარჩომად... ცხენი იქვე, მარგილზე გამოება. ყვავები და ყორნები სდარაჯობდნენ მოლოდინში თავადის რაშს...

ცხენიც მშიერი იყო, ბატონიც! მსახური ბიჭი „შავბეწვა" ღორისწველაშვილი გაჰქცეოდა. შინ აღარავინ ჰყავდა, გაციებული ოთახი ელოდა, იმასაც ართმევდნენ. ვერა და ვერ ჩამომშორდა იმ დღეს დამკრთალი, შეშინებული, ნათავადარი ყადორი, რომელიც უარით გამოისტუმრეს კანცელარიიდან, კიდეც უთხრეს, რომ მეორედ აღარ მისულიყო ამ სათხოვარზე.

სადილობის დრო იყო, დაბის დუქანში შევედით, შევიპატიჟე. დუქნური სუფრა გაიშალა. ხორაგისა და ღვინის დანახვაზე ყადორი ცოტა მომხნევდა, მაგრამ თავის დონეზე აღარ იყო: რაღა ვარ ეხლა, ცარიელი მათრახიღა დამრჩა მთისა, ბარისა და ტყის ნაცვლად!

.არ დატკბა ჩემი წუთისოფელი, რა ვქნა? არსაქნელი არ იქნების! — და უცბად შეჭოჭმანდა, — იქნებ ეს ქვეყანა კიდევ დამტკიცდეს? მაგრამ, ისეთია დღეს ქვეყნის გადასხვაცება, გადავითარება, რომ ეს ქვეყანა მალე არ დამტკიცდება და მე შიმშილით უნდა მოვკვდე! — ამბობდა ყადორი, — ასე მგო-

ბია, თითქოს მკვდარი ვარ, თითქოს ადამიანადაც გაუქმებული ვარ! — და უეცრივ იკითხა: მაინც ვერ გამიგია რატომ არა-ვინ მაძლევს საბალახეს?

— რევოლუცია მოხდა! — ვეტყოდი გულუბრყვილოდ.

— მერე ჩემმა მთამ, ჩემმა ბალახმა რა დააშავა? — ვერა და ვერ გაეგო ბატონ ყადორს.

— მერე იცი, რა ბალახია?

— პაპის პაპაჩემი — შერმაზანი დარბაზბატონი მთელი კახეთის პატრონი ყოფილა და მე ერთი მთა აღარ მეკუთვნოდეს? და მისი ბალახი?

— პაპაჩემ ჯანზურაბს მეჯინიბე ცალკე ჰყოლია, მეაბჯრე და პირის მეღვინე ცალკე და მე ამ ფამფარა ბალახის მეტს ხომ აღარა ვთხოულობ?

— მამაჩემის ამილღაბარის სუფრაზე ყოველდღე თითო ძროხა იკვლებოდა და მე სამთო საბალახოზე მეტს ხომ არა ვთხოვთ?

— აბა, მაშინ კაი ბიჭები ვიყავით, როცა დიდ ომებში, ჩვენი გვარის მედგარი ძახილი გაისმოდა: „დაჰკარ, დაჰკარი!“ ჩუულ ჯორებით უზიდიათ ომიდან მოკვეთილი თათრის თავები!

— და მე ვისთვის რა დამიშავებია, ყველასათვის ძმა ვიყავ და მეგობარი, ნათელ-მირონი, მეზობელი და გულის მოკეთე, ეს რა დროება მოდის! სინდისი დაიმარხა, ზრდილობა და პატივისცემა გაჰქრა, მაშ საქართველოც ხომ დაიღუპა, მითხარ, უმაწვილო, შენ გენაცვალე! — დაჟინებულად მიცქეროდა ყადორი და ჩემგან ელოდა თავისი სიტყვის დადასტურებას.

— პირახსნითა და გულახსნით მინდა გელაპარაკო: მე ბედს

ვემორჩილები, არ ვიტყვი: კბილი კბილის წილ! — დამდაბლებული ღიმილით მეუბნებოდა ყადორი — ან რას მეტყვის კარგს ადუღებული გუნება? მაგრამ გული მტკივა! მეც ხომ ძეხორციელი ვარ, მეც ხომ მინდა არსებობა?

გულს ახარებდა ნაწვიმარზე გულის მაცოცხლებელი გაზაფხულის წვეთები და აბრიალებული ცისარტყელა, ახლად აყვავებული ნუშისა და მსხლის ყვავილთა ფერფლით მომფრინავი ნიავი და ყადორის ნაღვლიანი სიტყვები ამ დროს ჩემს გულს არ ეგუებოდა.

ყადორი კი თავისას განაგრძობდა: ქვეყანას ოთხი რამ აკლია, ცას — კიბე, ზღვას — ხიდი, ჯორს — შვილი და კაცს — სამართალი! წაიღეს ჩემი მამული! სამართალია? რომ მაგონდება ჩემი დიდი კაკლის ჭალა, შიგ მზის წვერიც რომ ვერ გაატანდა! ჩემი ურთხნალი! ან ჩემი კორიდეთის ტყე! — რამდენ ირმის ჯოგს გადავყოლილვარ იქ, ან ჩემი მინდვრები, — რამდენ ჯეირნის ნახტომს გაუცდენივარ? ვაი მას, ვისაც ბუხრის წინ არაფერი აქვს მოსაგონებელი! ახლა, ბუხარიც წამერთო, რა უღვთოებაა, ყმაწვილო კაცო, ამიხსენი, გამაგებინე! — ვის რა დავუშავე, რა წავუხდინე? გეფიცები, ყოველდღე ვიგონებ ჩემს ცოდვებს, რომ შევინანო და ვერ მომიგონია და ახლა რად გადამხდა? ვისი გულისთვის? ორი ათასი წელიწადია, ჩემი გვარი თავადობდა! რამდენი იყო ჩემი გვარისა — კაცი, ქალი! იქეიფეს, დრო გაატარეს, ყმები ჰყავდათ, მთა-ბარი ჰქონდათ, შეირგეს წუთისოფელი ზომაზე მეტად და ახლა ამისთანა საწყალ მოხუცის წელზე უნდა გადატყდეს ჯოხი? მათი ცოდვები მე რათ უნდა ვზიდო, მე მარტოდმარტომ? ცოდვა არა ვარ? სამართალია?

მერე რა ცოდვები მე მიმიძღვის, რა სისხლის მსმელი და მიწის დამარბეველი მე მნახეს? მხოლოდ ერთი ცოდვა არ მასვენებს, მოდი, ახლოს მოჯექი „ტკბილი გითხრა მწარისათვინ“:

— ერთხელ, დიდმარხვას ძალიან ავად გავხდი. სულთ ვებრძოდი. საკვირველია, თან ამ ქვეყნად არ ვიყავ, თან სრული გონება მქონდა.

— მაზიარეთ! ესღა წამოვიზმუილე და ჩემი ცოლის ტირილი შემომესმა. გათანგულს ისევ ჩამეძინა. ვხედავ საიქიოა! ჯოჯოხეთის ნახეთქები. კუპრის ტბა. სამი კაცი დადგა ჩემს წინ. მოკლე ქართული კაბები ეცვათ, ხელში დავთრები ეჭირათ, ერთმა თქვა:

— მოიგონე, რა ცოდვა ჩაგიდენიაო! — მე ჭირის ოფლმა დამასხა, ძლივს მოვახსენე:

— არაფერი, შენი ჭირი...

— კარგად იფიქრე, ცოდვის შვილი ხარ თუ არა?

— დედის მუცლიდან, შენი ჭირიმე...

— არა, სწორედ უნდა გვითხრა, რა ცოდვა ჩაგიდენია.

— არაფერი შენი ჭირი...

— მაშ კარგი! აქეთ წამოდექი, — ანიშნა ერთმა მათგანმა ვიღაცას და უეცრად ჩვენი მეზობელი კი წამოდგა — სოსიკა თეთრ-სუდარაგადაცმული. სამი წლის მკვდარი იყო, მაინც გამეხარდა, მეზობელი რომ დავინახე.

— იცნობ ამას? — დამიძახა პირველმა.

— როგორ არ ვიცნობ?

თავჩაღუნული იდგა სოსიკა, ორივე ხელი გულზე დაეკრიფა.

— ახლა მოიგონე, რაც დაგიშავებია. — მითხრა სამოთხის კაცმა, მაშინ წამომაგონდა...

ჰო, ერთხელ ზამთარში ტყე მქონდა შეკრული. ამბავი მომივიდა ტყესა გპარავენო. ავიღე და ტყიურ წაველ. მივატანე თუ არა, ვხედავ სოსიკა — მასზე ღარიბი გლეხი არ იყო სოფელში — მოდის და ზურგით ჩემი ხეები მოაქვს.

გავცეცხლდი.

— არა გრცხვენია, სოსიკავ, შენგან ეგ მეკუთვნის? მომეცი წალდი! — დავჭყივლე და წალდუნა წავართვი. ეგ იყო დ: ეგ...

როდის ჩამიდენია სხვა ცოდვა? ან რაღა ვქენი, არ ვიცი! აი, ეს ცოდვა მომაგონეს სამოთხის კაცებმა.

სოსიკას რომ წალდი წავართვი, წამოვიღე და საბძელზე შევდე, მერე, კარგა ხნის მერე საბძელს რომ ჩალა გამოუცვალე, წალდიც ლელში ჩაიკარგა. ამასობაში სოსიკაც მოკვდა. შემოდგომის ერთ ქარიან დღეს, ქარმა საბძელს ლელი აჰხადა და წალდი ისევ ვიპოვე, სხვენზე შევდე.

— მიეცი წალდი სოსიკას და თავისუფალი ხარ! — ერთხმად წამოიძახეს სულთამხუთავებმა.

გამომეღვიძა თუ არა, დავიძახე:

— წალდი!

ცოლმა ტირილი დაიწყო, ეგონა ყელი უნდა გამომეჭრა!

— რათ გინდა წალდი? — ჩამომიჯდა მეზობელი.

— ასე იყო, ასე... — ლუღლუღით ვუამბე დასუსტებულმა. ზედ დატანებაზე სოსიკას ბიჭიც შემოვიდა.

— რა ამბავია, ნათლი, რათ გაგიგრძელდა ეგრე სატკივარი?

ვუამბე სიზმარი, წალდი ჩავაბარე... აი, ეს ცოდვა მომაგონეს სამოთხის კაცებმა! იქნებ, ამისათვისაც დავისაჯე დღეს?

ერთხელ კიდევ ყურძენი მოვიპარე ბავშვობისას... სხვა რა ჩამიდენია? ჯიხვით, ჯამით მისვამს. მეზობელი მიყვარდა, ნუთუ არ ჩამეთვლება? — მოსთქვამდა ყადორი და თან წითელ ღვინოს ბრკეს აცლიდა... და უცბად შეშინებულმა თითქოს სხვისი ხმით წამოიძახა:

— მაშ, ორი ათასი წლის ცოდვა მარტო ჩემს წელზე რად უნდა გადატყდეს? ცოდო არა ვარ, მე მარტო? — გაკვირვებული მიყურებდა, ისე შემკრთალი, თითქოს საცაა მდუღარე წყალში უნდა გადაუძახონო.

და სწორედ ამ დროს მედუქნემ სასწრაფოდ მოხურა, ჩაკეტა კარი და ფანჯარა. უეცრივ ცამ იელვა, მერე იდგრიალა, კიდევ იდანდგარა და მცირე ტორტმანის შემდეგ შავ-ლურჯმა ღრუბლებმა უწითლესი წინწკლების ბურჯღლები გაჰყარა. და ანაზდეულ, ჩქეფით წამოვიდა ნიაღვარი, დელგმა. მწუხრის მოშავფენებამ იმატა, სივრცე გაკუპრდა, ცისქცევა, უცნაური კრჩხიალი, ბაგუნი და ზრიალი აყრუებდა ყოველივეს.

და უცბად გაიზარდა შემზარავი, სიკვდილის ხმიანი წეწა, ლეწვა, — სეტყვა წამოვიდა, ახმაურდა ჭერი — კრამიტი თუ თუნუქი, ჯერ ხორხოშამ დაიწყო ხტუნაობა, მერე ნამდვილი ქვები აგორდა თითქოს... ბუნება ბობოქრობდა. ჩვენ ჭიანჭველებად ვიგრძენით თავი, ისე მცირედ გვეჩვენა ჩვენი ღონე ბუნების ძლიერებასთან.

ირეგვებოდა ყოველივე, იმსხვრეოდა. ღამე, ქარი, ნიაღვარი, შეერთებულნი იერიშით გადმოდიოდნენ და მოსპობით გვე-

მუქრებოდნენ, რა უნდა გვექნა? რა ჰქნას კანთხელმა კანსიმაგრის მეტი?!

ყადორი კი ჭიქა ღვინოზე ისევ ჩიოდა ბედის უსამართლობას, თუ რატომ უნდა გადაეტანა მხოლოდ მას, მარტოდ მარტოს — ორი ათასი წლის ცოდვა თავისი გვარისა და პასუხი ვერ მიეღო.

ირგვლივ ყველაფერი ილეწებოდა, ვის ეცალა ყადორის ცოდვებისათვის?



მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი

და წავდგე ჩემს მეუფესთან
ხელთანთებული ცვილითა.
ვაჟა-ფშაველა

არავისზე ნაწყენი, არავის ნამტერალი არა ყოფილა გუთნისდედა ნინია. თუ ვინმე შემთხვევით აწყენინებდა, იტყოდა:

— რამდენი ადამის შვილი ჩამოდის ამ ქვეყანაზე, ათასი ფერი და ფერადი! ვის რას გაუგებ?

არასოდეს უნატრია სიმდიდრე, მხოლოდ თავისი პურის ხვავით იყო მადლიერი.

— ყველა რომ მდიდარი იყოს დედამიწაზე, ღარიბი ვიღამ მოიგონოს? — და ათქვირებულ ყანას რომ შეხედავდა, სასოებით წაიჩურჩულებდა:

— შეხი მადლის ჭირიმე!

ოთხმოც წელს მიაღწია და არაფერი ასტკივებია. მეოთხმოცდაერთეში სისუსტე იგრძნო, მაგრამ სიკვდილისა არ ეშინოდა. თვითონ სიკვდილი არად მიაჩნდა. უფრო ეზარებოდა, ვიდრე ეშინოდა. ეზარებოდა, როგორც ნათბილარს ლოგინის მერე გარეთ გასვლა ბნელ ქარიშხლიან ღამეში.

— გამოთეთრებით რომ გითხრა, რა მოსაგონი იყო სიკვდილი?! — იტყოდა წყენით ნინია, როცა გულმძიმობას იგრძნობდა.

ბოლოს, აღმეებიდან შემონაქროლმა სიკვდილმა ნინიას სალამი მისცა, ჯერ გვერდით მოუჯდა, ცივად შეაყრჟოლა, მერე ჩონჩხარა მკლავები შემოჰხვია და აღარ უშვებდა.

— მოიცა, მოიცა, სიკვდილო, შენი წვერ-ულვაშის გამოსვლასა!

ჯერ სიცილით ეხუმრებოდა ნინია სიკვდილს, ერთხელ-ორჯერ კიდევაც მაგრა შეუქახუნა გულმოსულმა — რა დროს ეგ არი, მომშორდიო! განგებ ღვინოც გადაჰკრა ლოგინში, — სავსე ჯამი, რომ მტერს ავად არ ვეგონო, ხოლო სიკვდილს სათავისოო!

კარის მეზობლებმა, მეხრეებმა, მისი გუთნისდედობით გაწვრთნილებმა, ინახულეს, გულის გადასაყოლებელი ამბებიც უამბეს, მაგრამ ჯანი უსუსტდებოდა, სული კი არა ტყდებოდა.

— ალალ-მართალი, გულგაწმენდილი მივდივარ წუთი-

სოფლიდან, არავის არას ვემართლებოდი, არავისი საყვედური არ მიმდევს... პურის მომყვანი ვიყავი ამ ქვეყნად, აი, ეს გაფხრეწილი პერანგი მიმყვება მხოლოდ! ბევრი მინდორი გადამიშავებია. და ახლა... სად უნდა წავიდე, სად გავნიავდე?—წამოიწია და მუდარით ითხოვა:

— მინდორს გადამახედეთ!

ორივე შვილი მხარში შეუდგა და მოწიწებით აივანზე გაიყვანეს.

ქვემოთ, ვენახებში გადაფანტული სოფელი მოჩანდა, შორს, ლურჯ-ლილისფრად დაბურული მთები, ზედ შავად შელანძული ციხის ნაშალი, კლდიდან ქვაკიბე რომ ჩამოჰყვებოდა და ძირს გაშლილი სავსე მინდორი, ქსნისა და არაგვს შუა გადაჭიმული... აფერებულ ყანებზე დაუდგრომელი ნიავი შლიდა, აფენდა და აქანებდა მზეკაბას. თავთავი ჩუმად შრიალებდა.

აგერ წილკანი... ჯვართმუხა... იდგა ღვთაებრივი სიჩუმე... ბუნება შეერთხმებულიყო... მზე ჩადიოდა... ბროლის ნიავი შეეთამაშა მომაკვდავ გუთნისდედას, შუბლზე მიელამუნა, შეეგრილა, თითქოს მის სპეტაკ თმის კულულს მოეხვია და აკოცაო!

ნინიამ ზეგარდიდან დაჰხედა სავსე მინდორს, ხარბად თვალი შემოატარა. გულცქერით შეისაყვარლა ამრეშებული ყანები, ამოხეთქილი ბურღალი ბალახი...

ტკბილმა მოგონებამ გული-გულში გაუარა და გაეღიმა...

ოცი წლისამ აიღო გუთანი ხელში, მაშ, სამოცი წელი სჭერია! უხნავს, ხალხი დაუპურებია...

— ახლა, ნაცარმტვერი უნდა გავხდე?!

სადღაც, თითქოს შემოესმა სევდიანი ოროველას ზუზუნი და თვალზე ცრემლი მოეგუბა. მზე ბუდისაკენ მიდიოდა... შეიმცნაურა... მიხვდა ყოველივეს...

შვილებმა მხრებში უეცარი სიმძიმე იგრძნეს. მამას შეჰ-ხედეს. ბუნებაში გადამღნარიყო უკვე ნინია, სული დაელია...

მზე ჩავიდა დიდებულებით, მიებარა ღამის მღვიმეს. ამჭვირვალდა მშობლიური კამკამა ცა, ლურჯად მინაქრული, ღამის იით აყვავებული...

გამოჩნდა რკალი ახალი მთვარისა... ვერცხლის ლუმბა...

ჩიჩიკი და ჩიკოფალა

განა არ იყვნენ ჩვენს დაბაში განთქმული ადამიანები? გინდაც, შაბაშელა — სოფლის დიაკვანი, პატრონი ულამაზესი. ახალგაზრდა ცოლის ზიზილასი. როცა ზიზილა სადღესასწაულოდ ქართულ კაბაში მოირთვებოდა, დიაკვანი ორივე ხელს გაშლიდა ცოლის სილამაზით გაკვირვებული და აღტაცებით შეჰღაღადებდა: „დაფარნა ცანი მშვენიერებამან შენმან და ქებითა შენითა აღავსო ქვეყანა! შე კურთხეულის შვილო, რამ გაგაჩინა ეგრე ლამაზი?“

კიდევ? მოხუცი სამხედრო, გადაყრუებული, გადაშტერებული, „გიტარა-მაიორი“. ოდესღაც სიმღერა ჰყვარებოდა, ახლა კი, ხეზედ ამოსულ სოკოს აბედივით გამომშრალს ყურში ჩაძახილიც ძლივს ესმოდა.

— ბევრი მათრია, მაგრამ მეც ძაღლის კუდივით ვითრიე წუთისოფელიო! — ნუღნუღით კვეხულობდა და ხველებ-ხველებით ხითხითებდა.

შემდეგ: ჭამპურა ჭამაპურიძე, რომელმაც ჭამა იცოდა სანაძლეოზე და უყვარდა ყანწიანობა.

ჭამპურას საათობით შეეძლო ემსჯელა, თუ რა სჯობია— ორაგული, მურა კალმახი, თუ მურწა ვაზის ფოთოლზე? რა უგემრიელესია? — ზუთხი, თართი, თუ ლოქო ძმრიან ქინძში? ქათმის ჩიხირთმა თუ ბატკნის ბოზართმა. ხონჩით პური და მარილი, ხახალზე მწვანილეული, კიტრი, ყველი, ცხვრისთავი, ლურჯი კაპუეტები, მწვადი... ახ!.. მოყუდებული ჩარექა!..

— მაშ, ამ წითელ ღვინოში მზის მადლი არ ინახება? მაშ, რათ არის ნაკურთხი ზედაშე?!

სულ მუდამ ღვინის კაპი სწყუროდა. შეეუნჯრუკდებოდა, მერე დუქნიდან ფრატა-ფრუტით მოდიოდა.

— გემრიელი კერძი და ძლიერი ღვინო. მადით სჭამე, გულით დალიე, მხიარულად იცინე! — ასეთი იყო ჭამპურა ჭამაპურიძის თუ ძვალიყლაპიაშვილის აღთქმა.

თევზეულობის დიდ თაყვანისმცემელს, სალაპარაკოდ უფრო სალიანის თევზეულობა ჰქონდა — კარგად გამოსული შამაია, ახალი ქვირითი და წითელი ხიზილალა! ეს იყო მისი ფიქრი და საგონებარი!

კიდევ ვინ იყვნენ? — თოთოშა, ხატს რომ შეწირულ ფულებს ჰპარავდა ნიშიდან!

მედუქნე „ჩარირანა“, — მის დუქანში ხშირად შეგხვდებოდა თამადა, ხელში ყანწით, — პეტრე ერქვა, რატომღაც პავლეს ეძახდნენ: მოლაყბის ყბა ჰქონდა.

„ჰერიგიდი“, რომელზედაც იტყოდნენ: ეშმაკმა რომ სიარული დაიწყო, ფეხის ადგმა მაგან ასწავლაო!

კონდრო — თვალვიწრო და წუწკი, ძუნწი. ღამ-ღამ, საათის „მიატნიკს“ ჩამოხსნიდა, არ გაცვდესო! განჯინა მუდამ დაკეტილი ჰქონდა, თუმცა, შიგ ერთი თეფში იდო, ისიც შუაზე გადამტვრეული და ბავთულით შეკრული.

პროვიზორი ანთა, რომელმაც მეხუთე დღეს ამოაგდო თავისი ფეხსაცმლიდან შიგ ჩამძვრალი, მოგუდული თაგვი, მანამდე სულაც ვერ გაეგო და ეს ამბავი საკვეხურად ჰქონდა, როგორც რამ საგმირო! პროვიზორს დიდი ფეხები ჰქონდა და კალოშებს ვარშავიდან იწერდა, რადგან მისი ფეხის ზომის შოვნა ჩვენში არ შეიძლებოდა.

და კიდევ ვინ? როგორ თუ ვინ? — ჩემი ორი კარის მეზობელი — ჩირიკი და ჩიკოტელა!

ბცით კი, რა არის ჩირიკი? ხომ გაგიგონიათ, — ყველა მიწვება, მოწვება, ჩირიკი ხეზე გაწვება!

ჩირიკი და ჩიკოტელა სიღარიბის გამო სხვის მამაპაპურ კოშკში შეხიზნულიყვნენ. როცა ერთი ოჯახის ქოთანში ლობიო ჩუხჩუხებდა, მისი სანელი ქინძის სურნელი მეორეს მისდიოდა სუფრაზე. ჩიკოტელა ჩირიკის მაღლა ცხოვრობდა კოშკში, ჩირიკი — ქვემოში.

ჩირიკი ყველაზე მოხერხებულია. ჩვენი ჩირიკიც, მართლა, ბედაური კაცი იყო!

ჩირიკის ერთადერთ ვაჟს კიკრიკიკო ერქვა. გადმოვდგებოდით ბალღები სოფლის ბექობზე, დავჭიმავდით ყელის ძაფებს და დავიძახებდით: „კიკრიკიკოოოოო!“ მკვირცხლი ბიჭი იყო, ხელგამომავალი, მოხათრებული.

თავგზიანი ჩირიკი ძალზე მშრომელი იყო, უმეტესობის მუშაკი, სათხოვარზე უარს არ იტყოდა. ცისკრიდან ბინდამდის მუშაობდა და იძახოდა: ღმერთო, შენი ამაგი იყოსო.

ჩირიკზე იტყოდნენ: ისეთია, საღაც ნემსს შესდებს, სახნისს გამოიღებსო! ჩოხის კონკში გახვეული შრომობდა... ხელდაკორძილი, ჯაფის კაცი, მაინც უღარიბესი იყო. შემატებაგადიდებაზე სულაც არა ზრუნავდა, მდღევარ ლუკმისთვის იბრძოდა. თავდაბალი იყო, მაგრამ არავის დაეჩაგვრინებოდა: — უსამართლობას ნუ მიზამ, შენი ჭირიმე, შესაწევარს კი არა გთხოვო, სანამდე გავიხარებდეთ, სანამ ერთმანეთს ვხედავდეთო!

ერთი ბუდრუგანა ვენახი ჰქონდა, ორიოდე ვაზი ედგა. ერთთავად ვაზებში ტრიალებდა, ვაზებს მტლედ შემოდებული: ხან სარს უდგამდა, ხან ჰფურჩნიდა, ხან ჰყელავდა, ხან ვაზის ძირს ბალახს აცლიდა, ასუფთავებდა, აფხვიერებდა, შაბიამანს ასხამდა, გოგირდს აყრიდა, ხან რწყავდა, ხან ყარაულობდა. ვაზი კი არა, ვაზის კაპწალებიც კი უყვარდა,— ვაზის ძაფები... ვაზს ეხვეოდა, ჰკოცნიდა. თუ ვენახში ესტუმრებოდი, ხახალით მოგეგებებოდა—მებაღის ნობათით. ახალ-ახალი თარფეული, დილის ცვარმომცვრეული ხილი თვალს

იტაცებდა. ვაზებში ხილის ხეები ჰქონდა ჩარიგებული, როგორც ძველად იცოდნენ.

საღამოობით, ვენახიდან რომ შინისკენ გასწევდა, ჩვენი სახლის წინ, შარაზე უნდა ჩაევლო. მკლავზე, ვენახში გამოთიბული, გამომარგლილი რძიანა ღიჭა ბალახი ეწყო მუდამ.

ვენახიდან დაბრუნებული ჩირიკი ცოლს მხიარულად შესძახებდა:

— გაიხარე, ვაზმა რქა ცისაკენ ასწია! რა მსხვილ მტევანს უჩანს პირი! ყორნებივით ჩამოსხდებიან ვაზებზე შავი საფერავის მტევნები!

ჩირიკის საამაყო მისი ჩავაშლებული ცხენი იყო. სხვა საქონელი არა ჰყოლია.

ღარიბი იყო, მაგრამ მხიარული, ხუმარი, პირსიცილიანი, დიდად სალმიანი.

— ირემმა ირემს ბალახი მიუშვირაო, განა თუ გაკლიაო! შეიძლება, ღარიბები ვიყვნეთო ბალახზე, მაგრამ მდიდრები უნდა ვიყვნეთ სალამზე! ქართველი კაცის ყველაზე დიდი სიმდიდრე სალამიაო! — და შეხვედრისას დაგასწრებდა: სალამი, მამიშენის მზეს, სალამი! მადლი და მშვიდობა!

— რა ვუყოთ, რომ ძროხა არა მყავს? მეწველი ირმები სულ მე არ გავუშვი ტყეში? ერთი რო დავუძახო, მაშინვე ჩემს კარებზე მოქუჩდებიან! — იტყოდა ყბაშეთეთრებული ჩირიკი.

შებინდებისას, სასოფლო ნახირს დახვდებოდა შარაგზაზე, მითომ შინ თავისი ხარ-ძროხა უნდა წაესხა ისე, როგორც სხვა გლეხებს მიჰყავდათ საღამოობით. სოფლის ორღობეში ცარიელ ხელებს იქნევდა, ნახირზე თვალმიმავალი:

— აქეთ გამოდით, ჯვარელა, მირეშა, ბუღია, შავთვალავ! ფრთხილად გამოიარეთ, მარცვალა, ღვინია, ორბია, შინდავ, ლაღავ, ჩემო ნახირო, გამოდი! ეზოში ვაზი კი არ დამილეწო, ნამყენი არ გამიფუჭო, სიმინდი არ დამიზიანო!

— გამოდი, დი-დო, დემფილავ, ჭურჭელი არ დამიმტვრიო! — თან ჰაერში ხელებს ატრიალებდა, თითქოს აღარ იცოდა, რომელ ერთისთვის მოევლო.

— გამოდით, მოიწველენით, ტაგანა მზად არის! — და არც ეცინებოდა. თავისი სიტყვისა თვითონვე სჯეროდა.

ეზოში შესული დაიძახებდა: — დედაკაცო, საწველელი გამოიტანე, ძროხა მოწველე! — ცოლი თუ გუნებაზე იყო, გაიღიმებდა, თუ არა და, აკვნესებული იტყოდა: ნეტავი შენ, მაგისი გული გაქვს და ბავშვები არ გეცოდება, ასე აღრიან ჩაწვნენ უჭმელებიო! ჩირიკს ცოლი ძალიან უყვარდა, შვილებზე მზე ამოსდიოდა: — კიდევაც დავიცემ დანას, თუ ჩემ შვილებს მოჰშივათო! მაგრამ... პური მუდამ გაზაფხულზე უთავდებოდათ, ოდოქღერს სჭამდნენ ანუ ნედლ თავთავს, ხუხავდნენ ცეცხლზე და ისე გადიოდნენ იოლას.

— დედი, პური, პური! — ხშირად შესძახებდნენ ბალღები დედას.

— განა მე პური მქვიან, თქვე გასაწყვეტლებო?! — შერისხავდა დამშეული დედა.

თუ ჩირიკი სრული, სავსე კაცი იყო, შავი მომხო ულვაშებით, მუხლადი, ჩიკოტელა ქოსა იყო და თანაც გრძელი, ყინულის ანჩხარივით გამხმარი, გამხდარი, გაყინწული, ჯოყარივით ცრიატი, წეროს მიჰგავდა. წოპწოპა ქუდი ეხურა.

ჩიკოტელა უსალმო, ყომრალი, ცადაღრუბლული კაცი

იყო, გულაკაცი, მზვაობარი, თითქოს, ქვეყნის ტვირთი მისთვის აუკიდნიათო. ავდრიან დღეს უგავდა თავ-პირი. სევდიანი იყო ციხის ნაშალივით. მუდამ უკმაყოფილო, — ხან წვიმას უჩიოდა, ხან უწვიმრობას, ხან ცოლს, ხან ცოლის ნათესავებს და უფრორე მეზობლებს და ყველაზე მეტს კი ჩირიკს. უთმობელი იყო. ჩანაბასრი სიტყვა იცოდა, არ ესმოდა, რომ ავი სიტყვა — ზამთარია, ტკბილი სიტყვა — ზაფხული. ხელმოჭერილიც იყო: ფეტვი არ გაჰვარდება ხელიდანო. ერთი სიტყვით, ნათლიადაც არავინ წაიყვანა.

საკვირველია, მის ეზოში, ხეხილი ხეხილს ეხვეოდა, ტოტი ტოტს, ყვავილი—ყვავილს, ჩიკოტელას კი მეზობლები სძულდა, სძულდა უფრო კი ჩირიკი, — მოსისხლე მტრად მიაჩნდა; ამბობდნენ — შურითო, სხვისი ნაშრომი ჰშურდა, თვითონ კი უქნარა იყო, დღეობებისა და უქმედღეების მოტრფიალე. უსაქნარო, თავაყრილი კაცი იყო ჩიკოტელა. სოფელში სათვალსეიროთ გავლა უყვარდა, ზამთრობით კი, კიწაწი შეშა არა ჰქონდა.

დიდი ზარმაცი იყო და დიდი მორწმუნეც. არც ერთ საუფლო დღეს არ გამოსტოვებდა. უქმე დღეები კი მაშინ ბევრი იყო. ან რა გასამტყუნარი იყო მორწმუნე ჩიკოტელა, მაგალითად. მაისში? ოთხ მაისს, — „ჩიტის უქმე“ იყო. მერე „შვიდმაისობა“ — საგაზაფხულო გუთნების გატანა მინდორში და საღვთოები, იმავე დღეებში „ზღუდრობა“ იცოდა, პარასკევს, ცალკე დღეობა იყო „კოხიაობა“ სეტყვის ასაცილებლად. მერე საძმო სუფრა „არიფანა“ და ამნაირად, მაისი სულ დროსტარებაში გადიოდა.

ახლაც არ ვიცი, რით იყო გამოწვეული მაისში ხშირი

დღესასწაული და ნადიმობა. მაგრამ ბუნებაც ხელს უწყობდა. ჩვენს ეზოში ვერ გაივლიდი, ისე იყო მიმობნეული ვარდისა, ზამბახისა და იასამანის სურნელი. დაბადაგებული ცაცხვები, გადათაფლული აკაციები... ზედ ფშატის ყვავილის დამათრობელი სურნელი რო დაერთვოდა! მოდი ამ დროს და ქედი წახარე სამუშაოდ. განა მართალი არ იყო უმადლო ჩიკოტელა?

მხიარულ ჩირიკს კი არც ერთი დღე ნადიმისთვის აკ ეცალა, ქედწახრილი მუშაობდა. შრომაში დამტკბარი, კეთილი იყო.

ჩიკოტელას ერთადერთი მურიანი გოგო ჰყავდა თეთრუა. შეიძლება ისიც იყო ჩიკოტელას სიზარმაცის მიზეზი, რომ ოჯახში ბევრი შესანახი არა ჰყავდა.

ერთხელ სიზმრად ენახა, რომ თავისი სახლის კარაპანში მარილის ქვის ყორეები ელაგა, ერბო, ყველი, ხიზილალა გუდებით და გამოფხიზლებული თურმე ხელის ფათურით ეძებდა, სიზმრად ნანახ სარჩოს. თითქოსდა ვიღაცამ აალაგა, გაიტანა, მოჰპარა. დიდხანს თვალებზე ხელს იფარავდა, ვითომც სიზმარი განეგრძო.

წარსულზე ოცნებითაც სცხოვრობდა ჩიკოტელა.

სოფლის სალაყბოზე აზღაპრებდა წარსულს თავისი ოჯახისას, რომელიც, ოდესღაც ისე შეძლებული ყოფილა, რომ ყმებიც კი ჰყოლია. შეიძლება, ბევრმა არც იცოდეს, რომ ძველად, ჩვენში, ყმიანი გლეხებიც ყოფილან!

— გაგიგონიათ, რა შეძლებული ყოფილა ჩემი მამა-პაპა გლეხობის კვალობაზე? მკვიდროვანი ოჯახი, კლდეზე მტკიცე, ქონებით აღმომდინარე, ნაშრომი, ნაწაღმართევი. ძველადი მოსავალი, ხორაგი, საზრდო, პური, სათესლედ ცალკე გადარ-

ჩეული. ბეღელი, ჭურ-მარანი—სავსე! პაპისპაპა „ფეხდიდას“ სამოცი მარტო ნიკორა ზაქი დაუდიოდა, საკუთარი გუთნიდედა, საკუთარი მეზვრე და მწყემსი!

ეგრე კი ნუ მიყურებთ, ბიჭებო! ყოველივე სახლში გვქონია: ხამი ტილო, მერდინი, ფარდაგი და ჯეჯიმი ხომ სულ სახლში იქსოვებოდა. საპონსაც კი შინ ვხარშავდით. ზეთსაც შინ ვხდიდით. არ გინახავს, ჩვენს ეზოში გელაზები? აღზევანშიც დავდენილვართ მარილზე. სალიანშიც თევზეულობაზე. ეგრე კი ნუ მიყურებთ, ბიჭებო! ჩვენს დერეფანში მარილის ქვის ყორეები კოშკებად მდგარა, მარნის ბაქანზე ხიზილალისა, ყველ-ერბოს სავსე გუდები ელაგა!

— გინდ დიდედა თავთუხას ჰკითხეთ! ეგ რომ პატარძალი მოეყვანათ, პაპაჩემს მაგის მაყრებისათვის სულ ხიზილალა უჭმევია თავმობმული ჯამებით. ეგრე კი ნუ მიყურებთ, ბიჭებო, ჩვენი ცხოვრება სულ დუღდა და გადმოდიოდა... ჩვენ, ჩვენი წილი სიმდიდრე გამოვიარეთ, დავხარჯეთ, არ გაუფრთხილდით და მიტომ ახლა არა გვაქვს არაფერი! მერე რა უყოთ... ეგრე კი ნუ მიყურებთ... და!

მართალი იყო ჩიკოტელა თუ არა, არავინ იცოდა, დახავსებული ყრუ დედაბერი თავთუხა ასწლისაზე მეტისა იყო. დრო დააბერა ბებომ. მოწმედ ვერ გამოდგებოდა, სხვა კი არავინ ლაპარაკობდა ჩიკოტელას ოჯახის ძველ სიმდიდრეზე, სხვას რა ედარდებოდა, ჩიკოტელას მდიდარი წარსული? ნათქვამია: სხვას სხვისი მკვდარი მძინარე ეგონაო!

— სიზმართა შუაა! — ეღიმებოდათ მეზობლებს. თანაც სჯეროდათ ჩიკოტელას ნაუბარი. მაინც ჩიკოტელას მთავარი სასაუბრო საგანი — ჩირიკი იყო და მასთან დავა. ჩირიკი ჩემი მამულის მოჩემარიაო!

— გულზე ისეთი ცეცხლი მიკიდია, როგორც ჩიბუხს! გამამწარა ჩირიკის ვენახმა, საზღვრების გადმოწევამ მამულის სარჩელმა! ვერ დავჩუმდები, უნდა ვებრძოლო, ჭირი არ წავა უჭიროდ, თუ ჭირის დედა მთელია. ცეცხლს წყალი დროზე უნდა მიუღვარო!

სად ეცალა საწყალ ჩირიკს ჩხუბისათვის, ან რას ემართლებოდნენ? მაგრამ შური უძლეველია. ღვარძლსა და შურს დაეპყრო ჩიკოტელას გული.

უწინ, როგორც ამბობენ, ღვარძლი არა ყოფილა. ერთხელ, ერთ კაცს მეზობლის კალოზე გადაუვლია, შეუხედია გორად დამდგარ პურის ხვავისათვის, მოსწონებია, ერთი მუჭა ხორბალი კიდეც აუღია და გულში ღვარძლიანი ფიქრი გაუვლია, ხორბალი ისევ დაუყრია ხვავზე, მაგრამ ღვარძლად ქცეულა, მას აქეთ ღვარძლი გამრავლდა პურში და ადამიანის გულშიც!

ჩიკოტელას დავა ჩირიკთან ვენახის მიჯნა-საზღვარი იყო, ნაპირყურეს ედავებოდა: — ჩვენი მამულები ტოლი და ბარდიბარია, მაგრამ თვალდათვალ მტაცებს, სამეტოში წილს იდებს, შემაზავთა, დანის ყელზე მიმიყვანა! გველის ფხაში გავძვრები და არ შევარჩენო! — ყვიროდა მეხთამტეხი სიტყვებით.

ჩირიკი სულ უდანაშაულო იყო და, რასაც ჩიკოტელა აბრალებდა, სიზმრადაც არ მოლანდებია! ჩხუბის დროს ჩიკოტელა გამოიტანდა შინდის ჯოხზე დახვეულ, გაყვითლებულ გრაგნილსიგელს, ანუ, როგორც თვითონ ეძახდენ, „წიგნსა და დამტკიცებას“, ჰაერში ატრიალებდა და რისხვეული გაჰკიოდა: — აქა სწერია, ჩემი ნამდვილი მიჯნა და საზღვარი!

ნასყიდობის სიგელში მართლაც ეწერა მამულის საზღვრები: „ზეით, რუისპირზე ორი ვერხვია, — სამძღვარი ის არის, ქვეით — პატარა მუხაა. ქვემოთ კიდევ — დიდი ნიგვზები. იმას ქვეეით, სამი ტოტი თუთის ძირია. სამძღვრები ეს არის. ამის ჩამოსწორ, წყლის პირას, კიდევ ორი ვერხვია ტყუბათო“.

მოდი ახლა და იპოვე ორასი წლის მერე ის მაშინდელი ორი ვერხვი, ის პატარა მუხა, ის დიდი ნიგვზები, ის თუთის ძირები და ის ტყუპი ვერხვი! ეჰ, მათი მტვერთა მტვერიც კი აღარ იყო ამ ქვეყნად, სიგელი ხომ ერეკლე მეფის დროს იყო დაწერილი! სიგელის გულუბრყვილო დამწერლებმა თავისდაუნებურად, ეს ორი მეზობელი ორასი წლის შემდეგ წაჰკიდეს ერთმანეთს და თუმცა მათივე სიტყვებით, იგი სიგელი იყო „უმანკო, უმიზეზო“, „უცვლელი, უსარჩელი, უქცეველი, მოუშლელი, სამემკვიდრო, საბოლოვო“, მაგრამ სწორედ ეს ბრიყვი სიგელი გახდა მათი შფოთის დედა. ხომ ამ სიგელმა შესაზღვრა მათი ვენახები?..

სულ ამ ვენახის მიჯნისათვის ეჭინჭრებოდა ჩირიკს გულნამცეცა ჩიკოტელა. ბოროტ გზასაც არ ერიდებოდა. იმდენი ქნა, დიდი კაკლის ხე, რომლის ჩრდილი ჩიკოტელას ძამულში გადადიოდა, ჩხუბისა და ყარყაშისაგან გაბეზრებულ ჩირიკს მთლადაც მოაჭრევინა.

ერთხელ, მის ვენახში შემთხვევით გადასული დადედლებული ვარია ტაბიკით მოუკლა. ერთხელაც, მიჯნას აქეთ წამოწვდილი ჩირიკის ბუდეშურის ხუთი ვაზი წალდით გადაკაფა, როგორ თუ სხვისი ვაზის რტო შეეხო მის წილკერძს!

ბევრჯერ კიდეევაც გადასწყვიტა ჭირდებულმა ჩირიკმა ვენახის გაყიდვა ან სხვაგან გადასახლება, მაგრამ როცა ვენახის

მუშტარი მოუვიდოდა, თვალზე ცრემლი მოადგებოდა და საკუთარი ოფლით ნაპოხი მამული არ ეთმობოდა.

— რა ვქნა, რა გადამეშარა. რა მაქვს სხვისი დასაჩემი? ღმერთო, რა გასაჩენი იყო ეს ჩემი საქმის დამცარავი — ეს მეჩახმახე, ონავარი?

ჩირიკის ძირიანად ამოვარდნის ნატრული იყო ჩიკოტელა.

— ზმმ! — შეზმუვლებდა ზოგჯერ მტრის სიცოცხლით შეძრწუნებული.

— ზმმ! — თითქოს შიგნიდან იყო დაჭრილი, დაკემსილი; ბევრჯერ წინასწარ დაულევია ჩირიკის შესანდობარი ფიალა, მაშინ, მისი გული მჭედლის ქურაზე ცხელი ხდებოდა. მომუჭავდა ხელს მინაცრებული, გაძაგრული და წაიზმუვლებდა — უუუ! და მტრის დასაძლევად ნატრობდა თავის გავლილ ძალას. თუმცა სულაც არ ჰქონდა სამამაცო გუნება.

— შენ რას უზამ ჩირიკს? ვერ მოერევი! შესახედავად, დახედულობით სუსტი ხარ, ვერ შეედრები. მძლავრი მტერი გყავს, ტანით ძლიერი!

— აბა, დაჰხედე ამ პატარა წყალს! — და თან ხელს მიიშვერდა სოფლის ლიკლიკა ნაკადულზე, — რამდენი კაკალი მოუგლეჯია ადიდებულზე, რამდენი ცაცხვი; ალვის ხე? ხომ გახსოვს, მაშ, რაღად მეუბნევი?! ახ, თუ ერთი ავიწყვიტე?!

— არა, ნუ აუჩქარდები ჩირიკს, ნუ!

— მართებული სიტყვაა! — ჩაერეოდნენ სხვებიც.

— უუუ! უამებელო სიცოცხლევ! — ჩაიკვნესებდა გულში გულნაკლული ჩიკოტელა.

— ზოგ კაცს პირზე თავისი ბედის ნათელი აფენია, ჩემს

ბედს კი სძინავს შუა გზაზე, მტვერში უსირცხვილოდ გაშოტილს, უზრუნველს!

გადიოდა წლები, ამასობაში ჩირიკი კი არ კვდებოდა, პირიქით, გამრავლდა, კიდევაც ტყუპი გოგო ეყოლა.

— ძველი დავაგდოთ სათქმელად, არც არა საუბნარია! — ურჩევდნენ ჩიკოტელას.

— ვერ გამტეხავთ, ლაშქარნო!—შემაღლებული ხმით ეტყოდა გულზე შემჯდარი ჩიკოტელა შუაკაცებს, მთლად შეჯავშნული ჩირიკის სიძულვილით.

— ზმმ! მომეწყურა ჩირიკის სისხლი! — ისევ დაიზმუვლებდა თავისი კოშკიდან და კოშკზე აფრენილ მამალს თავდაყირა დაუშვებდა.

— რა მოგვიდა, რას გეჩხუბება, რა გაწყენინა? რაზე დაობთ? — შეეკითხებოდნენ. კეთილი ჩირიკი მხრებს აიჩეჩავდა, წყნარად იტყოდა:

ბულბულმა სთქვა გამიკვირდა,
შაშვი რასმე წამეკიდა,
უკადრისი სიტყვა მკადრა,
ვაი, ავად მამეკიდა!

ერთხელ პირშიც უთხრა დამთმო ჩირიკმა ჩიკოტელას: რას მეფურტკნები, მარგალიტის საყელო ხომ არ აგაჭერო? საპასუხოდ ჩიკოტელა ხელში ააფრიალებდა სიგელს, რომელიც თავისთავად იხვეოდა შინდის ჯოხზე — ამან იცის, აქა სწერია ჩემი სიმართლე!

— თქვენ არ იცით, — მიჰმართავდა მეზობლებს,—რა ხარბია, როგორ ადიდებს ღამ-ღამობით თავისი ვენახის სამზღვრებს. ეგ ჩემს მტრობას არ მოიშლის მეორედ მოსვლამდი!

ზოგი ბოროტი მეზობელი აქეზებდა:

— მტერი არ მოკშლის მტრობასაო!

— ხმალს ნუ შეაჭმევ ჟანგს, ცოდოაო!

— ამ სიგელმა იცის სწორე საზღვარი, მაგრამ ვინ იჯერებს?— კვნესიანი ხმით დასძენდა ჩიკოტელა— რას არ იტყოდა ნაეკლარი გული, აბორგებული სულის სიმწარე?

— უნდა გათავდეს! ამ შემოდგომაზე ვეღარ დაიჭიროს ჩირიკმა ხელთ მაჭრის ჯამი! — და სევდით სავსე თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა.

ჩირიკი?... აინუნშიც არ იყო! შეთვალულ ყურძენს შეჰხაროდა! — წრეულს, კიდევ უნდა ვუმატო ვენახს რქაწითელი, — ფიქრობდა და ხალხიც კვერს უკრავდა: უდაბნოს დაასხმევინებს სწორედო!

— ღმერთო და პირიმზევ, შენ გვწყალობდე! — ეს იყო ჩირიკის სალოცავი. სად ეცალა ჩხუბისა და ყარყაშისათვის, თუმცა ჩიკოტელა დაუღალავი მეშფოთე იყო.

— აგერ, მოილახვრება პირქვე დასამარხავი! — იტყოდა ჩირიკის დანახვაზე გაშავრკინებული ჩიკოტელა.

კეთილ ჩირიკს პირსიცილი მოსდიოდა. — რაზე იკლავს თავს ეგ უბედური! კაცი მიწამტვერიაო, დღე არა აქვს ბევრიაო!

ჩიკოტელა კი გაიძახოდა: ჰაიდა... მანახა მაგისი შენგრეული გულის ფიცარიაო, სისხლი შეესხას ქვისთვისო!

— სული დაგიმძიმდა განა, შე უბედურო, — შეუწყრებოდა ღვთისნიერი ცოლი თაშნეურა.

— მაშ, რათა ვარ ბედ-გაკვანძილი, სად არი ღვთის ნამატები, გამარჯვებულება? მითხარი, — ტირილის ხმით შესძა-

ხოდა ცოლს, საქმეზე თავდაუდებელი.—მაშ, რათა ვართ ღარიბები! განა ჩირიკის ბრალი არ არი ჩვენი სიღარიბე? დატრამალდა გული!

თაშნეურა, მუდამ თაფლოვანი სიტყვის პატრონი, ამართლებდა კეთილ ჩირიკს, მაგრამ შეშფოთებული ჩიკოტელა სეტყვის ქარივით ეცემოდა:

— მაშ, ჩემი მიჯნა აქეთ არ გადმოსწია? მაშ ის ხუთი ვაზი რა იყო, მიჯნის გაყოლება?

— რა გაგიხდა ეგ ხუთი ვაზი? განა ხუთი ვაზით აცხოვრებ ოჯახს? — უპასუხებდა სათნო ცოლი.

— რატომ არ მიჰყავს სიკვდილს ჩემი მტერი? ეგ უნდა წავიდეს ჩემზე ადრე, საიქიოში ჩირიკმა უნდა შემიღოს შავეთის კარები! — არა ცხრებოდა ჩიკოტელა.

— კარგი, გეყოფა, ხორშაკეულო, ცულაფთარო!—ეტყოდა თაშნეურა. მატყლის მჩეჩელი საწყალი ქალი გავიდოდა და ეზოს ვარდთან ჩამოჯდებოდა, იქ უყვარდა ყოფნა, პირჯვარს დაიწერდა — წმიდა გიორგი, შენ გვიშველე!

ჩიკოტელა გახშირებით ოხრავდა... მერე მეზობლისას გადავიდოდა, შესჩივლებდა, ჭირის თქმა ხომ დამწვარ გულს ანელებს!

— ჭირს ნუ დაუწვები, უფრო დაგაწვება! სთქვი გულის საწნეხი! — აღიზიანებდა თვალთმაქცი მეზობელი. ჩიკოტელა ასჯერ მეტისას ამბობდა, ის კი არ იცოდა, კოჭობი რომ ადუღდება, გადმოვა და კოჭობივე დაიფუფქება!

საკუთნოს მუდმივ დავაში მიდიოდა ჩიკოტელას ბალღამიანი დღეები! იყო შემთხვევა, როცა ბეწვზე ეკიდა ჩირიკისა და ჩიკოტელას სიცოცხლე!

ივრის ლერწმოვან-ჩალიანებში, მდინარის ტოტზე გადაწოლილი, გადაბარჯღული გრძელი, გამხმარი ვერხვი იდო, ის იყო ჩვენი ხიდი! აი, სწორედ ამ ხიდურზე შეხვდა ერთ დილას ეს ორი უმძრახი, ნაწყენი მეზობელი. ვინ იცის, რა უბედურება უნდა დატრიალებულიყო იმ ხმელ ვერხვზე, მაგრამ ამპარტავანმა ჩიკოტელამ გზაუქცევ-თავდაუხრელად სცადა გავლა და შიგ წყალში კი გაადინა ტყაპანი!

ჩირიკმა ღიმილით გაიარა თავისუფალი ხიდი და შეერია ვენახს.

მეორე დღეს, შეშფოთებული ჩიკოტელა ძიობდა სოფელში:

— ვინ გაიგო, ვინა სთქვა, ვის გაეხარდა-ო?!.

ერთ ზამთარ, თოვლში რომ მოემწყვდა სოფელი, უსაქმურობით შეყელთებულმა მეზობლებმა ითავეს და შერიგების შუაკაცებად ორი დარბაისელი მიუგზავნეს, — ივანე გოჭიყლაპა და ბეცია ბატიყვლეფა.

— გეყოთ დავა, შფოთი ჩაარონინეთო! — მაგრამ არაფერი გამოვიდა. უთმობელი ჩიკოტელა ისე გაიბერა, თითქოს ქვეყანას დასჭირდა მისი თავიო!

მშვიდი, გულქართული, თვალებიდან გამომცინარი ჩირიკი აწყნარებდა მეზობლებს, დაანებეთ თავი, მაგ სიტყვა-პრტყელს! გულძვირობას არ მოიშლისო!

და ერთ დღეს მოხდა სასწაული! გამოვიდა მთხრობელი მათი შერიგებისა, თუმცა კი არავის სჯეროდა.

საქმე ასე ყოფილიყო:

იორგაღმა, აზამბურის მინდორში. ყანის მკის დროს, ჩიკოტელა გაცივებულიყო. იორი გამოეტოპა, როგორც იყო, სოფლისკენ დაემართა გზა, მაგრამ მუხლმოჭრილი, სიცხისაგან

მოკვეთილი, გზისპირად, მთვრალი კაცივით მიგდებულიყო. იქნებ, სამადლოდ, ვინმემ შინ წამიყვანოსო! მგზავრი არ გამოჩენილიყო, არც ურმებს გამოევლოთ! ეგდო საბრალო ჩიკოტელა კაჭკაჭ-ყორანთა საწიწკნად, მგელთა საგლეჯად! გმინავდა და ღმერთს ეხვეწებოდა ძე-ხორციელის გამოჩენას. მზე კიდეც ჩადიოდა... სოფელი არც ისე ახლოს იყო... უნუგეშინისცემო ჩიკოტელა სიცხისაგან გათანგული გმინავდა...

სწორედ ამ დროს, როცა მზემ უკანასკნელი სხივები ჩაწურა ჩასავლეთში, გამოჩნდა ივრიდან მომავალი, იცით, ვინ? თითონ მიხვდებით! ჩიკოტელა შეკრთა, შეიკუმშა, ფარაჯაში შეძვრა, როგორც კუ სქელ ბაკანში, ნეტამც არ დამინახოსო!

ჩირიკი მიუახლოვდა მწოლიარეს, ისიც შეკრთა, და... თითქოს ვერ დაინახა და ისევ გზა განაგრძო... სიცხიან ჩიკოტელას ერთი პირობა კიდეც გაეხარდა... მაგრამ ჩირიკი უკანასკნელი სასოებაღა იყო მისი და თუ ჩირიკი არა, შეიძლება, მართლაც სამგლეგ გამხდარიყო. მცირე ყოყმანის მერე, ჩირიკმა ცხენი მოაბრუნა, ჩამოხდა, ჩიკოტელას მიუახლოვდა:

— ეგ რა მოგსვლია, ბეჩავო? — გაუბედავად შეეკითხა.

— არაფერი! — მორცხვად ამოთქვა ჩიკოტელამ.

არც აცია, არც აცხელა ჩირიკმა და პირშეწბილებული, ღვარძლიანი მტერი ცხენის გავაზე შემოისვა და სოფელში წამოიყვანა. მოჰყავდა და თან არიგებდა: სიცხიანი ხარ, წელზე ხელი მაგრად ჩამჭიდე, ცხენიდან არ გადმოვარდეო!

ჩიკოტელა გაბუყული იჯდა და მოხათრებით ხელს უჭერდა წელზე ნამტერალს. სოფელში ერთი ღრიანცელი ატყდა. არავის სჯეროდა, თუმცა საკუთარი თვალით ენახათ. ისიც ეგონათ, ალბათ, ჩირიკმა აჯობა ჩხუბში, შეკრა და ახლა მამა-

სახლისთან წარმოადგინაო! — ხმამაღლა გაიძახოდნენ: ჩირიკმა ტყვე მოიყვანაო! ბევრიც იცინეს!

ერთი თვე ეს ამბავი ჰქონდა სოფელს თავშესაქცევრად.

დაყარა ფარხმალი ჩიკოტელამ. დაჩუმდა, რაღას იზამდა? გაკვირვებული იყო ჩირიკის საქციელით.

ამას მალე სხვა უარესი ამბავი ზედ დაერთო: ჩიკოტელას ერთი მურიანი გოგო ჰყავდა-მეთქი, გახსოვთ? მაგრამ ვიდრე მოთხრობის ბოლომდე გავიდოდი, ამასობაში, ის მურიანი გოგო უკვე წამოჩიტდა, წამოიზარდა, ძუძუ დაეტყო, გაიბადრა. — მართლაც ქოჩორა მტრედი, ჩამარგალიტებული გოგო დადგა თეთრუა!. ლურჯთვალა, შავწამწამშაბურული, დანუკრებული...

და რას არ იტყვის, ჩხიკვის ენა! — ერთხელ, შუადღისას, ვენახი რომ შეზვერა, ჩიკოტელას ვაზის ბურვილში შემოესმა ნაზი სიტყვები: „შენი ქოჩრის მონაგლეჯი დამწვარ გულზე დამაყარე“!-ო.

— ამიყვანე, წამიყვანე! — ისევ ისმოდა ნაზი ხმა.

ნასმენალის მერე ჩიკოტელამ ფრთხილად გადასწია ვაზის ფოთლები და რა სახილავი ნახა! ზედ მიჯნაზე მისი თეთრუა ისე ჩაჰკვროდა ჩირიკის ვაჟს კიკრიკიკოს, რომ ხმალიც ვერ გააცილებდა ერთმანეთს!

ჯერ კი შეიუცხოვა — აი, შე სვეტიცხოველის დამქცევო! ესღა შეჰყვირა გაოცებულმა ჩიკოტელამ; ბიჭი და გოგო ქვეით გარბოდნენ ჭიგოების ლაწალუწით. რამდენი ვაზი წაიქცა! ჩიკოტელა გაშეშებული იდგა, სიტყვა ვეღარ ამოეგო. ახლა მიხვდა, რად ელამუნებოდა თეთრუა მეზობლის ბიჭს. მიხვდა მისახვდომარს: ვაი, თავდებო, ახლა ქალიც მტრისკენ

მიდიოდა, მიცურავდა ვენახიც! შიჯხა მთლად უქმდებოდა! ჩიკოტელას ხომ ერთადერთი ქალის მეტი არ ჰყავდა?!. ერ-ჩივნა ქვესკნელის ფსკერში ჩამძვრალიყო, მაგრამ რა ექნა? თაშნეურას ძალზე გაეხარდა თეთრუას ამბავი. კიკრიკიკო ხომ ყველას უყვარდა.

ერთი კვირის მერე, ჩირიკმა დატალახებულ ქვევრს მო-ხადა... ახლა, ჩირიკი და ჩიკოტელა ერთად უნდა მსხდარიყ-ვნენ საქორწილო სუფრაზე. ერთმანეთისთვისაც უნდა ეკოც-ნათ ღვინის ჯამებით ხელში, ძმად შეყრილიყვნენ, ასეც მოხდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, მე დავინახე, ორივე პაპას ხელი ჩაეჭიდნათ შვილიშვილისათვის და ფეხის ადგმას ასწავლიდნენ აყვავებულ ნუშის ქვეშ.

ასე აჯობა მტრობას სიყვარულმა! უმსგავსი საქმე ყოვე-ლი, მოკლეა, მით ოხერია!

ამ პატარა, გვრიტულა ბიჭუნამ, რომელიც ახლა ორივე პაპას ტაატით დაჰყავდათ, თავისი ფუნჩულა თათებით საბო-ლოოდ სამარე გაუთხარა ორი ადამიანის მტრობას.

გავიდნენ დრონი. ბევრჯერ წითლად გადაუარა მზემ ჩვენს სოფელს. ბევრი ვარსკვლავი დაცვივდა... ბუნებამ დალია ჩი-რიკისა და ჩიკოტელას ჯანიც....

ძალზე დაუსუსურდა შრომით დაძალული ჩირიკი. ოჯახს კიკრიკიკო გაუძღვა, მაგრამ მოხუცი თავის საყვარელ ვენახს თავს არ ანებებდა. თუმცა ვენახი მას აღარ ეკუთვნოდა, სოფ-ლის საერთო მამულად იქცა. მაგრამ ჩირიკმა ვერ გაიგო, რამდენიც არ აუხსნეს, ვერ მიხვდა. მის გონებაში კერძო სა-კუთრების გრძნობა ვერაფერმა ვერ შესცვალა. ახლა, პირი-ქით, მთლად ვენახში დაიდო ბინა... აღარ გამოდიოდა. ვერა

და ვერ მოაშლევინეს ვერც შვილმა, ვერც შვილიშვილმა, ვერც სოფელმა... ისევ თავს დასტრიალებდა ვაზებს თავისი მიქანცული მარჯვენით.

— ეგეც ერთი ჟინი ყოფილაო. დაე ეგ ჟინი მოიკლასო!..

და ერთ აღდგომა დღეს, ჩირიკის სახლიდან გლოვის ხმა გამოისმა, — ჩირიკი აღარ არიო!

თურმე არც აღდგომა ღამეს მოშორებია ჩირიკი საყვარელ ვაზებს. ვაზის ძირში, საღვთო სანთლები დაენთო. სუფრა გაეშალა, ლიტანია შემოევლო ვენახისათვის, მერე მიმჯდარიყო ვაზის ძირში, გულზე ხელები დაეკრიბა და მიცვლილიყო...

შვილიშვილს აღდგომის წითელი კვერცხები ჩაეტანა ვენახში და ეგრე კი ენახა!

რა დაემართა ჩიკოტელას? წოპწოპა ქუდი პირზე მიეფარა და ტიროდა — ვაი ძმაზე ძმებულოო! თვითონაც სიკვდილი ეხედვებოდა... მეორე კვირას, ჩიკოტელა ჩირიკს გვერდით მიუწვინეს.

ერთი აკი მეზობელი, ვითომდა გულშემატკივარი, დანანებით ამბობდა: ბარემ ერთ დღეს დახოცილიყვნენ, ორი ქელეხის ხარჯით ოჯახი არ დამძიმდებოდაო!

მე ხომ კარის მეზობელი ვიყავ, შემატყობინეს ქალაქში, მთხოვეს დავსწრებოდი მათ დამარხვას, მაგრამ ვერ შევძელი, პატივი ვერ ვეცი, ხინჯად კი ჩამრჩა გულში, ბევრი დრო გამიტარებია მათთან პატარაობისას, ბევრჯერაც გარჯილან ჩვენი ოჯახისათვის!

ახლა, ამ მოთხრობაში, ასე მგონია, ვალი მოვიხადე მათი აჩრდილების წინაშე, ავწერე რა ჩირიკისა და ჩიკოტელას მტრობისა და სიყვარულის ამბავი, გასაღიმებელი და გულის გადასაყოლებელი...

სახელის მიღება

„... ქართველნი... სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჟურველმოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა“.

ვახუშტი

„სახელიანებ საფლავებს
გულდიდად გადმოვცქერიო“.

ხალხური

„მკვდარს ულოცავენ სახელსა
ჩვენ კი გვიწყენენ ჭირსაო“.

ხალხური

I

ჩემი სოფლის თავში თეთრი ციხე-კოშკი დგას, თავჩამორღვეული, ნანგრევი, ხავსდასხმული ლოდებით, სახელოვანი სიმაგრე, ძველად დიდად ნაბრძოლი ახლაც ატყვია, ალყაში ჩამდგარ, მოიერიშე მტერს ხმლები რომ ზედ ულესია ციხის ძირითა ლოდებზე.

ერთხელ, ბრძოლა რომ გათავებულა და მტერი გაქცეულა, ჩვენებს თურმე ნიჩბით მოუხვეტიათ ტყვია ციხის გარშემო, იმდენი უსროლია მტერს!

ჩემს ბალღობაში მსმენია, თურმე, დანიშნულ ღამით, ციხეკრის ამოსვლის უწინარეს, თმაჭაღარა მანდილოსანი გაფოთეებული ჩამორბის ციხიდან თავქვე, მთვარის კიბეზე, ვიღაცას შორიდან აუქნევს ხელს და ამრიზებული მკაცრად შესძახებს:

— არ გაბედო მოსვლა, სირცხვილიანო, არ მომეკარო!

ტანაბჯრიანი, დაჩოქილი შვილი თავში ხელს წაიშენს, შეჰღმუვლებს სიმწრით, ისევე უკან გამორბის ხმალამოღებული, უცბად შეჩერდება და დედას შორიდან შეუთქვამს:

— ან შევაკვდები, ან მოგივალ იმედიანი!

დედა ისევ კოშკში შევარდება, კარებს მიაჯიქურებს, მძიმე ურდულს აუგდებს და კოშკიდან ისევ გამოისმის გამწყრალი ხმა:

— არ დამენახო, გაბრუნდი, სახელის შემრცხვენო, ავსახელიანო!

... და უცბად, წყვდიადში აქეთ-იქიდან ატყდება უჩინართა ძახილი:

---- თითისტარი მიეცი!

— თავს ჩიქილა დახურე!

— თმა ჩამოიწნას ქალისა!

და სხვა წყევა, შეჩვენება...

თმაჭაღარა მანდილოსნის აჩრდილი მკერდში მჯიღს ჩაიკრავს:

— ვაი, რა ვქნა, რა უყო, წავალ და გავნიავდები!

და მართლაც, ღამის ნიავს დაეხსომება სიტყვები შუალამისა, მსუბუქი ფრთით წაიღებს, სოფლად ჩაიტანს, თვითეულ ქოხს გააგონებს, ზედ კერაზე დაჰყრის ამბავს და ცისკრის საზღვარზე ისევ გაისმის ჰაერში შემონახული მწველი სიტყვები და მუქარა. განრისხებული დედისა...

ღამე გაიცრიცება, მამალი შეჰყივლებს და ყოველივე მიყუჩდება...

იტყვიან, ეს თმაჭაღარა მანდილოსანი ლასურიძიანთ ხვარამზეა, ჩვენი სოფლელი, ერეკლე მეფის დროს უცხოვრია თურმე.

გმირების დედა ყოფილა. შვილები მტერს შეჰხოციან, ერთი ვაჟი გამოსვლია მხდალი და დღესაც იმასა სწუხსო! ვეტი არა გამიგია რა ხვარამზეზე. მაგრამ ჩემი ყრმობის დროიდან მახსოვს ლასურიძიანთ ოჯახიდან — დეიდა ჩახტაურა — მომჩინარი მანდილოსანი, მძლავრი და მკაცრი დედაკაცი, ყველასაგან პატივდებული, სოფლის ქალთათავი.

ჩვენ, ბალღებს ძალიან გვიყვარდა...

ახალგაზრდობაში, თურმე, ცხენოსნობას უქებდნენ. ახლა, ქვრივობაში, ოჯახის ბურჯი გამხდარიყო. მეურნეობა უყვარდა; მეზობლებს რჩევა-დარიგებით აფხიზლებდა, სოფლის ქალებს ყაითნის საქმეს, საკერავს ასწავლიდა.

ჯეჯიმები, ჩახსაკრავები, მუთაქის პირები, დიბაზე ნაკერი

ყაჯრები ხომ სულ მისი ხელიდან გამოდიოდა. თავის ქალს ფერანასაც ასწავლა.

ერთი სიტყვით, ხელწმინდა ქალი იყო.

სხვა საქმის გარდა, ჩახტაურა განთქმული შემლოცავიც იყო. ახლაც მახსოვს მისი შელოცვიდან, მგონი, ორსულ ქალზე: „ბანი იძრა, ტყე იძრა, ვენახი იძრა... ირმის მუცელში შველი იძრა, შვლის მუცელში ნუკრი იძრა“. და სხვა. ეს პოეტური შელოცვა ძალიან მომწონდა.

ამინდის გამოცნობასაც უქებდნენ ჩახტაურას. ესეც ხომ მისგან ჩავიწერე მოწაფეობის დროს:

„დილა წითდა, — ღამე წვიმდა,
ღამე წვიმდა, — დილა მზითა“.

...პირველი მსოფლიო ომის დროა. დეიდა ჩახტაურა ზის მარტოდმარტო შემპალ, ძველებურ აივანზე, კერას არ აციებს... ზის და წინდას ქსოვს... სამი ვაჟიდან ვითომდა შემორჩენილ ერთადერთი ვაჟიშვილ შალიასთვის, რომელიც სულ ამას წინათ ომში დაეღუპა, მაგრამ ჩახტაურა მაინც წინდას უქსოვს. ორჯერაც მოუტანეს შავი უწყება, მაგრამ ჩახტაურას არ სჯერა, ღრმად სწამს შვილის უკვდავება და ფოსტალიონს მკაცრი კილოთი ეტყვის:

— ენამც მოგტყდება, ენამცდარო! უკანვე წაიღე! ეს ქაღალდი იმასვე მიუტანე, ვინც გამოგატანა! შალია როდი მყავს მკვდარი! აღარ გაბედო ამის თქმა! — და ისევ განაგრძობს წინდის ქსოვას კიბის თავზე... წუთის შემდეგ, ჩახტაურა ისევ მრისხანე ხმას დააწევს შარაზე მიმავალ, განცვიფრებულ გუგუნას:

— აღარ გაბედო მაგნაირ 'მავი ქაღალდით აქ მოსვლა, თორემ ძაღლებს დაგაგლეჯინებ! სამახარობლოდ მოდი, სამახარობლოდ!..

II

გორგასალ გმირის დავაჟკაცებას ისე არ ელოდნენ, ალბათ, მისი დაჩაგრული, დადრეკილი დედა და ბაღათერასაგან გატაცებული დაი, როგორც ჩვენი მეზობლის შალიას დავაჟკაცებას გამოელოდნენ დედამისი ჩახტაურა და გასათხოვარი დაი ფერანა.

ეს, ის სანატრი დღე იქნებოდა, როცა ჭაბუკი აზნაური შალია ახალხმალშებმული თავისი ხელით შეკაზმავდა ხალებიან „ქარფეხა“ ცხენს და გააჭენებდა.

— რა დღეს შეკაზმავ, შენი ჭირიმე, მითხარი, გამაგებინე, რომ მოვესწრო და დაგინახო, თორემ დიდი დღე კი არ მიწერია!

— რა მაქვს აგრე საჩქარობელი? — ღიმილით ეტყოდა შალია.

— მაშ, არ გინდა, მალე ცხრა ცას დავეწიო სიხარულით? ჩითის მხიარული კაბა ჩავიცვა, იმ დღით ახალი ბაღდადი დაგიხურო, დაბასმული ლეჩაქი, ვარაყიანი?

შალია ამოწყვეტილი, ძველი აზნაურიშვილის ოჯახიდან იყო. მამა-მისს შერმადინს ლხინით მოეჭამა წუთისოფელი. შალიას ძმები და ბიძები ზოგი ომში ჩაეხოცათ, ზოგი ჩხუბში თუ მამულის დავაში და ახლა, შალიას მეტი, აღარავინ ბოგინობდა ლასურიძიანთ გვარში. საქალეთზეღა იყო მიმდგარი სახელოვანი გვარი!

ამიტომაც, ასე დიდის ამბით ელოდნენ შალიას მიერ ცხენის შეკაზმვას, ხმლის შებმას, ანუ დავაჟკაცებას. მგონი, სამარიდანაც მოუთმენლად შემოჰყურებდნენ დაჭრილ-დაკუწული წინაპრები და ბიძა-ძმები!

დედა თოქალთოს უქსოვდა, ფერანა ჩახსაკრავს, ძალუა გარიელა კი მათრახს უწნავდა.

თვალმცეცხლი იყო შალია, თავგული, სხარტი, ლაღი, გულზავი, გიჟმაჟი, გაშლილი გუნებისა, ამაყი, სამხედროსაკენ მიმდრეკი, ტოლ-ამხანაგთა შორის სახელის მაძიებელი. სახელისათვის დაუზოგავი იყო. არც ცეკვა-თამაშში, — კარგი ქართული იცოდა, — არც ჭიდაობაში სახელს არავის დაუთმობდა.

— სახელდებული ბიჭი მყავს! — თავმომწონეობდა დეიდა ჩახტაურა.

ახლაც, თვალწინ მიდგა — ზანგელა, დაგიშრულ ქოჩრიანი, ჯიღათვალება, დაგეშილ მიმინოსავით ტანსწრაფი, ხელუკრთომელი, ერთი სიტყვით, სანდომობით საყვარელი, ჩემზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იქნებოდა.

დედა, დაი საოცარი სიყვარულით შესცქეროდნენ შალიას.

— ვინ იქნება შენფერი, ცათა და დედამიწის შუა? — ელამუნებოდა ფიქრებში დედა ნებიერ შვილს, — მაგრამ კენტი ხარ, საბრალო!

მუდამ აძაგრული იყო ჭაბუკი, თუ ჭაბუკობას მიტანებული შალია: ონავარი, ფიცხელი, კისკასი, თავისწვერა; არ უყვარდა რბილობა. „ომის თამაშის“ მიზიდულობა ჰქონდა, დაუზოგავი იყო, ქოჩრაობდა, სულ ბრეს გვადენდა! აუცდომარი სროლა იცოდა ისრისა. ცხენი უყვარდა. უბელოს დააჭენებდა ქა-

ჯივით, მონადირეც იყო. სულ ფეხით ჰქონდა მოვლილი მგრგვლივ კლდე-ღრე, ფლატე, ღრანტეები, ტყეები ჩვენი სოფლისა. ხან ნადირობდა, ხან ისე დაეხეტებოდა, ხან სალამურის მასალას ეძებდა ტყისპირებში.

საოცარი მესალამურე იყო შალია, სალამურის გამომჭრელი, გამოსჭრიდა დუდგულას და დაგვირიგებდა.

ჩახტაურა ალმაცერად გადაჰხედავდა სასტვენელას, სალამურებს, თან კედლიდან მოწიწებით ჩამოჰხსნიდა მამაპაპეულ ხმალს, გადააწვდიდა შალიას და ეტყოდა: რა ბედენაა სულ სალამური? აი, მამაპაპეული ხმალი! ენდე ღმერთს. მალე უნდა შემოირტყა! შენს ძმებს არ ერგოთ ბედად მაგ ხმლის ტარება, ადრე დამიხოცეს, შენ წაემჯობინები! უგვარკილო კი არა ხარ! კიდევ ცოცხლობენ ლასურიძეები! კიდევ გვჭირდება სახელი! უსახელო გვარი რისი მაქნისია? — შალია მახვილი თვალით შინჯავდა ხმალს.

— იცი, რა ხმალია?—ეტყოდა დედა,—ყეენის ანაგლეჯია! შენს პაპის-პაპას ჯარდანს ყეენისთვის აუგლეჯნია ომში! მთელი ლაშქარი გაკვირვებულა! შიგ შუბლში უკოცნია ერეკლეს! თვითონ ერეკლეს ხმალი კი არ ერტყა, ომში თითონ შემოერტყმებოდა ხოლმე!

ღარიბი აზნაურები იყვნენ დღეს ლასურიძეები, მაგრამ მუდამ სანაქებო, ჯიშიანი ცხენი ება მათ ბაგაზე, — თუმცა არც ხარი ჰყავდათ, არც კამეჩი! თითონაც შალია ერთგულად უვლიდა თავის გამოკვერცხილ „ქარფეხას“.

ის დღეც მოახლოვდა. ცხენი გალობითა და სიმღერით უნდა შეეკაზმათ, მერე ხმალშებმულ შალიას უნდა გაეყვანა ცხენი, გაენავარდებინა დიდ მინდორზე. ეს იქნებოდა მისი დავაჟკა-

ცების დღეც... უბნის ლამაზი ქალებიც მოგროვდებოდნენ მზედრის საზეიმო დღის საცქერად. ჩახტაურაც სიხარულის სუფრას გაშლიდა... და თავის ვალსაც გაასწორებდა შვილთან.

III

მაგრამ, სწორედ ერთი კვირის წინ ცხენის შეკაზმამდე, როცა შალია სასალამურო დუდგულებით იღლიაში ამოჩრილი ტყიდან ბრუნდებოდა, ჩაფარმა „სალდათის ბილეთი" გადასცა. შალიას კიდეც გაუხარდა, თითქოს დიდ ზეიმზე იპატიჟებენო, ისე მიიღო. ჯარში წაიყვანეს. მამულის წვენის დალევა ვერც კი მოასწრო, ისე წავიდა... მამაპაპეული ხმალიც თან წაიღო... ცხენოსან ლაშქარში გაწერეს. ჯერ იმედიან წერილებს იწერებოდა, ზედ ნატვრას ურთავდა: ივრის ჩქრო მომესმისო, ნეტავ ერთი კიდევ მაჩვენა მთებით შემოღობილი ჩემი სოფელიო, ცხენს კარგად მოუარეთო! ხან წერილებში ჩიოდა,— სისხლის ავდარი მოდისო, დედამიწა მიშით ზანზარებსო! ბოლოს მოიწერა, — სიზმარში ხმალი გამიტყდაო, ჩემი მოლოდინი ნუღარ გექნებათო, ვეღარ მოგივალთო, მაგრამ სახელი ხომ დარჩებაო! ბოლოს წერილები სულ მისწყდა და კიდეც გავიგეთ, რომ ივრის გაზრდილი ვარშავის ახლო მიესრისათ სასტიკ ბრძოლაში.

მეჩონგურის ლექსი გადმოგვცემდა: შალია სიკვდილს ხმლით ეომაო, ცხრა დაკაფა ცხენდაცხენ, მეათემ კი ხიშტი ბეჭებში ჩასცაო, სისხლში გასვრილი ხმლის ნატეხი კიდევ ეჭირა შალიას ხელშიო! ერთიც არ დაუგმინიაო!

მეჩონგურის ლექსი მთავრდებოდა:

„სახელისათვის მომკვდარო,
ბევრ ცოცხალს სჯობხარ მკვდარიო!“

ჯერჯერობით, დედას უმალავდნენ შალიას სიკვდილს, თუმცა შემკვდარებულ ფერანას ტირილი ცაში ადიოდა — ვითომც, სიზმარი ვნახე ცუდიო და იმაზე ვტირიო! დედა ანუგეშებდა, ავსიზმარს რად უჯერებო! ჩვენთან რა უნდაო?!

ზამთარი დგებოდა, „ქარფეხა“ ცხენი გაყიდეს, შენახვა გაუჭირდათ და ვერც ცოდვით უყურეს, კვიცი დაიტოვეს. „ქარფეხა“ ღიპგადმოგდებულმა ვაჭარმა კოტოშამ იყიდა. ისე არ ჩამოივლიდა შალიას ცხენზე შემჯდარი გულქვა კოტოშა, რომ ფერანას არ შეეკივლნა, არ შეეტირნა ხმამაღლა და ვაჭარი არ დაეწყევლა:

— უღმერთოვ, რად გვიკლავ გულს, სხვა გზით ვეღარ გაივლი?

— კიდევ ჩამოიარა უწყალომ? — ყოველ დღე კითხულობდა ჩახტაურა.

„ვაჰ, სიშორეო გზისაო...
წასვლაო, აღარ მოსვლაო
ლაშქარს წასული ძმისაო“.

— ვინ იცის, ორბის კლანჭმა სად გადააგდო შალიას ძვალის კანტალი! რომელ ხის კენწეროზე დარჩა, — წაიდუდუნებდნენ მეზობლები.

ბოლოს, როგორც იყო, დაიბარეს, დააჯერეს ჩახტაურა შვილის შინმოუსვლელობაში.

ხმაც არ ამოუღია... ჩუმად ბრუნდებოდა შინ, გულის ძარღვებ-ჩაწყვეტილი, ფერგადატეტკილი.

— მზე გაშავდა! ჩვენი ბედი დაიწვა! მეხმა შესწყვიტა

ჩვენი კარი! ჩვენი სიმაგრე დაიქცა! გათავდა, დაიმხო ჩვენი გვარი, ჩვენი სახელი! ვაი, სახლო, უკაცურო! — მხოლოდ ამას დუდუნებდა კარიბჭესთან გარეტებული დამეწყრილი, ცნობამიხდილი ჩახტაურა...

— აჰა, ღმერთო, ეს გაბუნებული ლეჩაქიც მომხადე, მეტი რა შემარჩინე! წაიღე გაძჩენო, ესეც შენ! — მოწყლული გულით შეესძახებდა ხელებგაწვდილი მწუხარე დედა, ლეჩაქს იხევდა, დროდადრო კარიბჭეს ბოძს თავს ახლიდა.

— სად გამოვუდგე სიკვდილს, სად დავეწიო უწყალოს?! მარტო ხელისა ვარ! ვაჰ, ქარო, ქარისა მავალო!

მთელი დღეები მუნჯივით იჯდა: ამ ქვეყნისა აღარა ეყურებოდა რა... შალია სულში ჩაისვენა... მხოლოდ ეს უკვირდა, როგორ მოერია სიკვდილი მის შვილს, ანუ როგორ ვერ დაემალა შალია სიკვდილს.

— არა, ვერ იკადრებდა დამალვას! — მიუგებდა თავისთავს...

სიკვდილსაც კი არ ნატრულობდა ჩახტაურა....

ეხლოდ, ხანდახან, შუაღამისას, გაშავებულ ხატს შეეკვნესებოდა, — ღვთისმშობელო, სიმართლის მზეო! ეგ არი შენი სიმართლე?!

IV

დიდი ხანია აღარ მენახა შალიას მწიაღებელი ჩახტაურა, თვალს ვარიდებდი, ძალზე მეცოდებოდა... თანაც, მე ხომ ქალაქში ვსწავლობდი. მხოლოდ ერთხელ, საღდგომოდ არდადეგებზე რომ ჩავედი სოფელში, კიდევ მოვკარ თვალი ჩახ-

ტაურას „სახელის მილოცვის“ დღეს, მერე აღარ მინახავს, მომკვდარიყო დაბრმავებული, თვალებში დარდისაგან შავწყალჩამდგარი...

* * *

ძველად, ჩემ სოფელში, ერთი საოცარი დღე იყო, „სახელის მილოცვის“ დღე.

გაზაფხულზე, აღდგომა კვირას, სოფელი საფლავებზე გავიდოდა, — პურით, ღვინით, საკლავით, ხორაგით, ცრემლიანი ღაღადებითა და სამქებრო სიტყვით, სახელს ულოცავდნენ გარდასულთ, — ყველას კი არა — ვინც რამე სახელი დასტოვა! თან ცოცხალ გმირებსაც ადღეგრძელებდნენ...

მამულის დამცველი ბევრი გაუზრდია ჩვენს სოფელს ძველად თუ ახლად. ზოგს „თათარში“ უსახელებია თავი, ზოგს — იაპონიის ომში, ზოგს — პირველ მსოფლიო ომში, ზოგს, — ჩვენებურ მწყემსს, თრიალეთზე — ყაჩაღებთან... იყვნენ... აღარ არიან...

წასულან გმირები, გარდამავალი წვიმებივით, როგორც ქარიშხლებს უბობოქრიათ, უგრგვინვიათ, ბოლოს, დაყუდებულან მყუდრო საყუდარში. ხალხს ჰგონია, ისევ გამოვლენ სამარიდან, თოფსა და ხმალს კიდევ იხმარებენ, თუკი სამშობლომ შესთხოვა.... უკვდავება შეესაკუთრათ... მათ საფლავებზე. ზოგან ია მოსულა, ზოგან ავშანი, ბარამბო, ჭინჭრისდედა, ღიღილო, ზოგან აბზინდა, ზოგან სვინტრიევით ბალახი ამოხეთქილა... უამარი მწვანეა გაზაფხულზე, თითქოს მათმა სისხლმა აღმოაცენა სხივნარა ყვავილები; თითქოს საფლავში უხარიათ, რომ მათმა მკლავებმა ასეთი ლამაზი მიწა დაუტოვა შთამომავლობას, რომ უფლება მისცა ამ სილამაზის

ყურებისა! მართლაც, ჩვენ რომ ლაჩარი წინაპრები გვყოლოდა და სილაჩრით ჩვენი მამული დაეთმოთ, მტერს გაჰქცეოდნენ, ვინ იცის, ახლა სად ვისხდებოდით ქართველები?

აი, სოფლის ძველი სასაფლაო ველტყიანზე, ძეგლებად კლდე-ტინების ნახეთქები ძევს, განა ძეგლწერილები?.. თუმც, აქა-იქ, იშვიათად, მიწაში ჩასმული, გადაცვეთილი ბრტყელი ქვებიც მოსჩანს, გადაკორიკებული წარწერებით. ზოგან, ძეგლად ქვაში გამოკვეთილი, შეკაზმული ცხენი დგას, ზოგან — რქაჩაგრეხილი ვერძები, ზოგან — ქვაზე გამოსახული ხელადები, ყანწები, ჯამები, ჭიანურები, ჩანგურები, გუთნის ნაწილები!

ხავსი და მობბინე ბალახი ჰფარავს გმირთა საფლავებს...

ირგვლივ ფრთაგაშლილი გაზაფხული ფრიალებს....

— სახელი მომილოცნია, შვილო!..—ყუჩად დასტიროდა შაოსანი დედაბერი ჯაფარაული საფლავს და დედაკაცებიც ზედ ზუზუნს აყოლებდნენ:

— განა შინ მოკვდი, ომის კარს მოკვდი! ხელთ ხმალი გეჭირა!

ხალხი მოვიდა, ღვთისოს ჩოქით სახელი მიულოცა.

— ჰაი, შე უდროოდ გათაევებულო, შე გამარჯვებულო, მადლობელი ვარ შენი სახელისა! — ჩასძახოდა პაპა ედიშერი მწყემს გაგნიას, — სვეტი ნათლისა დაგადგეს!

— ერთი მოიმწყვდიეს ოცთა და ოცდაათთა, მაინც არ გატყდა, არ შეეპოვა! თამარ მეფის მიჯნაზე მოჰკლეს, მაინც შინ მოვიდა! — ღაღადებდნენ დედაკაცები. მწყემსი შორს, ჯიქიანის მთის საძოვრებზე მოეკლათ და ამხანაგებს ხურჯინებით ჩამოეტანათ აკუწული.

— სულ კვერცხი ვაგროვე, იმით ვიყიდე თოხლი და წირვა კი გადავუხადეთ, — დასძენდა დედა.

— სახელის ბოყვარული იყავ, იორამ. სახელს გილოცავთ! კიდევ დაზარდოს შენისთანები ჩვენმა მიწამა! — და ასწლის მოხუცებულმა სეხნიამ წითელი ღვინით სავსე ჯამი ასწია. ჩამორიგებით მიულოცეს სახელი გმირ იორამს.

მალე ყველა საფლავზე გაიშალა სუფრა და ისევ სიცოცხლემ აჯობა სიკვდილს!

სამშობლოსათვის სისხლდათხეულებს ცრემლითა და ღვინით იგონებდნენ. ვაჟკაცთა სულთქმა, საქები სიტყვა, დედაკაცების ცრემლიანი ზრინვა გაზაფხულის დილის ნიავს მიჰქონდა მწვანე ხასხასა-თავანკარა ჯეჯილებსა და კვირტგამოსულ ვენახებში, თითქოს ამ სევდის ბოლში იხსნებოდნენ ვაზისა თუ ხეხილის კვირტები. ცა იყო ნაზი და წმინდა, სიყვარულივით...

გაჰკრა ჩონგურმა და აალაპარაკა საფლავში მწოლარენი— ხმლითა და ხანჯლით აჩეხილები, მახვილით გადასერილ-გადმოსერილნი, „ტყვიით მთვრალები“, ამშრალნი წვეთნი მამულის სისხლისანი, ისმოდა ზარის დამცემი, გულის შემძვრელი, ცრემლში დასველებული, მაინც კაჟიანი, გავარვარებული სიტყვები.

აი სახელიან მათიას სახელი მიულოცეს სანგარზე მკვდარს, იერიშის დროს. მისი საფლავი უპატრონო იყო. გმირის საგვარეულო მთლიანად ამოწყვეტილიყო, მაგრამ უპირისუფლო გმირთა საფლავებს სოფლეურად ტიროდნენ. ყველასი იყო, მისი დატირება, სამარეზე მდუღარების გადმობნევა სოფლის უწმინდესი მოვალეობა იყო.

— დღესაც შენი დათესილი ბარაქით გამოვდივართ, ცხონდეს შენი სახელი! — ერთხმად ჩასძახა ხალხმა ცნობილ გუთნისდედა ნინიას საფლავში, — შავფხა და თავთუხი შენსავით ვის მოჰყავდა? წახველ და ბარაქაც თან წაიყოლე! მარჯვენას გილოცავთ, დაგელოცოს მარჯვენა!

სულხანა გმირი არ იყო, მაგრამ ჭირნახულის ამაგდარიც გმირად ითვლებოდა.

— რატომ სიმღერა აღარ არის ქვეყანაზე? — იმიტომ რომ შენ აღარა მღერი! — მიუტირეს სოფლის პირველ მომღერალ მარჯანას საფლავს. მარჯანა სიჭაბუკეშივე მომკვდარიყო, „სიმღერისაგან დაიწვაო“, მარწმუნებდნენ.

ერთი დახავსებული საფლავი მოჩანდა ბებერ რცხილის ქვეშ, მეომარი ლაგაზი უომრად მომკვდარიყო!

— ღამე ამოდის ლაგაზის აჩრდილი და ჩივისო, — ვაი, რა ძნელი ყოფილა ულაშქროდ სიკვდილიო! — იმასაც შეუნდო ხალხმა უხმლოდ სიკვდილი! შეუნდო იმიტომ, რომ ჩვენი სოფელი საზღვარზე იყო, მტერი ბევრი ესხმოდა თავს, მეომარი სოფელი იყო. ამიტომაც თავისით სიკვდილი თითქმის სიმხდალედ ითვლებოდა, ჩვენებური კაცების უმეტესობა ძველად ომსა და ბრძოლაში იყო ნაჩეხი! ცოცხლებშიც ბევრი შეგხვდებოდა თურმე კოჭლი, უფეხო, უხელო, ცალმკლავა, სახეჩამოსერილი, ჩამოღარული ხეიბარი.

... უეცარი კივილი გაისმა:

— სიკვდილს ნუ მისდევ, შეგვიბრალე, დაი აღარ გეცოდება? მაშ, ძმის იმედი აღარ უნდა მქონდეს?! — ბღაოდა გიშერწარბიანი ფერანა, შალიას და. ჩახტაურა ჩუმად იჯდა, ვეება, გაბარჯღული მუხის ქვეშ... — სად მოუსავლეთში, სად

მხვივანმა ქარმა წაიღო შალიას მტვერი, სად, რას იწვა შალია, დედა და დაი კი აქ დასტიროდნენ ჭაბუკ ლომს, ვითომც აქ ეძინა ამ წყნარი მუხის ქვეშ. „ნიშანი“ გაეშალათ — შალიას ქუდი, ჩოხა-ახალუხი და ხანჯალი. ქარფეხას კვიციც აქვე დაებათ, ვითომც საფლავზე აბიაო! უგუნური კვიცი ხტებოდა, ტორებს სცემდა მიწას, თითქოს შალიას ეძახდა და გიშერთვალებს შემკრთალი ავლებდა სამგლოვიარო სანახაობას.

— ადე, შვილო, თაფლით შედედებულო, ადე, თვალებში გაკოცო, სახელი მოგილოცო! — ჩაცქერით მიწას ელაპარაკებოდა ჩახტაურა. დედაკაცები მდუღარე ცრემლით სტიროდნენ, ისე, როგორც ქრისტეს გარდამოხსნაზე.

— ვაჰმე, სად დაჭკნა სივაჟის ყვავილი? რამ გაანედლოს დამწვარი საჯიშე კვირტი გვარისა, ჩემი უბის სითბოთი გამოზრდილი.

მწუხარების ანძალზე აცმული დედა უღრუბლოდ იმდუღრებოდა. ნაწლავი ეწოდა... ძუძუ სტკიოდა... მოწყლული გული ოდნავღა უცემდა...

ცრემლით დაებანა შალიას ახალუხი...

— ვაი ოქროსძარღვო, სახელდებულო! მიწაში ჩადებულო! — გმინავდა ჩახტაურა.

— ვაჰ, ბრალი ვეფხვის დედისა! გვერდით წამოიოხრა ბერმა სეხნიამ. ბედისწერით ანუგეშებდა ზოგი: განა უღვთოდ ხეს ფოთოლი ან შესხმია ან გასცვივნიაო? ადამიანის სიცოცხლეც ასეაო! არ დაგცალდა საწყალო, საქორწილო პურის ცხობაო, დანანებით ეუბნებოდნენ ჩახტაურას.

აქ მეჩონგურემ ცეცხლი ცეცხლს შეურთო, როდესაც დაამღერა:

შალიას სიკვდილისთვინა
მაღლა ღმერთს მოსწყდა წელია!
მთვარემ ჩაიცვა შავები,
ვარსკვლავთ არ ედო ფერია!

... და თითქოს უცბად გამოფხიზლდა ჩახტაურა; წამოდგა მინაცრებული, ძველი ლეჩაქი შემოიგლიჯა, ჭაღარა თმა გაიწეწა, ორივე ლოყა ჩამოიხოკა სისხლის ნაკადულებით და შეიფეთა:

— ნეტავ თქვენ, ქვანო და კლდენო, რომ მოსვენებითა ხართ და ჩემი ცეცხლით არ იწვებით! ნეტავი თქვენ!

ქვასაც კი ენანებოდა დეიდა ჩახტაურა... ცრემლით ამობზარულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ხალხს კი არ უყურებდა. შემოეჯარა ხალხი. შალიას სახელი მიულოცა. ღვინო დაულიეს, გარდაულიეს. უეცრივ ჩახტაურა დაშოშმინდა, გაყუჩდა... სახელს ულოცავდნენ მეზობლები — წინ ცხრანი გაიმძღვარაო! ამაყად წარმოსთქვამდნენ; განა გლოვობდნენ შალიას, დარჩენილ სახელს ეალერსებოდნენ და თითქო შორს მდებარე შალიას საფლავში კიდევაც ჩაეცქირათ, დაენახათ, უჭკნობ ყვავილებში გახვეულიო...

ჩახტაურა მადლს იხდიდა...

შუადღის მზე გადაიწვერა... ხალხი დაიშალა... გულისღვარეული ცრემლი დაწურა და იკმარა...

თავდაღმა დაეშვა სოფლისაკენ.

მკაცრი სახეები გამოსჩანდა... თითქოს თვითეულის გამომეტყველება ამბობდა: სალის კლდეებით არის დამაგრებული საქართველო! შემოგვხედეთ, ჩვენც გული ბასრი ქვისა გვაქვსო, მუდამ ხმლით ვიდექით, ვინ მოედავება ჩვენს მიწასო.

მალე ცის ნაკინკღლი დაგვეცა თავზე. ცაში წამით გრგვინვაც გაისმა. დედაკაცებმა თქვეს: როსტომი ზურაბსა სტირისო! ქარცივი აქროლდა. ცაში შემოწალიკდნენ წერონი, თითქოს გმირთა სულები დედამიწიდან ცაში მიემგზავრებოდნენ. ახლა დალასტული ცისარტყელა გამოჩნდა, — დედამიწამ გადიგლოვაო!

ხელში ცარიელი დოქითა და კალათით შინისაკენ ლასლასით ბრუნდებოდა ჩახტაურა. ფერანას კვიცი მოჰყავდა, ჩვენ, ბიჭების ჯგუფს რა მოგვიახლოვდა, ჩახტაურამ წყნარი, მწუხარება-ნარევი ღიმილით გადმოგვხედა და კმაყოფილებით წარმოსთქვა:

— რა სახელიანი შვილი მყავდა! დახე, სოფელმა სახელი მიულოცა! თქვენც კარგები დაიზარდენით, ტყემლის ბოყვებო!

ირგვლივ გაზაფხული გიჟმაჟობდა შალიასავით დაუდეგარი...

ჩვენ, ბალღები, ამ უცნაურ სანახაობის მოწმენი, შემკრთალები ვიყავით. ვგრძნობდით, რომ ამ დღის ცრემლითა და კაჟით ჩვენი გული იწრთობოდა... ძვალი გვიმაგრდებოდა...

დავფიქრდებოდით წამიერ: რისთვისაა საჭირო სახელი? რა არის საჭირო სახელის მოსაპოვებლად?

სახელი... სახელი... კლდე ჩამოიშლება, ქვამყარი დაირღევა, არ მოიშლება სახელი! — ასე გვასწავლიდა ეს დღე...

და სევდიანი ფიქრი გულს გვისერავდა — განა ჩვენც მოგვილოცავენ სახელს, დიდები რომ გავხდებით?

მაგრამ გაზაფხულის მწვანე ფრთის ქრიალი და მშობლიუ-

რი ცის ლაჟვარდულობა ნებას არ გვაძლევდნენ ფიქრებში ღაღრმავებისას.

და ისევ ფრიალოზე ჩამოკიდებული, ჩამოხავსებული ციხე და ზედ მომშვენებული მთვარე მაისის ღამეს, ძირს ხეობაში ვარდის ჭალა, აყვავებული რქამაღალი ვენახები... რაღაც ვნებიანი სურნელი გარშემო, ციცინათელას ფანცქალი, ცაცხვის დაცვენილი ფანტელი და პატარა მდინარის მორცხვი როკვა თუ რაკრაკი...

შალიას მერე ხვარამზეს აჩრდილი აღარ გამოდისო. ჩახტაურას ცრემლმა დააწყნარაო. — ასე ირწმუნებოდა ასი წლის დედაბერი ხვაშაქი, ციხის უბანში რომ ცხოვრობდა.

ღვინჯუა

თავი პირველი

ახალწლის მეორე დღეს შატროვანიდან სოფელ შვლისყურში გადმოსულმა თაყამ ჩემს მეზობელ ღვინჯუა ფოთოლაშვილს ნათლიობა სთხოვა:

— ტყუპი ვაჟი მეყოლა, მომინათლეო! — ღვინჯუამ არ იუარა, მირონზე უართქმა არ შეიძლება, მაინც, ზრდილობისათვის ურჩია, ნათლიად უფრო პატივსადები კაცი ამოერჩია.

— შენა ხარ ჩემთვის პატივსადები! ვარჩიე, ამოგარჩიე, მირონს ნუ დამიჭერო! — შესთხოვა თაყამ, თან ჩოხის მასრა ამოაცალა და ჯიბეში ჩაიდო ბედ.

— ხომ დაგიბევე? ნათლიღებას უნდა მესტუმრო შატროვანში და ჩემს ოჯახში მირონი შემოიტანო! ხომ იცი, საუფლო დღეა. არ გასცდები. ამ დღით ირემიც კი არ გაექექება ხეს!

— ეგრემც იყოს! — კვერი დაუკრა ღვინჯუამ, თექის ქუდი მოიხადა და თავი მოიქექა...

ორივენი შეძლებული ოჯახიშვილები იყვნენ, სოფლის თავკაცები, წინაკაცები, ქონებითაც ერთმანეთის მოთანასწორენი, ორივენი ბურისა და ღვინის მომყვანები; ორივეს უყვარდათ მტკაველზე აყრილი ჯეჯილი და ვაზგაჭედილი ვენახი...

ღვინჯუას ნათლიად მიწვევა უფრო მისი თამადობის ბრალი იყო, განთქმული იყო ღვინჯუას გლეხური მჭევრმეტყველება... სიტყვის ჭახრაკები იცოდა, ამოძრახულ სიტყვას კილოს უპოვნიდა, ხან ისე დააღრმავებდა სიტყვას, გაჭკვირდებოდი! ენადკარგი იყო, არ იცოდა ენით მოფინფვლა! მაამებელი არ იყო; სიტყვის მოზარბაზნეც არ გახლდათ! არ უყვარდა მაღალსამტვრევი სიტყვები და ფეხმოკლე აზრი!

— სიტყვა ვთქვათ, ხალხი დავაძარღვიანოთო!

არც ისე ბნელი გეგონოთ ღვინჯუა, ვაჟა-ფშაველას ლექსები იცოდა! ერთხელ, თიანეთში კიდეც შეჰყროდა ვაჟას და ღვინოც ერთად გადაეკრათ იქაურ დუქანში, რაც მუდამ საამაყოდ ჰქონდა.

მკვეთრად ჩამრჩა მეხსიერებაში ღვინჯუა. მაღალი, ღათვურად ნაკვეთი, მკერდჯაგრიანი, მსხვილად დაყრილი ულვაშები... ბარაქიანი ცხვირი... სუფთა, სათნო, ძალოვანი, გულოვანი. ღონით ძლიერი...

ყველას მისთვის უყვარდა ღვინჯუას თამადად მიწვევა, რომ სიტყვამზიანობასთან ერთად დაუთრობელიც იყო.

„საყველაწმიდოს“ უსათუოდ იტყოდა, ისე არ წამოდგებოდა სუფრიდან, სუფრის ლელოს ბოლომდე გაიტანდა. ეს იყო მისი მთავარი ღირსება, თორემ რამდენი თამადა მინახავს რომ ღრეობის შუაგულში სუფრას აჭშლის, მასპინძლის ამდენი სამზადისი და პურ-მარილი მთლად წყალში ჩაუყრია! დაუთრობელი თამადა ბევრსა ნიშნავდა! განსაკუთრებით „საყველაწმიდოში“ უნდა გამოჩენილიყო ღვინჯუას სასადილ-ვახშმო მჭევრმეტყველება, სიტყვის ალიანობა. აქ საბოლოოდ უნდა მოეხიბლა სტუმარ-მასპინძელი, უნდა დაემკვიდრებინა მოაზროვნისა და მჭევრმეტყველის სახელი!

ეს ბოლო სადღეგრძელო ძალზე უყვარდა ღვინჯუას და მით თავს იწონებდა. ამიტომ საგანგებოდ, იკლიკანტურად იტყოდა ხოლმე „საყველაწმიდოს“. იცოდა თაყამ, ვინ მოჰყავდა თამადად, იცოდა!

ყოველთვის ახალი სახელი მოჰქონდა სუფრიდან ღვინჯუას!

— ვინც ბუდექართველია, უამსადღეგრძელოდ არ უნდა ადგეს სუფრიდან! ჩვენი ქვეყნის პატივია! რა ნება გვაქვს მამა-პაპური ანდერძი გავტეხოთ? მარტო შვილებსა და შვილიშვილებს კი არა, ბოლოქართველებსაც უნდა გადავცეთო!

იმდენად ღვინო კი არა, ნადიმი და ლხინი უყვარდა ღვინჯუას. ზედმეტი სმა არ იცოდა.

— ღვინო, როგორც ვარდი, ისე უნდა იდგეს მინაში! წყლის დასხმა როგორ შეიძლება ღვინოზე! ჭიქა არ უნდა შეაჭანჭყარო, რომ ღვინო არ გაფუჭდესო! ყველავინმე გულ-

ჭუჭყიანი, აფშრუკული, ძმობის გამტეხი, პურუხვედრი, არ არის ღირსი ღვინის სმისა! ღმერთმა ღვინო სალხინოდ მოგვცა, სანადიმოდ, სამეგობროდ, განა ჩხუბისა თუ კაცის კვლისათვის? ღვინო ქართველი კაცის ხმალია!

თითონ ღვინჯუა თამადობას დიდად აფასებდა: კაცის სიმაღლე ეგ არიო! ამით მთელ საქართველოში მცნობენ, მიტომ სალამი არ ჩამომელევაო!

თავმოწონებით მეტყოდნენ: რამდენი სადღეგრძელოც გეთქვას, იმდენი იცოცხლეო!

აი, ერთი მისი სადღეგრძელო:

— ამ ყანწითა და ამ წმინდა ქართული გულით, მინდა გადღეგრძელო, იცოცხლე. იმდენი ხანი, ვიდრე კახეთის საწნახლებსა და ქვევრებში ღვინო იწურებოდეს; ვიდრე დედამიწა ისე გაცვდებოდეს, რომ ადამიანის ფეხის სიმძიმეს ვეღარ უძლებდეს; ვიდრე დედამიწაზე წყალი დაშრებოდეს და დედამიწა უწყლოდ იწვებოდეს! ერთსაც გეტყვი,—როგორც ცას ცისარტყელა ამშვენებს და რამდენიმე ფერით დედამიწას დაჰყურებს და ახარებს, ისე გემხიარულოს!

როგორც დედამიწას მზის სხივი არ მოეშალოს, ისე შენი სახელი არ მოგვიშალოს ღმერთმა!

როგორც მე ამ ყანწს ჩამოვცლი, ისე შენი მტერი დაიცალოს სისხლიდან! იყავ მზეგრძელი, იცოცხლეო!..—გადაჰკრა—ესე მტერი დაგეცალოსო!

ასე იტყოდა მოწაფებული ყანწის სარდალი, ღვინჯუა, — დიდკაცურად, დიდმაჯურად!

— კარგი თამადა სახლს პატივად შეემატება! — ფიქრობდა შატროვანისკენ გზად მიმავალი თაყა.

ღვინჯუას ახალი ნათლიმამა, თაყა, მხნე, გულძალი, ჩალის ფერულვაშა, ფიცხი ხასიათისა იყო, ამბობდნენ, მეტად ჯიქი ქალი მოიყვანა ცოლად, მაგრამ სახრით მოარბილაო!

თაყა ვენახიანი, ბარაქიანი მეკომლე იყო. ქვაცა ჰქონდა და ქადაც! სარჩოცა და საბადურიც! წრეულს ღვინის დიდი მოსავალი მოუვიდა, პირთამდე აივსო ისედაც სავსე კაცი. მისი ოჯახის ბარაქის ნიშნად მეზობლები იმასაც იტყოდნენ, თაყას მამას მეწველი ირემი ჰყავდა მოშინაურებულიო.

ოჯახიშვილი თაყა არ იყო თავკერძა. მეპურმარილეს — სტუმარი უყვარდა, მამის უტკბესად იღებდა სტუმარს! არაფერს ზოგავდა: აკი ცოლიც უჯავრდებოდა: — იკმარე, ნუ დაანელე ოჯახი შენი პურმარილითაო. სუფრაც უყვარდა თაყას, სუფრის ლაზათიც, ამიტომ თამადის არჩევას დიდ მნიშვნელობას აძლევდა. თამადა ხომ სუფრის ჯავარია!

— კარგმა თამადამ ხორციანი, ბედაური სიტყვა უნდა იცოდეს!..—ოცნებობდა მომავალ ღრეობაზე თაყა.—ენა თაფლით უნდა ჰქონდეს სველი, ოქრობაგეთი უნდა იყოს; ბორჯღლიან გულზე დამბოლავ სიტყვას უნდა ერიდებოდეს. რაგინდარა მიზეზით, სუფრა არ უნდა აშალოს, არ ჩაამწაროს პურტკბილობა. უნდა ასახელოს თემი და სოფელი!

— არ უნდა გამოსწიროს, — სამთელქვეყნო, საყველაწმიდო, სამწყვდეო, სატალახო, სუფრა ბოლომდე უნდა მიიყვანოს!

თუ თამადა კარგია, — მასპინძელიც გულდადებულია. ჩვენი ღვინჯუა მართლაც გამორჩეული თამადაა: ყელმოჭედილი,

ჭკუამომატებული, მართებული კაცი! სწორედ კარგი არჩევანი მომივიდა! — დასძინა ფიქრებში კმაყოფილმა თაყამ.

დადგა წყალკურთხევის დღეც. მზიანი დარი გამოვიდა, ნამდვილი საკაიდღეო, სამოყვრო ამინდი..

იცი რა არის სამოყვრო ამინდი?

არა?

პატარა თოვლი რო წამოვა ფინფლებად, მიწას რომ ოდნავ წაჰქირსლავს ნელა, ტკბილად, თბილად, უზრუნველად, მაშინ, თუ სოფლად ხარ და უკვე აკრეფილი გაქვს მიწის ზურგიდან მოსავალი და მარან-ბეღელში დაბინავებული, შინ რაღა უნდა გააკეთო, ისიც ასეთ ამინდში? და უცბად, შეგახსენდება, რომ ამდენი ხანია, რაც არ გინახავს მენიანი, ზაფხულ-შემოდგომის საშრომელმა არ მოგაცალეს. ახლა კი წყურვილით მოგწყურდება მოკეთის, მოყვრის ნახვა. წახვალ და მოინახულებ, გაუხარდება, გაგიხარდება! აი, რა არის სამოყვრო ამინდი, ალერსის დღე!

ღვინჯუა სასტუმროდ მოირთო: ჩაიცვა დაწინწკლული ახალუხი, თავისი „საწუთროს ნახევარი“ ჩოხა, გადაიცვა ცხვრის ტყაპუჭი, თავზე დოლბანდურად შემოიბორბლა ყაბალახი, ხელთ იფნის ობოლი სახრე აიღო, გაუდგა გზას და... მალე მიადგა კიდეც ნათლიმამის კარს შატროვანში.

აგერ, ეზოში. გამოკოდილი მუხა, წათოვლილი ლეღვნარი... წვრილფეხობა-მოზარდები გამორბოდნენ ნათლიის სანახავად! დათოკილმა ძაღლმა ჯერ იყეფა, მერე კი მიხვდა, მოკეთე მოსულაო და ჩაჩუმდა.

თაყას ოჯახი მორთულიყო... ბავშვებს ჭყეტელა ჩითჩუთები და ბამბაზიები ეცვათ. დიასახლისს თავზე შეურცხვენე-

ლი ლეჩაქი უფრიალებდა. აქა-იქ მოსჩანდა გახუნებული ლეჩაქებიც მეზობლიანთ ქალებისა:

აი, დამტკბარი ვარდი ხათუთა, აი, უსნისფერა ბუხრიას ქვრივი, თმადაშვებული ძმაზე, პირანთებული, ამოფუჩფუჩებული თავთუხა; თვალნათლიანი, კაშკაშა, ბაირაღის ფარჩასავით მხიარული თათია, ფურფუტაანთ ქალი ტაშდარიკო, შვიდმაისა, ნაზიკა—ნაძრახი ქალი, ფერცემული ნუშრ და სხვანი ივრის ასულნი, ზოგნი წვეულნი, ზოგნიც მომხმარე მეზობლები...

ზოგი სუფრას შლიდა, ზოგს ნათხოვარი ჭურჭელი, სკამი თუ სკამფეხა შემოჰქონდა ეზოში. ფუსფუსებდნენ, ნათლობის ღრეობა იმართებოდა, კახური პურობა, მაძღარი ჭმეულობა, სმეულობა, — ოჯახიშვილის, შეძლებული მეკომლის ოჯახში!

თაყაც გარეთ იყო, ხართუთას ქვეშ, შავს კუნძზე დაფუფქულ ღორს აფეშხავებდა სათონეში, ეზოში თონიდან ამოვარდნილი თბილი პურის სუნი ტრიალებდა. ორკეცი ალი ცას წვდებოდა... ცეცხლზე მდგარი დიდი შავი ქვაბი თავს იკლავდა, სხვა თანგირა ქვაბებიც შიშინით მღეროდნენ, თავს შავყვითელი ქაფი გადასდიოდათ: ზოგში ღორის ლურთები ისარშებოდა, ზოგში ძროხის ხორცი, ზოგში — მომსებული, ჩაკვერცხილი დედალი, კოჭობიც კი არ იდგა ცეცხლზე უსაქმოდ, შიგ დანიგვზული შეჭამანდი თლუხთლუხებდა... ორივე ძაღლი — ხვნეშია და ჯაგია ქვაბებთან შორიახლოს მიყრილიყვნენ, ხორცის სუნით დაბნედილები.

ნათლია ღვინჯოს გულტკბილად შეეგებნენ. ძველი წესით, ჯერ მარანში შეიყვანეს. გოდრებში ჩაყრილი ვაშლი და კომ-

ში საამურ სურნელებას გამოსცემდა. სხვენში ყურძნის ჩხები, აკიდღები, ხახვისა და ნივრის გალები ეკიდა. უზარმაზარი, ამოფუღრული ხის ნავი შავად გამოიყურებოდა, შიგ გოგრები და კართოფილი ეყარა. იქვე ქვევრის სარცხები ეყუდა. კუთხეში, ქვამარილის დიდრონ-დიდრონი ზოდები ელაგა...

წითელი ღვინო ამოეღოთ, ახლა „ვარდის ქვევრი" რომ ერქვა, იმას მოჰხადეს.

შიგ იდგა ქარვალალი.

— თაფლია თუ თაფლღვინო? რძეც არის და თაფლიც, ერთად შეზავებული! — მოუწონა ღვინჯომ, ჭაშნიკი რომ იგემა.

მეორე ნათლიაც მალე გამოჩნდა, მთასავით ვაჟკაცი, გაურანდავი, მგელხარი. დიდი ხანჯალი ერტყა, თავზე ჩამობანჯგლული ქუდი ეხურა, კერატივით დააბოტებდა. ღვინჯუა და მგელხარი ერთმანეთს გაეცვნენ, თათები გადააწოდეს:— დღეიდან მირონის ძმები ვართო!

— ეს წითლისა, ნამდვილი ზიარებაა! — აქო მგელხარმა.

სახელდახელოდ პატარა ლურჯი სუფრა გაიშალა მარნის ბაქანზე, ცხელი მწვადი ახლიჩეს, სასიყვარულო სადღეგრძელოები გადაპკრეს! ხომ ნათქვამია — დილის საუზმე ცოლის მზითევს სჯობიაო!

თაყაც, ღვინჯუაც, მგელხარიც დარწმუნებული იყვნენ, რომ პირველად ღმერთმა ნათლია გააჩინა:

„პირველ ღმერთმა გააჩინა;

ნათლია და მირონ-ზეთი!" — აკი ამბობს ხალხი! განა ღმერთმა არ იცის თავისი საქმე? მაშ, ქვეყანა რაზე უნდა მდგარიყო, თუ არა მირონზე? უმადლოდ დარჩენილი ხომ

დაიღუპებოდა? ამიტომაც ევლებოდნენ თავს ღვინჯუასა და მგელხარს, რომელთაც ოჯახში მირონი შემოჰქონდათ!

— მცხეთის სამირონეს გეფიცები, მაშ, სვეტიცხოვლის დამქცევი ვიყო, თუ გიღალატო! — ეფიცებოდა ღვინჯუა ახალ ნათლიმამას.

— ქართველების ღმერთს გეფიცები და კერის ანგელოზს, შენი გულის ძმა ვარ! — შეჰფიცა მგელხარმა თაყას.

— დღეიდან თქვენი შესამატი და სამჯობინარი გამიხარდება, თქვენი მირონი ჩემს სახლს პატივად შეემატებაო! — თავის მხრივ დასძინა მასპინძელმა თაყამ.

სასწრაფოდ ჩამოილოცნენ და გარეთ გამოვიდნენ. ნათლიებს დაატარეს ეზოყურე, აჩვენეს ბოსელი, — ჩატრუკებული საქონელი, მზევარდა კამეჩი, ირმა ზაქი, ძროხა დემფილაც.

თაყას ეზოში თავს იყრიდა სტუმრეულობა: ნადობი, ნაძმობი, განაყოფი, მოსადევარი, კარის მეზობელი, — ყველა მოსულიყო უკლისად... პურად მასპინძელს დღეს სუფრაზე დაელაგებინა ხვავი, რთვლის ბარაქა, საზრდელი, ნაშრომი, ნაწაღმართევი: პური, ღვინო, ხორაგი, — სისხლით ნასუქი მიწის ამაგი.

სუფრა იმართებოდა, ჭურჭელი მწკრივდებოდა, ყველაფერს და მით უფრო სუფრას, უნდა თავისი რიგი და წესი! თორემ აგერ, მეღორე ყოტალა ღორის აფესვაში რომ ეშველებოდა თაყას, — ხელთუყარი, წელიწყვეტია, გამონიჭული. განა იმისთვის არ დარჩა უცოლოდ, რომ სუფრის ნაწესობა არ იცოდა?! ჰკითხეთ ქალებს, გიამბობენ; ყოტალას თურმე ქალი არ მისცეს, მიზეზად ზნეობის უცოდინარობა მოუდეს! პირველად რომ მისულა სასიმამროს ოჯახში ქალის გასასინჯად,

სუფრა გაუშლიათ, სასიძოსთვის მოხარშული დედალი ფიურთმევიათ:

— დასჭერიო!

— არ ვიციო!

აბა, საწყალ მეღორეს საიდან ეცოდინებოდა? კეთილ სასიმამროს, მოხუც მეღორეს, ჩუმად უკარნახნია: ჯერ ბარკლები ამოსჭერიო. მაგრამ თავგამოუბმელ ყოტალას ვერ გაუგია. ვერც მიხვედრილა, ვერც ქათამი დაუჭრია. იმ ღამეს კი პური აჭამეს, დილით გამოუცხადეს: ვერა, გეთაყვა, ქალს ვერ მოგცემთო!

ასე გაბათილდა ყოტალა, ახიც იყო მასზე! ხუთი ბატი რომ მიგებარებინა, ექვსს დაჰკარგავდა, დაბმულ ვირს ვერ მოუვლიდა! სუფრის წესი ან რიგი საიდან ეცოდინებოდა?

მზე კიდეც გადაიწვერა... როგორც იყო დასხდნენ, კი არ დასხდნენ, ცივად დაბრძანდნენ სტუმრები.

სუფრის ზემოთავში, სახლისუფალი — პირბამბა პაპა დასვეს. — ამირანა. — მყუდრო კაცი, სიბერით სავსე, ასი წლისაო! ნაჯაფარი, ნამაშვრალი, შვილთა, შვილიშვილთა და შვილთაშვილიშვილთა გამზრდელი, ოჯახის თავმომყრელი. მოჭირნახულე პაპა, ახლა მხოლოდ სულის საქმეზე და პატარა საზედაშე ვენახის გაშენებაზეღა ზრუნავდა, რათა მისი შესანდობარი დაუყვედრებლივ დაელიათ!

— როგორ ბრძანდები, პაპავ? — ეკითხებოდნენ წვეულები.

— ძველ ჯავარზე ვეღარა ვარ, შვილებო, მუხლები დამიწყლიანდა. ცალი თვალითაც კარგად ვერ ვიხედებიო; ეხ, სიბერე. — სიბნელეაო! სიკვდილს დავღონებივარო. მაინც

წუთისოფელს ვესურვილებიო! — და თან ბალამწარას ყალიონს სწუწნიდა...

პაპა გახედავდა დარაზმულ სუფრას, დაზვინებულ ხორაგს: წააგონდებოდა რა თავისი უკბილობა, უძლურება, წამოიოხრებდა: ვაჰ, გულო, ვაჰ, გუნებაო! და თან ღვინოში პურს ალბობდა.

ტახტზე ყარყუმივით იჯდა პაპას მეუღლე. ცხრა შვილისა და თორმეტი შვილიშვილის ბებო მარადია, სიბერით გადაღწეული, შრომაში გადამდნარი, გაცვეთილი; ქმართან ერთად ერთ მუთაქაზე დაბერებული. ნაზბალიში ედო მუხლებზე. სუფრაზე ჯდომის არაქათი აღარა ჰქონდა, თითქოს გაქვავებულიყო, უხედავი გეგონებოდა, თუმცა მის გამჭრიახ თვალს არა გამოეპარებოდა რა და ტახტიდან რძლებს თადარიგს აძლევდა. კარებთან ბერი-ქედანივით იმზირებოდა მეორე, უმცროსი ბებო, — თანანა, თავპირჩამოღრუბლული, ხომ გაგიგონიათ:

დედამა ჰკითხა მზესაო, — ქვეყანაზე ბეჩავი რა გინ›ხიაო?

— გასათხოვარი ქალი სახლშიო და სიდედრი სიძის კარსაო!

ასეც იყო...

„მობრძანდის კაცი“, ანუ მოპატიჟე, — თლოშიაური, გუშინ, მთელი დღე ხუსხუსით დარბოდა, დაპატიჟებულთ ეძახდა. ნათლობაზე მობრძანებას სთხოვდა. თუმცა ხვეწნა და ჭიმილი არავის დასჭირებია.

გაიცანით, მუცელმერთა თლოშიაური: სუფრის მუსუსი. ლეშის მოყვარე ყორანი! როგორც ბუზი ჯიგარს, ისე გაჰყვე-

ბოდა სუფრას ვისიც და სადაც გინდ ყოფილიყო. მუდამ სხვისი სუფრის მოჭაშნიკე, სხვის პურ-მარილზე ჩაპურებული, ჩასუქებული! თლოშიაურზე ამბობდნენ დედის მუცლიდან კბილიანი დაიბადაო!

— დილით რომ გამოვალ სოფელში, ბუხრის საკვამურების ბოლზე ყნოსვით ვიგებ, ვის სახლში დღეს რა კერძი და შეჭამადი იხარშებაო! — იკვეხიდა მსუნაგი თლოშიაური.

როცა თლოშიაურმა პაპას ჩაუნუსხა წვეულთა ვინაობა, პაპამ ბრძანება გასცა:

— ქაჩას დამიძახეთო, ჩემი კბილისააო, ცოდოა, ერთი კარებგამოხურული კაციაო!

საწყალი ქაჩა, აღარავინ ჰყავდა, ამოწყვეტილიყო.

ერთი ყომრალი ვირი ებოგინა ტყისა და წისქვილისათვის, ისიც კლდეზე გადასჩეხოდა; მის მერე ერთი მისანდოლა ჰყვანდა ამ ქვეყანაზე — ბოთვერა ძაღლი — იმაზეღა იყო მითვალული ამ წუთისოფელში!

ბოთვერა კი ალმასა იყო. მის მშიერ კბილებს ვინ გადაურჩებოდა!

ქაჩა სოფლის განაპირას იდგა, სულ ბოლოს, მიუვალ კლდოვან კონცხზე, უკეთ, კონცხის ქიმზე. ამიტომაც, ცალკე იმ კონცხის მიუვალობისა გამო, ცალკე ბოთვერას შიშით, მოსაქმენი, ხარჯისა და გამოსაღების ამკრეფნი, მეხარკენი, ვერ უდგებოდნენ და ქაჩა, საწყალი ქაჩა, თითქოს დამოუკიდებელ სამთავროში ცხოვრობდა მარტოდმარტო! ამიტომაც ეზარებოდა გასივსივებულ თლოშიაურს მიუდგომელ ქაჩასთან წასვლა, მაგრამ პაპამ ისეთი მბრძანებელი თვალით გადახედა შეყოყმანებულ, სულმოკლე თლოშიაურს, რომ თლოშიაურმა

მაშინვე მოცხრილა ქაჩას დასაპატიჟებლად... მიდიოდა ფეხ-ტეხით საძნელო გზაზე, მაგრამ მუცელგადმოგდებულ თლო-შიაურს ნათლობის სუფრაზე ღორის მსუქანი ლურთები აგონ-დებოდა და მხნედ მიაბიჯებდა...

აი, ოქროს ქოჩრიანი ბაიებიც დანათლეს მღვდელმა ოხრო-ხინემ და დიაკვანმა აზარიამ. მადლი და კურთხევა დატოვეს სუფრაზე, მაგრამ თითონ მღვდელს შინ სტუმრები ჰყოლოდა და მალე წავიდა. დიაკვანი აზარიაც უღვდლოდ ხომ ვერ გაბედავდა სუფრაზე დარჩენას? არა უშავს რა, — ერთი ხურ-ჯინის თვალი ხორაგი და ღვინო თაყამ სახლში გაუგზავნა და მით სული იცხონა!

დამავიწყდა მეთქვა, რომ პაპამ სანათლო წყალი საგანგე-ბოდ „მიმინოს წყარო"-დან ჩამოატანინა, რომ ბავშვებს მიმი-ნოს სიმკვირცხლე დაენათლოთო; პირველ ბიჭს გელა უწო-დეს, მეორეს—არსენა! თუმცა პაპა ერთს ღრინჭოლას ეძახდა, მეორეს კოკროჭინას!..

ვინღა არ იყო წვეული?

ვინ არ გინდა, ისიც სულ გასახელებული ხალხი, ნათლო-ბის სახელი თითონაც რომ აღარ ახსოვდათ!

— დევკაჟი, ფოლადგული, ნათლია მგელხარი...

ტყავის ფეშტემალაფარებული ელამი კალატოზი ყიჭა-ლა, სულ მთვრალი! კედელს რომ ამოიყვანდა, უეცრივ ზემო-დან ჩამოსძახებდა: „მეეცათო!" და მართლაც ნავაგლახევი კე-დელი ან პირდაპირ წამოვიდოდა, ან გვერდზე გადმოინ-გრეოდა.

სოფელი მაინც მადლიერი იყო ყიჭალასი: — სხვა არც მაგ სიკეთეს გვიზამდაო!

კალატოზის გვერდით იჯდა შავსევდიანი, მუშტრის ავთვალდაკრული, გაკოტრებული მეწვრილმანე ჩანჩუხა, რომელიც ხშირად შეურვებით ამოიგმინებდა: ავაიმე, გავკოტრდიო!

ქვემოთ, სოფლის დალაქი, თავბერა, მიკვირია კაცი, რომელზედაც სოფელში იტყოდნენ: ეშმაკები რომ ჯოჯოხეთში შილაფლავს ხარშავდნენ, პილპილი მაგის მოყრილიაო!

კიდევ ქვემორე: კეთილის მოწადე, მოხათრე, ყველას შემწყნარებელი, თავანკარა კაცი, — გუთნიდედა თარიმანი.

მეზვრე ჯიმშიტა — ძვირუხსენებელი.

ბერდიკი — კარგი მცელავი, მთიბავი.

ღრეული — ყანის მესვეური — ფაქიზი კაცი, ბედდოვლათიანი.

ტროყია — მეტყეურე, — ანუ ტყის მცველი, გაურანდავი კაცი, თვალხუჭია, ტკეპნით მოლაპარაკე.

ულვაშის მრხეველი, მეშუშე კლიკო, — შემპარავი, ავის მდომი, გაზვერა, მტყუარი და ცრუ მოწმე, შემწვანებული სახისა — კაცი კი არა, აბლაბუდაო! — იტყოდნენ.

ენამძინარი, ღეჭია მეველე — ყრუჩა, გადაბარჯღულ ხეს რომ ჰგავდა! თვალჩაჩხი, ჯუღურა.

თოხიტარა — ნალევა კაცი, უდღეურა, უფრთიანო, უვარსკვლავო! და კიდევ რომელი ერთი? „გადაბმულიც“ იქა ბრძანდებოდა, — მაღალი კაცი, თითქოს ორი კაცი ზედიზედ გადაუბიათო!

ღობემძვრალა, ასკინკილა, წიპრუა, — ნაცარწაყრილი, გაბათილებული ცალკე სიღარიბისა, ცალკე აშარი ცოლისაგან.

მეღორ-ხბოვე — ცხვირგატეხილი ბაჭყურა.

უენო, უტყვი კოსინე — ძეძვის მჭრელი, დაძონძილ ჩოხაში.

და განა ვინგინდავინ ან ყველავინმე? არა, სულ ნარჩევი, დარბაისელი ხალხი! — რუმბია, ყლარტია, ბოტი, ბანჯურა, ლაჩინა, ხლართია, ზაქუტა, ოდოჭა, ფუმფლა, ყლინწო, ქვიშრაფა, ღინტალა, ბატატა, ხიწვა, ყბაღია, ტარაკუჭა, ლოპო, წვერიკმაზია, ლიტრიძირი!

კიდევ:—ბაჭიჭაური, ტიტლია, ბრაცანა, ციცლიბა, ჩვენი თლოშიაური—სუფრის ჭირი და ყოტალას ვინღა დააკავებდა?

ჰო, კიდევ ერთი, არ მახსოვს კარგად, ბოყო ერქვა, ყეყე თუ ყოყო! და ბოლოს ვინმე პირიქითელი, ტყიდან შემოხეტებული მონადირე, გოდერძი... და ტალიკ-ტალიკი ბიჭები!

გულისხმისმყოფელს რომ თვალი გადაევლო სუფრისათვის, გაიფიქრებდა: ადვილია დევთა შეყრა, მაგრამ გაყრა გაძნელდებისო! ამოდენა მგლის ღმუილი, უამბოდ არ გადაწყდებაო!

ხარობდნენ ლიტრის კაცები, რომელთაც მსხვილი კისერიცა ჰქონდათ და მსხვილი სამამულე რქაც! ბეღელი და ჭურმარანი სავსე!

სუფრის მეორე ნახევარში დამცრობილი, უყოლელი, უქონელი, უპოვარი, უბარაქო გლეხები დამსხდარიყვნენ — უხაროები, „მჭადი-აყვირეები“, ფიცგაწყვეტილი ღარიბები, — ფარაჯებში, დაკონკილ ახალუხებში, ამერიკოს ლურჯ განიერ შარვლებში, ტყლაპჩადებული ქალამნებით. რა მისაჩემი იყო ეს სუფრა მათთვის?

ამიტომ ცოტა დამკრთალები იყვნენ. მუდამ უსაკმარონი, შიმშილის კარს დაბმულები, თავს უხერხულად გრძნობდნენ სუფრაზე, სადაც ქონის ღვარი დიოდა. ნათლიდედის ხონჩაზე თონის ნამცხვარს, შოთსა, გადაკეცილ ლავაშს, ნაზუქს რომ

უმზერდნენ, შინ პირმოხეჩილი ქერის პური აგონდებოდათ და სუფრისა ეხათრებოდათ, სალუკმაპურო ფიქრებში გართულებს, ცოლ-შვილი ეცოდებოდათ.

პაპა, მახსოვარი ძველი კაცი, ძველ ამბებსა და თავის თავგადანაყარს ეგონებდა. უამბო კახეთში შამილის შემოსევა, ჭავჭავაძიანთ ქალების გატაცება წინანდლიდან. მდევარში პაპაც გაეწვიათ. სულ ხმალზე ვიყურებოდიო, გულადი ვიყავიო!

პაპამ ისიც უამბო, თუ როგორ გამოეცხადა პაპის პაპა, საომრად რომ მიდიოდა ლეკეთში. განა სიზმარი იყოო, ბაღში ვიჯექიო, ჩვენ კაკლის ხეს ვემშვიდობებოდიო, იქნება ვეღარც ვნახო-მეთქი! უცებ, რაღაც განათდაო. დღე იყო, მაინც ასინათდაო. ვხედავო, მოაბიჯებს, მრავალღონე, ახოვანი ვაჟკაცი შუახორცად, ლეგა ჩოხაში, ხმალი მიწაზე სთრევდაო, სულ შუქი გადასდიოდაო, მკაცრი სახე ჰქონდაო! ჯერ ვეება კაკლის ხეს ძირი მოურყიაო, მერე წინ დამიდგა, — პაპის-პაპა ვარ შენი,—თორელიო! — ბიჭო, არ შემარცხვინოო! სახელი სჯობს ქონებასაო. დაჭრილობა და ჭირნახულობა სჯობია ტყუილად ხეტიალსაო! მტრის გამბრუნებლები ვიყავითო, ხმლით გვეჭირა მამულიო! საქართველოზე ხელი არ აიღოთო! ენით ნუ ჩქარობთ, საქმით იჩქარეთო! და უცბად, გაუჩინარდა, განქარდაო. მას მერე, რკინის გული ჩამედგა; აღარაფრისა მეშინოდაო; როცა სხვები ფერხთ იხდიდნენ, მე მაშინ ვიცვამდიო!

— გვიამბე, პაპა, როგორ ეომე შამილს? — ეკითხებოდნენ ომსმოწყურებული ქეჩოიანი ბიჭები.

— ომში ვეღარ მოგვიხდა წასვლაო, მხოლოდ მდევარში კი ხშირად ვყოფილვარო! ერთხელ, ყაჩაღებს გამოვეკიდეო,

მესროლესო, ტყვია ზედ ჩოხის მასრაზე გადამემტვრაო; ჩემს ხორცს ტყვია არ ეკარებოდაო!

გულმართლად უამბობდა პაპა და ყველაფერს ზედ დაატანდა: — შენმა მზემ და ჩემი სულის ცხონებამაო!

— გვითხარი, პაპა, შესაგონარი რამ! — ყელგამოწეევით ეხვეწებოდნენ მოსხეპილი, საქორწილო ბიჭები.

— შეწყალება, შეწყნარება, სიმართლეო! იქეიფეთ, შეილებო, იმხიარულეთო, ჩვენ წავალთ, სხვა დარჩებაო, ქეიფი შეგვრჩებაო! მხოლოდ, არ აგრიოთ დიდმა ნდომამ, პატიოსან ლუკმას დასჯერდითო; შრომა, ოფლი და ამაგი ყველაზე დიდი სიმდიდრეაო! ეშმაკის ნატეხი პური ნუ გინდათო!

მსუქანი, მაძღარი სუფრის დანახვით გამხიარულებული გლეხები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ:

— ეს რა მოგსვლია კაცო, წინათ დაბალი იყავი, ეხლა მაღალი მეჩვენებიო! — ეუბნებოდა „გადაბმულს“ დიდი ხნის უნახავი გლეხი მეზობელ სოფლიდან.

— ვერ მიხვდი, ბიჭო, ეშმაკებს გაუწევიათო!

— ჰაი, შე დაუწებავო, შე ქვაფქვიავ!

— ჰაი, შე კეტურავ, ჰაი, შე გოჭისკუდავ! — ალერსობდნენ ქიმუნჯისა და წკიპურტის წაკვრით...

თამადად ღვინჯუა აირჩიეს ერთხმად, არც იუარა... ყველამ იცოდა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. ტოლს ვინ დაუდებდა, სად იყო მისი ფანდი?

გულმა გულში, სულმა სულში ჩაიხედა!

ხომ ქართული სუფრა იყო.

— თქმა იყოს და გაგონება!

გასუნთქულები უსმენდნენ თამადას; ისეთი სიჩუმე დადგა, როგორც უფრინველო ტყეში!

თამადამ სიტყვა ჩასო მარგალიტში! ახალნათლული ტყუპები ადღეგრძელა. სადღეგრძელო მოაჩარჩოა: პატარები ხართო, მაგრამ რკოდან დიდი მუხა ამოდისო; თან ჯვარანგელოსი, ხატიცხოველი და საქართველო დაალოცა...

ტყუპის ცალი სულ ტიროდა, არტახებიდან მკლავები ამოეყარა. დედა ჩიოდა, ნაკიანიაო, მეორეს კი მამიდა თანუშიამ ძუძუ ჩაუდო: — მამიდამ რომ მოაწოვოს, მომღერალი გამოვაო!

ბებია მარადია სულ მთვარის ამოსვლას ელოდა და მთვარემ ვერცხლი რომ გადმოშხეფა, შვილს აუტყდა,— ნაკიანი ბიჭი მთვარეზე გაიყვანე, მთვარეს შეუძახეო: — მთვარეე, მთვარეე თუ შენია, წაიყვანეო, თუ არა და, შენსავით გაავსეო!

თაყამ იუარა, — ძველი, აჯამი ხალხი ხომ არა ვართო, შესცივა და უარესი დაემართებაო!

— ბავშვი კი არა და, მოდი, წიპრუა გავიყვანოთ მთვარეზეო, იქნება მთვარემ გაავსოსო, თორემ სანამდის უნდა იაროს ასე დალეულმა და გამოჩხიკვულმაო!—იხუმრა კალატოზმა ყიჭალამ და ქალ-რძალი გააცინა. ბიჭები კიდეც მიიწევდნენ წიპრუას გარეთ გასაყვანად, მაგრამ წიპრუა სუფრის ქვეშ შემძვრალიყო და იქ გატრუნულიყო...

გაიშალა საუბარი... სიტყვამ გაინავარდა! კისერჟანგიანები, ჭირდათმენას ჩვეულები ‘ოჟანდარა ხელით გაკაჟებულ ყამირს რომ აპობდნენ, ახლა გაძმობილდნენ. ერთმანეთის ტო-

ლის დამდებნი ერთად ისხდნენ, ამხანაგურად. თუმცა მათი ერთადერთი ამხანაგი შრომა იყო.

— გუშინ იმდენი ვიმუშავე, ძაღლის სული ამოვიღეო!

წრევანდელ მოსავალს აყივნებდნენ:

— ხორბალს მაწივრობა არა აქვსო, ყინვამ მოთუთქა, ღოჯი ვერ გაიტანაო, ჭიოტა, გუდაფშუტა მოერიაო, ყანები აიჩალაო!

გაზაფხულზე ყინვამ კვირტს წელი შეუშინაო! ამ ზაფხულს ღრუბელი დახმაო! შატროვნელები კი ღვინის მოსავალს აქებდნენ, ჭურჭელი არ გვეყოო.

კარგუნახავები, გულდათოვლილები გმინავდნენ: — სიღარიბე ძილსაც გვიშლისო! შეუკურთხეს ცოდვიან ხელმწიფეს, მის რჯულსა და სამართალს! შეაჩვენეს ჯვარზემცმელები, ჯიბეგასუქებულები, შემბოჭავები, სოფლის სათოკე კაცები... დაასკვნეს: სიღარიბე ღვთიდან არიო!

ორივ აკლდათ: პურიცა და მზეც!

— ღმერთო, შენითა! — დაიძახეს და ღვინოს მიეძალნენ მზემწყურვალნი.

ისმებოდა მიწის ნაწური, მზის მონაჟური, მათი ნაოფლარი — ივრის ღვინო, ივრის წვენი...

თავიდანვე სიტკბო და გულითადობა გამეფდა. მოდიოდა გამტკიცული სიტყვა, სულ შაქრის დენა იყო.

გული გაითაფლა... წყლები წყლებს ესართებიან, კაცი — კაცს!

— ჰეი, ძმაგულავ, ეგრე მომები გულზე, ეგრე შემიტკბე! — ეთანადებოდნენ ურთი-ერთს!

— გულისათვის გული ჩამიდეო!

— ერთმანეთისანი ვიყვნეთ, საერთმანეთონიო!

ხალხი დამწყემსდა...

პურწმინდა დიასახლისს პირზე ვარდი ეშლებოდა... გაჯარატებული კაკლისა და თელის ხონჩები შეღიოდ-გამოდიოდნენ; ჯამი, კათხა, ჯიხვები, ჭიჭლიყურა საღვინე, გოზაური თახჩებიდან იყურებოდნენ და თამადის გამოძახებას ელოდნენ.

თამადა იჯდა მორჭმული, თავგზიანი... დამყარებული, დადგინებული, თამადობა-დაკურთხებული, შეერთხმებული სუფრასთან.

ოქროს ქოჩრიან ბაიებს მკლავები ამოეყარათ ხოჭიჭიდან...

უეცრივ, სუფრაზე ცისარტყელასავით შემოელვარდა, შემობრიალდა პატარძალი დუდღუბა, — ცოლი თაყას უმცროსი ძმისა, რომელიც ახლა რუსეთში სალდათობის ბეგარას იხდიდა, ამ ზაფხულს წაიყვანეს. ბებო მარადიას რუსეთიდან მოწერილი შვილის წერილები ბალიშქვეშ ედო და ცრემლით ასველებდა. ახსოვდა კი პატარძალს? — არ ვიცი! მხოლოდ ქალები ტუტუნებდნენ: უმაქნისოაო!

პატარძალი—გაცინებული მაისი! ლალი და ბროლი! გაღადღადებული სახე, ჩაბნელებული შავი თვალები... შოლტივით ოთხი დაწვნა თმა სადრეკამდის ჩამოდიოდა, ფარშავანგულად იარებოდა, ყაყაჩოსავით წამოწითლება იცოდა! ფერხორციანი, — ნამდვილად მზის გამონაყოფი! თვითვე გრძნობდა თავის ძალას, — აბა, ჩემსავით ვინ გამოსულაო! ახალვარდი ვარდკაბაში იყო... ყველას უხაროდა პატარძლის შემოცქერა! — ამოშვებული ალვა! მისი ვარდული. შეღიმება, ჩაკდემით დგომა; — ხომ გაგიგონია გლეხური ნათქვამი: დედაკაცს დღეში სამი სიტყვა ეყოფაო! მისი ხოხბური რონინი,

ყველას აგიყებდა. შენ მზეს ელოდა თვალი, ამასღა იტყოდ.! მაგრამ სუფრაზე არავის უფიქრია, ნეტამც ერთი მაკოცნინაო! — ყველა ლამაზი ცოლის დაა! — ეს ახსოვდათ კარგად.

თამადა ღვინჯუამ იმედები გაამართლა, პირიდან ოქრო სცვიოდა, სიტყვით ზღვა გადააყენა, ზღვაზე ხიდი გადო; ცაზე კიბე მიიდგა, მზესთან ადიოდა-ჩადიოდა, მართლაც, სწორუპოვარი თამადა იყო, უტოლუმბაშესი! სუფრაზე ვარდმანანა სწვიმდა...

— რათ არა ლხინობ დარბაზნო, დარბაისლებით საკვსეო!—მჭახედ შეუძახა პაპამ ჯერ მოკრძალებულ სტუმრებს, ჭამაში გართულებს. ის-ის იყო ღვინჯუამ პირველი ჯამი გაავსო და... კარებში შემოყო თავი შარვალგამოღადრულმა თლოშიაურმა, შეშინებულმა, უფრო იმით, ვაი, თუ სუფრას თავშივე ვერ მიუსწროო, ხორცის პირველ ნაჭრებსო! მან თავმომწონედ უჩვენა მასპინძელსა და სტუმრებს ძაღლისაგან დაგაზული წვივი; ბოთვერა ძაღლს ჭიშკარშივე დაეგლიჯა. ქაჩასთვის ხმა სულაც ვერ მიეწვდინა, ისე გამოქცეულიყო უკან. პაპამ დასცინა: — აბა, შენ გაგგზავნიდა ნეფე ერეკლე საომრათაო!

კაცებმა მაშინვე ჩვრითა და აბლაბუდით შეუხვიეს მსუბუქი ჭრილობა და შუაში ჩაისვეს, როგორც ნასახელარი გმირი და ღვინით სავსე ჯამფიალა დაალევინეს, რის შემდეგ დაქიმითებული თლოშიაური გლემურჯივით ეცა ღორის მცხინვარე ლურთებს! ცხიმისაგან თითები და ლაშები უბზინავდა... დიდხანს იჯდა ჩაგინძრული, რბილი გადაყლაპა, ძვალი ჩატკვერა, და წარმოიდგინეთ, სახე კიდეც გამოუპირგვალდა! სუფრაზე მუცელპირმიდგმულმა პირწმინდად მოტვლიპა ყვე-

ლაფერი, მაგრამ ვერავინ შეამჩნია. მერე სამზარეულოში გაჩნდა; აქ გაღვივებულ ცეცხლთან ჩაცუცქული მწვადებს ხანხლავდა. მწვადის დამდნარი ქონი რომ ნაკვერჩხალს შიშხინით ეღვენთებოდა, ის უყვარდა, ახალი მადის საღერღელს უშლიდა...

ღვინო დარუვდა... ადღეგრძელეს გლეხკაცის ყოველი საფიცარი: ღმერთი დაუსაწყისი, ცამზე, დედამიწა ულეველი, უშრეტელი, ყანის მუხლი, ვაზის დედა, მებაღის ნობათი, ხარის ქედი, აკვნის ფიცარი, წისქვილის დოლაბი, სიმინდის ფრჩხილი, ახალ-ნერგი; რქადახვეული ყოჩი, მინდვრის თარგი, აბრეშუმის ჭია, ქარფეხა ცხენი, ფუძნარი გუთანი და ხმალი! ჰე ვინ იცის, კიდევ რამდენი!

ღვინჯუა ჯამს ხელადას დააჯახებდა, გადააწვდიდა თაყას და ეტყოდა:

— იყავ ჩემი ნებისა!

თაყა მორჩილად მიიღებდა ჯამს და შეაგებებდა:

— ვარ შენი ნებისა!

თავის მხრივ, თაყა სხვასთან გადადიოდა ალავერდს და სუფრას ამაგრებდა, აძლიერებდა.

— მამულზე რომ ობოლი დადგება, იმას გამარჯვებაო!

— მამა-პაპის ძვლების ნაცარს გაუმარჯოსო! — ასწია თამადამ ყანწი. ახორხორდნენ გლეხები, — გაუმარჯოსო!

— ორბთ-ხელმწიფის შვილს გაუმარჯოს! — ისევ დასძახა თამადამ, თუმც არავინ იცოდა ვინ იყო ორბთ-ხელმწიფის შვილი, ან რატომ სვამდნენ მის სადღეგრძელოს, — მაგრამ არწივი გულში ყველას უყვარდა!

ბუხარი ცეცხლის ბურჯღლებს ჰყრიდა... პატარძლის

ლოყებივით გაჰქონდა ღადღადი... იწვოდა რცხილის კორჩხლები, უცბად, გაკვირვებულმა წიპრუამ შეჰყვირა: ხალხნო, ცეცხლმა გაიცინაო! ღმერთმანი, ჩემი თვალით დავინახე, როგორც ლამაზი ქალი, ისე იცინოდაო!

პატარძალმა შეიკდიმა...

ყველას უხაროდა ბედნიერების ნიშანი!

გახარებულმა თაყამ კიდევ წაუჩინჩხალა ცეცხლს; ბუხრიდან ბროწეულივით ნაკვერჩხალი გადმოვარდა. თაყამ ფეხით მოსწია.

— არ ვარგა, შვილო, ფეხით ცეცხლის მოწევა, საიქიოს კბილით მოგაწევინებენო! — შენიშნა ბერდედამ, რომელიც აქამდე ისე გახევებული იჯდა, თითქოს ვერაფერს ჰხედავსო!

სწორედ ამ დროს, კარებში გამოჩნდა კოკობზიკა მეჩანგურე ცანგალა თავისი ჩანგურით. ის იყო მისი ცოლიცა და შვილიც! შეზარხოშებული იყო, — პირნაყვავილარი, დაკენკილი, ქერაქოჩრიანი.

— განა ეგრე იქნება? საგანგებოდ მოგიწვიე და ესე კი დაიგვიანე! საყვედურით მიმართა თაყა მასპინძელმა.

— რა ვქნა, რომ აღარ გამომიშვეს?! — თავი იმართლა ცანგალამ. საგარეჯოში, სხვის სუფრაზე გატკბილებულიყო!

— აი, გაქრეს შენი სარჯულავი! — ერთად მიაძახეს მესუფრეებმა და მიესაყვარლნენ სიმღერების მწყემსს.

— კაჭკაჭო, კარიოჭელო, ენაზე კორძი არა გაქვს, ამოთქვი და ამოთქვიო!

თამადამ დაგვიანების ჯარიმა დაალევინა ცანგალას სამი ჯამი და მერე უბრძანა:

— გამოთქვი და შეგვამკეო!

— ქერონა ჩიტი ვარ, სიმღერების ამომღები, მეტი არაფერი! — ზარხოშულად იღიმებოდა ცანგალა, — რასაც გულიდან ამოვიტან, იმას ამოვლექსავ, თქვენ სამქებროდ როდი მცალიან!

და გულშეფრთხიალებულმა თვალი შეჰკრა პატარძალ დუდღუბას:

— ხატულავ, ჩემო ხატულავ, ჩემო ედემყვავილო! ადუღდა გულში პირველი სიყვარული! ძლივს არ მოვითავხელე? სად გამოუთხოვებიათ, რამდენი ვეძებე!

— დახე, ამ მაწანწალა-ჩიტირეკიამ, ამ ბუხუნძელა ჭიამ, სად მომაგნო?! — წყინობდა უღვთო ლამაზი — თავი მტკიოდა მაგის შაირებისაგან!

დამლექსებელმა ყველას მიულექსა, გაგულისებული ატრიალებდა ჩონგურის ყელს:

— სუყველას ლექსს გამოუთქომ, რაც მოხდეს ქვეყანაზედ!

— ნეტავი ზოგი გავყიდო, ლექსი რათ მინდა ამდენიო!

— ვაჟა-ფშაველას ავჯაბრდი, აკაკის — იმის ძმასაო!

მაინც არ შეუყვარდებოდა პატარძალს მოშაირე, როგორც არ გათეთრდებოდა ტურფას შავად შებურული წამწამი!

კვნესოდა, კი არა მღეროდა ცანგალას შეთელილი გული, შესეტყვილი სიყვარული.

მოქნილი ყბების პატრონი, ქვეყნის მალხინებელ-მაამებელი; თუმც ბაქიაობდა, მაგრამ ეს, გარეგანი, ზერელე ბუნება იყო მისი; შიგნიშიგან კი ცანგალას სული სევდით იყო მოქსოვილი! გულს უწვავდა გასრესილი ბავშვობა, უწყალო დუდ-

ღუბას სიყვარული. გაცრუებული წადილი, ამოფხეკილი იმედი! ბედნაკლები მოშაირე ახლა ჩონგურის სიმებით ემოციქულებოდა დუდღუბას დაკეტილ გულს...

— ვაჰმე, რა ტკბილი ღამეა, ნეტამც არ გაათენაო!

— ვაჟკაცური გვითხარ, საგმირო!—შემოსძახეს აქეთ-იქიდან მეჩონგურეს.

ცანგალამ ძალა მოიკრიფა და დაამღერა:

— ვაჟკაცს თუ ემოქნარებიან,
ან ჰშიან, ანა სწყურიან;
მოუვლის ომის ხალისი,
გულის ფიცარნი სტკივიან!

აქ, მონადირე გოდერძიმ მკერდზე დაიკრა ხელი და პატარძალმა მის განიერ მკერდზე მიყრდნობა ინატრა.

სუფრის ბოლოში, კარებთან ახლოს, დურგალი „დაღამდა“ ოჯდა მოწყენით, — ოქროს მარჯვენის, განთქმული ხელოსანი, თუმცა ღარიბი, რადგან სხვა სოფელში სამუშაოდ არ დადიოდა ათქვირებული, მკერდელა ცოლის, ტატლაშას გამო. ეშინოდა, მასთან ერთხორცობა არ შელახულიყო. მუდამ მოქუშული, სახეჩამომტირალი, გულდაბურული... არასდროს არ გაეცინა, აკი ახლაც ეხვეწებოდა ყიჭალა:

— ოღონდ ერთი გაიცინე, მამა არ წამიწყდება, ცხვარს დაგიკლაო!

„დაღამდა“ ფიქრით შინ იყო და სუფრიდან ბარე ორჯერაც გაიპარა ცოლის შესამოწმებლად. მეზობლებმა იცოდნენ მისი ხასიათი და ხათრით ვერას უბედავდნენ, თან კიდევ იმიტომ, ვინ იცის, ქალი ეშმაკის ქისააო, ვინ დახარჯავს, სად

დაიხარჯება, რას გაიგებო? როცა „დაღამდამ“ მესამედ მიატოვა სუფრა, გამწყრალმა პაპამ ბრძანა:

— გეთაყვა, ძაღლი დააბით სუფრაზე მაგის ადგილასაო! დაღვინიანდნენ...

ონავარ ცანგალას ჩონგურზე გადაჰქონდა თავისი გულის ნაცეცხლავი:

— მოუტკბილე, მოუშაქრე! — დასძახოდნენ აქეთ-იქიდან.

— ეგრე შეუნედლე, ეგრე! — აქეზებდნენ მოშაირეს გულშესრულებული მოქეიფენი.

— სახელის ქნაზე დავდივარ, განა ჭამა-სმაზე! — პატარძლის გასაგონად კვეხულობდა სახედასხივიანებული, გულში ჩასინათლებული ცანგალა და ხან სავსე ჯამს ჩაჰყურებდა, ხან სავსე მთვარეს, — გაფუებულ დუდღუბას.

პატარძალი კი... ჩაგიშრული თვალებით მონადირეს ჩაშტერებოდა. დუდღუბას მარტო მონადირე ესურვილებოდა.. ირმებსა და დათვებზე შეყვარებული რეგვენი მონადირე კი, ვერ ამჩნევდა პატარძლის ყურადღებას.

მონადირე გოდერძი ისეთი ლამაზი ვაჟკაცი იყო, რომ ქალები მასზე თურმე ჩუმად წილს იყრიდნენ: წელში გამონაკვთული, მხარბეჭიანი, ჯიღა-თვალება, შავად დაბუჩქებული ქოჩორი,—მართლაც, მოსაწონი იყო ირმის ნაფრენის მდევარი.

კლდეზე ავიდოდა უკიბოდ, თვალი ვერ გაეკიდებოდა!

— ბეჩავი, ნისლებს უწვება მთაში, მარტოდმარტო!

ეცოდებოდა პატარძალს, ის კი არ იცოდა, რომ წკირის წვერზე დაბადებულს, წკირზე სიკვდილი ურჩევნია! შავ-მთის მონადირე ჰყვებოდა თავის მონადირულ თავგადასავალს:

უსიერ, დაუბოლოვებელ ტყეებში სიარულს, დათვებთან შეხვედრას; თუ როგორ აიარა ჩამომძვლეული კლდეკიბური; თუ როგორ დაინახა მწვერვალზე ჯიხვის ხრო განთიადური შუქით განათებული; როგორ დააფრთხო ვეძაზე ნამარილევი ირმები და როგორ დააწვინა ცხელი ტყვიით ქორბუდიანი!

თითქოს კვეხნა არ უყვარდა მონადირეს, მაგრამ მაინც ამბობდა: ტყიდან ნადირი არ გამივაო! აგზნებული ხელს იშვერდა ფანჯრისკენ და ენებიანად გაიძახოდა:

— ა, იმ თეთრ მთას გაჰხედე, იქ, ჩემი ნახოცის კვალია! ახლა, ამ შავ-მთას გამოჰხედე, ჩემი ნასროლის ნასისხლი დღესაც ეტყობა საჯიხვე ბილიკებსაო!

პიროქრობრწყინვალე პატარძალი დუდღუბა მონადირეს ეკერძებოდა, მონადირეზე ეცვითებოდა თვალები... ცანგალა კი თვალებს პატარძალზე იმრუდებდა, ლექსით ცაში აჰყავდა, რათა მას ვარსკვლავისთვის მოეხვია ხელები, მაგრამ დუდღუბას არად მიაჩნდა ცანგალას სიტყვები.

აღტრფობილი ცანგალა მონადირის შემხედვარე, თანდათან სულით ეცემოდა. ძნელი იყო მზეთვალას გადაშორება გულიდან, ჯავრით გული გაუცხელდა, ადუღებული რკინის ჟანგის ფერი გაუხდა სახე! არც არავინ უთხრა კარგობა, — ჭირიმე შენი ყბებისაო, აღარც სიმღერა სთხოვეს; იგრძნო პატივკლება და მოიღრუბლა...

— მადლობა ღმერთს! ძლივს არ დაჩუმდა წისქვილის სარეკელა, მოვისვენეთ! — მონადირის გასაგონად წარმოსთქვა პატარძალმა, თუმცა მონადირეს არ გაუგონია, ან სად ეცალა! უჰ, რამდენი ხანია, თურმე რაც თეთრი მთის თეთრ ირემს დასდევს! მხოლოდ ორჯერ ჰყავს ნანახი! ერთხელ, თვალები

აება მის დანახვაზე, მეორედ ნახვისას კიდევაც ესროლა, მაგრამ მყისვე მკლავი დაეხუთა!

— იქნებ წმიდა გიორგისაა! — შეეჭვებით იკითხა პაპამ.

— ალბათ, ეშმაკია ირმად ქცეული! — დამტკიცებით სთქვა თავბერა დალაქმა და კალატოზმა ყიჭალამაც კვერი დაუკრა.

— როგორ იქნება ეშმაკი ეგრე ლამაზი? ახ, როდის იქნება ხელთ მოვიგდო? — ამბობდა აგზნებული მონადირე და ოცნებით აგიზგიზებული თვალები უელვარებდა.

— ხვალ ინათებს თუ არა, თეთრ მთაში უნდა წავიდეო!

— არ წახვიდე, არა! უშენოდ გავნიავდები! ქოჩორზე მოგებმევი! ჩოხას დაგიქსოვდი, ახალუხის საყელოს დაგიკრელებდი, ოქროს წყლით ფეხებს ჩაგბანდი! — დნებოდა ძარღვებ-გაცხელებული დუდღუბა.

— ახ, ნეტავი შენი წარბის ფერფლი მქნა, წამწამზე დაგეყრებოდე!

ზარხოშობა შეიქნა...

— ძმასაც, ისეთი ძმა უნდა, როგორც რო უსიპს ჰყოლია, ბადრი კლდეს გადავარდნილა, უსიპიც გადაჰყოლიაო—მოულოდნელად და უთხოვნელად დაჟღლილი ხმით წაიმღერა პაპამ, რომელიც თურმე ოდესღაც სიმღერას ჩემობდა.

— ყველა გულისძმა და ძმაკაცი გიცოცხლოთ! — წარმოსთქვა პაპამ, — მთისა და ბარისა, ზენაური, ქვენეური, გაღმაური, გამოღმაური, გიდღეგრძელოთ! — გამოცალა ხარის რქა და წამოდგა ვაგლახით:

— ეხლა კი, მშვიდობით, შვილებო, მეტი აღარ შემიძლიანო, მადლი მომიხსენებიაო! — შვილიშვილები შეუდგნენ მხარში პაპას და ლოგინთან წაიყვანეს დასაძინებლად.

ცანგალამ ჩუმი ღიღინით მიადევნა: „დაბერებულხარ, ბიძაო, აბჯართა ვეღარ ჰზიდაო“!

ბებო მარადიას ისევ ჩასთვლიმა...

ახლა პატარძალი უფრო გათამამდა; უფრო თავისუფალი მოძრაობა დაეტყო. ყელყარყარაობდა, თითქოს ვარდი იდგა მზის კამკამში!

თამადას სიტყვები და ალ-აკრული პატარძლის ლოყები ანათებდნენ სუფრას. ენამძლავრი არავინ იყო სუფრაზე, მაგრამ უეცრად, ყველა ენამზიანი შეიქმნა! მასპინძელი არას იშურებდა, ჩიტის რძის ყველსაც კი ჰპირდებოდა წვეულებს.

ბროლნათელა პატარძალი ჭურჭლის შეტანა-გამოტანისას, იქ, მეორე ოთახში, ხშირად სარკეს ეგრიხებოდა. ალესილი თვალით მზვერავი დედამთილი მიუხვდა პატარძალს! ბებომ განმკაცრებით გადმოხედა ტახტიდან, ეჭვი დაიმართლა, გაალმასდა.

— დაბეთ, შეყვარებული შემომიყვანა სახლში! ქალი—ეშმაკის ბარტყიაო! — წააგონდა ბევრჯერ ნასმენალი... ისიც კი მოელანდა, თითქოს, მონადირემ ვედრებით შესძახა პატარძალს.

— ჰეი, სახელგემრიელო, ჰეი, ოქროს-ყელავ, მოდი, კაბის ნაწიბურზე გემთხვიოო! — ბებოს დამშხალულ სახეზე ნაოჭები ამოძრავდნენ.

— აბა, ერთი გაბედე! სულ კაწაწებით გათრიო! — აღმოიქშინა სიკაპასით.—საწყალი ჩემი ბიჭი! ვინ იცის, რა დუხჭირშია ყინულეთში და ეს კი აქ კვანწიაობს! — გული ეწვებოდა ნაბოლარა შვილზე, სალდათად რომ იყო გადაგდებული ჩრდილოეთში! პატარძალმა მყისვე იგრძნო- ტანზე დედამთილის ნაწ-

კეპლარი, და კრძალვა დაიმჩნია, დაკმინებულმა უკვე წარმოიდგინა ხვალინდელი წაკიდება დედამთილთან და წამით შეძრწუნდა.

ღრეობა გახურდა... ყველაზე მეტად თაყა ლხინობდა — კაცი რომ იხარჯებოდეს, აღარას არგებს დრეკაო! — ხუმრობდა თავის თავზე. სახლიდან თქართქარი, ღრიანცელი გამოდიოდა. სიმღერას შეუკიდეს:

— ჩვენ ვაჟი დაგვბადებია,
დუშმანსა ქალი ჰგონიაო! —

გუგუნებდა სუფრა, ღუღუნებდა ბუხარი...

სიმღერა და გარეთ ძაღლების ღარღატი ერთმანეთში ირეოდა...

რა ტყუილად ემართლებოდა ბებო შეწამებულ დუდღუბას!

ნათვალევი პატარძალი სულაც არა ფიქრობდა ხორცტკბილობას! არა, ეს მხოლოდ ნამცდარი ოცნება იყო! გალაღდა დათოკილი ზვირთი, აფრინდა, ერთხელ ეწია თავის ნებას, ისიც გულდანამალად. ხომ გახსოვთ:

— თერთმეტი ულვაშ-კოკობი,
ქალმა მე მოვკალ იამა,
-განა თავს რამე შევმატებ?
ცოტა რამ გულზე მიამა!

და მეტი არაფერი, ღმერთმანი!

— განა ლეჩაქი სითბოსთვის გვხურავს, ჩემო რძალო? ნამუსისათვის! ეს დაიხსომე! — და ბუს წითელი თვალის ნაკვერჩხალივით ელავდა დედამთილის მრისხანე თვალი.

ნაკვერჩხალმა მოსუსხა, მოსწვა, მოთუთქა პატარძლის მზეტანი!..

— ჯვარი აქაურობას! — კაპასი ქარივით შემოვარდა,

შემობრაცუნდა, დაუპატიჟებელი ქათათა, ნაარაყალი. გამტყვრალი, ღვინის ალმური ასდიოდა.

ჯოჯოხეთს კიდევ ერთი მუგუზალი მიემატა...

წვრილი, შამფურივით გამხდარი, ცხვირი მამლის ბიბილოსავით გალურჯ-წითლებოდა, ზედ ქლიავივით მეჭეჭი ეყარა, ჩოხა მხარში ჰქონდა მწვანე ნაჭრით დაკერებული; ღარღლიანი, ლირწი, ღლეტურა, კამეჩების მარჩოლარი, ყველას მოძაგებული!

— ხევრე და ხევრე, სულ ხევრე! — სიცილით წაიძახეს გლეხებმა. — ისე გვინდა ახლა შენი თავი, როგორც მელას მონადირის კვამლი სოროში.

მეზობლები კი შიშით ლხინშიაც არ იკარებდნენ განთქმულ ჩხუბისთავს, რადგან სუფრიდან ადგომას ვეღარ ახერხებდა, და კიდევ იმიტომ, დაპატიჟებას მიეჩვევა, ხელს აღარ აიღებსო!

— ვერ წავალ დაუთრობელი, გინდაც გამაგდოთ ძალითაო! — ქათათას დათრობას კი არა ეშველებოდა რა! მუდამ არა ჰყოფნიდა ღვინო, ხანჯლით მივარდებოდა ტიკჭორას, თუკი მასრიდან ღვინო იკლებდა:

— პატარა იყავ ტიკჭორავ, მოგიკვდეს გამტყავებელი! — და ბევრჯერაც აუფუკია! ახლაც ისე მივარდა ღვინოს, თითქოს ნათმენი, მშიერი ხბო დედის ჯიქანზე მიუშვესო!

— ვენაცვალე, ვინც ბლომად დალია! — მაგრამ, თამადამ ნება არ მისცა თვითნებობისა:—დაიცა, გაგიცნოთ ვინა ბრძანდებიო, თამადა ვარ, მომისმინე, ძმაშვილურადაო, კითხვითა და ნებადართვით უნდა დალიოო!

ქათათამ გაკვირვებით შეჰხედა:

— ეს ვინ არის, ჩემი დამჩრდილველიო?

— დალიე ნათლულებისა!—უთხრა მკაცრად თამადამ, თან ყანწი გადააწოდა.

— რომ არ დამპატიჟეს, მაინც დავლიო?!

— კარგი ქვა კედლიდან არ გამოვარდება!

თამადამ დაიურვა უბელო, მოუხვინე ცხენი.

ქათათას კიდევ შეხვდა ჯამი: — სადღეგრძელო მასპინძლისა. დალიე და დაგვეწიეთ!

ქათათამ ნარგები ჯამი აიღო: — ეჰ, ყისმათი არა მქონია, ისევ ჯამი შემხვდა, რას იზამ, დავლევ, როგორც სახარებაში სწერიაო!

მესამედაც ჯამი მიაწოდა თამადამ: — ნათლიებისა!

ქათათამ ხელთ იპყრა ჯამი: — სამი სახარება შეგეწიოს, მეოთხე ზეიდამ დაგყურებსო! ე. ი. მეოთხეც დამალევინეთო! მაგრამ, დარბაისელმა თამადამ მეოთხე ჯამის უფლება აღარ მისცა. ქათათა გაგულისდა, ბოროტად შეაცქერდა თამადას.

— რა გინდაო?—წყნარად შეეკითხა თამადა.

— რა მინდა და... საფერავით ავსებული ჯამი! დამალევინეთ ნება-წადილობით!

— ჯერ რაც დალიე, იკმარე!

— პიტნავ, გიცნობ, რაცა ხარ, მიძევიხარ წინაო! — დაეშუქრა ქათათა ღვინჯუას.

— დიდი ზვავი ხომ არა ხარ, რას ხორხორობ, კაცი ხარ, მოკვდავი, ხვალე ნაცრად იქცევი! ხვალე მიწა დაგაფასებსო!— ეუბნებოდა თამადა.

— მიაშავე, მიაშავე! — ეხვეწებოდა თაყა, მაგრამ თამადამ არ მისცა დასტური.

— დიამც იყოს, დიამც იყოს! — ჩაიხარხარა გაიძვერა ქათათამ.

გაიმარჯვა თამადამ, მწყობრში ჩააყენა თავხედი, მოსპო ურჩობა!

ყველას დაავიწყდა მათი შეკამათება. ლხინი გაგრძელდა. ჯამებმა აიარ-ჩაიარეს... შეღვინიანდნენ... ოროველა, ურმულიც და „გურჯანელნიც“ შემოსძახეს. საღერღელ-აშლილი ქათათა კი ქაქანებდა, როტავდა:

— მე იმიტომა ვსვამ, რომ წუხელ პაპაჩემი მეხვეწებოდა სიზმარში: — არიქა, ბიჭო, ნამამასახლისარს ცოდვები მერევა საიქიოში, ჩემი შესანდობარი მალე დალიეო, ან აქამდი რათ დამიგვიანეო! თანაც ჩემი გვარი ზედაშიძეა, — აბა, როგორ არ დავლიო ბიძაის კაცო: თორემ ღვინისათვის სად მცალიანო?!

ყაყანებდა, ყბედობდა დაუპატიჟებელი ხაპირა; ღვინისაგან შებულბულებული ჯამს ეძალებოდა, ყველას მჯიღავდა.

ბოლოს ღვინჯუას შეეთამაშა სიმღერით: — ან ღვინო გვასვი, ან წყალი, ან თოვლი შემოგვიტანეო!

თან შესამეცნებლად დასძინა: ხელადა არ უნდა გაშრესო!

...და შემოდიოდა სველ-სველი ხელადები, ჩარექები, საღვინე გოზაურები, ივსებოდა ლიცლიცით ჯამები, ჯიხვები...

ცეცხლისმყრელი პატარძალი დუდღუბა ტბურ თვალებს აელვარებდა. მზეზე ლამაზი ვარო! შეღერებული, მოსხეპილი ბიჭები ღვინით ძლივს იჭრობდნენ პატარძალის თვალთა ნაპერწკალს, თორემ ისე დაიწვებოდნენ თავიანთ ჩოხებიანად, რომ ფერფლიც აღარ დარჩებოდა მათი!

ის-ის იყო, თლოშიაურმა შამფურზე ღორის მოშიშხინე მწვადი მოართვა გალაღებულ თამადას, რომ განძვივნებულმა

ქათათამ სუფრას ღონივრად დაჰკრა მუშტი და ჯანყურად გამოიქუხა:

— თამადა გამოვცვალოთ, გადავაყენოთ, გადავადგინოთ! — ქათათას უხამს ყვირილზე მთვლემარე ბებოსაც კი გამოეღვიძა.

— ეგ რა ცოდვის კითხულია? დაიწვას მაგის აკვანი! ვინ შემოუშვა გზაძაღლი, ღვთის გარეგანიო! ცეცხლი ჭამოს და გენიაო! — იწყევლებოდა, თან ერთი თალია კიდეც გაუხარდა. რადგან ჩაძინებულს პატარძლისა და მონადირის დაზვერვის ძაფი უნებლიეთ შესწყვეტოდა!

ქათათას სიტყვა მართლაც იყო კლდის გამხეთქი! თამადას მოეჩვენა, სახლს ჭერი აეხადაო, ცისქცევა მოხდაო! რაო? რა სთქვა ამ გასამტვერებელმა?! გულში გაივლო და ჩაჰკიდა ჭაღარა თავი. გაფუჭდა კაცი! ცხენს რომ ძარღვი დაუშინდება, ისე!

ღვინჯუა ყურებს არ უჯერებდა, ისე იყო ნაერთბაშევი! ქათათას უხათრო სიტყვამ გული შეულეწა. მზად იყო ნიგუზარი ესროლა.

და მართლაც, მთელი სიცოცხლე თამადობს და ასეთი უკაცრაული და უჯერო არავის უკადრებია! ისიც ასე უცხადებულესად! — აი, ჭირსაცემი! აი, ულვთოება!

სიტკბოიანი კაცი გაამწარეს! სუფრის ნებიერი! წამით, კიდევაც დააპირა ფრთხილად სიტყვა გაეტარებინა: სიტკბო და სიყვარული არ მომიკლია, შრომა და გულისმოდგინეობაო! მაგრამ, დარბაისლურად თავი შეიკავა, გული დაუდო ნებას...

— გადავაყენოთ! ჩემი წადილიაო! — ყვიროდა, კრჩხია-

ლებდა ღვინისაგან შავად ალანძული, გააფთრებული, თამადის მწუნობარი ქათათა.

— რათაო და რითვინაო! — შეუბედა თლოშიაურმა, რომელიც ახლა ღორის თავს მისჯდომოდა მყუდროდ და გუნებიერად, მაგრამ სიტყვა უცბად შესწყვიტა, ისევ ღორის ყბამ გაიტაცა.

— ეგ როგორ შაიძლება! ჩვენი არჩეულია, შენი ხომ არაო!

— შენ ვინა გკითხავს, აბუჩა სტუმარი ხარო! — შეუყვირა ყიჭალამ და ჩინჩხვარივით მკლავები გაშალა საჩხუბრად.

მეცხვარე მგელხარს გაეღიმა...

მთვრალ ქათათას აღარ ეყო ღონე იერიშისათვის, წამოიწია კი — ჰაი, შე ქონდარივით ამოსულოო! — ესღა უთხრა და დაჯდა... დამუნჯდა... დიდხანს ანჯღრევდა სუფრაზე მეზობლებს, არავინ დაუჯერა და მალე ხვრინვაც ამოუშვა...

თამადა ჯერ კმეხად იჯდა სიტყვა-მშრალი, ბოლოს თავს მოეგო, თვითონვე გაივსო ყანწი და გაბზარული სიტყვით წამოსთქვა: — ერთძმობას გაუმარჯოსო!

— შენ შემიფარე ძმობის ჩირდილო-ო!—ხმის თრთოლვით ამბობდა გამონაძალ, გამონაწვალ სიტყვას, კინაღამ გასამართლებული, ახლა სირცხვილს გადარჩენილი, თუმცა სუფრის მხარდაჭერით გამხნევებული თამადა.

მაგრამ, სირცხვილი ხომ დიდი ქვა არი! ამ ქვამ დაუბეგვა გული! ამ წუთიდან ის ღვინჯუა აღარ იყო, რაც წინათ! მისი სულის დროშა ძირს დაეშვა! თითქოს ფრთებიც დააჭრესო, — აღარც წადიერება, აღარც რიხი! გახსოვთ, წეღან, რა დაკრიალოსნებით წარმოსთქვამდა ჩამარგალიტებულ სიტყვებს!

— უყურე, რა ხლინკი მიგდო, ეს რა აქლემი გამიკეთა?

მორჩა! საყველაწმიდოს დავლევ და წავალ, გავშორდები! მე ამათთვის ვიტანჯები, თორემ, ნეტავ რა მრჯისო! — ჩიოდა ღვინჯუა...

გული მოუკლეს თამადას...

მადლი და მფარველობა მოაკლდა სუფრას, ლხინის ნათელი ჩაქრა! რიგი და წესი აღარ იყო; ირგვლივ ყაყანებდნენ, ყვიროდნენ, თითქოს წისქვილში არიანო; თითქოს ერთმანეთს ხმაურით ეძებდნენ ყარყატის ტყეშიო!

— დავლიოთ, კიდევ დავლიოთ, შევიდეთ ღრეობაშია! — ყვიროდა წიპრუა.

დევის სისხლი გაჯდა ძარღვებში! სუფრა გამოცოცხლდა, შეადანდგარა გლეხების ხრომ, ამღერდნენ, აღმუვლდნენ... გაჩნდა ცეცხლზე გაფიცხებული მოყღრიალე დაირა... უცბად გადმოხტა მონადირე, ჩაილეკურა და პატარძალს თავი დაუკრა, დუდღუბაც თითქოს ელოდაო — გულის ფანცქალით გადმოერია აშოლტილი, თვალუქცეველი, გადაშხიბლავი... ხორბალივით ტრიალებდა... წითელი ხოხობი ქვეყანას აყვედრიდა თავის სილამაზეს!

დაირა უფრო გაფიცხდა....

— რა ლამაზი ხარ, ხოხობო, რა კარგი რამ ხარო! — უკრავდნენ ტაშს.

რა ბედნიერი იყო!.. მაგრამ ბედნიერება მაშინ გათავდა, როცა მონადირის მაგიერ პატარძლის წინ მგელხარი აძუნძულდა მწყემსურად, გეგონებოდა ზვავი ზანზარებსო.

— რას ამეყუდა, დალოცვილი, თითქოს მზის ნაცვლად ღამე დამიდგა წინაო!

წიპრუამ, ტარაკუმამ, თლოშიაურმა ჩარფუზანა დააბეს,—

იღანცალეს, იბრაცუნეს, თავი ვერას გამოაბეს და ისევ სუფრას დაუბრუნდნენ....

გაბუტული თამადა განზე გაჯდა, უსარბიელოდ...

— აუმატე, აუმატე, თამადავ! — ახლა თითონ ეხვეწებოდნენ ღვინოსმულები ღვინჯუას, მაგრამ თამადა ისე გაჩუმებულიყო, გეგონება, წისქვილს სათავე გადაუგდესო.

— აბა, ეგრე იცის, ერთი წუნწლიანი თაგვი მთელ ქვევრს წაბილწავსო! რა ყურს უგდებ მაგ ტვინგადაბრუნებულს, ზღვასა ჰხნავს და ქვიშას სთესავსო. რა ვქნა, ხომ ვერ დავითხოვო, ხვალე კი, ვნახოთ რასაც ვუზამო! — ემუდარებოდა თაყა თამადას...

თამადას კი გული მოსდიოდა, რატომ მასპინძელმა მაშინვე ხელი არ დასტაცა, ჭკუაცეტი ქათათა ფანჯრიდან არ ისროლაო! რატომ ყველანი არ აუჯანყდნენ და ქათათა ფეხით არ გათქერესო?

— პურის ვარდის სადღეგრძელო დამალევინეთო! — იხვეწებოდა სუფრის არეულობაში შემთვრალებული გუთნიდედა თარიმანი, დასტურს კი არავინ აძლევდა.

— ანყაფუზ დევი ვარ! — ჩემობდა თვალებგადაპრაწული წიპრუა, გაზაფხულის მელასავით რომ გასწვრილებოდა კისერი! კაი ქარი მართლაც წააქცევდა!

— აზამბარში, აზამბარში! — ბუხუნებდა მგელხარი.

— დალიე, თავმადლიანო! — ვიღაცა ეხვეწებოდა ვიღაცას.

ტარაკუჭა წიპრუასთან გადადიოდა ალავერდს, სვამდნენ, თან ილოშნებოდნენ, ერთმანეთს თავპირი ჩამოაცალეს....

გულდაკეტით იჯდა გაფასებული თამადა... თაყა ეხვეწე-

ბოდა გამხიარულებას: — რა მოგვიდა, წკიპურტი პანღურად გეჩვენაო!

თამადას ესმოდა, რა გრიალ-გრიალით წამოვიდა კვარცხლბეკიდან მისი დიდება და დაენარცხა მიწას....

ვინ ააყენებს დაცემულ სახელს?

— არა, წავალ და თან წავიღებ ჩემს თამადობას! მე კი ბრალი ამიყრია, როგორც უნდათ, ისე დალიონ... — მასპინძელმა შეამჩნია, რომ სუფრას გამოთიშული თამადა სთვლემდა, ჯამი დააჯახა ხელადას და ახლა თითონ თამადას გადააწოდა:

— იყავ, ჩემი ნებისა!

— ვერა, ვერ ვიქნები შენი ნებისა! — აი, საყველაწმიდოს დავლევ და გავწევ კიდეც შინისაკენ, დროა, თორემ შინ ჯალაბი შემიღონდება! — ეუბნებოდა თამადა მასპინძელს და თვალების ფშვნეტით ძილს იგერიებდა.

— ამ ქვისხეთქელა სიცივეში სად გაგიშვებო?

— ამინდი აირიაო, — წუწუნებდა გულნაზუქა დიასახლისი.

— არა უშავს რა, მე ძანძახისა არ მეშინიან!

აიღო კიდეც ყანწი, საყველაწმიდო დააპირა და ის-ის იყო სადღეგრძელო უნდა დაელია, რომ შესძახეს:

— სამირონო, სამირონო დაგვალევინეო!

დალია სამირონოც! ახლა უკვე მწყობრში ჩააყენა, დარაზმა დიდმნიშვნელოვანი სიტყვები საყველაწმიდოს წარმოსათქმელად, რომ წამოიძახეს: რატო საქალეთის სადღეგრძელო არ დალიეო! — უმაგათოდ არ ვარგივართო! შვილის გამჩენები, პურის ჩამკვრელები, დამრეცხავები ეგენი არიანო! ალერსიანად ამბობდნენ შეზარხოშებული, გულაჩუყებული გლეხები.

ძარღვდაშინებულმა თამადამ გადასწყვიტა საგმირო ნაბიჯი გადაედგა და ერთი კიდევ ევაქაცა წასვლის წინ, მერე ბოლო სიტყვას იტყოდა და თავის გზასაც გაუდგებოდა!

თამადამ აიღო ღვინით სავსე ჩაფურა, დიდი ქებითი სიტყვა წარმოსთქვა, დამსწრე ქალები ერთობლივ ადღეგრძელა, ნახევარი გამოსცალა და თაყას გადააწოდა... თაყამ ჭურჭელს ძირი მოუმშრალა!

ფათერაკი მწყერის ფერიაო, უცბად წინ ამოგიხტებაო! ისევ გამოიღვიძა ჭირვეულმა ქათათამ, გეგონება, დაფეთებულმა ცხენმა საბელი გაგლიჯაო! რომ შეჰხედა ღვინჯუას ისევ ჯამით ხელში მდგომარეს, გალექებულმა შესძახა:

— ისევ ეგა თამადობს? —გადავაყენოთო, ყვიროდა ქათათა, ყვიროდნენ ქათათას მოერთჯამენიც თამადის ამდენი ხნის მდუმარების გამო უღვინობით დაზარალებულნი.

სიტყვა გაღორდა: ზღვის რყევა დაიწყო; ერთ პირზე როდი დგა წუთისოფელი?

ხმლის ენაზე ალაპარაკდა სუფრა:

— მკვდრებს აკლიხარ, საიქიოს ნისიავ! — თამამად ჰკიცხავდა წიპრუა ქათათას — განა შენგან ეკადრება პატივდებულ თამადას! მაგრამ ბოროტი აგებულობისა ხარო!

— ჰაი, შე სტუმარშინმიუყვანელო, კიწიმწვარავ, თვალებიდან რომ წიწაკა გამოგდისო!

— დახეთ, რწყილიატყავეს, ეს რა სიტყვა გამიქღარუნა!

— ჰაი, შე ნახშირის ჯოროო, ჰაი, შე ძაღლის კბილოო!— და უცებ დაეტაკა ქათათა წიპრუას, ზედ შეაფრინდა და ჩაბღუჯა.

— გამიშვით! — იერიშზე გადასვლას იხვეწებოდა ქათათას მკლავებში ჩამწყვდეული წიპრუა.

— ზოგი შენ ხმალსაც აპატიე! — დაცინვით ეუბნებოდა ქათათა და თავის ჩინჩხვარა მკლავებიდან არ უშვებდა წიპრუას.

ქონში მთვლემარე თლოშიაურმა ცალი თვალი გაახილა. მაგრამ მალე ისევ დახუჭა.

წაძიძგილავდნენ. შეიქნა ზედახორა, ჯლეხა. ერთმანეთი დაქოჩრეს, აბუმბლეს, სუფრა დაარიალეს. სუფრის ბოლოში იგრიალა ჭურჭელმა, დაიფშვნა, ჩანაჭუჭდა ერთიანად. ფრთხილმა სტუმრებმა იჩქარეს, — გაცლა სჯობსო, — ხელ-ერთპირად გარბოდნენ, თითქოს ფული მოუპარიათ და ეშინიათ ზედ წასწრებისაო!

— ღმერთო და აღდგომის მადლო, შენ მიშველე! — გმინავდა ამრიზებული დიასახლისი, თან თვალებზე ხელს იფარებდა, რომ ზარალი თავის თვალით არ დაენახა! მეორე ოთახშიც გავარდა. თაყას აღვიძებდა, — მიშველეო, მაგრამ გონებაში ვერ ჩაეგდო.

— ვერა, ვერ დავლევო! — წამოილუღლუღა თაყამ, ალბათ ეგონა, ჯამით თავს ადგა თამადა და ღვინოს აძალებდა.

მაშინ უმწეო დიასახლისმა მუდარის თვალით შეჰხედა ნათლია მგელხარს, რომელიც თავისთვის მშვიდად იჯდა და... მგელხარმა გამეტებით სტყრუშა ყურის ძირში ჯერ ქათათას, მერე წიპრუას; ერთი იქით ისროლა, მეორე აქეთ მიაწყვიტა.

— შენმა მარჯვენამ იხაროს! — არ დამალა დიასახლისმა.

დაწიოკებული სუფრა... დაჭოჭებული ღვინის წამონალეკი...

წიპრუამ თავს უშველა, თაგვის სოროში გაძვრა, სუფრის დამშლელი, მაქცეველი და მავნებელი ქათათა ძირს ეგდო ღვინით შესვარული... პირზე შეჰხმობოდა თავისი სისაძაგლე. შეურაცხყოფა მიიყურისისხლა, მითამ აღარც ახსოვდა, ნაძალადევად იღმიჭებოდა,—ღვინის ნაჟური დამალევინეთ, მაშინ წამოვდგებიო!

დამწყაზრებული პატარძალი იდგა, როგორც ალმასცხებული ყაყაჩო, მაგრამ ამ ალიაქოთში აღარავის ეცალა მისი სილამაზისათვის, თითქოს ყველა დაბრმავებულიყო, ვეღარა ჰხედავდნენ მის ელვანა შემოხედვას და ახლა, უასპარეზოს, გული მოსდიოდა... ღარიბი კაცის ბეღელივით დაცარიელებულიყო დუდღუბას გული.

— თამადა?

თავხრილი, გაკიდურებული იჯდა თაფლერბოიანი სიტყვის პატრონი! თავმართალი ვერ გაეგო!

აკი დაეტყო კიდეც სუფრას დაკლებულობა, დაუწყნარებლობა, აღარ ისმოდა სიტყვის გება, კარგგამომთქმელობა; აღარ ჩანდა თამადის თანაშეერთება სუფრასთან.

— სადა გყავს, ღვინჯო, დასამხრისი, სულის თვისტომი? გული ნაცრით გაიმშრალე!

— დაბერებულხარ, ბულბულოო!— იძახდა ქვეგამხედვარი.

— ჰაი, ოქროს ენავ, ტყუილად დახარჯულო, დაშაქრულო ენათქმავ, წყალში გადაყრილო! ვინ დაგაფასა ენამძლევარი? ჰაი, უმადურობავ, კაცის დაუფასებლობავ!

მერე, ვინ დასცა ღვინჯუას დიდება? ვინ შეეჭიდა სახელგასულ კაცს? ენამთვრალი, ლიკლიკა როხილა, თავაქარა, ყალაღანა ქათათა! და განა მარტო ქათათა?—მისი ამდევრებიც! —

ყვიციანი თავბერაც ხმას აწევდა ქათათას! გულნამცეცა, ფილთაქვიანი ცხვირის პატრონი,—ბაჭყურა, ცხვირი რომ ვერ მოუხოცია, ისიც ქათათას მიუდგა, დახე, როგორ ყვიროდა,— გამოვცვალოთო!

— გვისამართლეთ, გამიგონეთ სარჩელი პატივდებული კაცისა!

მაგრამ სად-იყო გამგონე! ეჰ, გული გაუხიეს და ის არი!

— განა ღირს ჩხუბი, ისიც სუფრაზე? ჭამეთ, სვით, გაიხარეთ! — ქადაგობდა წამით გამოფხიზლებული ღვინჯო, თან დაწყნარებას იხვეწებოდა: სიბრძნის დედას ნუ დავკარგავთ, თაროს ანგელოზი დავატკბოთო! — ნაქადაგარი არავინ შეისმინა!..

დარიგება კი წარმოსთქვა, მაგრამ ისევ მიელულა თვალები. ჩაფურამ ყინწი მოსწყვიტა თამადას და მასპინძელსაც! სუფრაზე აქა-იქ მოჩანდნენ მოსამკალ თავთავივით თავდამძიმებული სტუმრები...

თაყასაც ღვინჯოსავით თავი ჩაექინდრა. მალე ორივენი თვლემაში შეცურდნენ....

მარტო ღვინო რას დასჯაბნიდა ღვინჯუას, გულზე წყენის ჯანღი რომ არ შემოჰხვეოდა! და გაჯავრებული კაცი ხომ მალე თვრება! თაყამაც ღვინჯოს ხათრით გასწირა თავი და თუმცა ნათქვამია „საბძელი რო გეწოდეს, ხელი მოითბეო“,— მაგრამ, დაქანცულიყო! სუფრის შემზადებას ხომ რამდენი დავიდარაბა უნდა!

ორივენი დაბანგულებივით ისხდნენ. ღვინჯოს კი თითქოს ხელი თბილ ბალიშისთვის შემოუხვევიაო და იქიდან ამოღება ეზარებაო.

დიასახლისმა ჯერ მთვრალი თაყა წამოაყენა დიდის ვაი-ვაგლახით და წააბრძანა სამზარეულოში საძილედ: — აქ დაეგ-დეო! — მერე გამობრუნდა და ღვინჯუას მიმართა: წამობრ-ძანდი, ნათლი, თაყასთან მოისვენეო! ჭკვიანი ქალი ატყობდა, რომ სათამადო პირი აღარ უჩანდა.

— ვერა, შენი ჭირიმე, შინ უნდა წავიდე, ჯალაბი შემი-ღონდება! აი, დაწყნარდებიან, საყველაწმიდოს დავლევ, ისე ხომ ვერ წავალო, — და დააპირა კიდეც წამოდგომა ჯამის ასა-ღებად, ბურანითა და სითბოთი შეპყრობილმა, — მაგრამ, ახ, სულ ჩაფურას ბრალია, — ვერც ხელი გაშალა და ველარც ფე-ხი! ისევ სანეტარო თვლემაში და ნეტარყუჩობაში წა-ვიდა!..

პატარძალმა, მონადირის ხათრით, ეგებ ისიც დაარჩინონო, ტკბილად მიმართა ღვინჯუას: — რა გეჩქარებაო, გარეთ ცი-ვაო, გამოიშუშე, ისე წაბრძანდიო, თან ისე ნაზად ისე ნარ-ნარად უთხრა ეს სიტყვები, რომ ღვინჯუას ბანჯგვლიან ყუ-რებს არასოდეს გაუგონიათ...

— არა, შენი ჭირიმე, საყველაწმიდო და... გზა ყივის წამა-ვალისაო!

ბუხარს ემატებოდა და ემატებოდა რცხილის კორჩხლები, ღველფური ცეცხლი თაფლივით დნებოდა; სითბო და ღვინო ტკბილად უვლიდა ძარღვებში, გარეთ კი ვარსკვლავებივით მოციკციკე, გარაკრაკებული ცა უეცრივ გაპირბნელებულიყო, შეჯანღულიყო.

ღია კარებიდან სუსხიანი ქარი შემოვარღა, თოვლის ნა-გუნჯალი შემოიტაცა.. ოთახში გამქრალიყო თბილი და ნეტა-რი მყუდროება.

შემოქროლილმა სიცივემ დაჰკრა თამადას! ტვინზე ნისლ-მოდებული მაშინვე გამოფხიზლდა, დაავლო ქუდსა და ყაბალახს ხელი და ის იყო კარებთან გაჩნდა, რომ რომელიღაც მოჩხუბარის შემთხვევითი მუშტი მოხვდა გოგრაში! მუშტმა მთლად გამოაფხიზლა,—ღმერთმა გიშველოსო,—კიდევაც წაიდუდუნა და გავარდა ბნელში, სადღაც წაეფეთა, მაინც უმადურ სუფრას თავი გააღწია! წასვლა ვერავინ შეუტყო.

დრო ჩამოიძაფა... სმა, ლხინი, გახარება წარმავალია. დარდუბალის კიდობანიც დაცარიელდა... დარიალებული სუფრაც მალე დაიშალა. ყაყანი, ყარყაშიც მისწყდა.

პატარძალი ჭურჭლის ნამსხვრევებს ჰკრეფდა იატაკიდან. აი, სადამდე დამდაბლდა მისი მშვენება!

დიასახლისი გულკლებით ჩიოდა, ახსენებდა ძველებურ დაძმურიან სიყვარულს, სიყვარულიან პატივისცემას და ჰიცხავდა ძმობისა და მოყვრობის გამტეხს! — დღევანდელ ვაჟკაცებს გული პილპილით აქვთ გატენილიო!

ღვინოში მიხლილ-მოხლილი მგელხარი ახლა ჯონჯოლს მისძალებოდა. ჭიან ტყემლადაც არ მიაჩნდა წეღანდელი გაწამაწია. ჯამზე ღვინო დაუშვა და რომ არავინ იყო სადღეგრძელებელი,—შენ ეი, თაგვიჭერია, შენც გაგიმარჯოსო! კარგად მოუარე აქაურობასო! — ჯამით მიელაციცა ციცას, რომელიც ნაბუარ, ნაოხრალ სუფრაზე სადავლოდ გამოსულიყო და სიამოვნებით კრუტუნებდა...

პაპა და თაყა დიდი ხანია ხვრინვით ებრძოდნენ ერთმანეთს...

გარეთ ამინდი არეულიყო: ქარი ხეებს ეჩხუბებოდა...

სოფლის წნური ორღობიდან გამოვიდა ღვინჯუა და მტკიცედ დაადგა დიდ შარას.

— ახლა დაზომე გზა! — უთხრა თავის თავს. მოდიოდა კმაყოფილი, რომ სუფრას დააღწია, ისე იყო დატკბობილი, გეგონებოდა ტკბილოსნის მინდორშიაო თუ ვარდის ჭალაშიო! და სულაც ვერ შეამჩნია, რომ ამინდი შეცვლილიყო, ცა შავად ჩაღრუბლულიყო, შეგრაგნილიყო. ირგვლივ ჯანღი ბუღრაობდა, ქარი იღრინებოდა, უცბადვე თან აჰყვა ნისლაურა; ცრიატი ნისლის კოტორი ხან წინ გადაუდგებოდა, ხან გვერდით მოუდგებოდა, ხან ქალივით მოეხვევოდა, ხან სუდარასავით; აღარც კი მოჩანდა თეთრად დაზეწრული...

გამოსცდა მოხრეკილ ხევს წყაროსთავის დაპირდაპირებით თუ არა, დაადგა აღმართის ჩახევებულ გზას. ქარის გზა ხომ აღმართია! უეცრივ ტყიდან, მთიდან, გამოვარდა ასპიტი, მარბიელი ელდაქარი კრჩხიალითა და წივილით. ნამქერმა თვალები აუბა ღვინჯუას. ალმასა ფიფქი თვალებს სთხრიდა; თოვლის დათქრიალება, ნამქერი, ქარბუქი გზას არ აძლევდნენ...

— ღმერთო, შენ აუმართე ხელი ღვინჯუას!

თითქოს მხარგაბმით სეტყვა წამოვიდაო და უცბად, ვიღაცამ ცხელი სილა დააცეცხლა და თან მუშტებიც დააყარა.

— ეს ვინა ხარ, რომელი ხარ? — უკან მიიხედა სახტად დარჩენილმა ღვინჯომ, თან სახრე მუქარით შეატრიალა.

— მე ვარ, მე! — გადიხარხარა გაონავრებულმა ქარიშხალმა და ყოჩის რქასავით დაეტაკა, დაეჭიდა ღვინჯუას, ჯერ

მოგვერდით, მერე კისრულით, ბოლოს სარმა გამოჰკრა და წააქცია, მაგრამ ფეხზე წამომდგარი მგზავრი არ შეკრთა და კიდევაც გამოემკლავა, — ვერ შემაშინებ, მაგისთანები მინახავსო! ბრდღვინავდა, მკლავძალობდა, ვეშაპივით ბრუნავდა უტეხარი, დამთმენი ღვინჯუა, — ღვინისაგან შეხურებული და ქარისაგან შეშუპებული.

— რა ძალამ ამოაქანა? — ჰკვირობდა, ვერ გაეგო... მაგრამ, საზარელი ის იყო, თითქოს გვერდი-გვერდ ვიღაც ჩუმად ატორღიალებული მოსდევდა თან; — ავი სულია, ღვთის იასაული, ეშმაკი, ქაჯი თუ ქარის ანგელოზი! — ეკითხებოდა თავისთავს, აღონებდა ვიღაცის უჩინოება. თმა ყალყზე დგებოდა, ებურძგნებოდა.

— ახ, ნეტავ მგელი მაინც გამოჩნდებოდეს, რომ მარტო არ ვიყოო, — თან თავს იმხნევებდა: — დამაგრდი, ბიჭოო!

პატარა დაქნილი, დაკვერილი ბილიკიც კი არსად ჩანდა; თითონ, ღვინჯუას გზა აღარა ჰქონდა სულს იქით!

მაინც გულთან ეჭირა იმედი!

— რა დიდი გზაც მე მაქვს გასავლელი: ავივლი გძელას, ნატბეურას, შინდავაკეს და სახლსაც გადავხედავ! ააბიჯე — მთა არი, ჩააბიჯე — ბარი! — გაიმხნევა თავი.

გრიგალეთი ზეიმობდა... ქარი ქარელი ბდღვირს აყენებდა, წიწმატობდა, აფთარივით კბილებს აღრჭიალებდა, შოლტებს იტყლაშუნებდა... დალესილ ალმასის ფხასა და ცეცხლის ნაკვესის წინწალს თვალებში აყრიდა ნათამადარს.

— მართალი გზის კაცი ვარ, ეშმაკო, ვერ მომერევი! — და მკერდით მიაპობდა ნამქერს... ცისა და ხმელთაშუა არა სჩანდა საზღვარი, თვალდასაწიერი. არაფერი ჩანდა აღარც თეთრად,

აღარც შავად; თეთრად ბნელოდა. ის კი ახსოვდა ღვინჯუას, რომ წინ, მთაზე, თოვლი გადმოწოლილიყო თეთრი ვეშაპივით.

ირგვლივ თითქოს დაოთხებული, დაგიქებული ცხენები ჭიხვინებდნენ; ხან თითქოს მგლები ღმუოდნენ, ძაღლები ღავღავებდნენ, ჟამიდაჟამ ექვნები ჟღრიალებდნენ; წამიერად თვალებში ვარდი აყვავდებოდა; ხან თითქოს, ადიდებული, აღვართქაფებული იორის ხმა ჩაესმოდა და ამ გაგანიაში, — ვერა გაეგო რა!

თოვლეთური ქარიშხალი მთებზე ჰკიოდა, ჰყიოდა, მინდერად ზრიალებდა, ხრიალებდა, დგრიალებდა და მთის ხვლანჯებიდან, ორწოხებიდან ახვეტილ ხვავრიელ თოვლს ზედ აყრიდა ღვინჯუას.

მოკრუნჩხული, გაფიჩხული ხან სად ჩაეხეთქებოდა ნაპრალში, ხან თოვლგადავლილ ბუჩქნარებს, ბუწკნარებს, ჯღრდეებს გადააწყდებოდა; ხან, რომელიღაც ხის ტოტს ჩაებღაუჭებოდა, ჩაექანჩურებოდა... ოფლი დაასკდა, მუხლი გამოეთქვიფა... ქარიშხალმა კინაღამ ქედი მოგლიჯა! თითქოს დაუღონოვდა კიდეც; უარაქათო, დამონავებული, მაგრამ, ეხტიბარგაუტეხელი, დაულეწელი გულის პატრონი ქარიშხალმა ვერ მოიმორჩილა. კიდევ ჩაიჩეხა, ჩაიფლო, კვლავ აქეთიქით მიაწყვიტა შემოტეულმა ქარბუქმა... მუხლები ეკვეთებოდა, ირგვლივ უკუნი იდგა... ეშმაკებისა თუ ქარის შხუილი აყრუებდა, თითქოს ზარფუში ჩამოახურესო, ტეხვრა სტეხავდა; ავაზასავით შემოფრენილი ქარიშხალი, სამუქარო, გასამტვერები ხმითა და საყივარით — ეკაპასებოდა, სარისხველი სიტყვით ეჩხუბებოდა და ღვინჯუამ კიდეც წარმოიდგინა თავი თოვლის სანგარზე მკვდარი! წამით, თავისი კუბოს სანთელიც კი ეჩვენა, — ჰეე ბეჩავ, შავბიჭო, სად იღუპები?

— ხმელეთის გამჩენო, შენ დაკეტე ნადირის კბილი, შენ დააბრმავე ყორნის თვალი!

მაგრამ, ასეთ ამინდში რომელი ნადირი ან ყორანი გაბედავდა გარეთ გამოჩენას!..

— ეჰ, რად აიხირა სუფრიდან წამოსვლა?

— არა, საძაღლღორედ გამხდარ სუფრაზე ჯდომას ისევ ქარბუქთან ბრძოლა სჯობია! — ამბობდა ვიღაც ღვინჯუას გულში! წყალი თუ აიმღვრევა, კამეჩიც აღარ დალევსო!

მოდი და გაუძელი მოყინულ ნიადაგზე აგორებულ ქარიშხალს, ასპიტ ყინვას!

ბუქი ახრჩობდა, ხელჩართული ებრძოდა, კიდევაც მიამკვდარა და მეტი არა?

ბორბალა ქარი უფრო ბასრმჩხვლეტელობდა, თითქოს მთელ ზამთარს მისთვის იკრებდა ღონეს, რომ ღვინჯუას დასტაკებოდა! ნაქარი თოვლი აღიყორა. სულ აირია ზემოეთი, ქვემოეთი, თითქოს ცისა და ქვეყნის შუა დაბორიალებდა გადაქაჯული ღვინჯუა ქასქანჯიელივით! ქვესკნელის ფსკერში ეგონა თავი! ღამის ბალანიც კი არა ჩანდა, არა თუ იძვრისი!

— ღმერთო, ერთხელ კიდევ დამანახვე საწუთრო, მზისთვალი!

ახლა კი დარწმუნდა ღვინჯუა, რომ ქვეყნის შერყეულობა მოხდა; რომ შეიძრა ის ვეშაპი, რომლის რქაზედაც იდგა დედამიწა. როგორც იყო, გათოშილი თათებით პირჯვარი გადაიწერა და წმინდა გიორგის შველა შესთხოვა კერატის აღთქმით, — ციდან ჯაჭვი ჩამოუშვი და აქედან გამიყვანეო!

ფეთიანი ქარიშხალი კი საქოლავს უგებდა: ყიოდა, წიოდა,

ეძახდა თავის უთვალავ ლაშქარს ღვინჯუას პირქვე დასამარხავად!

კიდევ შემოურგვალა გრიგალმა, ცხვირი მიანაყა, ნაბუნგალით ამოუვსო თვალები. რკინით შეკრულს დაამგვანა ყინვამ საწყალი თამადა!

ღვინჯუა ადამიანს აღარა ჰგავდა; ულვაში მთლად დასჭირხლებოდა, ულვაშს ვიღა ჩიოდა, წამწამებზედაც ყინვის ეკალი აჰსხმოდა. მოეხეტებოდა და თან ყინულს მოაჩხარუნებდა.

— შეჩვენდი! — წამოიღმუვლა ღვინჯუამ, როცა კიდევ ერთხელ რაღაც ორმოსა თუ ჭაში ჩავარდა ყელთამდე და უბე თოვლით ამოევსო! მხოლოდ ახლა მიჰხვდა ღვინჯუა, რომ სუფრიდან გამოქცევის დროს მოშილიფებულად გადახსნილი მკერდი ღეღელა დარჩენოდა. ნათბილარი, ნაღვინარი, სად შეამჩნევდა, ისიც ლტოლვის დროს?! ახლა, როგორღა შეეკრა, როცა გაფიჩხული ხელის მტევანი აღარ ემორჩილებოდა. ხმელეთი, წყლეთი, სულ გაყინულიყო!..

მაგრამ უტეხარი ისევ მიაბოტებდა... კი არ მიდიოდა მუხა-ვაჟკაცი, ბრმულად მიცოცავდა. მუხის ფესვივით, ნელა ზანტად, დაყინებით, რკინის კვერივით მაგარი, გულგაუდრეკელი.

ნამქერმა ისევ გამუშტა ღვინჯუა ისეთი სიმწარით, ლამის თავპირი ჩამოაცალა. ხან, თითქოს ჭყანტობში იფლობაო, ხან კლდოვან ღირღატიდან ფეხს ვეღარ ამოიღებდა, თითქოს მუხლსა და ფეხში ათასი ალქაჯი ჩასჭიდებიაო. კიდევ ერთხელ ამოყელყელავდა ღვინჯუა, კიდევ ერთხელ გულადად გადასჭრა თოვლის გადანაკვეთი, კოწიაწობით გაძვრა ნამქერის

ხვრელობში, თოვლის ღრმა მღვიმეებში, გარდავლო ქარისგან დიდნაგები ზვავის გალავნები და ზედ თოვლის კოშკებზე გადაფრინდა თავისი სახრით. ყინტიყორა გადადიოდა, თან ბრე ასდიოდა! უკან რჩებოდა დათვის ნაბოტარები! კიდევ კარგი, მოხეტიალე მონადირე ვერ დაინახავდა თოვლებულ ღვინჯოს, თორემ ყელქედანა დათვი ეგონებოდა და ტყვიას ზედ დააკერებდა — რათ უნდა ლაპარაკი!

ფეხაკრეფით, ბარგანაობით იკვლევდა გზას კენტი კაცი, მარტორქასავით! არსად საყუდარი, არსად მეხიდური!

თოვლმა განა ჩამოიკლო, ბარდნიდა და ბარდნიდა, თუმცა ქარი ჰაერში ატრიალებდა... დაბელტდა თეთროსანი მარმარის ზოდები... ნაქარი, ნაყორი...

ისევ ზვინივით მიაბიჯებდა ყინვით შეჯავშნული, მუხლადი ღვინჯუა, ასჯერ დაცემული, ასჯერვე წამომდგარი!— გათოშილი, კრიჭაშეკრული, ყურებდაგლეჯილი, დაოსებული, გამოძალული, გარეგანთხეული... გაჭირვების ყუაზე მიმდგარი!

კინაღამ სული გასწურა! დამძლავრებულმა ქარბუქმა შეაზავთა, შეაყელთა გაშფოთებული ღვინჯუა! ყინვამ უფრო მოუჭირა ჭახრაკი; კისერზე ჯაჭვი, ფეხზე უდრეკი ბორკილი დაადო! — არც ახლა გატყდები, ღვინჯო?

ღვინჯუა მაინც მყარკლდეობდა, — იბრძოდა... ისევ ებღოტებოდა... და ის იყო, სადღაც, სიმაღლეზე წამომდგარმა და თოვლში ღრმად ჩაფლულმა, წამით, რაღაცა მოღანღალე შუქს შეჰკრა თვალი, რომ თითქოს ნათელი შემოადგაო — გაჰკვირდა, — კიდევ დაინახა საწუთრო.

— ეს ხომ მისი სოფელია, შვლისყური! აჰანდე, ესეც მახარიკაანთ გორა, ძირში კი, სოფელი! შეიტყო მართლმავლობა

სწორი ვარაუდით, თუმცა ბეგიბეგ უვლია გზის ასწვრივ! ისე შენ გაიხარე, როგორც ღვინჯომ გაიხარა!

ქვემოთ, ტაფობში, ბუნება გაბატკნებულიყო, ბროლის სიჩუმე იდგა; იქ ისე აღარ გაისმოდა ქარის ხივილი! გადაჰხედა წათოვლილ მშობლიურ სოფელს და გულში ჩაიხვია, როგორც ოცი წლის უნახავმა. ვგონებ, თავისი სახლიც იაზრა დიდი ალვისხის გვერდით. ღვინჯუასთვის რომ გეკითხათ, ისიც კი დაინახა, სახლიდან ლიფლიფას ოდნავი ნათელი რომ გამოჭკრთოდა. ჯალაბს არა სძინავსო! ალბათ, თითისტარს აბზრიალებს გაბეზრებული! მგონი ბუხარში მღვიძარი ღველფი, მდუღარი ნაკვერცხალიც კი შენიშნა...

ენა ამოიგნო... სანახევროდ დაავიწყდა ქარ-ყინვასთან ომი, დაუდეგარი ბრძოლა და გამოჭიდება: ყინულის ფხით დაჩხვლეტილი თვალი გააღო, გაახილა!

— ყოჩაღ, ძმაო ღვინჯო, ყოჩაღ! ერთი შემოკვრით ხე როდი წაიქცევა!

ქარბუქთან გამარჯვებით ნასახელარი, ყინჩიყურად იდგა გაბოტილი, მიწას დამყარებული იღიმებოდა... დატკბა... დაშაქრდა... თვალწინ წარმოუდგა დატოვებული ჭრელი სუფრა, — ბრძოლის პირველი ასპარეზი — თაყა, თანამეინახენი, რძენაწყენი ქათათა, რომელზედაც ახლა მხოლოდ გაეღიმა ქარიშხალთან დიდ ბრძოლაგადახდილს!

ერთხელ კიდევ შემოატარა გონების თვალი სუფრას, შეიხსენა თავისი ნათქვამი სადღეგრძელოები და თავიც მოიწონა... რა ვუყოთ, ქარბუქმა ჯვარზედ აცვა, კინაღამ სული არ ამოჰგლიჯა ბოლოკივით, მაინც სახლ-კარს ხომ მიაღწია!

— აგერ, წმიდა ესტატე, ჩრდილოთ, — წმიდა გიორგი!

ეალერსებოდა თავის სალოცავებს, — აგერ, დაბალში, კონცხზე — ღვთიშობელი! — და თვალი გაუშტერა ამაყ ნასაყდრალს... რამდენი საღვთიშობლო-საყველაწმიდო და... უცბად ელდანაცემივით შეკრთა, აფეთდა; რამ დაცეცხლა, რამ გაფათრა, რა მოუვიდა? გულში რამ გამოფეთქა?

— ეს რა მომსვლია, ხმელეთის გამჩენო! — მეხდაცემულივით იდგა ღვინჯუა და არაქათი აღარ ჰქონდა, რომ მუხლებზე დანანებით ხელი დაერტყა.

შელაშქრებული ქარიშხალი აგულისებდა ღვინჯუას, მაგრამ ღვინჯოს ქართან საბრძოლველად აღარ ეცალა, მან უეცრივ რაღაც უმერყეო გადაწყვეტილება მიიღო, ძლივს აიღო გათანგული ხელით სახრე, მოსწყდა ადგილიდან და... ისევ უკან დაბრუნდა და ისევ მგელივით გადაერია თეთრ ნამქერში.

გახარებულმა ქარიშხალმა სამპირად წამოუშინა და წამოუშინა! თითქოს კლდიდან ზვავები აგლეჯილან და ბარად ჩამოქანებულან ღვინჯოს დასანთქმელადო.

ქარს უხაროდა, რომ სამშვიდობოს გამოსული ღვინჯუა უკანვე გაიტყუა; გულს იოხებდა, ზრიალებდა, მთა-ბარს ატყობინებდა ძლევასა და გამარჯვებას!

— ახლა ვერ მომერევი, ვერა, ხომ შევიტყე მიზეზი!—შესძახოდა ქარს ღვინჯუა.

მიდიოდა შეფოლადებული, დაგულისგულებული, რკინის მთა რომ შეხვედროდა, გააპობდა! ტანში თითქოს ახალი ხერხემალი ჩაედგა.

ბევრჯერ ფეხი აერია, ბევრჯერ წაიფორხილა; კიდევ რამდენჯერ ჩაირეხვა ჩათოვლილ ღრანტეში, ძლივს ამობირტ-

ყდა, სული ძლივს ამოაღწია და... ცისკრის ზარი რომ დაირეკა შატროვანში, ღვინჯუამ მხნედ შეიარა თაყას ჭიშკარი, ეზო-ყურე და თეთრად წანამქრულ კარებზე მაგრა დააკაკუნა, განა მორიდებით?

— ვინა ხარ?

— ნოეს კიდობნის ხურო ვარო! — ვითომც იხუმრა ღვინჯუამ.

აღარ დააყოვნა ნოეს მტრედმაც:

— რომელი ხარო?

პატარძალი დუდღუბა ნაზ მოსიზმრებაში მყოფი, მონადირეზე ტკბილი ფიქრებით შეფუთვნილი, შიშველ მხრებზე შალწამოგდებული, ნათბილარი, ათრთოლებული, კარებთან ნაზად ჰკითხულობდა:

რომელი ხარო, რომელიო, იმ იმედით, ეგებ, რაიმე სასწაულით მონადირე მობრუნდაო!

— ღვინჯუა ვარ, შენი ჭირიმე, თქვენი ნათლია!

პატარძალმა თუმცა ვერ გაიგო გაყინული კაცის პასუხი, მაინც ოდნავ გამოაღო კარი, თითქოს უნდოდა, ჩუმად შეეპარებინა მონადირე და გულში ჩაეკრა, როგორც პურის გუნდა ეკვრება გახურებულ თონეს!

— მე ვარ... მე...

ნახევრად ბურანში მყოფ პატარძლის წინაშე იდგა თოვლითა და ჭირხლით შეხურხლული, შებორბლილი თოვლის ყორე, რომელიც... ადამიანივით ლაპარაკობდა. პატარძალმა შიშისაგან იქვე ჩაიკეცა.

— ნუ გეშინიან, ჩემო დაო! — ეხვეწებოდა დაფეთიანებულს თოვლის ყორე და თან ზეზე აყენებდა.

— არა, მითხარი, მართლა ვინა ხარ? — ეკითხებოდა გონს მოსული გულგადაფერებული ქალი;— მაშ, ავი სული არა ხარ?

— ავი სული რათ ვიქნები, კეთილი სული ვარ, თქვენს ოჯახში მირონის შემომტანი!

პატარძალი ძლივს დონეზე დადგა. კიდეც შერცხვა თავისი თავისა!

ღვინჯუა ულვაშებს იფშვნეტდა, ყინულის ლულებს იმსხვრევდა თავპირზე და თან ლუღლუღებდა:

— ღვინჯუა ვარ, შენი ჭირიმე, თქვენი ნათლია! ჩემი ცოდვით საყველაწმიდო დამვიწყებია, მახარეს გორიდან დავბრუნდი, ძნელია ღვთის ვალი! ეგებ ან ჯამი ან რქა გამომაწოდო, რომ ჩემი ვალი მოვიხადოო!

— შინ შემობრძანდი, უკაცრავად, ავი სული მეგონე. — ბოდიშობდა დუდღუბა.

— რა ბრძანებაა, მეჩქარებაო, შინ დაიდარდებენო!

— გენაცვათ, ეს რა ღვინის მსუნაგი ყოფილა, საიდამ სად წამოსულა ერთი ჯამი ღვინის გულისათვის!—გაიცლო გულში მონადირეზე გაქარწყლებულმა დუდღუბამ და ორივე ერთად გამოუტანა, — რქაც და ჯამიც, ისე გალიცლიცებული, რომ ორიოდე შხეფი ზედაც გადეღვარა, პერანგზე!

ღვინჯუა ეცა მწყურვალებით! ორივე სასმისი ხელიდან გამოგლიჯა.

— აი, აგაშენა ღმერთმა! ახლა კი მოვიხდი ვალს ღვთისა და ქვეყნის წინაშე!

— ღვთისმშობელო, მიშველე, შენ მაპატიე, რომ საყველაწმიდო დაულეველი გაგექეცი! აკი კიდევაც მომაყარე თოვლი და ქარაშოტი! დიდება შენ სახელსს! უნებურად მომივიდა! მაპატიე, აღთქმას გაძლევ აღარ ჩავიდენო!

პატარძალი გაოცებით შეჰყურებდა, — ეს შემმიში რასა როტავსო!

— ღმერთს ვაწყენინე, პატარძალო, ღმერთს წინ გადავუდექი, სიბრიყვით შევეთამაშე! იცი, რა მიყო? სიკვდილის ყბიდან გამოვძვერი! მთელი სახმელეთო ხომ დამციხებდა, უკან რომ არ გამოვბრუნებულიყავ? ყველაწმიდა შეგეწიოთ! მისი მადლი სწყალობდეს ამ ოჯახს, — სასოებით წარმოსთქვა ღვინჯუამ, — რა ანგელოზიც მუშაობს ადამ და ევას აქეთ, ის შეეწიოს თაყას ოჯახს, ჩემს ნათლულებს, საქრისტიანოს, საქართველოს! შენც შეგეწიოს, პატარძალო! ღმერთო, შენ მაპატიე, სიბრიყვე! — ჩამოილოცა გახარებულმა ღვინჯუამ და ისე სულმოუთქმელად დაცალა ჯამიცა და რქაც, შიგ ნამიც არ გაუშვა. კარის დირეზე დააწყო ორთავ სასმისი, რადგან ჩამომრთმევი აღარავინ იყო. პატარძალი შინ შებრუნებულიყო. თავდახსნილმა ღვინჯუამ ასწრაფებით გამოსწია შინისაკენ, ჯალაბისაკენ!

პატარძალიც მალე გამოჩნდა ხელში პატარა თეფშით, ზედ ღორის ლურთები და შოთის ნატეხი ელაგა ღვინოზე დასაყოლებლად, მაგრამ გარეთ აღარავინ დახვდა; დირეზე ყანწს ფეხი წამოჰკრა, შეკრთა, თეფში ხელიდან გაუვარდა და ცივად შინ შეიხვეწა.

დიდხანს ცახცახებდა ლოგინში, თვალებზე საბანწახურული, ფანჯრისკენ მოხედვისა ეშინოდა.

— ნამდვილად ეშმაკი იყო! მაგრამ, ეშმაკი რომ არა სვამს ღვინოსაო?

იყო ძიებაში და ბოლოს დაასკვნა: — ალბათ უპატრონო, მშიერი ადამიანის სული იქნებოდაო!

— ვინ იცის, როგორ მოსწყურდა ღვინო საიქიოში, წამოდგა მკვდრეთიდან, ღვინჯუას სახე მიიღო და სიკვდილს გამოეპარა, განა ქართველი კაცი უღვინოდ გასძლებს სადმე? დალია და ისევ ჩაეშვა საფლავში, სულთამხუთავმა არ გამიგოსო!

გამოცოცხლებული ღვინჯუა მკვირცხლად მიაბიჯებდა შინისაკენ. ივრის წითელ ღვინოს თბილად დაევლო ძარღვებში, გაეთბო, აეჩქროლებინა, შეეხურებინა!

— ვერც ეშმაკი მომერია, ვერც ქარაშოტი და ვერც ქათათა! ზოგი ახლაც გადამაყენოს თამადობიდან! ღმერთი ახლა ჩემს მხარეზეა, თავი გავიმართლე, დავზავდით, შევრიგდით; თუ ეს ასე არ არი, — მაშ რად შეიცვალა ამინდი. რად გაკარგდა?

ანჯახი ქარიშხალი დამცხრალიყო, ქვეყანა დამყუდრებულიყო ღვინჯუას შენაცოდარის გამოსწორების გამო!

— როგორ იყო აბორგებული, აჯანყებული, დაონავრებული! იმიტომ რომ, ღმერთს ვაწყენინე!

•

• •

თოვლიანი ალმასით ანაპერწკლებული, ნაწური ვერცხლით მოსპეტილი გორები თავს უქნევდნენ გამართლებულ ღვინჯუას, მისი საქციელით კმაყოფილები!

დილის სული დატრიალდა...

ის იყო მზე ამოდიოდა...

ღობეზე ყიყლიყო ყიოდა: მზე მე ამოვიყვანეო!

და ყველას სჯეროდა!

ᲓᲔᲘᲓᲐ ᲛᲐᲘᲙᲝ

აყვავებულ ვაშლის ხის ქვეშ, ახალგაზრდა ქვრივი დედა ეალერსებოდა ყრმას, რომელსაც აბრეშუმივით ხვეულ კულულებში ნიავისაგან მონაბერი ვაშლის ყვავილის თეთრი ფერფლი ჩაჰფენოდა.

— რა გითხრა ვარდის დედამ, დილილა დედილასა! — ძუძუმწოვარს ჩაესიტყვებოდა აკვანში.

ყრმა იცინოდა...

დედა ეტიტინებოდა, — გაიცინე, გენაცვალე, გაიცინე! შენს სიცილზე ღრუბლები იფანტებიან, შუბლს თუ შეიკრავ — შავად იკუმშებიან! გაიცინე, გენაცვალე, გაიცინე, ღრუბლები გადიკარგებიან.

ჩემი დეიდა მაიკო იყო.

— დეიდას დედის სუნი ასდისო! მართალი ყოფილა. არასდროს დამავიწყდება დეიდა მაიკოს ალერსიანი შემოცქერა.

შინგაზრდილი იყო, მაგრამ გონებაგახსნილი, დიდად მეტყველი, მიყვარდა მისი ნაუბარის მოსმენა ზამთრის გრძელ ღამეებში, თითისტარის ბზრიალში, ბევრი რამ „საღვთო“ ჩამოჩა ხსოვნაში იმ ღამეებიდან, ბევრიც ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ...

ახლაც გულზე მაქვს დაჭდეული დეიდა მაიკოს სიტყვები:

— თუ შენს გუნებას დილიდანვე მზის სხივი არ შეჰყვა, ძნელი იქნება ცხოვრება! იმ პირველმა სხივმა უნდა მოგივარაყოს გუნება! უნდა თან აგყვეს და შენც მას უნდა აჰყვე! მაშინ ჰნახავ, — არასდროს არ დაღამდები!

უეცრივ იცოდა გაყუჩება: თითქოს აქაურობას მოსწყდებოდა, სხვა ქვეყანაში გადავიდოდა.

შევეკითხებოდით: სად იყავ?

— ნიავქარს მივდევდი, ნიავწანწალას!

— რადა?

— სათქმელი მქონდა!

— დაეწიე?

— ბოლოს, როგორც იყო!..

— სიტყვა გადაეცი?

— მოვასწარი!

ანდა:

— ჰოი, შენ კი გენაცვალე!

— ვის ეალერსები, დეიდა?

— ჰხედავ, ეზოში ცაცხვი როგორ მწვანედ ხასხასებს!

— მშვენიერო, სასურველო, ტკბილო და საყვარელო! აი,

შე კამკამა სხივით გაზრდილო! — იტყოდა და მოეხვეოდა ფანჯარასთან მდგომ წითელ ვარდს და წყალს დააპკურებდა.

— ხატულავ, ჩემო ხატულავ! — მიეფერებოდა ხბოს და აკოცებდა მშვენიერ თვალებში.

— აქ სად შემოსულხარ, მოუსვენარო! — დასწვდებოდა ფანჯრის შიგნით დაბორიალებულ ფუტკარს, გააღებდა სარკმელს და გარეთ გააფრენდა. — აგერ, შენი სარბიელი, გაინავარდე!

ჩიტების ენა იცოდა: — ჰხედავ ის კუდრაჭა ღობეზე რას ეხუმრება ღაბუას?

მოლაღურს შესძახებდა: ჯერ არ მოსულა ჩემი ბიჭი გოგია სკოლიდან!

დეიდა მაიკოს ხმის სიტკბო დღესაც ჩამესმის. საოცარი ალერსები იცოდა:

— ჩემო სიცოცხლის ცისკარო!

— თავს შემოგევლე!

— ჩემო გაშლილო იაო!

— შენი გულის ჭირიმე!

— საყვარელო, სასახელო!

— წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე!

— ჩემო სიყმის მზევ, შენ კი დაგენაცვლე!

— ჭირი მოგჭამე!

— ჩემო სულო და სიცოცხლევ! ჩემო სულისდგმავ!

— შენი მუხლების ჭირიმე!

— ჩემო ცხოვრების ნიავო!

— სანდომელავ, ჩემო ბალის კუნწულავ!

— ჩემო ათასნაირო!

— დედის ოქროს შანდალო!
— ჩემო დამტირებელო, მშვენიერო თვალებო!
— შენამც დამაყრი მიწასა!
— უშენოდ ნუმცა ვარ ცოცხალი!
— იმ ადგილის ჭირიმე, სადაც შენ მომაგონდები!

და ვინ მოსთვლის ან სადღა მახსოვს? რა იქმნენ, სად წავიდნენ ეს ალერსიანი სიტყვები, ძველად, ათასმა მაიკომ რომ იცოდა საქართველოში?

რატომ აღარ ვალერსობთ დღეს ამ სიტყვებით, რატომ ჩვენც აღარავინ გვეუბნება, რად გავიძარცვენით, ხომ გვცივა უამსიტყვებოდ!

რატომ აღარ ესმით ეს ტკბილქართული ჩვენს ბავშვებს, — შვილებსა და შვილიშვილებს?

რატომ დაჰკარგეს ჩვენმა ქალებმა ქართული საალერსო სიტყვები? ნუთუ დაყრუვდნენ მოკვდნენ, გადაშენდნენ ეს სიტყვები? ნუთუ, ისე გახევდა ჩვენი გული, რომ ეს თბილი, მდედრული სიტყვები აღარ არიან ჩვენთვის საჭირო, რად დაივიწყეს ისინი დღევანდელმა ქართველმა დედებმა? — მე სწორედ მათ საგულისხმოდ ვწერ ამას!

სულ ახალი ქვრივი დარჩა დეიდა მაიკო, სამი უმამო ვაჟიშვილით. მთელი დღე ფუსფუსებდა, ფეხჩაუდგმელი შრომობდა მეთაფლე ფუტკარივით, ათას საოჯახო საქმეში გართული თან ღიღინებდა, იღიმებოდა, ალერსობდა.

— ღმერთო მაღალო, ვინ გააჩინა ამდენი სილამაზენი?—ეს სხივნარა დილა, იისფერი ცის ღიმილი, დილის ოქროს ქრიალი, მზეკაბანის ღელვა ყანებზე, ქვეყნის მამშვენებელი ვარდები,

ყოველთა მხედი ალვისხეები, აყნოსებული ცაცხვები... ცივწყარო. ბროლა ნიავი...

— გწყალობდეს ამომავალი მზის შუქი! — მომილოცავდა მზის ამოსვლას, თან დასძენდა — მზე რომ ვარდივით ამოდის, ხომ გიხარიან? დილის სუნს რომ ჩავისუნთქავ, ამოსუნთქვა აღარ მინდაო!

— თუ გუნებას დილიდანვე სხივი არ შეჰყვა, წააგებ... იმ ერთ სხივზე უნდა ააგო მთელი დღის სიცოცხლე! თვალსა და გულში ოქროს დიელო შეიყენე და გაიხარე! იმ სხივს ენდე. ის სხივი წაიყვანს მთელი დღის შენ საქმიანობას!

ასე მარიგებდა დეიდა მაიკო და თან სარეცხსა ჰფენდა თოკზე, მთელი დღე მოფუსფუსე, სახეამწვარი, ნაჯაფარი, გადაქანცული, შუბლზე ოფლმოსხმული, ამაგდარი, მაგრამ მაინც ლამაზი, ნამთევი ვარდივით, და მხიარული მერცხალივით.

— ჩიტის ხმა გამოდის, ბიჭო, დაანებე წიგნს თავი! კოკორგახსნილი ყვავილი გეძახის! არ დაჰკარგო ოქროთი მოჭედილი დღე! მზენიავში გაცურდი, ცას აჰხედე, მიწას დაჰხედე! აგერ, ჯეჯილი აღაღანდა, ყაყაჩო წამოწითლდა, ატამი სთოვს, ვარდი კვირტში იღვიძებს! გეყოფა ამდენი კითხვა, გადი გარეთ, მზის მადლმა! წიგნს რა სჯობია, მაგრამ ყველას თავისი დრო აქვს! დაინახე ბუნების შეუზომელი სილამაზე! მადლიანობა! განა სულ საქმეს უნდა შეასკდე? ასე მტუქსავდა, მარიგებდა დეიდა მაიკო, რადგან მე დილით-საღამომდისინ წიგნებში ვიყავი ჩაფლული.

— დილის სხივს აჰყევ, ბიჭო! თორემ ცხოვრება გაგიძნელდება! მზის ჭიატი გწამდეს ყველაზე მეტად და ბედნიერი იქნები! — მიმეორებდა, მინერგავდა თავის რწმენას.

ასეთი იყო დეიდა მაიკო, — ნიავისა და ყვავილების მეგობარი, მათი თანამზრახველი.

— აბა, შეჰხედე, მართლა და სასწაული არ არის ეს აყვავებული, აბრიალებული ხეები? თამარის ოქროს დალალი და ეს გადაფეთქილი ატამი განა ერთი არ არის?

მაგრამ დაგლეჯილი პატარა მწყემსი რომ გამოივლიდა, მაშინ მაიკოს აღარ ეცალა ბუნების მშვენიერებისათვის.

— მოიცა, პატარავ, მოიცა, აქ მოდი! — დაუძახებდა და პატარა ხანს უკან შინიდან გამოუტანდა მთელ პურს, ზედ თაფლს წასცხებდა, ისე უთავაზებდა... და ისევ განაგრძობდა:

— მზე რას ლაპარაკობს, ვარდივით რომ ამოდის ცათა ბროლში, არ იცი? მე ვიცი! მე იმ სხივის სურნელიც კი მომდის! — სიყვარულით იტყოდა დეიდა მაიკო.

— ჩიტის თვალით უყურე ქვეყნიერებას, მზეს ელაპარაკე, სანამ ბუდისაკენ წავა, ჩანჩქრის შხეფის წინწკალს ესაუბრე, კამკამა ჭავლს, ხასხასა ყანას, ბროლის ნიავს!

— ნიბლიას ჰკითხე რჩევა, ფერისულას, ენძელას, ატმის ყვავილს და იქნები მდიდარი!

— დედილა, დილილასა, დედილა, დილილასა! — თვალებში სიყვარულ-ჩამდგარი ეალერსებოდა აივნის სვეტზე ახვეულ გვირილას...

მახსოვს, ერთხელ მეტად ციოდა. თებერვლის ქარი უბერავდა. დეიდა მაიკო აივანზე გამოსულიყო, მარტოდ დაეგულებინა თავი, ეგონა, არავინ ჰხედავდა.

მაიკომ გაჰხედა ჯერ ისევ თოვლაუღებელ სერებსა და ღელეებს გაღმა, შუბლზე ხელი მიიდო და გასძახა:

— მალე მომიდი, გაზაფხულო, მალე მომიდი, მოგვეწყინა

ზამთარი, ხალხს პური გამოელია კიდობანში, მალე მოგვიდი!— და ისე შინაურულად ეძახოდა, ემუდარებოდა გაზაფხულს, როგორც თავის ახლობელსა, თვისტომსა და მეგობარს.

და უცებ, მე რომ დამინახა, დაიბნა: დამნაშავესავით მეუბნებოდა:

— რა ვქნა, ბიჭო გოგიავ, უმზეოდ ყოფნა არ შემიძლიან, მომბეზრდა ზამთარი! ახ, ნეტავ სულ ყვაოდეს, სულ მზე იდგეს!

თუ ეს კრიალა ცა, ეს აყვავებული ატმის ხე, საჩუქრად და ღვთის წყალობად არ ჩათვალე, არ დატკბი, არ გაიხარე, რაღა ფასი აქვს შენს სიცოცხლეს, დედილასა!

— რაღ გინდა დარდი, გადააგდე, თუ ჩემი ხათრი გაქვს! დარდი აბერებს! სიცილით იმუშავე, ვერ გაიგებ, დღე ისე გავა! ცხოვრება ტანჯვისკენ კი არ გვეძახის, — სიხარულისკენ! უნდა იმღერო, სიმღერა ნათელს ერთვის!

— ღმერთო მაღალო, ვინ გააჩინა ამდენი სილამაზე! მაგრამ ვინ იცლის მის საყურებლად? აგერ, გზად მგზავრები მოდიან და აბა, თუ შეამჩნიონ ღობეზე გადასული თეთრი ყვავილი ან იგრძნონ მისი სურნელება? ბედშავები!

მგზავრებს თეთრი ყვავილისათვის არ ეცალათ, თბილისიდან მოდიოდნენ დეიდა მაიკოს ნათესავები, თან ომის ამბავი მოჰქონდათ, იმ დღით ომი გამოცხადებულიყო! პირველი მსოფლიო ომი!

— უი, დამიდგა თვალი, ეაი ჩვენს დღეს! მილიონი ადამიანის სიცოცხლე გაჰქრება ერთ წამში, ჩალასავით დაიწვება. ხანძრების ენით აღიგვება დედამიწიდან ადამიანის ამაგდარი

შრომა! — მწუხარებით ამბობდა დეიდა მაიკო და მისი სული უკვე ნისლსა და თოფის კვამლში გახვეულიყო...

გაირინდა მაიკო. მისი თვალი აღარას ჰხედავდა, მის ყურს აღარ ესმოდა ბუნების ტკბილი ხმა, გულს—სიხარული. ახლა... თავისი ეზოც აღარ ესურვილებოდა. სტუმრებთანაც თავი შეიკრძალა, თითქოს ნათესავები კი არა, სულ უცხონი ესტუმრნენო, თუ წინათ ძალუა ჯერანას ალერსით მიესაყვარლებოდა ხოლმე:

— ყელზე დაგეხვევი, მუხლებში გემთხვევი, ძუძუებში შეგივარდებიო! — ახლა კი წასვლისას მშრალად გადაჰკოცნა, ისიც მასპინძლის მოვალეობით.

— ეჰ, რამდენი ახალგაზრდა დაიღუპება! — მუხლებში ხელებს იშენდა მაიკო.

მოხუცი ბიძა ლაშხია ანუგეშებდა: — რა ვუყოთ, ახალგაზრდობა ომში გამოიჯეკება, გამაგრდება, გაიწურთნება! უომრადაც არ ვარგა სიცოცხლეო!

— არა უშავს რაო! ქვიშანაჭამი ქათამი, — ქვიშანაჭამი ვაჟკაციო! უბირი, დაბდური ლაშხია ერეკლეს დროინდელი კაცის თვალით უყურებდა ომს, როცა ლომდარი ვაჟკაცების ხმლით შეხლა სწყვეტდა ბედს.

მაგრამ მაიკოს არა ეყურებოდა რა... თითქოს მის ეზოში უკვე შემოსულიყო ვიღაც სასტიკი, დამძალავი და მისი ვარდით აყვავებული ეზოც უკვე მოსჩანდა ნატიალევი, ნაოხარი, წალეკილი...

დაღონებული სტუმრები მალე წავიდნენ, თავის სოფელში მიეჩქარებოდათ. ომი იწყებოდა, ყველა თავის ბუდეს ეშურებოდა. ალაყაფის კარებამდის მივაცილეთ.

— სიცოცხლე ძაფზე უგია ქვეყნიერებას! — შეტირებული ხმით წარმოსთქვა მაიკომ, მერე ხელი ჩაგვჭიდა პატარებს და შინისკენ გაექანა ფეხაჩქარებით, თითქოს წვიმას უნდა შეასწროსო:

— სიკვდილის ყეფა ისმის, ავდგეთ, წავიდეთ, სიკვდილს დავემალნეთ!

— რას ამბობ, ჩემო რძალო, — ეუბნებოდა დედაბერი ნანუა.

— ცოცხალი კაცი ვერც მზეს დაემალება, ვერც სიკვდილს! რაც ქვეყანას, ის — ჩვენ! — გულცივად დასძინა ნანუამ.

— მშვიდობით, ყვავილებო, ჩიტებო, სისხლით მოისვრება მიწის პირი, კვნესით აივსება ცის სიმაღლე! გაჰქრება მზისობა, მწვანისნობა, გაშავდება სახედველი!

— რად გინდა ცუდგუნებიანი სიტყვა? — დასძინა პაპა ლაშხიამ.

გამტკნარებული დეიდა მაიკო სდუმდა... თითქოს მისი სამყარო უცბად ვიღაცამ დააბნელა, დაანგრია!

მოღამდა. აიძაგრა ღამის ბალანი. ადრე დავწექით, ჩვენ, ბალღები, შიშისგან მივეყუჟენით ერთმანეთს. ტანაძაგრულები, შეშინებულები...

*
* *

დაიწყო 1914 წლის ომი. ადგა ღორი გაუმაძღრობისა...

— ცას სირცხვილი იჭერს, თორემ თავზე დაგვექცეოდა — ამბობდნენ დროული კაცები.

სალდათი აკრიფეს...

ყველგან საფლავის კარები გაიღო.

ღამე ვარსკვლავი ცვიოდა...

— მორჩა, ხმელეთი გადაბრუნდა! დროება შეინძრა! — ზუზუნებდნენ დედაბრები.

— დიდი თადარიგი გვმართებს, პატარა ხალხი ვართ, საქართველოს მიწა შუბითა და ხმლით არი დახეული! ღმერთო, შეგვიწყალე! — ქუდი მოიხადა მოხუცმა ციციკორემ.

— წმიდაო გიორგი, მტრის ძალთა დამცემელო, შენ უშველე საქართველოს! ღვთიშობელო დედაო, ერთის შემხედვარის გულს ნუ ატკენ! ხორცით — ძვლამდე მოგვათმენინე ტკივილი, როგორც შენს შვილს დაუთმენია! — სასოებით შესცქეროდა ხატებს დაჩოქილი დედაჩემი.

ლეშით გამომტყვრალი ყორნები გვეზმანებოდნენ...

პატარა ბიჭები მუსრს ავლებდნენ ყვავებს, ყორნებს, ყიჭალებს, ყვანჩალებს, — მაგათ უნდა ამოკორტნონ მამაჩემის თვალებიო?

მახსოვს, შარაზე მოღანცალე მთვრალი ჩიტურა, ომში მიმავალი, ეტანებოდა გოგოებს.

— ერთი მაკოცნინეთ, გოგოებო, იქნებ, ველარ დავბრუნდე უკან; იქნებ, ყორნებმა გამინაწილონ! ვინ იცის, სად ჩავყარო ძვლები! გოგოებო, მადლი ჰქენით, ერთი მაკოცნინეთო!

დამფრთხალი გოგოები აქეთ-იქით გარბოდნენ, თუმცა კი გრძნობდნენ ჩიტურას სიტყვების სიმართლეს.

სევდიანი დღეები დადგა სოფელში, კვნესა, ზუზუნი... ზედაც გვალვა მიემატა.

უბნები მიყუჟდა... მთვარიან ღამეში არ ისმოდა გოგობიჭების სიცილი. გოგოები მოწყენით ქსოვდნენ ფარდაგებს

და ზედ წითელ-ყვითელი ასოებით ამოჰყავდათ დანიშნულთა სახელები:

„გვიტიას მოსვლას გაუმარჯოს!“

„ლევანას მტერი დაუმარცხე“ და სხვა.

მალე გაზეთებში დაიგრიხა ვილჰელმ მეორის ულვაშები, ამაზე ადრე გამოჩნდა გასანთლებული სახე „ჩვენი ხემწიფისა“, გაისმა აქამდე არ გაგონილი სიტყვები: „შრაპნელი“, „ცეპელინი“, „მაკენზენი“ „ჰინდერბურგი“, „კარპატი“, „სარაყამიში“. გაზეთებიდან სისხლი მოჟონავდა. ცაშიც თვითეულ ვარსკვლავს თითქოს ნაღმი ჰქონდა მიცემული და უცბად უნდა აფეთქებულიყო, დალეწილიყო ყოველივე.

— ტყვიის კურატად გავუშვი ჩემი ბიჭი! — ორღობეში გმინავდა ბებია მარიამი.

მეორე თუ მესამე წყებაში მაიკოს ვაჟი ვახტანგიც წაიყვანეს ომში.

მალე ჩვენი სოფლის ეზოებსა და ორღობეებში გახშირდა წივილ-კივილი, ლეჩაქების შემოგლეჯა, შეტირება, მდუღარების გადმობნევა, შავების ჩაცმა, ატირებული ბალღები, გულჩაკლული მშობლები...

წიქარა თუ შინდა ხარებს ყელზე ჩამობმულ ზანზალაკებსა და ეეკნებს აჭრიდნენ, რომ არ ეწკრიალნათ და მით მგლოვიარეთა, ჭირისუფალთა გული არ დაეჭრათ მათი შემბმელის დაკარგვის მოგონებით.

ვე დილიდან საღამომდის ვერ ავდიოდი ბრძოლის ველიდან მოსული წერილების კითხვას პატრონებისათვის და იქვე, საპასუხო წერილების წერას, რადგან წერა-კითხვა ბევრმა არ

ცოდა. ბრძოლის ველიდან მოსულ წერილებში კი ასეთი სიტყვები ეწერა:

— არ დაიდარდოთ...

— ჩემს სახელზე ჩემ ზურიკოს უყურეთ!

— ყანების დარდი გამოგვყვა!

— ვაზი არ გამიტიალოთ!

— ჩემს ცხენს მოუარეთ!

თან აიმედებდნენ ცოლ-შვილს: ნუ გეშინიათო: კიდევაც მოგივალთო და კიდევაც გაგახარებთო, ოღონდ ჩვენს მოსვლამდის გასძელითო.

დაღუპულთა შესახებ ჩონგურზე ლექსებს გამოსთქვამდნენ; კვნესით აგებდნენ სიტყვებს, ყველას გული დარდისაგან ჰქონდა გაცხელებული. ცრემლი ყელში ებჯინებოდათ.

იქ კი — კარპატებში, გალიციის ველებზე, ვარშავასა თუ არზრუმში, ერზინჯანში, ბელორუსიის ჭაობებში ჩაღუპულთა სიკვდილი გულს ჭინჭრით ადუღებდა; ძმას მხარს მოსტეხავდა, მოკეთის გულს დასჩაგრავდა, მამას წელს მოსწყვეტდა, დედას — შავად ჩამოაბერებდა... თვალთაგან ჩამონადენი კურცხალი ჩონგურის სიმებს ალბობდა... ბევრის კუნწულა ცოლ-შვილი ობლად, ოხრად რჩებოდა... სოფლის ხატებს საღვთოებსა და სამპირ კელაპტრებს აღუთქმიდნენ შინდარჩენილები, წასულთა მშვიდობით მოსაყვანად.

„შორ და მშვიდობით წასულნი“ კი, წერილებში ჩიოდნენ თავის სატანჯველს: ამხანაგების დაღუპვას, უწყალო სიკვდილს, სანგრებში ჭუჭყს, წყლის გუბეს, აგურივით „არეანოი“ პურს...

— ვინ დაგვიტირებს, ვინ დაგვიჯდება გვერდით, ვინ დაგ-

ვაურის ცრემლებს? ყვავები თავს დაგვტრიალებენ! ხის ჯვარი და ამოსული შამბია ჩვენი ბოლოო! — იწერებოდა ზოგი უფრო უცოლშვილო, უპატრონო: ღვინით მითხარი, ძმაო, შენდობაო, სიზმრად ვნახე, რომ ვარსკვლავი მოსწყდა მაღლიდან, დაბლა დაენარცხაო, ვეღარ მოგივალთო და უმეტესად ვეღარ მოდიოდნენ „სისხლის არყით მთვრალები“.

მაიკო დეიდა იყო მგლოვიარეთა ნუგეშისმცემელი, თანამოჭირისუფლე, მათთან ერთად გულდამდნარი. თითონაც შიშითა და გულის ხეთქებით ელოდა შვილის წერილს. ბრძოლის ველიდან იმედიანი წერილები მოდიოდა, მაგრამ ქვეყნის ცრემლი უგმირავდა გულს. რამდენი ღამე თეთრად დასთენებია!

და ერთ დღეს, — ხარება და გახარება მიადგა მაიკოს სახლკარს! ომში დაჭრილი და განკურნებული ვახტანგი მცირე ხნით შინ გამოუშვეს ბრძოლის ველიდან.

მთელი უბანი დღესასწაულობდა. მაშინვე პურობა გაიმართა, კოცნისაგან ლოყები გაუცვითეს ნაომარს.

მაიკოს გულს ღამე გაუთენდა, დანართვილარი გული მოუთბა. პირს შუქი ამოეფინა, მისი წილი მზე განათდა.

— კიდევ შეგხედო, კიდევ მიყურე, თვალი დამიტკბე! — არა ცხრებოდა დეიდა მაიკო და შვილს თავს ევლებოდა. ხან ტიროდა, ხან ეღიმებოდა.

ვახტანგი გარდასხვაებული მეჩვენა; ღიმილი სულ დაჰკარგოდა, სახეს მკაცრი იერი მისცემოდა. თითქოს ამ წუთს სხვაგან არიო. აბნეულად ლაპარაკობდა:

— ზარბაზნის ალზე ვერასა ვხედავდიო, მშობიარე დედაკაცივით მოჰკიოდა ყუმბარაო, ყუმბარის ხმაზე არაფერი მესმოდაო!

განა იმას მოვიფიქრებდი, რომ პურმარილი კიდევ შემრჩებოდა? განა მართლა კიდევ ვზივარ სუფრაზეო?

— ქაშს რო ვჭამდით, ვიტყოდით, — ის კაცი ქართველი არ არის, შინ რომ დაბრუნდეს და ომში დაღუპულის სადღეგრძელო არ დალიოსო! — ვიძახოდით, გვეღირსება განა, ჩვენ ქართველებს ჩვენს ქვეყანაში მისვლა და ღვინის დალევაო? — მე ვიტყოდი: კიდევაც მივალ და კიდევაც დავლევ-მეთქი! აჰა, თუ არა!

ვახტანგმა ხელთ აიღო ჭვარტლიანი კათხა და სულ პირველად არდაბრუნებულები ადღეგრძელა, — იმათ გაუმარჯოს, ჩვენ რომ პატარა პურმარილი დაგვინარჩუნესო.

შენაჯგუფარი დედაკაცები ტიროდნენ... ეკითხებოდნენ:

— როგორ გადარჩი?

— სიკვდილს გამოვექეცი! წმიდა გიორგიმ ცხენზე შემისვა და გამომაქროლა! მეტი აღარა მახსოვს რაო! — გულმართლად ამბობდა ვახტანგი.

დეიდა მაიკო პირჯვარს იწერდა, წმიდა გიორგის და პირიღვთისას ახსენებდა, თან შალის ძველას ვიწრო მხრებზე იხურავდა, იწურავდა...

— კიდევ გვიამბე, კიდევ, — ეხვეწებოდნენ ვახტანგს. ისიც სიზმარნანახივით ჰყვებოდა წყნარად:

— ბრძოლის ველი? ნეტავ თქვენ, რომ არ გინახიათ! თუმცა მზეა, მაგრამ სულ ბნელაში ვართ, — ყუმბარისა და ზარბაზნის ბოლში! ზღვის შესაწონი სისხლი იღვრება. რა ცოდვას სჩადიან ეს ხელმწიფეები, დაიქცეს ამათი რჯული!

დედაკაცებს შეაჟრჟოლათ ამ უცნაურ და თამამ სიტყვებზე.

— მაშ, სანდალა ყუმბარამ დაგლიჯა, უცრემლოდ ჩავიდა საფლავში?

— დიდი საძმო საფლავი ამოსჭრეს მინდორზე და ყველა შიგ ჩაყარეს, იმ ადგილის მეომარი! სანდალას ნაგლეჯებიც იქ ჩააყოლეს!

დედაკაცები გლოვობდნენ ჭაბუკი მეზობლის დაღუპვას. ზმუოდნენ, ზუზუნებდნენ, ძუძუებს იხოკავდნენ, თავში იშენდნენ.

— ასეთი ცეცხლი ჯერ ქვეყნიერებას არ უნახავს! — განაგრძობდნენ დედაკაცები.

— ეს ოხერი წუთისოფელი სულ არაფერი ყოფილა! — დასძინა ვიღაცამ.

— როდის უნდა დაბრუნდე ომში?—შეეკითხნენ ვახტანგს, როცა ლაპარაკით გული მოიჯერეს.

— არა, არა! ჩემის ცოცხალის თავით არ წავალ! — წამოიძახა შემკრთალმა ვახტანგმა. — ტყეში გავვარდები, გინდ აქ გაუგლეჯივარ ნადირს, გინდ ომში — ყუმბარას! ჩემი მიწა მაინც დამეყრება გულზე!

— არ გაგიშვებ, გინდ თითონ ხელმწიფე მოვიდეს შენ წასაყვანად! — გადაეფარა მაიკო, რომლის სახეზე ერთად ისახებოდა დედობრივი სინაზე, სევდა და თრთოლა.

— არ წავა, არ გავგზავნი! — გადაწყვეტით თქვა დეიდამ და ხელი მაღლა ამართა, მაგრამ უცბად ხელი მოწყვეტით ჩამოუვარდა მწუხარებით შეძრწუნებულს:

— ეჰ, რამდენია ჩემი შვილისთანა, იქ, ტყვიის წინ?! განა ჩემი შვილები არ არიან? — ეს არის დასაკვნესარი! — დასძინა

ბოლოს, — რომ არ წავიდეს ვახტანგი, ქვეყანას ამით რა ეშველება?!

მეზობლები და თვითონ ვახტანგიც თითქოს პირშეწბილებულნი მისჩერებოდნენ დეიდა მაიკოს, რომელსაც თავს შავი ფიქრები დასწოლოდა, თუ თავნამქრიანი ღამე, შავკუპრი ამინდი... და არსად იყო მოსაფონარი.

ვადა გავიდა. ნაიძულები ვახტანგი ისევ ომში წაიყვანეს. დედა-შვილი ბედს დამორჩილდნენ.

რაღა დარჩენოდა დედას, გარდა მოლოდინისა და მღელვარებისა? იგი მხოლოდ სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა სცხოვრობდა მუდმივ ურკვეულობაში.

კიდევ ზღვის შენადენის ოდენი სისხლი დაიღვარა, მრავალი დაიღუპა, ტყვემყოფელი ვახტანგი აღარ დაბრუნებულა; სადღაც გადაითესა, ჩაიკარგა უნგრეთსა თუ პოლონეთში.

დეიდა მაიკო კი, ისევ ისე შრომობდა, ფუსფუსებდა საფუტკრეში, ბოსტანში, უძღვებოდა ოჯახს, ისევ გადაქანცული, ნაცვეთი ხელებით, მკერდშეოფლილი, სახეამწვარი, მოჭირნახულე, შრომობდა და... უჩინრად დნებოდა. მზეშუქი აღარ უხაროდა, ყვავილებს აღარ სთესავდა, სულ შეიკეტა თავის გულში, რაღაც უნდოება დაეტყო წუთისოფლისადმი, თავს მოტყუებულივით გრძნობდა ცხოვრებისაგან. აკი შავები აღარ გაუხდია და აღარც ბასმაში გავლებულ ყვავილიან ლეჩაქს ატარებდა ქვეყნისა და ბუნების დამგლოვიარების გამო!

ხომ ბუნების მეცნიერი იყო, ბუნებისა ყოველივე ესმოდა: და ახლაც, როდესაც ცა წამოცრემლავდა, მაიკო დანანებით იტყოდა, — განა არ გესმით, როგორ სტირიან მამები დახოცილ შვილებს?!

ხოლო მთებიდან ჩამოსული ჯანღები რომ დაედებოდა მიწას, დეიდა მაიკო ამოოხვრით გვეტყოდა: — ეგ ნისლი დედებისა და ქვრივ-ობლების ცრემლებმა დააყენესო!

კიდევ გაასურნელა მაისმა ქვეყანა, მაგრამ მაიკოსათვის ეს ქვეყანა მხოლოდ ჭვარტლითა და ბურით იკვამლებოდა. აღარ ჰქონდა ხალისი, მხოლოდ ჩიტთა ფაფობას, ნაფოტებზე წასმულ ფაფას უდგამდა ჩიტებს, ესლა იყო მისი ჩიტებთან საუბარი!

ცა ფირუზთვალა ბრწყინავს. ხე შუქით იბურება, ბალახი ბიბინებს, სიო ცეკვავს ლერწმის წვერზე, ვერხვი ვერცხლურად შრიალებს, ცაცხვი სურნელობს, ჩქეფს დაზვინული ტოტი მდინარისა, ბროლტანა ჩანჩქერი გრიალებს ალმასური მტვერით. ამდგარა ძალა სიცოცხლის სულისა, სიცოცხლე მღერის! დეიდა მაიკო კი ჩაკეტილა თავის გუნებაში, თითქოს მისთვის უხილავი იყოს სხივნარა სამზეო, ლურჯი ცის ხასხასა მდელო, მოლი, ხევნარი, ხილნარი! თითქოს აღარას ეუბნებოდეს მას სავსე მინდორი, ბურვილი ტყეგუმბათი, ვაზისყვავილი, გულისმოსალხენი მწვანოსნობა, ფერობა, ფურცლიანობა, დილის ცვარდაცვარული მინდორი, — ხმატკბილობა, ფრთოსანთ ერიამული, ბუნების საწადელი ხმა!

რა უყვეს, სად მიმალეს მისი გუნება? დაქვრივებისას ამდენი არ უგლოვია! ომის ყოველი ამბავი, მეზობლის დაღუპვის ცნობა მის ნაზ გულს სდაღავდა, სჭრიდა, ჰკეპავდა!

დიდხანს ელოდა დიდი მოლოდინით დეიდა მაიკო თავის შვილს, ელოდა და ბოლოს დარდით დანაღვლებული, შავსახადშეყრილი, ვახტანგს ზედ გადაჰყვა...

მაიკო დეიდა აღარ არი ამ ქვეყანაზე, მაგრამ დღესაც ისევ

ჰყვავიან მისი ეზოს ხეები, მისს ღობეზე ისევ გადმოკიდულა ის თეთრი ყვავილი, და მე მგონია დეიდა მაიკოს ღიმილი ამ ყვავილებშია გადასული და იმ სურნელოვან სპეტაკ ფურცლებიდან მესაუბრება სიცოცხლის სიყვარულზე.

დეიდა მაიკოს სახლთან, შარაზე რომ გავიელი, ფეხს ავუჩქარებ ხოლმე, იქნებ, დეიდა გამოვიდეს ეზოს კარებიდან; მის ეზოში ნიავი რომ გამომიქროლებს, ასე მგონია, დეიდა მაიკო მეგებება ჩვეული ალერსით.

ახლა სხვა ცხოვრობს მაიკოს ეზოში, მაგრამ მაიკოსეულ ბოსტნის კვლები ისევ სიცოცხლით ხარობენ და საამოდ მფშვინვარებენ. სიცოცხლე ერთი წამითაც არ შეწყვეტილა, არ დამარცხებულა, ცხოვრებაც ისევ მიდის თავისი გაწამაწიით.

ისევ ბრწყინვალებს მწყაზარი, ვარდმოფენილი, სინაზიანი, ციაგიანი, გამომცინარი დილა; ისევ ხასხასებს დაწმენდილი ფოთოლი. ისევ ელვარებს გაშალაშინებული ტბა, დაცვარული მინდორი — როგორც ბავშვის ტუჩები, დედის რძეშეფრქვეული.

სიცოცხლე უკვდავია, დაუმარცხებელი! განა ტყუილად ამბობდა დეიდა მაიკო:

— არა, სიცოცხლე სიკვდილის ყმა არ იქნება, არასოდეს! დილილა დედილასა!



სოფლის შარაზე

შუადღის სიცხე ანთია სოფელში. სიჩუმეს მხოლოდ ორღობეში ჭრიჭინობელას დამღლელი ჭრიჭინი არღვევს... გზას სძინავს...

ყოფილი სემინარიელი, ანარქისტი იორამ, სოფლის შარაზე მოაბოტებს.

იორამს ლურჯი სატინის ხალათი აცვია, აბრეშუმის ფუნჯაღვედით შემოჭერილი.

ზამთრობით პალტოს საყელო მუდამ აწეული, თავზე აუცილებლად შავი „შლაპა“.

ლაპარაკისას ქუდს იხდის და შავ ფაფარს უკან გადაიყრის. ხშირად შევსწრებივარ:

მოპირდაპირე მხრიდან ზანტად მოაბიჯებს შუახნის მღვდელი ზირაქი, „სანთლიკუდა“ დიაკვანთან ერთად.

მღვდელი ცერად იყურება და სოფელში „ცეროს“ უძახიან ზედსახელად.

„ანარქისტი“ იორამი წინ გადაუდგება მღვდელს და თავისი ბოხი ხმით, ისე, რომ ქვემო-უბანში ესმით, დაიწყებს:

— შენ ჰეი, მღვდელო, მითხარ, რამ შეჰქმნა ქვეყანა?

— ღმერთმა, უფალმა, — ფიცხად მიუგებს მღვდელი და გაბაგრძობს: — აბა, ვინ შემოსა ცა ღრუბლით, ზღვა ვინ შემოადგინა მიწას; ქვეყნის სივრცე, სიღრმე ზღვისა მაშ ვინ გაზომა, თუ არა ღმერთმა?!

— კარგი და პატიოსანი! მაგრამ ესეც მითხარ, მღვდელო, ვინღა შექმნა ძონძი, ჭუჭყი, ჭლექი, ტალახი, ხომ შენმავე ღმერთმა, არა?

— ღმერთს სცოდავ, ჯოჯოხეთის ნახეთქო! გეყო ცეცხლთან თამაში, შე ხანძრის მთესველო! — აენთებოდა მღვდელი.

— ნახვამდის, მამაო, მალე შენი თმიანი თავი გილიოტინის ცულქვეშ მენახოს! — და ქუდის მოხდით, გესლიანი ღიმილით დაემშვიდობება იორამი. შენაწყენებული მღვდელიც ბოროტ სიტყვას დაადევნებს:

— ღმერთმა შეგასწროს შენს აღთქმულ სამეფოს — რძითა და ერბოთი მჩქეფარეს!

ანარქისტი ქვემოდან შემოსძახებს:

— ღმერთმა მალე შეგასწროს გილიოტინას! ფრთხილად

იყავი! ხალხის გამარჯვება მზადდება, მეფენი საფლავში ეშვებიან!

— მთავრობისა მაინც გეშინოდეს, შე ანტიქრისტე, თუ სინდისისა არა! — მიჰყვირის მღვდელი.

— მზად ვარ, პირველმა მივიღო ბრძოლა კაცობრიობის თავისუფლებისათვის! კლდეზე გადავჩეხ თვითმპყრობელობას! — მიეწევა უკან დაბრუნებული ანარქისტი მღვდელს.

— რის იმედით, რის იმედით, იუდავ ისკარიოტელო?

— მძლავრ კაცს გული აწონილი აქვს, ბნელეთის ნალექო! რწმენით მთის დადნობა შემიძლიან! — და ისევ გამოსცილდება იორამი, ზევითკენ წამოვა.

— სულმოკლე მანიაკო! — შესძახებს მღვდელი მით უფრო თამამ სიტყვებს, რამდენადაც მანძილით შორდება ქვემოთ' მიმავალი ანარქისტი.

ხშირად გზის ყურეში იორამი დაიჭერდა ბავშვებს და თავისი კარნახით ამეორებინებდა:

— „ძირს მეფე, ბატონი, მღვდელი, პოლიციელი!"

მღვდელს არ ესმოდა, მაგრამ ტანით გრძნობდა და გულში ბურდღუნებდა:

— მოიცა, შენც ნელი-ნელ შეგწოვს ტვინის გამლაყებელი სოფლის ცხოვრება, ცოტა დაიცა, ჯერ ახალი ხილი ხარ!

მომხვეჭი მღვდლის ხელში მუდამ დაჩაგრულმა დიაკვანმა, ახლა კი გულში იორამის მიერ მღვდლის დამცირებით დიდად ნასიამოვნებმა, მლიქვნელობით შეუკმია:

— ეჰ, მამაო, სადღა არის განკრძალვა ქვეყანაზე! რა უკადრისი სიტყვები გაკადრათ!

— მერე, რას შემეცილება? — ამბობს დიაკვანთან დარცხვენილი და ცეცხლმოკიდებული მღვდელი.

— რასა ბრძანებთ, — მლიქვნელის გემოთი იტკბარუნებს პირს დიაკვანი: — რასა ბრძანებთ, თქვენი სახელი ცამდის არის ამდენარი! ჯერ მე რა ვარ, რომ პირში გიჭვრეტთ და ის ურწმუნო რა ღირსია თქვენთან ტოლის დადებისა? — აღარ ათავებს გუნდრუკის კმევას კალთაჩახეული დიაკვანი.

— საშიში კაცია, დიაკვანო, ფარულად ყუმბარებს ამზადებს, ქვეყნის აფეთქებას აპირობს, ხომ იცი, ცოლ-შვილის პატრონი ვარ!

ანარქისტი მართლაც საშიში იყო...

მეტად ფიცხი, ფეთიანი ხასიათისა.

წემინარიის რექტორისთვის სილა გაერტყა და მისთვის გამოაგდეს „მგლის ბილეთით“ მეხუთე კლასიდან.

— უჰ, თავისუფლების სურვილმა შემომიტია! — დაიძახებდა ზოგჯერ იორამი და თვალებს ააელვარებდა.

ერთხელ, მახსოვს აივანზე წიგნს ვკითხულობდი. გავარვარებული შუადღე იყო. ვხედავ აივანზე ამოვარდა აგზნებული, თვალებგაფართოებული იორამი და შემომყვირა:

— კაცო, არ გესმის?

— რა?

— მიწის ქვეშიდან ხმა ისმის! აბა, ჩამოდი ყური დაადე მიწას! — და ძალით ჩამათრია კიბეზე.

— აბა, ყური დაადე, როგორ გუგუნებს! ხომ იცი, რასაც ჰნიშნავს?

— რასა?

— იმას, რომ მოდის... მოდის!

— ვინა, ვინ მოდის?

— მოდის, გუგუნით, ჭექით, ძლიერებით მოდის — რევოლუცია!

მე გაოგნებული შევყურებდი...

— განა არ გესმის? — გაცოფებული მღელვარება, დელგმა, ნიაღვრის როხი, ჰაერშიც თოფის წამლის სუნი ტრიალებს.

შუადღის სიცხე ანთია სოფელში და სიჩუმეს მხოლოდ ჭრიჭინობელას დამღლელი ჭრიჭინი არღვევს...

ბორგნეულ და მრისხანე ანარქისტს ყველა ერიდებოდა. მისი „ყუმბარებისა“ ეშინოდათ. ამბობდნენ, საბძელში ფარულად აკეთებსო და როცა მოინდომებს, მთელ სოფელს ააფეთქებსო! დედაკაცები ისე არ ჩაუვლიდნენ შარაზე მიმავალ ანარქისტს, რომ მალულად პირჯვარი არ გადაეწერნათ:

— ღმერთო მაღალო, ღმერთო ძლიერო, შენ დაგვიფარე უბედურებისგანაო!

მართლაც, საშიში და უცნაური იყო იორამი! მე მინახავს იორამი ადიდებულ იორთან მდგარი და სწორედ მაშინ შემიცვნია მისი აბორგებული და დაუდეგარი ბუნება!

...მოდის, მოჰკივის ვეფხვის კრჩხიალით აღვარებული, გაზაფხულის პირზე განრისხებული, გაგიჟებული, ღვართქაფიანი იორი, თან მოათრევს ძირფესვიანად მოგლეჯილ ხეებს, ხერგებს, წისქვილის დოლაბებს, ორღობის ნამტვრევებს და მოლოკილ მიწას! მოჰყივის ველური ყივილით, განგაშით ჩაშავებული, შესაზარი!

იორამი კი ნაპირზე იდგა იორის ცქერაში ჩამტკბარი, მთლად გალურსული, მის ნიაღვრიან სულს მეტად ეთვისებო-

და აღვართქაფებული იორი, არწივისა და მერნის ფრთებით რომ მოჰქროდა აბორგებული და ნაზავთარი.

იორში ჩამჩქეფარე გაცოფებული ხევები აძლიერებდნენ ზარსა და ზრიალს, მდინარეს ესართებიან, ქაფშეტყორცნით ეკვესებიან და აღელვებულ მკერდს უჩოჩქოლებენ...

როგორ უხაროდა იორამს იორის ადიდება! ეს იყო მისი ნამდვილი სტიქიონი!

— ფრთა გაუშლია იორს, დახე, რა ლამაზია! როგორ აფეთებს თვალებს, როგორ იყრის ფაფარს! — და უხაროდა იორის ღვარცოფი, მდინარის დაუტევრობა, მისი განიერი ფრთები. დელგმა და ზათქი!

მართალი გითხრათ, გავოცდი, როცა ივრის პირად მარტოდ-მარტო მდგარი იორამი დავინახე ადიდებულ მდინარესთან მოლაპარაკე.

— ეგრე, ეგრე, შეაზვინე ზვირთი! მძულს მდორე და გუბე! ეგრე შეულეწე მტერს გული! ყბები ჩაუმტვრიე! გაწმინდე შმორი, გაასუფთავე ჰაერი! ვიშ, სიცოცხლის ხუნი ტრიალებს!

— რა გენაღვლება, რომ წაიღო ჩვენი ბოსტნები, სიმინდები, ვენახები, სათიბები, ნერგი აღარ შეგვარჩინა და ვაზი! გაგვძარცვა, გაგვლოკა, გაგვატიალა! — შესჩიოდა მეზობელი გლეხი აღტაცებულ იორამს.

იორამს კი თვალი ვერ მოეშორებინა აზვირთებული მდინარისათვის.

— ეგრე, ვეფხვო, ეგრე იბობოქრე, სიცოცხლე მაგრძნობინე! უჰ, შენი ჭირიმე!

ხოლო როცა იორი ჩამოიკლებდა, დაწყდებოდა, და-

წკნდებოდა, დაპატარავდებოდა, პოეზიის მოძულე იორამი ასე ტკბილად, პოეტურად მიუალერსებდა:

— კიდევ გამოდი ძოვნად, ირემო. კიდევ მიჩვენე ფრთები, ქოჩორა მტრედო!

იორამს ის აწუხებდა, რომ მრევლი არა ჰყავდა.

თუ სოფლის სახარაზოსა და დუქნის წინ დაიჭერდა სათავისოდ ორ-სამ კაცს, უფრო შიშით თუ ხათრით ყურისმგდებლებს, აგზნებით ჩაჰკირკიტებდა:

— ანარქიზმის მეტი არა გვიშველის რა! საერთმანეთო, სამთელქვეყნო, დიდი აზრი, დიდი ცეცხლი უნდა გავაღვიოთ! კასპიის ზღვა შავ ზღვას ვჰკრათ! ძველი ქვეყანა უნდა ავაფეთქოთ დაუყოვნებლივ, რაღას ვუცდით!

შიშით ვერავინ უბედავდა შეკამათებას, რადგან ყველას სჯეროდა, რომ ანარქისტს ორივე ჯიბე „ბომბებით“ ჰქონდა გამოტენილი.

— გეყოფა, ძმობას, რა დროს აფეთქებაზეა ლაპარაკი, შე დალოცვილო! — შებედავდა ერთადერთი, ისიც უფროსი ძმა ძუნძგლი, — ხანში შესული, დამკრთალი, შესეტყვილი კაცი, დადუნებული ხელებით, თოვლივით გაწყალებული გუნებით.

ძმებს ხშირად ჰქონდათ შეხლა-შემოხლა და კამათი.

ორივენი უცოლშვილონი იყვნენ შეძლებული მამის დანატოვარ სამკვიდროზე.

იორამი სემინარიიდან დაითხოვეს, ძუნძგლიმ ოცდაათი წლის წინათ დაასრულა სემინარია და მას მერე სოფლიდან ფეხი არ მოუცვლია. ერთთავად წიგნებში იყო ჩაფლული, ანარქისტი კი ყუმბარებს ამზადებდა სამყაროს ასაფეთქებლად.

ყველაზე უმეტეს ძუნძგლის მყუდრო, უშფოთველი ძილი

უყვარდა, თითქმის ქათმებთან ერთად იძინებდა, ქათქათა ლოგინი უყვარდა, ლოგინს გაასწორებდა, ჩაჰკუჭავდა საბნის ნაპირებს, ჩაიგებდა საბნის ყუას და სიტკბომიცემული, უკვე მწოლარე, ძმას ღიმილით გადმოსძახებდა:

— არ მიყვარს ხეტიალი და აჯანყება! ამას რა სჯობს, რა ტკბილია შენი სახლი — შენი საყუდარი! მივეყუდრები მოგონებებში და ვარ ჩემთვის, მზის მადლმა!

ერთხელ, მეც ვკითხულობდი გერცენს, სპენსერს, კრაპოტკინს, მაგრამ... რა გამოვიდა? ეჰ, ესე სჯობია. ოცდახუთი წელიწადია ამ ტახტზე ვწევარ, მე და ჩემმა ღმერთმა! ყველას თავისი ღმერთი გვყავს. მე ჩემი ღმერთი მწამს.

ახალგაზრდობაში მხოლოდ თავისუფლების ოცნებას ვსდევდი, ქარიშხალთან მინდოდა მეცხოვრა! ახლა... ღუღუნა ბუხარი! ცა გასკდა, დედამიწა ჩაინგრა, ბუხარი კი დარჩა! ბუხარი და ორი კაცი! მეტი არა, მესამე მყუდროებას დაგვირღვევს!

მართლაც, მხოლოდ საათის წიკწიკი არღვევდა მის სიმყუდროვეს. ბუხარი მტრედივით ღუღუნებდა, კედელზე გაკრულიყო ცეცხლის ნათელი აჩრდილები...

ძმა გამოსძახებდა მეორე ოთახიდან.

— სიწყნარე მხოლოდ იალბუზზეა! მერე, განა შენ არა ბრდღვინავდი წინათ, ფაფარაყრილი? შენ არ იყავი, გიტარაზე რომ დამღეროდი:

„მოვკვდეთ ხალხის გულისთვისა,
ფურცელი ვართ მაღლის ხისა!“

— რა ვუყოთ მერე, მე ახლა ჩამოცვენილი ფურცელი ვარ! ვინ დაემდურება დაცვენილ ფოთოლს, რატომ არ შრიალებ

მთვარიან ღამეშიო! მე, ჩემო ძმაო, რაღა მესაქმება რევოლუციასთან? ნეტავი, შენც დროს არ ჰკარგავდე ტყუილად და მუდროდ იცხოვრო! მშვიდობა და მუდროება მიყვარს, ჩემს სახლში, ჩემს კერაზე; ჩემი ეზო და ნამყენი, ჩემი ქოცო! მიყვარს ბოსტნიდან რეჰანის სურნელს რომ შემომიქროლებს ნიავი, მიყვარს, როცა კოპობში ჩუხჩუხებს წითელი ლობიო, ქინძითა და შინდის ჩურჩით შეზავებული. ზედ ცოტა ნივრის წნილიც... რა სჯობია?

რად მინდა ბრძოლა, ხმაური, განგაში, აურზაური, ყიჟინა, რბევა, კაცის სისხლი? — იძახოდა ძუნძგლი, — ხომ სულ წყალს უნდა მისცეს კაცის შრომა, ოფლი და ამაგი? განა, მიწისთვისაც ადვილია? მიწასაც უმძიმს...

— მაშ, ბრძოლა ხალხის თავისუფლებისათვის არაფერი ყოფილა? — რისხვეულად შეეტაკებოდა იორამი.

— დიახაც! მთა და ბარი არასოდეს გასწორდება!

იორამი ჩაიქნევდა ხელს.

— მაგრამ, კანტი, მილლი, სპენსერი, პლეხანოვი, კრაპოტკინი...

— თუ გინდ კიდევაც მიუმატე ისო ზირაქი, სოლომონის ეკლეზიასტე, მაინც ყოველივე „ამაოება-ამაოებათაა", ჩემო ძმაო.

იორამი კი ბობოქრობდა, მზად იყო თავი შეეკლა თავისი რწმენის გულისათვის! არც თავის უფროსსა და პატივცემულ ძმას ერიდებოდა. ძმობა და სახლიკაცობის სიყვარული ითურგნებოდა.

ძმას ტკბილად, ნეტარყუჩობით მიეძინებოდა. ძილში ცხვებოდა... ცა ქათქათებდა, იასამნის ბუჩქი მთვრალ სურნელებას გამოსცემდა... იორამი კი, მარტოდმარტო, აივანზე ბოლთასა სცემდა... ირგვლივ მდორე ცხოვრება იშმუშნებოდა...

გულჩათხრობილ იორამს ჩუმი და ნაზი სიყვარულით შეჰყვარებოდა მამასახლისის ქალი, ძუძუმკერდა მერცია.

მერცია ლაღი, ხორციელი, საღერღელ-აშლილი ქალი იყო, კალმახივით დახტოდა, უყვარდა სიმღერა, ჩალეკურება.

იორამი უწმინდესი სინაზით და „აღსურვებით“ ეტრფოდა!

„ვნებათა ქვემდებარე კაცი — ვერ განმხედველი გონებისაო“ — ძველი ნათქვამია!

მახსოვს, მკათათვის მთვარიან ღამეს, ჩვენი სოფლის ახალგაზრდობას ორღობეში წინ მიგვიძღოდა იორამი და გვამღერებდა:

„აღსდეგ, მშიერო, მუშათა კლასო!“

კალოებზე იღვიძებდნენ მთელი დღის ნამაშვრალები, ძილგატეხილები, მაინც სიამოვნებით ყურს უგდებდნენ ჩვენს სიმღერას.

ახლა მოვაყოლებდით „თამარის დროშა გაშალეს!“ ეს სიმღერა იორამისგან აკრძალული გვქონდა, მეფეზეაო, არ შეიძლებაო! მაგრამ ჩვენს რიგებში ჩამდგარი მერცია რომ ხმას დააწკრიალებდა, იორამი სულ იბნეოდა, ლამის თავისი „ყუმბარები“ გასცვივნოდა ჯიბეებიდან!

იორამის ერთადერთი თავშესაფარი გარსიას სახარაზო იყო, მისი ერთგული დასამხრისი. სახარაზო — იორამის კლუბი იყო, მისი ფორუმი. აქ ქადაგებდა, აქ მძვინვარებდა. თბილისის გა-

ფიცვებში გემოაღებული გარსია იორამის ერთადერთი და უკანასკნელი მოწაფე, აღტაცებით უსმენდა მასწავლებელს.

გარსიას ცალი ფეხი იაპონიის ომში დაეკარგა. მერე ხარაზობა შეესწავლა, ადელხანოვთან ემუშავნა თბილისში; იქ 1905 წლის გაფიცვებისათვის გაეციმბირებინათ და ციმბირიდან გამოქცეულს ჩვენი სოფლისათვის შეეფარებინა თავი.

პირბადრი კაცი იყო გარსია, ზრდილი. სოფელში უქებდნენ უანგარობასა და სიმართლეს. ხუმრობა უყვარდა. შეკითხვაზე, როდის იქნება მზად ჩემი ფეხსაცმელიო, მიუგებდა:

— გოჭის ხუთშაბათსაო!

სწორედ გარსიას სახარაზოში ვუკითხავდი ხოლმე გლეხებს ჩემს ბალღობაში ილიას, აკაკის, ვაჟას, აკაბეგისა და ეგნატე ნინოშვილის ნაწერებს.

— აი, გასძეხ კარგი მზითა! — მეტყოდნენ ხოლმე წაკითხვისას ისეთი მადლიერებით, თითქოს თავად დამეწეროს ეს წიგნები!

მაგრამ, ერთხელ, „ელგუჯას“ კითხვა რომ ჩავათავე, მოწონებითი სიჩუმის შემდეგ, გარსიამ თავი მაღლა აიღო, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა, მერე თითბრის ყვითელი მუშტა საძირე ტყავს დაჰკრა და მითხრა:

— ვის ათბობს მზე და მთვარე, რატომ იმაზე არ გვეტყვი! აბა, თუ ბიჭი ხარ, „გილიოტინას“ წიგნი წაგვიკითხე!

მე განვცვიფრდი. თუმცა სიტყვა „გილიოტინა“ გაგებული მქონდა! სწორედ იმ ხანებში წავიკითხე ფელიქს გროს „მარსელელნი,“ მოთხრობა საფრანგეთის რევოლუციის დროიდან, — მაგრამ, მაინც ვერ მივხვდი, რომელი იყო „გილიოტინას“ წიგნი...

ამის შემდეგ „მარსელელებთან“ ერთად, ზოგი რამ სხვაც საფრანგეთის რევოლუციიდან წავუკითხე და აღფრთოვანებული გარსია მოწონებით იმეორებდა რევოლუციის დროინდელ ზოგ გამონათქვამს:

— როცა მეფე ცოცხლობს, ჩვენ ვიხრჩვებით!

— თავისუფლების ხე ტირანის სისხლით ირწყვება, სხვაგვარ ვერ გაიდგამს ფესვებს, ვერც აყვავდება!

გაუგონარი სიძულვილით სძულდა გარსია ხარაზს ნიკოლოზ მეორე, ერთი პატარა ლაქუცა ძაღლი ჰყავდა, „ნიკალაის“ ეძახოდა.

მერცია გათხოვდა ჩაფარზე...

იორამი გამწარდა, მთლად მოდუნდა. ღონე და მოთმენა გამოელია.

ქვეყანა მისთვის ჯოჯოხეთად იქცა.

„ფათერაკი ვანუა“ ახლა ორგვარად ჰზვერავდა იორამს, — როგორც „ბუნტისთავს“ და როგორც მეტოქეს.

მთლად გულაცრუებული შეიქნა იორამი ცხოვრებაზე. წინათ გაზეთებით მაინც ერთობოდა სოფელში, ახლა ისიც აკვეთა.

ანარქისტმა ერთხელ, ჩემთან, გაზეთი გვერდზე გადასდო, გადაისროლა, როცა შიგ ერთი ჩვენი გამოჩენილი პოეტის ლექსს შეჰკრა თვალი:

— აპოლონის ლილიპუტები! ვის რად უნდა მათი ფეხმოკლე აზრები?

— აბა, ნახე, — სიმწარით შემომჩივლა, — რა სიტყვა აქვს, რა ენათქმა, რა აზრი! აზრი კი არა — ლაფიანი წუნწლებია.

დაითავისეს ნიცშე, შოპენჰაუერი და თვალდაფქულ მკითხველს სჯერა ყოველივე!

ან რა ქვეყანა ვართ?— სამგლეთი, ფილისტერების ქვეყანა, მშიერმუცელა! ოხ, აქ ყოფნა აღარ შემიძლიან!

...შემოდგომის წვიმა სცრის ერთფეროვანი დაჟინებით... აივანზე ზინტლიანი ძაღლის წუნწლები. ერთ ნაბიჯზედაც არაფერი ჩანს, ყველაფერი დაფარა შემოდგომის ბურუსმა! დედამიწაში ჩამჯდარი მიწურები... ღარიბული ოთახი, ჭუჭყიანი, ჩამოღვარცლული კედლები. უბადრუკი, უნიჭო სინამდვილე. წინ — არაფრის სიხარული, არავითარი სიახლის მოლოდინი... ირგვლივ — გუბე და მდორე ცხოვრება, ჩამპალი ჭაობი, დაგუბებული ჰაერი! რა გააღვიძებს, თუ არა ყუმბარა, ამ უჩქეფო-უხალისო, უსიცოცხლო ყოფას?

წვიმა კი სცრის... სცრის... და სცრის...

იორამი მზად არი გარეთ გავარდეს და თმაში ხელებშეტაცებულმა იყვიროს:

— მიშველეთ, მიშველეთ!

მოთმენაგამოლეული, ქანცგაწყვეტილი ჩაქანდება თავქვე, ქვემო ვენახებში, დაერევა ვაზებს შლეგივით! ამტვრევს, ლეწავს ჭიგოებს! თითქოს ვიღაცას ებუღრავება! თვითონაც არ იცის, რას სჩადის, გულს კი იოხებს!

გარშემომდგარი ნისლი კი, შემოდგომის ზლაზნია ნისლი, გველეშაპივით მიიპარება ვენახში. მცირე ხნის შემდეგ აღარც იორამი ჩანს და აღარც ვენახი! ყოველივე ნაცარა ნისლითაა გარმოხვეული!

და... აქეთ — იორამი, იქით — ნისლივით უმოძრაო დ

უქმი ცხოვრება! არც ერთი თანამგრძნობელი! ერთადერთი ღვიძლი ძმა, ისიც მისი აზრების მოწინააღმდეგე!

განა ყუმბარა ცოტა არ არის ასეთი დაგუბებული ცხოვრებისათვის?

— ო, რა საზიზღარია სიღარიბე... ჭაობი... მიბრეცილი ქოხები... მობრეცილი ტვინი... რამ გააჩინა ასეთი ცხოვრება? ვინ გამოიგონა? — კითხულობდა გულისწყრომით იორამი და პასუხი არსაიდან იყო.

ღარც მიწის გუგუნი ისმოდა...

იორიც ძალზე ჩამოკლებულიყო.

რა ექნა?

ხანდახან მოხდებოდა, რომ ანარქისტი და მღვდელი, ასეთ ქინქღლიან ამინდში გუნების ქინქლიანობისა გამო მცირე ხნით „დაზავდებოდნენ“, მაშინ მიჰყვებოდნენ „ერთმანეთში სმას“. „დილის არყით“ დაიწყებდნენ. სვამდნენ მონდომებით და წადილით.

„ყუმბარის“ შიშით ჯერ მღვდელი უთმენდა, მაგრამ არყის მეოთხე ჭიქის შემდეგ გამხნევებული შეკამათებას შეუბედავდა.

მოთმინებიდან გამოსული იორამი ჯერ თვალებს შეუბრიალებდა, მაგრამ გაითვალისწინებდა რა მღვდელთან ბრძოლის უნაყოფობას და უმიზნობას, უღონოდ მიესვენებოდა დუქნის შელაქავებულ კედელს, მზად იყო თმაში ხელი ეტაცნა და ეყვირა:

— მიშველეთ!

— მიშველეთ!

გარეთ ისევ ქინქღლავდა, ქინქღლავდა, უიმედოდ, გულისგამაწვრილებლად, გასაწყალებლად, — ლამის წვიმასა და ღრუბელს ქვეყანა გადაებნელებინა...

ციციკორე

სოფლის უფროსად მინდოდი,
ამტანად ძნელ ამბებისა,
ხალხური

სოფელს ატირდეს დედანი, —!
სოფლის უფროსი კვდებაო,
ნუ მოკლავ დამბადებელო,
სოფლობა წაგვიხდებაო!
ხალხური

ჩვენი სოფლის შარაზე დარბაისლური, მხნე ნაბიჯით მოაბიჯებდა გრძელ, ჩერქეზულ ჩოხაში გამოწყობილი ახოვანი, ბრგე, სახიერი, თეთრულვაშა ციციკორე — სოფლის დარბაისელი, თავისი განუყრელი ურძნის ლიტაო ჯოხით.

ეს ჯოხი — ციციკორეს საერისმთავრო კვერთხი იყო. გაჯავრების დროს მაღლა შემართავდა, აზრის დასამტკიცებლად მიწას დაარტყამდა დაჟინებით.

მოდიოდა ჩუმად და რომ არ გცნობოდათ, მაინც მაშინვე შეატყობდით თვალსაჩინოებას!

დიდი ხნის უნახავს გაეხარდებოდა ხოლმე ჩემი დანახვა: არდადეგებზე სოფელში რომ დავბრუნდებოდი, თუ სადმე მომკრავდა თვალს, გაღიმებული მეტყოდა:

— შენის ნახვით სამი წელიწადი და ერთი კვირა მომემატაო! ისწავლე, კარგა ისწავლე, ეგებ ნასწავლებმა ჩაუყენოთ საქართველოს თვალიო!

ერთხელაც მხარზე ხელი დამკრა და რიხიანად მითხრა:

„შენი ბიჭობის სახელი
სვეტიცხოველზე სწერიაო!"

რატომ ეწერებოდა სვეტიცხოველზე ჩემი სახელი, ვერ გავიგე, ვერც კითხვა გავუბედე, ისე კი ეს ვაჟკაცური ქათინაური ძლიერ მომწონდა.

უშვილძირო იყო ძია ციციკორე.

— რათ მინდა შვილი, განა ცოტა მყავს მოსაველელი, მთელი სოფელი კისერზე მაწევსო!

მართალიც იყო! სოფელი ვინ? — ერთი კაცი! მთელი დღე ტრიალებდა სოფლის საქმეებზე, ღამეც კი მის განკარგებაზე ფიქრობდა. განა ტყუილად უყვარდა გარჯა, წვართულობა, სოფლის მერჯულეს, გამგებელსა და მეუფროსეს! ყველას ჭკუას არიგებდა და ყველა გმინავდა მისი არამკითხეობის კირთების ქვეშ. ციციკორე იყო სოფლის მზრუნველი, მომვლელი,

მოჭირნახულე, თუმცა ხშირად ღიმილით შენიშნავდნენ, რომ სოფელი მისთვის არავის ჩაუბარებია: — არც ღმერთს, არც ხალხს და არც თვით ხელმწიფე-იმპერატორს! შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ ციციკორეს დიდი პაპა იოთამი სოფლის ნაცვალი იყო ერეკლეს დროს და ციციკორეს მემკვიდრეობით მოსდგამდა სოფლის უფროსობა!

ციციკორე თავისას არ იშლიდა:

გულდიდობას, გულზვიადობასაც აბრალებდნენ, თავგაზიდულიაო; გულრბილი, დამთმო კაცი არ იყო, მაინც კაცური კაცი იყო, ლმობიერი, სწორი მხედაობა ჰქონდა... მოყვრისათვის, რომ იტყვიან, სწორედ გულთაგული!

ყველამ იცოდა, რომ ციციკორე გულიდან იყო მხედველი, რომ პირუტყუარი შემოცქერაც ისეთი იცოდა, თვალით განმცდელობა, რკინა დადნებოდა მისი მზერის ქვეშ. აბა, ტყუილს როგორ იკადრებდა!

დიდი ნდობაც ჰქონდა მოხვეჭილი სოფელში. სახლსნობა და სისხლიანი საქონელი ციციკორეს მიერ გაიყოფებოდა ხოლმე, როგორც სანდო დარბაისელ გამრიგესა და თავკაცის მიერ.

გაზაფხულის პირას, აფუცუნდებოდა თუ არა დედამიწა, ამოჟოჟინდებოდა თუ არა ბალახი, სოფლის არამკითხე მოამაგე და ჭირისუფალი ჩამოუვლიდა სოფელს კომლ-და-კომლ, თან აფრთხილებდა:

— ცხენი არ აძოვო ყორიანის მინდორზე, ხომ იცი, იქაური ბალახი ცხენსა ჰკლავს, არც იქაური თივა აჭამო, ისიცა ჰკლავს, ეს იცოდე!

— რა მიზეზია ნეტავი?

— რა მიზეზია და ჩემის ანგარიშით, მანდ ხომ დიდი ომები მომხდარა და ბევრი მტერიც არის ჩახოცილი! და მტრის სისხლი იკბინება დღესაც, ახლაც არა ცხრება და მუშაობს ჩვენ სამტროდ! ამშრალა, მაგრამ ჰხედავ, არც ამშრალა, ისევ მიწაში დუღს შხამიანი და გვსუსხავს, ახლა იქიდან გვებრძვის, დახე, ცხენებსაც გვიხოცავს! ჩვენ რომ ბალახსა ვჭამდეთ, ჩვენც ამოგვწყვეტდა!

ასეთი დაკვირვება კი ჰქონდა ციციკორეს. სოფელი მართლაც ერიდებოდა ყორიანის მინდორს!

— რას ბრაცუნებ ამ შუაღამით? — ეტყოდა შემთხვევით შარაგზაზე შეხვედრილი დროული კაცი, — მასთან შეხუმრებული, — სხვა ვინ გაუბედავდა?

— სოფელს ირგვლივ შემოვლა უნდა, მტერი მოძალე, თვალნაცემი არ შემოგვეპაროს! ათი თვალი და ათი ყური მაქვს გამობმული! ხუმრობა კი არ არი სოფლის პატრონობა, — იტყოდა ციციკორე.

ციციკორე ბაქრაძე სოფლის მამობასა და მეურვეობას ჩემულობდა. იმის შინაგანი დაჯერება ჰქონდა, რომ გაჩენილი იყო რაღაც დიდი საქმის შესასრულებლად, ყველა ამბავში ერეოდა, რადგან თავისი პირდაპირი მოვალეობა ეგონა.

დიდი ზეგავლენაც ჰქონდა ხალხზე. ამიტომაც, არავის გაჰკვირვებია, როცა ერთხელ, მეზობელ სოფლიდან ავადმყოფი ბავშვი გადმოუყვანეს საექიმოდ.

— გვიშველეო, სულ ავადმყოფობსო, თანაც დაგოლვილია, არ იზრდებაო! ექიმებში ბევრი ვატარეთ, ვერა არგეს რაო!

— ჩემთან რა ხელი გაქვთ, ქალაქს წაიყვანეთო. იქ ბაგ-

რატიონის გვარის კაცმა სამი სილა უნდა გაარტყასო, ანდეზე დადგებაო, ავადმყოფობა გაუვლისო!

— შენ გაულაწუნე, შენი ჭირიმე, ოღონდ მორჩეს... — შეევედრა ბავშვის მამა.

— როგორ იქნება, ერეკლე მეფის ჩამომავალი უნდა იყოს, მე ვინა ვარ?

— არც შენა ჰგევხარ ნაკლები გვარისასო!—ასიამოვნა ბავშვის მამამ.

ციციკორემ შეიფერა, მაგრამ ბავშვისათვის სილის გაწვნა მაინც ვერ გაბედა...

მკათათვეში, კალოობას, უთენებელზე, სოფლის დერეფნებში ჩხუბი გაიშლებოდა ხოლმე. დედამთილები მუჯლუგუნით, ქიმუნჯით აღვიძებდნენ მძინარ პატარძლებს: ადექითო, ძროხებს მოწველა უნდაო, ნახირში გარეკვა, ქათმებს დაპურება, ძნას ჩაშლაო. ხომ გახსოვთ სოფელში გაგონილი: „მოჯამაგირის დღე გაჰქრეს, პატარძალის დილის ძილი, ადრიან წამოაგდებენ, ხომ დაუსივდება ცხვირი!..“

აი, ამ დროს გამოჩნდებოდა ციციკორე, — რძალ-დედამთილის დამზავებელი. ჯერ პატარძალს ეტყოდა: სიცილით მოსულო, რა გატირებსო? დაჩუმდი, დაჩუმდი, ცხრა მაჭაკლით მოყვანილო! ახლა დედამთილს მიუბრუნდებოდა: შე მადლიანო, შენი შვილის გვირგვინის ცოლია! ნამდომი! პატივდებაში იყოლიე! მერე ცოტა ხმას აუმაღლებდა:—სულ ხომ შენ თვალქვეშ არ იქნება? ცოტა მოეშვი, მაგანაც გაიხაროს ამ ქვეყანაზე! ჰხედავ, სანაშენოდ რა კარგი ქალია, ოჯახი გაანაშენა, სამ წელიწადში სამი ბიჭი დაგიგორა! ქართველები ცოტანი ვართ, უნდა მოვმრავლდეთ! ვენაცვალე მაგის ბარაქას!

მერე ორივეს ერთად მიმართავდა:

— ერთმანეთს ია-ვარდად უნდა ეშლებოდეთ! ნებით, წადილითა და სიყვარულით იცხოვრეთო! — ასე დააწყნარებდა, თვითონაც გულს დაიმშვიდებდა სოფლის არამკითხე მესვეური და თავის გზაზე გასწევდა განუყრელი ყავარჯნით.

თუ თვალს მოჰკრავდა ლაღად მიმავალ სოფლის თამამ გოგოებს, ხმას შეუმაღლებდა:

— ერთი უყურე, აბა, ქალს ეგ უხდება? თავი უნდა დახარო მორჩილად და ნიავივით ჩუმად გაიარო, განა თვალები უნდა შემომაბდღვრიალოო?

უშიშარ ციციკორეს მხოლოდ ერთი შიში ჰქონდა, — შიში უწესოებისა, ამიტომაც იყო, რომ ყველას მწყემსავდა, ჰმოძღვრიდა. გარჯულვა უყვარდა, უფრო დედაკაცებისა. — დედაკაცს და ცხენს ნება რომ მისცე, სტამბოლს გადაცვივიანო! — თავჩაღუნულ, უშთაგონებო ადამიანს რომ დაინახავდა, დაუტატანებდა: — რას ჩასტირი მიწას, შე დალოცვილო? მიწაში ჩადებასაც მოესწრები! ცას შეჰხედე, მზეს შეჰხედე, ღვთის მოცემულს, გაიხარე, ღვთისნიერო!

— ერეკლე მეფის ძვლებს მცხეთაში მირონი ჩამოსდის, შენ კი, ცოცხალი ჰყარხარ, უსაქმურო! ორი გაწოვა დედამ, განა ერთი! — გაფიცხებით არიგებდა ციციკორე წელიწყვეტიას, დაბდურას, დონდლოჩინას.

თვითონ მშრომელი ვერ იტანდა ზარმაცს, მცონარს, უსაქმურს, ცეცხლმოკიდებული ეძგერებოდა ჩრდილში მონებივრე გლეხს:

— შე ჟანგიანო, სამძილა ზარმაცო, მიმკვდარებულო, ლოხო! განა არ იცი, რომ ქვეყანა საგარჯილოა?

ზოგჯერ ერთგული ცოლი ქმარს დაიფარავდა ხოლმე ციციკორეს წყრომისაგან:

— ხომ იცი, მაზლო, ჩემი კაცი უცოდველი, პატიოსანია!

— დიაღამც, უცოდველია, უცოდველი, როგორც ყაჭიდამ გამოსული ჭია! — დაცინვით მიაგებებდა ციციკორე, — იქ მკვდრებს აკლია, აქ — ცოცხლებს აწუხებს!

— რა ქნას, ავადმყოფობამ დარია ხელი. — შეეჯავახებოდა ქინძურას ცოლი.

— ავადმყოფობამ? მაგას თეთრი ფურის რძის თეთრი ფაფა მიართვი, რომ კბილები შრომით არ დაეღალოს! — ასე გაბახა ციციკორემ ზარმაცი ქინძურა, რომელიც შუა მუშაობაში ცოლის საალერსოდ ვენახიდან გამოპარულიყო.

ემართლებოდა კიდევაც!

სამართლიან და პატიოსან ციციკორეს არ უყვარდა არც ღლეტურა და, განსაკუთრებით, ქლარცი ენის პატრონი, ეჯავრებოდა ყბამოქნილის, ენამლესილის, დაუყენებელი ყბის იკლიკანტური ბრტყელსიტყვაობა. თვითონაც როდი იყო სიტყვა-მიუგებელი კაცი!

— საქმე სიტყვის წინამავალი უნდა იყოს! აი, ვაქკაცობა ამასა ჰქვიანო!

— რა ბედენაა, მოშაქრული, მოშარბათებული სიტყვები!

მოკლე სადღეგრძელოები იცოდა: მშვიდობა, მზეგრძელობა, კარგად ყოფნა, შვილიანობა, ვაჟით ვაჟიანობა, პურიანობა, ღვინიანობა, საქონლის გამრავლება, ხეხილის მსხმოიარობა! — ეს იყო და ეს!

სოფლის მეუფროსეს სიმძიმე ჰფერობდა, — მძიმე იყავ, წონაში მეტი მოხვალო!

მაგრამ ციციკორემ გამონაკლისებიც იცოდა, ყველა ზარმაცს როდი ემტერებოდა! აი, გინდაც, გრძელულვაშა ფადლაურა. რა მოსალხენარი კაცი იყო, რა მომღერალი, ვერც კი ეტეოდა გრძელ კახურ მრავალჟამიერში! მისი სიმღერის გაგონებაზე დაუდასტურებდი ბრძნის ნათქვამს: „ხან კაცი ღმერთსაც ემსგავსისო!“

დედაც მომღერალი ჰყოლია! მოდი და ნუ დაუჯერებ ციციკორეს თქმულს: დედის ხსენსა რაც ჩაჰყვება, სულს ის ამოჰყვებაო!

ამასთანავე ფადლაურა უსაშველო ზარმაცი იყო. სუფრის გარეშე არ არსებობდა. იჯდა საჩრდილობელ ხის ქვეშ და როცა ჰკითხავდი:

— როგორა ხარო? — გიპასუხებდა:

— ძველებურად: არც ვგრძელდები, არც ვმოკლდებიო!

ასე იყო: ქორწილიდან — ქორწილამდე, ნათლობიდან — ნათლობამდე... დაუკლისად სვამდა და მღეროდა, მღეროდა და სვამდა.

სხვა რომ ყოფილიყო ფადლაურასთანა, ციციკორე ნაცარტუტას აადენდა, მაგრამ ზარმაც ფადლაურას სიმღერისათვის დიდ პატივსა სცემდა და ერთხელ, როცა სოფლის სადალაქოში ყბედმა დალაქმა ლოჭომ ფადლაურა გაკენწლა, ყბაზე შეფიფქილმა ციციკორემ ლოჭოს მშვიდად უპასუხა:

— ფადლაურას ხმა ღვთიდან არი, პატივისცემა გვმართებს, თავისი ხმით ემსახურება ქვეყანას, რას ერჩიო!

მხნედ შემოაბიჯებდა ციციკორე სახლში, ბჭეშივე ქუდს შეიქნევდა და ძალუმი ხმით შესძახებდა: სახლო, ღმერთმა აგაშენოსო!

ახლაც, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, თვალწინ მიდგას ყავარჯენზე ნიკაპდაყრდნობილი ციციკორე — პირსუფთა, ახოვანი, ტანოვანი, მჭეხარი ხმის პატრონი.

თუ ვინმე ყურს არ მიუგდებდა ან აწყენინებდა, ციციკორე ერთს ღრმად ამოიოხრებდა და დაატანდა:

— ვაი, თემო და სოფელო!

ერთხელ, მეზობელმა თათრებმა ჩვენი საქონელი წაასხეს. სოფელი მდევარზე გამოვიდა. ვინც მდევარში წასვლა ვერ მოასწრო, მათ ციციკორემ სულ ცეცხლი გადააყარა თავზე.

— ჰაი, თქვე ქალისპირებო! განა თქვენ გაამაგრებთ საქართველოსო?

თვითონ კი მართლაც მთელი ჩვენი სოფლის გამამაგრებელი და გამამხნევებელი იყო მუდამ.

განა დამავიწყდება ოდესმე, ერთ საშინელ ღამეს, თუ როგორ მოეპატრონა ჩვენს ოჯახს და გაგვამხნევა?

საშინელი, შავი ავდარი მოვიდა, ხორხოშა-სეტყვიანი. სულ ჩამორეგვა ყველაფერი! ეზოები წყალმა აატივტივა. სოფელმა წარღვნა იფიქრა. ოდნავ რომ გადაიღო ღვართქაფმა, ორღობეში გამოჩნდა თავზე ტომარაწამოსხმული ციციკორე და სახლებში ჩაკეტილებს მოგვძახოდა:

— ნუ გეშინიათ, გამაგრდით! გადაივლის ავდარი! ამისთანები უნახავს ჩვენს ხალხსა! ნუ შეშინდებით, გამაგრდით! — აი, მაშინ კი ვიწამე ციციკორეს ბელადობა! მაშინ, ნამდვილ ბიბლიურ წინასწარმეტყველს ჰგავდა აგზნებული თვალებით.

ახლა მეორე მეკომურთან შევიდა, განსაკუთრებით ქვრივობოლთა უკაცო ოჯახები დაიარა, არ შეშინდნენო!

აი, რა გული, რა მხნეობა ჰქონდა ციციკორეს!

ახირებული ციციკორე ზოგჯერ სხვისი აზრების მასპინძლობას ვერ იჩენდა.

ერთხელ, შუა კამათში, ციციკორე მოკამათეს უეცრად შეეკითხა:

— მოლაღური იცი?

— ვიცი!

— მტრედი იცი?

— ვიცი!

— ყანჩა იცი?

— ვიცი!

— იშხვარი იცი?

— არა!

— მაშ, იშხვარი არ იცი და მელაპარაკები? ჯერ წადი, გაიგე, იშხვარი რა არი, მერე მოდი და მელაპარაკე! — ასე დაამარცხა მოკამათე.

რა იყო ეს „იშხვარი" და რატომ აძლევდა ასე დიდ მნიშვნელობას ციციკორე, ახლაც არ ვიცი; მგონი, „იშხვარი" სულაც არ უნდა არსებობდეს ბუნებაში. ფრინველი „შხერო" თუ ჰყავდა მხედველობაში! მაგრამ შხერო რომელი არწივია, რომ მისი ცნობითა თუ ცოდნით თავი გამოიდო?

უცხო კაცი გაბედვით იტყოდა ხოლმე ციციკორეზე: კერპი კაცია, ხერკინაარ, სიტყვით მტეხელიო, მაგასთან ლაპარაკს კლდის გლეჯა სჯობიაო! ნეტავ როგორ უძლებთო, მაგ შეუპოვარსაო!

მართლაც, თავის ნათქვამა იყო ციციკორე.

ჩვენში თითქმის აღარავის ედგა მიწური სახლი, ციციკორე კი ისევ ძველებურ, ბნელ დარბაზში ცხოვრობდა.

ეს დარბაზი თითქმის ერთადერთიღა შემორჩენილიყო მთელ სოფელში!

მეამაყება, რომ მოვესწარი ძველებურ ქართულ დარბაზს და დარბაზის გვირგვინში მერცხლის ბუდეს!

მეამაყება, რომ საკუთარი თვალით მინახავს მოხარატებული დედაბოძი მზე-მთვარისა და რტომრავალი ხის გამოსახულებით. ზედ უსათუოდ გატყაპნული აღდგომის ჩანაჭუჭებული წითელი კვერცხით, დედაბოძზე მიკრული შინდის ჩხა, ზედ რომ ციციკორეს სუფთა წინდები და პაჭიჭები ეკიდა. საქარეში ზაფხულობით ნიავი სისინებდა, ზამთრობით — ქარი ღმუოდა, მაგრამ ვერას აკლებდა, დიდი შეშის სათარი კერაზე იდო. საკიდელზე ჩამოკიდებული დიდი, შავი ქვაბი შიშინებდა...

განებივრებული ვყავდით ციციკორეს ცოლს — კონიას. ახლაც მახსოვს გემო და სურნელი მისი შემზადებული საჭმელებისა და როგორ არ მოვიგონო მისი ხელით გაკეთებული: შინდისა და ღოლოს შეჭამანდი, ხირხიტო, ჭინჭარი, სატაცური და ქარქვეტის წნილი, ყველიერში — მახოხი!

ციციკორეს დარბაზში ძალზე ბნელოდა. ხელის ცეცებით უნდა შესულიყავი და დიდხანს ვერც გაერკვეოდი სიბნელეში.

— რას იკლავ თავს ამ ბნელაში, შე კაი კაცო, გამოდი მზეზე, ერთი მზიანი ოთახი დაიდგი, რა გაგჭირვებია ისეთი, უშვილო კაცი ხარ და უხარჯო! — ეტყოდნენ ხოლმე მეზობლები.

— აქ, ამ ბნელაში სიცოცხლე მირჩევნია თქვენს მზიუ-

რობას! — იყო ციციკორეს მუდმივი პასუხი და ცოლიც მაშინვე კვერს დაუკრავდა:

— გენაცვალეთ, აქ გავატარეთ მთელი სიცოცხლე, და ახლა რომ აქედან სადმე გადავიდეთ, სირცხვილია, ხალხი რას იტყვის?

ციციკორეს მართლაც შეეძლო ქვიტკირის სახლის აგება. მაგრამ ვერ ელეოდა მამაპაპურ დარბაზს.

— რა ვქნაო, უდარბაზოდ ვერ გავძლებ, სხვებმა შეიძლონო!

ძალზე უყვარდა თავისი მიწური და როცა სტუმარი მოუვიდოდა, თავისი ქოხის სადღეგრძელოს უსათუოდ დაალევინებდა და თვითონაც შეუმღერებდა ჯამით ხელში:

— ეს სასახლე ვინ ააგო,
ვინ დახურა მუხის გული?
ამშენებლის მამა ცხონდა,
დამხურავის დედის სული!

სისუფთავე კი საოცარი ჰსუფევდა ძველ დარბაზში. თაროზე მიჯრით ეწყო დაკრიალებული, ძველებური ჯამ-ჭურჭელი — ჩინური თუ ქაშანური, კუთხეშიც მზითვის დიდი დაჭრელებული სკივრი იდგა, კონიასი.

უცნაური ზნე სჭირდა ციციკორეს. რაც უნდა ავად გამხდარიყო, ლოგინში არ ჩაწვებოდა.

— ქალი ხომ არა ვარ, ქვეშაგებში ჩავწვე და მტერი გავახარო?! — ავადმყოფობა მის თვალში დიდი სირცხვილი იყო. სიცხიანი, თვალებზე ცხვრის ქუდჩამოფხატული ზამთარზაფხულ სოფელს ჩამოივლიდა ხოლმე, რათა მტერს დანახვებოდა და არ გაეხარებინა, — კარგადა ვარ, ჯანმრთელად

და ნებიერადო. „ვეფხვი ვინა სთქვა მტირალი?“ — შეუძახებდა თავის თავს და მართლაც, ვეფხვობდა!

იქნებ იფიქროთ, უშვილო ციციკორე უსაქმო ყოფილა, პირადი საქმე არ ჰქონია და მხოლოდ სხვის ჭკუის დარიგებას იყო გადაგებულიო. — არა, ციციკორე შრომაში იყო დამტკბარი! მისი საყვარელი საშრომელი — „კარზე ვენახი“ ან კარის ბოსტანი იყო, სადაც საამოდ სურნელობდა ნაირ-ნაირი მწვანილეულობა; სადაც ლაღობდა შეფოთლილი ვაზი, მსხმოიარე მტევანი, ათქვირებული კიტრი და ლობიო. ხშირად მინახავს პერანგა ციციკორე ოფლში გახვითქული, შრომით შეჯერებული და გახარებულიც.

მისი ცოლი კონია ქალური საზრიანობით განთქმული, ალერსით გულზე დაგეხვეოდა. მშიერ-შიშველი ეცოდებოდა, გულჩვილი იყო!

— დაეწვას საწერ-კალამი ახლანდელ სამართალსო, — იტყოდა ხალხის ჩაგვრის ყოველდღიური მოწმე ბერ-დედა.

ახალგაზრდობაში, ლამაზი ქალი ყოფილიყო, ახლაც ემჩნეოდა გადავლილი სილამაზის იერი. მეტად სუფთა დედაკაცი იყო. სიბერის სილამაზე — სიფაქიზეაო, იტყოდა.

ეზოში, სულ ვარდი ედგა.

სოფლის მეურნეობაშიც ფხიზლობდა ციციკორეს თვალი. ჯერ კიდევ ადრეულ გაზაფხულზე ჩამოივლიდა სოფლის მოლივლივე ჯეჯილებს, თვალს გადაავლებდა, შეისაყვარლებდა, შეაფასებდა და მათ პატრონებს ამბავს მიუტანდა.

მკაშიც დაჰხედავდა. ზოგი მომკელი ხელეურსაც მიაგებებდა.

ციციკორე თავთავს ფხაში გაჰხედავდა და გამოიცნობდა,

როგორი ხვავი იქნებოდა წლეულს. ტყუილს არ იტყოდა ვისიმე დასამშვიდებლად. სწორე უყვარდა. უხაროდა, როცა კარგი მოსავლის მთხრობელი იყო და მახარობელი.

სძულდა პირუჭეშმარიტობა.

ღვთაებრივად სწამდა შრომის გამართლება:

— პატიოსან ოფლის თვითეული წვეთი თუ მარგალიტად არ იქცეს, მოდით და მარჯვენა მომჭერითო! — იტყოდა ხოლმე.

სოფლის ეტიკი, უანგარო და მამობრივი მზრუნველობით აღსავსე, ვითარცა გველეშაპს წმიდა გიორგი, ასე ებრძოდა ვაჭრებს, ჩარჩებს, სოფლისყლაპიებს, — გლეხის სისხლის წურბელებს.

ვაჭარ პინჩუხას არშინის გაცურება უყვარდა. ვერ იქნა და ვერ მოაშლევინეს. საკმარისი იყო ციციკორეს მკაცრად შენაგონარი სიტყვა, რომ პინჩუხას სამუდამოდ ამოეკვეთა ეს ურიგობა.

ციციკორე ცრუმორწმუნეობასაც ებრძოდა, შეძლებისდაგვარად:

ბოხვერა მებადურს ჩვენი უბნის გოგო ნინუცა შეჰყვარებოდა! ღამღამობით იორის ზვირთებში ელანდებოდა. ბადეს რომ მოსწურავდა, თურმე იქიდან კისკისით ამომხტარი ნინუცა ბადეს დაუხვევდა ხოლმე. უბირ ბოხვერას გულწრფელად სჯეროდა, რომ სწორედ ნინუცა იყო ის ბადიხევია ლამაზი ქალი, იორზე რომ ეჩვენებოდა, სჯეროდა მტკიცედ, ურყევად. და მეორე დღით, როცა ნინუცა სოფლის ღობესთან შეჰხვდებოდა, სიცილით ეტყოდა: — შენ, ეი, ნინუცი, გეუბნევი, მომცილდი!

ნინუცა გაიღიმებდა...

— რა გინდა, გოგო, ჩემგან? რას მესაყვარლები იორ-
ში?

ნინუცა ხითხითებდა...

ბოხვერას გული მოსდიოდა... თან უხაროდა.

როცა ციციკორეს შემთხვევით გაეგო ბოხვერას ამბავი, დაებარებინა:

— ბიჭო და... არა გრცხვენიან, შე ოტროველავ! მარ-
თლა გგონია, ბნელო კაცო, რომ შენს ბადეში ნინუცა ებ-
მევა? თვითონა ხარ გაბმული იმის ბადეში! სირცხვილი არ
არის, ტვინი აამოძრავე, რათ ეჩაგვრინები სისულელეს!

ასე კი შეარცხვინა ბოხვერა სოფლის მეუფროსემ.

განა ციციკორეს გამარჯვება არ იყო, რომ მას აქეთ ბოხ-
ვერას ნინუცა ალივით აღარ მოსჩვენებია, მხოლოდ ღვინო-
ბისთვეს, გვერდში ამოუდგა საქორწილო გვირგვინქვეშ?!.

დიდი გავლენა ჰქონდა ციციკორეს და მეშურნეთა მტრო-
ბაც დიდი ეხვია გარს. თავისუფლების ტრფიალ ხალხს სძულ-
და სხვისი ჯოხისა თუ სიტყვის ქვეშ ცხოვრება, სხვის მიერ
ნაჩვენებ კალაპოტის მიყოლა ეურჩებოდა, ხშირად გამოჰკრავ-
და ხოლმე წყრომის ნაპერწკლებს, მაგრამ დაფანტული ცეცხ-
ლის ძალა იქვე ჰქრებოდა!

სოფელში, ზოგი ჩუმად უჩიოდა ციციკორეს იმ სუსხი-
სათვის, რაც სოფელში დააყენა: — ვინ არი, რომ თავ-
ზე წამოგვაჯდაო! მაგრამ პირში ვინ გაუბედავდა ორიოდეს
გარდა?

და აი, მხოლოდ ერთხელ...

სოფელში ცხოვრობდა მდიდარი გლეხი სავატელი, რომ-
ლის სილაღეს ვერ იტანდა ციციკორე.

— რას მედიდები, ჯიბეგასუქებულო, ოქროსქამრიანო! სოფლისყლაპიავ! — შესძახა მჯახედ სოფლის შარაზე შეხვედრილ სავატელს, რომელიც საპირდაპიროდ თავაწეული მოდიოდა. სავატელმა აღარ დაახანა თავისი წყრომა და სცადა კიდევ ერთხელ ჩამოეხია ციციკორესათვის შარავანდედი.

— გასიბრძნებულო! რათა ხარ სხვისი ჩხრეკია, სხვისი ცხვირის მზომელა, ყველას გამკილავი, გამკენწლავი? ნეტავ როდის ჩაგაბარეთ თავი, ან ვინ დაგადგინა ჩვენს მწყემსად, რომ გიყვარს ხალხის გარჯულვა? შენის შიშით კაცი ქალს ვერ დალაპარაკებია, ქალი — კაცს, ვაქკაცს ღვინო ვერ დაულევია, ქალს ვერ გაუცინია, ბავშვს ვერ უცელქნია! ფულიღა გვაკლია შენს სახელზე მოჭრილი!

— დამნესტრე განა, სათოკე კაცო. — უპასუხა ციციკორეჭ და გულაგრილებით განაგრძო გზა.

— შენ ვინ ჩაგაბარა სოფელიო? ჩემმა სინდისმა, პატიოსნებამ! იესო ქრისტემ ლერწმის წბილით ამიწონა ეს სოფელი და ისე ჩამაბარა, ახლა ხომ გაიგე! — ეკამათებოდა გულში ციციკორე სავატელს.

და განა მარტო სავატელი?

აკი ყველაზე საცოდავმა და ბეჩავმა ბერიკაცმა, სიღარიბით გაწყალებულმა ჯაუნარმაც გაუბედა! ეტყობა, მის გათელილ გულში კიდევ ეგზნებოდა თავისუფლების სიყვარული!

— რომ გიყვარს „გაგვიძეხ ბერო მინდიაო“, მერე? ვინა ხარ, რომ ერს გაუძღვე? თვითონ ქვეყანა არ არი მადლიანად მომართული, ღმერთმა ვერ დააწყო და შენ გინდა დააწესრიგო? ეჰ, ეჰ, ბეჩავ-ბიჭო! შენ უნდა მისცე მცნება ცასა და დედამიწას? თავს დაგვდგომიხარ ხევისბერივით და გვექადა-

გები! — ასე ამხელდა ქელეხში ღვინით აბორგებული ბერიკაცი ჯაუნარი.

— იცი თუ არა, ყველა კაცი რომ არ არი ღირსი კაცობის სახელის ტარებისა! იცი, რომ ზოგი ფრინველია — სჭამენ, ფრინველია რომ ხორცს აჭმევენ! „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძევს კაცით კაცამდისო“, იცი, შე ბეჩავო, შე, ცარიელო ჯამო!

ჯაუნარი ლასლასით გაიყვანეს კარში და მაინც იქიდან შემოიძახა: ვინ მისცა მაგას უფროსობაო? ციციკორე იცინოდა.

ხალხს ესიამოვნა წამიერად შეუხებლის შეხება. ამ შემთხვევაში ციციკორეს მცირედი მაინც გაკენწვლა, განქიქება!

ერთხელ, დედაბერი მარადიაც შეება: „სულ რომ ბობოქრობ, დამტკბარი გუნება როდისღა გაქვს? ადამიანს სიტკბო და სიწყნარე აცოცხლებს, სულ რომ სჭექ და გრგვინავ, იქნებ შენა ხარ მარტო ხმელეთზეით ხორციელი?“

ეჰ, ვის შესწევდა ძალა, გაეგო ციციკორეს ზრახვები და მიზნები. ვის, ვის უნდა გაეზომნა მისი დღიური საზრუნავი, საყოველდამო ფიქრები სოფელზე, მისი ფიქრის სიღრმეები თუ მწვერვალები? — არავის! ვერცვის!

მაგრამ ციციკორე სოფლის გულთამხილავიც გახლდათ.

მაგალითად, მან იცოდა ის დღე, რა დღესაც დაბადებული ბედნიერი ადამიანი იქნებოდა, ის დღეც იცოდა, როდესაც დარგული ხე თუ ხეხილი იხარებდა.

იცოდა შელოცვებით ნადირის კბილის დაკეტვაც, ამაში ტოლი არ ჰყავდა. თუ ღამეობით საქონელი გარეთ დარჩებოდა, ციციკორეს შეალოცვინებდნენ და სოფლის რწმენით სა-

ქონელს არც მგლისა, არც აფთრისა და არც ქურდისაგან ზიანი არ მოელოდა. ერთი სიტყვით, მისი საიდუმლო სიტყვა მგელს პირს შეუკრავდა, ქურდს — ხელ-ფეხს.

ცხენის საიდუმლოც იცოდა: როგორ უნდა გამოიყვანო ცხენი ბოსლიდან ხანძრის დროს ისე, რომ არ დაფრთხეს, არ აიგლეჯოს, არ გაგიჟდეს. მარტო მიცვალებულის ზარი უნდა იმღეროს იმ დროს პატრონმაო და იმ ზარსა და გლოვის ხმაში დამორჩილებულ ცხენს გამოიყვან, თუ არადა შიგ ჩაიბუგება ცეცხლშიო!

ერეკლე მეფე უყვარდა, იმპერატორი ნიკოლოზ კი მის თვალში არა იყო-რა, ჩალა-მეფეაო! ცხრაას ხუთი წლის მოძრაობას შეერყია მისდამი რწმენა!

— ღმერთი არ არიო?!

— ეგ როგორ თქვი, შე შავდღიანო, მწარე გონების კაცო, შე უნანელო? მაშ რაღა ქართველი ვარ, თუ ღმერთი არ არის?!

— ღმერთი არ არიო? მაშ, როგორღა ანათებს მზე? ხომ წაიქცა მთვარე და გადმოვარდა ციდან?

ხშირად მზის მყუდროში, ღობის ძირას მიმჯდარი ციციკორე, იქვე მოთამაშე ბავშვების სიახლოვეს წყნარად დანით ჩხირსა სთლიდა და თან ვითომდა თავისთვის, ღიღინებდა:

— ვინცა კაცია, არანანო,
ჩოხა — ჯაჭვია, თარანანო,
ქუდი ნაბდისა, არანანო, —
— ჩაბალახია!

დაიღიღინებდა თავისთვის, მაგრამ ამ ჩუმ ღიღინსაც კი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, გვესმოდა ბავშვებს და ძალაუნებრივ გონებაში გვებეჭდებოდა ციციკორეს სავაჟ-

კაცო სიტყვები, თუმცა მოხუცი სრულიადაც არ გვაგრძნობინებდა, რომ ჩვენ საგულისხმოდ ამბობდა.

წვრილფეხობის დამწყემსვაც უყვარდა.

— გაიგონე, რა გითხრა, საქართველოს ცხრა კარი აბია! ეს დაიხსომე კარგად! თვითეული კარის ყარაულად უნდა გამოდგე!

ციციკორე სარდლობაშიც იჩენდა ნიჭს: ბალღების ომში ჩაერეოდა, ასე გეწვრთნიდა:

— რაზმი ეგრე დააწყეთ: ჯერ წინამავალი უნდა წავიდესო, მერე უკან ამყოლი უნდა აჰყვესო: აქეთ-იქიდან მოკინკლავენი მოუდგებიან, რომ მტერი არ მოასვენონ და მერე მეუკანოენი მიჰყვებიანო. ზედ უნდა მიხვიდე, ზედ მისვლა უნდა იცოდე! დავლური ომიც უნდა ისწავლოთ, განა მარტო მოგერიებაო! წინდაწინ შენ დაჰკარი, გული საგულეს დადგება! შენ შენი ეცადე, გამარჯვება კიდე ღმერთზეა! ერთი არ დაივიწყო: ომში სიმღერით უნდა შეხვიდე! ნატყვიარი არ ინაღვლო!

ციციკორეს, როგორც ყოველ ქართველ კაცს, სახელი ყველაფერს ერჩივნა!

— სახელი! არ დააგდოთ მიწაზე! — გვეტყოდა ზრუნვით ახალგაზრდებს. — სირცხვილი დიდი ქვა არის! სახელი არ გაასრესინოთ ამ ქვას!

ერთხელ, კუნძზე ჩამომჯდარ მეფანდურეს შეუტია: — რას გადასცემ და რას გადმოსცემ? კაი ბიჭები შეაქე, რომ ლაჩრებიც გაკარგდნენ!

— აწანწკარებ მაგ ფანდურს და ის კი არ იცი, რომ ჭკუა და გონება მოეთხოვება შაირის გამომთქმელს! შაირია, განა

სიტყვის საგრძელებელია, შე ცუნდრუკო და უმეცარო! განა ცოტა გვყავს სადიდებელი და სასახელო, რომ გოგოებს უმღერი? გულის სიტყვები ამოთქვი, სავაჟკაცო რამ თქვი, რომ ხელი თვითონ დაებას ხმლის ვადას და რაში თავისით გაფრინდეს, მათრახამოუწნავად!

— ვაჟკაცი კარგად უნდა შეაქო! ზომაზე მეტადაც შეაქე, ღირსია. სოფელი ასახელა! ლაჩრებიც შაეცდებიან! შენ კი ენის სისველე გაწუხებს! გულის ღარღლი კი არ არის, სიტყვაა, ღმერთს რომ მოუცია ჩვენთვის! სიტყვა ტყუილად არ უნდა დაიხარჯოს! სიტყვას ძალა აქვს!—და მკაცრად შეუტია მეჩონგურეს:

— „ლექსი მოლექსემ უნდა სთქვას, ვაქმა, ვინც იზამს სახელსაო!“— და არა შენსავით ჩანჩურამ, ჭიასავით რომ დაცოცავ! ვის რად უნდა შენი ლექსი, შე ბუხუნძელავ, და ისიც სააშიკო! გადააგდე ახლავე ჩონგური და მეორეთ აღარ დამენახვო!

მეფანდურემ ჩონგური დააგდო და მოცხრილა...

აი, რა ძალა და გავლენა ჰქონდა ციციკორეს...

ერთხელ, ყველიერზე, ციციკორემ უშნო ლეთეთას ჩონგური გამოსტაცა ხელიდან და შეზარხოშებულმა უცნაურის ხმით წაიმღერა:

გიორგის ებრძვის სიკვდილი,
ელვა გამოდის ხმლისა,
შამაუქნია სიკვდილმა,
მარჯვენას მოაჭრისა,
შამოუქნია გიორგიმ, —
სიკვდილს შუაზე სჭრისა!

მახსოვს, ლექსში განსაკუთრებით გამახარა ადამიანის გამარჯვებამ სიკვდილზე. ასეთი რამ მანამ არსად გამეგო და ციციკორემაც ჩემს თვალში კიდევ უფრო აიწია, თუმცა არც მანამდე მემცირებოდა!

ჩვენი ციციკორე სიჯაბუკეში ცხენის გამხედნელი და განთქმული მონადირე ყოფილა.

— რამდენი ირემი მოგიკლავს, ციციკორე? — შეეკითხებოდნენ მეგობრები.

— ეჰ, ვინ იცის, რამდენი ჩავთოფე! — გააზვიადებდა ციციკორე, — სად რამდენი ჩაიჩეხა კლდეში, ზოგი კლდეს რქით დაეკიდა, ზოგი ისეთ ღრანტეში ჩავარდა, მზის შუქიც ვერ ჩასწვდებოდა... ვინ იცის?.. ჩემი სიბერით ახლა ირმები ტკბილად იძინებენ!

დარბაისელი ციციკორე ბაქრაძე ნადირობის მაკვეხარა იყო.

წოწრეს ეთქვა: ციციკორეს ირემი თვალითაც არ უნახავსო!

ეს რომ გაიგო, შეიუცხოვა: წარბშეკრულმა ჯერ წყნარად იკითხა:

—ეგ ვინა სთქვა? ვის მოუარაკებია? — მერე მჭახე ხმა აუთრთოლდა: — როგორ? — და თან ხმას აუწია გამრისხანებით: — მე მოუვლი მაგას, როცა ამოვგლეჯ სახრიკო ენას!

ამის მეტი სიტყვა არ უთქვამს-რა. ეს იყო და ეს, მაგრამ ამბობენ, წოწრეს მთელი ღამეები შიშით არ ეძინაო! გაუჩნდა საჭოჭმანები.

— ბოკოწინის დაუბოლოვებელ ტყეში,—გვიამბობდა ციციკორე, დიდი ვერხვის ქვეშ (ივრის წისქვილთან), — ირმის ხრო თოფის ხმას რომ არ გაეფანტა, მშვილდ-ისრით ვნადი-

რობდით. ჩემს ვაჟკაცობაში, უნდა მოგახსენოთ, ბევრს ირემს უზიდნია კისრით ჩემი ისარი! ჩემი ანასხლეტი, ანაცდენი ისარი, ტყვია არ გაგონილა! თუ ტყუილს ვამბობ, მაშ რად არი ჩემზე გამოთქმული ლექსი:

ირემმა ირემს ახარა,
ბაქრაძე ავად გამხდარა!
თოფის ხმა აღარსად ისმის,
იქნება კიდეც მამკვდარა!
გამოსტყვრა თოფი ამ დროსა,
ირემმა ტლინკი აყარა:
— თუკი ბაქრაძე მამკვდარა,
მაშ თოფი ვიღამ მახალა?!

თუშცა ჩვენც კარგად ვიცოდით და თვითონ ციციკორემაც, რომ ეს ლექსი სხვა ბაქრაძეზე იყო გამოთქმული, განთქმულ მონადირეზე, მაგრამ თავისად შეიფერა, რადგან გვარად ბაქრაძე იყო და ჩვენც აღარ ვაცივდებოდით, ვიცოდით, სახელი უყვარდა!

მონადირეს, მეთევზეს, მეწისქვილეს, პოეტებს ხანდახან უნდა აპატიოთ ოცნების გადადუღება!

რაც არ უნდა დიდი და სახელ-ნაქნარი კაცი ყოფილიყო, ციციკორე ერთს აჰხედავდა და დარიგების კილოთი ეტყოდა:

— ნუ გასდიდდები!

— ერეკლე მეფე ხომ გაგიგონია, ეგ ლომი საქართველოსი? — იმაზე დიდი ხომ ვერ იქნები! მაინც უნდა გითხრა ჩემი: განა მარტო ხმლიანი გმირი იყო ჯავრის ამომყრელი? არა, რატომ აღარ გაგონდებიან გმირთა აღმზრდელი ძუძუები? არც ესენი უნდა დავივიწყოთ! მარტო ხმლის ქნევა რა ბედენაა!

ვერე ისიც ამ დროში მაინც, როცა ლეკი და თათარი აღარ გვაწუხებს? — ასე უთხრა ხმლითა და სახელით გადიდებულ, გაამაყებულ თავბერას, სამი ყაჩაღი რო მოეკლა თრიალეთზე, როცა მისს ცხვარს მტაცებელთა ბრბო დაესხა თავს! — ნუ გასდიდდებიო!

— ვის ემაღლები, ეთავდიდები! ღმერთზე დიდი, ხომ იცი, რომ არავინ არი! მაშ, რასა სდიდობ? მეტობა მოინდომე? გინდა რომ ღმერთს წინ გადაუდგე? — ქარიგით დაეცემოდა, წამოფრენილ ვეშაპივით დაეტაკებოდა ვინმე ლაღ ვაჟკაცს, რომელიც შეუპოვრად მიაბიჯებდა გზაზე და სალამის თუ ქუდის მოხდით ციციკორეს შესაფერ პატივს არ მიაგებდა. გაკვირვებული გლეხი, თავის გზაზე მიამიტად მიმავალი, უკან დაიხევდა და ციციკორეს წყრომას მოერიდებოდა:

— დაძვირდა ვაჟკაცი! — ამოიოხრებდა ციციკორე.—კაცს ვერ გამოიცნობ ისე, როგორც გარედან ლებანს კირკიტ კაკალში!

დიდი სიტკბოთი უყვარდა სამშობლო ციციკორეს, დიდი, გამოუთქმელი ალერსით.

ერთხელ, წავუკითხე და ძალიანაც მოეწონა გრიგოლ ორბელიანის წერილიდან ერთი სტრიქონი: „ქვეყანაზე მხოლოდ ერთი საქართველოა და ისიც ჩვენიაო!“

— მალადეც! — რუსულად გამოსთქვა ორბელიანის ქება და თავისი აღტაცება ციციკორემ.

— რა ჭკვიანად არი ნათქვამი, აი, ბრძენი კაცი! მაგის მთქმელს გაუმარჯოსო! — ხშირად ახსენებდა გრიგოლს.

ციციკორე ვერ იტანდა გაყრას, დაცალკევებას; ნუ იტყვით,

ეს ჩემი წილიაო! გაუყრელი ოჯახი ყველაზე მტკიცეაო! ერთნი უნდა ვიყვნეთ, მაშინ იქნებით მაგრებიო!

ეს უბირი, უსწავლელი კაცი, საქართველოს ერთიანობის დიდი ერთგული იყო:

— არა, განთვისება ნუ გვინდა! გეთაყვა, ნუ იტყვი, მე იმერელი ვარო, მე კახელი ვარო, მე მეგრელი ვარო! ერთი ძუძუს შვილები ვართ! ერთმაგე უნდა იყოს ერი, რათ ვარგა გათვითებული, განცალკევებულიო!

ხომ მშახე კაცი იყო, მკაცრი და ზავთიანი, მაგრამ დიდად კეთილი და მშრომელიც.

თუ დაინახავდა უგერგილოდ, უნდილად მომუშავეს, ხელიდან ბარსა თუ თოხს წაჰგლეჯდა, თვითონ წაიმუშავებდა; თვითონ დაბარავდა სხვის მაგივრად, ან მომკიდა, მოსცელავდა და გუთანს მოეკიდებოდა, თუ გუთნიდედას გუთანი მარჯვედ არ მიჰყავდა.

— ვიმუშაოთ, სოფელში დოვლათი დავატრიალოთო!

ისიც მინახია ჩემს ბალღობაში, ციციკორე რომ სხვის თავდანებებულ საქონელს აძოვებდა სოფლის პირში, რათა საქონელი ყანებსა და ვენახებში არ გადასულიყო და მოსავალი არ წაეხდინა.

განსაკუთრებით ღირსახსოვარი იყო ციციკორეს საქციელი მსოფლიო ომის დროს:

ერთხელ, შუადღისას, სოფლის შარაზე გამოჩნდა დედაბერი თუბალაური, რომლის პატრონი შვილი ომში იყო წასული და ყანა მოუმკელი რჩებოდა. გაჰკიოდა დედაბერი და ტირილით ხელში ნამგალს ატრიალებდა:

— ბიჭო, ნამგალი დაგიჟანგდა, მამხმარე არავინ არი, შენი ყანა დაიწო! რა ვქნა, ომია, მომკელი არავინ არი! — თან ჰკიო-

და უბედური და თან ცრემლით ზუზუნებდა. ცალკე შვილი აგონდებოდა, ცალკე მოუმკელი ყანა!

— ფეხზე დაგრჩა ყანა, არ გეცოდება, რომ ომში წახველი? ცოლ-შვილი დაგრჩა, მე დაგრჩი მოხუცებული დედა! ნეტავ ვის ეომები, რა გაქვს საომარი! — გულსაკლავად ზუზუნებდა თუბალაური შარაგზაზე და მისი სიტყვები გულს უკლავდ-უკაცო სოფელს.

უცბად, შარაზე გამოჩნდა თავისი განუყრელი კვერთხით ციციკორე.

— ვაი, თემო და სოფელო! მერე, თუ კაცი გამოილია ჩვენს სოფელში? მაშ, მე ვაუკაცი აღარა ვყოფილვარ!

მეორე დილით ადრე, ციციკორე თუბალაურის ყანაში ჩავიდა, თან წვრილფეხობა წაიყოლა! თვითონ მკიდა, ბალღობა ხელეურებს უკრეფდა, ულოს უგრეხდა. ხუთ-ექვს დღეზე მოუმკა ბერმა ციციკორემ თუბალაურს ყახა და მართლა გააკვირვა სოფელი! განა თქმაღა იქნება, როგორ ემადლებოდა თუბალაური?!.

ისიც მოსაგონარია, რომ თუბალაურის მამითადში, ყანა სულ ბაგაბუგით და ყიჟინით უმკია, როგორც ძველად იცოდნენ.

მახსოვს, პირველ მსოფლიო ომში წასულები, საღვინით ხელში როგორ დალოცა ციციკორემ. გამაგრდით ბიჭებოო, სიკვდილისა ნუ გეშინიათო, ვინც მოკვდება, დავმარხოთო, სხვა კიდევ გამოჩნდებაო! ხმა და სახელი შორს გაგივარდებათ, მტერიც დაშინდებაო. თუ ტყვიამ გაკოცათ, თამარ დედოფლისაგან ულუფა მოგივათო.

ასეთი სიტყვით გაისტუმრა თავისი სულიერი შვილები —

მერე იწაფა საღვინე და ახლა წამსვლელებს გადასცა — გზა გქონდეთ მშვიდობისა, დაბრუნებისაო! — ასე ომახიანად უთხრა მაშინ, როცა სხვები იცრემლებოდნენ და დედაკაცების წივილ-კივილისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

ციციკორეს თვალზე ცრემლი არავის უნახავს, მხოლოდ ერთხელ, როცა პატარა მწყემსი ბათულა მგელს დაეგლიჯა და მომკვდარიყო, — ამბობდნენ, იმ დღეს ენახათ ციციკორე ტყეში; თვალებზე ქუდი მოეფარა და ისე ფარულად ტიროდაო.

ბათულას სიკვდილმა ისე იმოქმედა, რომ თავის უკანასკნელ ცხვარზე აიღო ხელი.

ზვარა[1] ჰყავდა შეყენებული წმიდა გიორგისათვის. მაგრამ ბათულას ღარიბ ოჯახს რომ არ ჰქონოდა რა საქელეხოდ, ციციკორეს აეხსნა თავისი ზვარა და მიეყვანა, — ეს დაკალითო! ბათულას სულს მიუვიდეს, უფრო მადლიაო! — და მართალიც ყოფ!..

მაგრამ ყოველივე ამას თავი დავანებოთ! უფრო ის მაგონდება მკაფიოდ, რომ ციციკორეს არავითარი სიახლე არა სწამდა ცხოვრებაში. არა და არა!

აი, გზის პირად მომავალი ციციკორე დაინახავდა ვენახში გულმოდგინედ მომუშავე გლეხს. გახვითქული გლეხი როსტია შაბიამანის წამალს ასხამს ვაზის ფოთოლს.

ციციკორე შედგება ღობესთან და პატრონის გასაგონად ჩაილაპარაკებდა:

— მაგ ვენახიდან არა გამოვა-რა!

---

[1] ზვარა — ზვარაკი, ასე ეძახიან ხატისადმი შეთქმულ ცხვარსა თუ მოზვერს. (ავტორი).

— რათა, ძია ციციკორე?

— რათა და, დაღუპე ვენახი! აბა, ეგ რაღა ვენახია?

— როგორ? დღედაღამ შიგ ვტრიალებ, არას ვაკლებ, ახლაც ჰხედავ, რა ერთგულად ვსწამლავ!

— სწორედ ეგ არი! განა შაბიამანი შეიძლება? არ იცი, რომ ზიარებას წამალი არ მიეკარება! ნაწამლი ღვინო და ზიარება, რაღა ღვინოა? — იტყოდა წარბშეჭმუხვნით სოფლის მესჯულე და თან დასძენდა:

— ვინც მორჩილია და გამგონი, ვინც უფროსის შეუკითხავად არას იქმს, ვისაც სახლისა, სოფლისა და მამულის უფროსი სწამს, იმის ვენახი ტურფად დაისხამს! უწამლოდაც საწნახელს აავსებს და ვისაც უფროსობა არ ესმის, იმას არც ვაზი უგდებს ყურს, არც თავთავი!

ციციკორეს არა სწამდა შაბიამნისა და საერთოდ, ახალი წესების სარგებლობა. ისიც უნდა ითქვას, რომ როსტიასაც არაფრად მიაჩნდა ციციკორეს ეტიკობა. აი, ეს გაუტარა სიტყვაში და აგრძნობინა სოფლის უფროსძა.

იმ ხანებში კახეთის რკინიგზა გაჰყავდათ და მოლოდინშიც სულ ამ რკინიგზაზე იყო ლაპარაკი. მთლად უნდა შეცვლილიყო კახეთის ცხოვრება. აყვავებას მოელოდნენ. ყველა ღიმით შეჰყურებდა იმ დღეს, როცა მატარებელი გამოჩნდებოდა კახეთის მიწაზე. მხოლოდ ციციკორე არ იზიარებდა საერთო სიხარულს:

— ხბოსავით კი ნუ კუნტრუშობთ! ჯერ დაფიქრდით, გაზომეთ და მერე ისე სთქვით, მართლა ეგრე-რიგად სჭირდება ხალხს რკინიგზა თუ არა!

— აგიჟინიათ მატარებელი, მატარებელიო! აქებთ რკინი-

გზას და იმას კი არა ფიქრობთ, რა უნდა ჰქნას ხარ-კამეჩმა, ცხენმა? მაშ, ურმები უნდა გადავყაროთ? მერედა უურმოთ ქართველი კაცი გაგონილა? ან ღვინის ქირაზე რით წავიდეთ, ან ცხენს რა ვუყოთ? ამას რატომ არ უფიქრდებით? — იტყოდა ნაღვლიანად და ალერსით გადაუსვამდა ხელს წაბლა ხარს გახრეშილ ქედზე:

— თუ ეს აღარ იქნება, ნურც მე ვყოფილვარ!

უფრო ხნიერი გლეხები ეთანხმებოდნენ ციციკორეს.

ციციკორე დაჟინებით გაიძახოდა:

— ხალხო, დაფიქრდით, იქნებ არც არი საჭირო ეგ რაღაც რკინის „მაშინა!“ ჰაერი გაფუჭდება, პური და მტევანი მოიწამლება, ხალხი იავადმყოფებს, უნამუსობა ჩამოვარდება! განა გოგოები ეგრე თავისუფლადღა გაივლიან? — და ხელი მიაშვირა პატარა გოგონებს, სკოლიდან რომ შინ მოცანცალებდნენ.

— ხალხო, ფრთხილად, ეშმაკს არ წამოვავლოთ ხელი! რკინის გუთანზეც ასე არ იყო? გადაგვაყრევინეთ ხის გუთნები, შემოვიღეთ რკინისა და გაქრა ბარაქაც! ხის გუთანი ღრმადა ხნავს! ბარაქაც დიდი აქვს; რკინის გუთანი სუსტია, ერთი პატარა ქვა დააბრკოლებს, სადა აქვს მადლი! რათ გვინდოდა, შაგრამ ეშმაკმა მოგვახვია თავზე! ახლაც ისე მოგვივა!

— კარგად ჩაფიქრდით, ავწონ-დავწონოთო.

ახალ თაობას კი სიცილადაც არ ყოფნიდა ციციკორეს მოსაზრებანი.

— უხატოდ გაგიჟებულა ჩვენი ციციკორე!

— თავისი თავის მიმდომელი!

ციციკორემ კიდევაც შეუჭეხა მასწავლებელს, — რომელი

„ალექსა“ მაკედონელი შენა მყევხარო, რათ ურევ ქვეყანასო!

მერე ქუდი მოიხადა, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო:

— ღმერთო, შენ დაგვიფარე იმ ჯადოქრებისაგან! ხომ გაგეგონებათ: ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო! მამა-პაპას უთქვამს და კარგადაც! რა სჯობია გატკეპნილ გზას, ნაცადს, ნავალს! რათ გინდა ახალი გზა კლდე-ღრეში გაყვანილი, წამისწამ სახიფათო?!

— უწინ ჩვენს დალოცვილ დროში, ექიმი რას ერქვა — ვინ იცოდა! ახლა კი სულ ავადა ხართ! რათა, ვისი მანქანებით? ეს ეშმაკიდან მოდის, ქალაქიდან! აბა, დააკვირდით, ხალხნო, თუ მართალი არ ვარ!

ქვეყანა უპატრონო ნუ გგონიათ, ქვეყანას ვიღაცა პატრონობს! ვიღაცა უჩინარი და იმისი გეშინოდეთ, ნუ გააჯავრებთ!

ამ დროს, ხალხიდან გამოერჩია ქალაქიდან ჩამოსული ქარხნის ახალგაზრდა მუშა, თბილისის გაფიცვების მონაწილე გარსია და ციციკორეს სიტყვა შეუბრუნა:

— ძია კაცო, შენ ვინა გკითხავს სოფლის საქმეს, რა პირისა და პასუხის გამცემი შენა ხარ? ქვეყანა წინ წავიდა, შენ კი ადამის ჟამის ამბებს გველაპარაკები! ვისაც უნდა იცხოვროს ძველ ჭკუაზე, წავიდეს სასაფლაოზე, იქ უქადაგოს მკვდრებს, ჩვენ კი ჩამოგვეცალოს თავიდან!

ასე, ერთი ხელის დაკვრით მოსპო გარსიამ ციციკორეს მპყრობელობა. მერე ვინ? ციციკორეს ნარცხადაც რომ არ გაშოდგება. ქალაქში ნათრევი, ფეხშველა და თავშიშველა მუშა! ციციკორემ ახლა იგრძნო, რომ ძველი ცხოვრება წასული დაუბრუნებლად, ახალი ცხოვრების სიო დაეტაკა ზედ მკერდზე.

იდგა დათუთქული ციციკორე და ხმას ვერ იღებდა გაოცე-

ბული, გაოგნებული, — როგორ გამიბედაო! ასე დაფასდა განა მისი ღვაწლი და მისწრაფება! ორთითზე დაბჯენილი გლეხები უსმენდნენ და ჰკვირობდნენ ციციკორეს მოთმენას, ეგონათ, სოფელი გულაღმა დასცესო! შიგადაშიგ ზოგი ფრუტუნებდა კიდეც ციციკორეს დამარცხებით გახარებული. ციციკორეს მეტად ემწვავა, ემწვიტინა. განა სავატელსა და ჯაუნარს არ შეუბრუნებიათ ხმა მის წინააღმდეგ, მაგრამ ახლა...

მიდიოდა თავისი ერთგული ჯოხით შინისკენ ციციკორე და თან გულში იფუფქებოდა. სამდუღრე ცრემლი დუღდა მისს გულში, მაგრამ შიგვე შრებოდა. როგორი უკაცრაული მკადრა? — ჩემთვის ასეთი უკაცრაული და სიკვდილი ხომ ერთიაო! ხალხში ჩემი სახელის ასე იოლად გამოთრევა ვინ გამიბედაო?!

ფიქრით სოფელი გადააბნელა. ახლა ციციკორე გამომტვრეული ნაპრალიღა იყო, ჩვენი სოფლის მეუფროსეს არავინ აღარ დაუჯერა არც რჩევა, არცა ჭკუა! გული სიბოროტის მტვერით აივსო! მაშ, რაღა ვყოფილვარ? განა მარტო სტომაქის ქვაბისათვის ვარ დაბადებული? გულს სევდის ლურსმანი დამსჭვალოდა და ვეღარ ამოეძრო! თითქოს ფრთასა და ბოლოს ახეთქებს დაჭრილი არწივიო, — ეს რა ცოდვა დაედო თავსა, რა დააშავა? დაჩუმდა მისი შემჭახებელი ხმა. გულზე მოკიდებული ალმური სწვავდა.

— დიდება ძალთა ღვთისათა! — ერთი ამოიოხრა ციციკორემ სიკვდილმისჯილივით, მიდიოდა თითქოს სიცხისაგან ალაკრული, თითქოს ცხელი სილაგარტყმული!

შინ შევიდა ვითომდა მშვიდი და დაწყნარებული, თითქოს

პირზე რკინა ეკერა, გული კი ზღვასავით ბობოქრობდა.

— ვინღა იქნება სოფელზე თვალმიგდებით?

— რაც უნდა ჰქნან, უჩემოდ!

— მერე ვის ამწყრალებ სოფელს, სოფელმა რა ქნას? ბრალი სოფლისა, რომ თავისი სიმაგრის ტოტი თვითონვე მოიჭრა!

ციციკორე ლოგინში ჩაწვა.

— როგორ ბრძანდები, როგორ გაისაძლისებ? — შეეკითხებოდნენ სანახავად მოსული მოკეთეები, მეზობლები. ციციკორე დინჯად, ჩამარცვლით მიუგებდა დიდი ჭირდებულივით:

— როსტომ თქვა: დღეიმც კრულია.
დაბადებისა ჩემისა, —
სიყრმე სიბერედ ვაქციე,
დღე ვერა ვნახე ლხინისა,
ვერ გავიხარე კისერი,
უღელი მედგა რკინისა!

და ამას ამბობდა კაცი, რომელსაც უყვარდა წინათ ამ სიტყვების გამეორება:

ჯავრო, არ მოგცემ ნებასა,
გულო, არ დაგაშავებო,
მტერო, არ შეგეპუები,
ხმალო, შენ გაგაფხავებო!

ერთი სიტყვით, ციციკორეს სულს შავები ემოსა! გულზე თოვლი ედო, ტვინს ნისლი ეხვია, უარსებოს დაემგვანა! გეგონებოდა სიტყვის საცეხვი გამოელიაო, კბილი დაკეტა. ნამდვილად, თქვენს წინ კაცი კი აღარ იდგა, არამედ დაკემსილი, გაცრეცილი ღამე!

ამის შემდეგ დარცხვენილი ციციკორე სოფელში ვეღარ გამოდიოდა, გზაბაწარა, საცალფეხო ბილიკებითღა იარებოდა, სოფლის ირგვლივღა ტრიალებდა. მეთხე ბიჭებსღა ესაუბრებოდა. იმ საცალფეხო ბილიკებზეც სოფელზე ზრუნავდა, თუმცა მუხისა და თელის ანგელოზი დაიფიცა, სოფლის საქმეებს აღარ გავეკარებიო...

ახი კი იყო ციციკორეზე, ყველას რომ თავის ნებასა და სურვილს აძალებდა, ეგებ ზოგს საკუთნო სკამზე უნდოდა ჯდომა? ეგებ სხვასაც ჰქონდა ზეშთაგონების ძლიერება. სხვაც იყო გულთამხილავიც, უდრეკი და გულადიც!

ოი, საოცრება! ერთი კვირის მერე, მახარე დორეულმა სახლის შენება დაიწყო და საძირკვლის გასკვნაზე რომ ცხვარი დაჰკლა, ციციკორეს არ დაუძახა!

მეორე კვირას ყოდალამ რძიანი ძროხა დაკლა, მგელს დაეგლიჯნა, არც იქ დაჰპატიჟეს!

რას სჩადიან უგუნურები! გუნებაში იტყოდა მოხუცი.

ციციკორეს წარმოდგენაში ქვეყანა იქცეოდა! სოფლის გულაგრილებამ დაასულმოკლა ციციკორე. პირახსნით, გულახსნით აღარავინ ელაპარაკებოდა, თუ ასე ეჩვენებოდა!

ციციკორეს გულში ცხრა თონე იწვოდა, მაგრამ ვინ იყო გამნელებელი? — იმედს ვინ დამიდებს, გულს ვინ დამიამებსო?

აღარ ისმოდა ციციკორეს მჭექარე ხმა, არწივული ყაშყაში! ალმასის გამყრელი სიტყვა ახლა გარსიამ ჩააწყვეტინა.

სადღა იყო მპყრობელობა და განგება! სადღა იყო სოფლის ბედეგი, ღვაწლის მძლე, ახლა სულიერი გვემით განცდილი შეძრწუნებული, შემუსვრილი?

უქნელი საქმე ქნა გარსიამ. გარსიამ თუ... ახალმა ადამიანმა, ახალმა ცხოვრებამ, ახალმა ძალამ. მის წინ ციციკორე უმწეო გამოდგა.

ციციკორეს ეგონა, ხალხი გადმოიშლებოდა განრისხებული, აზავთებული, მკლავს მკლავზე გადააბამდა, დაიხსნიდა თავის წინამძღვარს და მისთვის მიყენებულ შეურაცხყოფას ასე ადვილად არ შეარჩენდა ვიღაც „მოთრეულ“ გარსიას!

მაგრამ ჩქამიც რომ არავის დაუძრავს. ოი, სირცხვილო!

იდგა გულშელეწილი, გულდამსხვრეული, განა კაციღა იყო? არა, — დამპალი ქვა ფშანტალა, ოდესღაც ღონიერი და გამძრავი, გულმაგარი, ახლა დამკრთალი, თითქოს კიდეც დალეულიყო!

სხვისი მფარველი, თვითონ დარჩა უმფარველო, თვალმტკივნეულადაც არავინ შეჰხედა, გაგონილა?!

სიკვდილსღა ნატრულობდა ციციკორე და მართლაც ჰნახა, როგორ არა ჰნახა სიკვდილი! ტანთ შავი ნაბადი ეხვია, თეთრად ცელს აელვარებდა.

ციციკორე არ იყო გარეთ ნავალი კაცი. და ამას დიდ ნაკლადაც უთვლიდნენ. მიჭედილ-მილურსმული იყო თავის კერასა და სოფელს.

— ჩემი ჭიპი თურმე კერას არი დაფლული, რომ სულ ჩემს კერაზე ვიდგე და არ გავგარეულდეო!

თბილისი ჯერ არ ენახა. არც ელექტრო, არც მატარებელი და ეს ჰქონდა მარად საკვეხარად.

— რა არი ეგ თქვენი ქალაქი! ათას საკვირველებას ამბობენ, მაგრამ მე არც მიკვირს, არც მეშინიან და არცა ენახავ! იქ რა მესაქმება!

თუმცა ხმაში შეატყობდი, რომ სოფლის უმანკო წიაღში აღზრდილს, მისტიური შიში ჰქონდა ქალაქის ცივილიზაციისა, მაგრამ ამაყი არ ტყდებოდა.

სიბერე ლომსაც მორევიაო! მოერია ციციკორესაც. ნაბიჯი გაუძნელდა, შემდეგ გაცივდა, მაგრამ სიამაყით ავადმყოფობას არ დაუწვა და გადაჰყვა კიდეც თან...

...და 1915 წელს, კახეთის პირველმა მატარებელმა იორის სადგურიდან რომ შეჰკივლა პატარძეულის მიდამოებს, სწორედ იმ ხანად ჰმარხავდნენ ციციკორეს.

მატარებლის ხმის გაგონებაზე მეზობლები გაკვირვებით ამბობდნენ:

— აკი ეშინოდა, დახე, რა დროზე გაეცალაო!

ციციკორეს სიკვდილის ღამით, თურმე, არც ვარსკვლავები ჩამოცვენილა, არც წყლები შხიოდნენ, არც ქარი გრიალებდა, როგორც სცოდნია, ხალხის სიტყვით, დიდი კაცის სიკვდილის დროს. არც ძაღლებს უღმუვლიათ მთელი ღამე! არაფერიც არ მომხდარა ამის მსგავსი!

ღამე იყო წყნარი და გრილი, ადრეული შემოდგომის ღამე!

დილაადრიან, ნახირის გარეკვისას, მეზობელი ქალები, ჩვეულებისამებრ, სოფლის გზაჯვარედინზე ერთმანეთს შემოხვეოდნენ:

— ვაი და ვაი!

— რა იყო, რა მოხდა?

— მაშ, არ იცი?

— რაი?

— მაშ, არ შეიტყე ჩვენი დასაკლისი?

— არა და არა!

— ჩვენი სოფლის ბურჯი წაიქცა წუხელის! ციციკორემ სული ჩააბარა გამჩენელს!

— ვაი და ვუი! — შეიცხადა მეორემ.

— ნეტამც არ გეთქვა! ახლა, რაღა გვეშველება?

ბევრი მართლაც გულით შეწუხდა. ხნიან ქალებს ცრემლიც კი გადმოუგორდათ დანაოჭებულ თვალებზე.

სასაფლაოდან კაცები თავდადრეკილები მოდიოდნენ, რაღაც დაბნეულები.

— რა იქნება დაღმით-ჩაღმართით? ავაი, ჩვენს უპატრონობას! რა დამწონი კაცი დაგვაკლდაო!

ოჯახებში ციციკორეს შესანდობარს სვამდნენ:

— ღმერთს ჩაბარდა ჩვენი ციციკორე, ახლა ცივი მიწის ტყვეა! წავიდა! სალამი მივცეთ, ბიჭებო, ღვინო დავუშვათ ჯამზე, — იტყოდა რომელიმე ტუხა, ბახა, ყოტა, ბირხლა თუ ბოხვერა და ჯამზე ღვინოს დაუშვებდნენ მოსაგონებლად.

— ვაი, რომ ვეღარ გავიგებთ ციციკორეს დარიგებას, გულშემატკივრობას!

სავატელმაც თავი მოიხარა, მივიდა, კუბოს ხელი დაარტყა და გულისტკივილით დასძახა:

— განა კიდევ გააჩენს ჩვენი სოფელი ამისთანა კაცსაო?

თუმცა მაღალი არ მოდრკა, დაბალი ვერ შესწვდა. აკი ამბობდნენ: ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში ვერ მოიხარშებაო!

ციციკორეს დამარხვის დღეს, ერთი მღიმარი კაცი არა ჩანდა მთელ სოფელში, მხოლოდ ჰაერში მაძღარი ქელეხის სული ტრიალებდა.

— ეჰ, ვეღარ ჩამოივლის ჩვენი ციციკორე სოფლის შარაზე ყავარჯნის ბჯენით!

— ვეღარ შეგვსუსხავს!

— სიმართლე სუსხია? ისე ღმერთმა მე მიშველა, რამდენჯერ ყავარჯენიც აყვავებულა სიმართლით! ციციკორეს ამაგი მერე დაფასდება ოქროს წონად!

— დახე, რა გვიყო ტიალმა სიკვდილმა, კიდურზე მიგვიყვანა!

დამარხვის დღეს, დედაბრები იცრემლებოდნენ: დასტურ, რაღაა ჩვენი სოფელი, ციციკორეს მერე ნასოფლარიღაო! დიახ, ნასოფლარი, მაშ, რაღაა მას მერე, რაც მიწაში ჩაწვა ციციკორე!

ახალგაზრდებს ეღიმებოდათ...

ბებრები ტირილით აცილებდნენ ცხედარს.

ყოველთვის ასე ყოფილა, გულმდუღარებით მხოლოდ თავის თაობას დასტირიან წმინდა, გულწრფელი ცრემლით თანამედროვენი!

მ ა ი ი ჯ ა

ვის არ უყვარს მზე?

' მზეს ესწრაფვის დიდი არწივი, პატარა ტოროლაც, „ცას წავალო“ რომ წკრიალებს ყოველ დილით, აექანება ცისკენ მთრთოლარი ფრთებით.

პირველ რიგში ბროწეულს უყვარს მზე!

როგორ მწვავს ბროწეულყვავილის ნაელვები გამოსხივებანი!

მიყვარს ცეცხლური ყვავილი, მზიანეთის სხივმფენარა ალნაპადი ოქრომდნარი, სეფესანთელივით რომ ბდღვრია-

ლებს; მიყვარს მისი გულის ავსებულობა! თითქოს მზე სავსებით შეუწოვიაო.

არა, არა მჯერა, რომ იგი სხვა ყვავილივით დასჭკნეს როდესმე, ჩამოცვივდეს, განქარდეს, ამტვერდეს! არა, არა მჯერა!

მზის ნაბადებია; მის კოკორში დაგუბებულა სხივთა ნაგალობარი; შიგ ჩაწერილია ანკარა სხივთა რაკრაკი; მზისობა უჩანს თვითეულ ნაკვთში.

ყვავილი კი არა, მზის ნაკადულის კამკამია! — ასე იტყვის გულისხმისმყოფელი!

ბუნების ასეთივე საჩუქარი იყო, ჩემს ოცნებას რომ შემოჰხვევია ბროწეულყვავილივით, — მარიტა! ნათლით სავსე, ღიმცისკროვანი ყვავილი ჩემი ყრმობისა!

მარიტა!

მარიტა — თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა!

ქალი კი არა, — მთვარის გამოახლება იყო!

მარიტა — ჩემი ყრმობის მეგობარი! ქალებში—დედოფალი.

— შენ „მზევარ“ უნდა გერქვას, „მზევინარა“, ბევრს უთქვამს მარიტასათვის.

მარიტას მერე, მე აღარ გამკვირვებია არც ყინცვისის ღვთაებრივი ფრესკა, არც არმაზელი ტურფა სერაფიტა.

— ვისაც ღმერთი არ გინახიათ, მოდით და ნახეთ მუხათწყაროში! გადამეტი არ გეგონოთ და მარიტას მშვენების სამზერად საგანგებოდ მოდიოდნენ მეზობელ სოფლებიდან. მოდიოდნენ და უყურებდნენ.

— რამ წარმოქმნაო, ჰკვირობდნენ.

მართლაც, ხეობის თვალი იყო მარიტა!

ახლაც, ჩემს თვალწინ დგას ალმასური სახე, მწყაზარი. მო-

ციმციმე ტრედონა, წყნარი, როგორც მაისის თეთრი წვიმა, ქალი — მტევანივით შემკობილი, ჩაკდემით მოსიარულე; ნაზი, როგორც ნიავი, ვერხვში შეხიზნული.

მართლაც, პირმეტყველი სამოთხე იყო, მარიტა!

გიოცნებია ნუკრის თვალებზე? გყვარებია მერცხლიანი თვალები? ძვირფასი სახის დამარმარება? მარიტას სახე — მართლაც სინათლე იყო! ბროწეულის ყვავილივით ჰყვაოდა მისი სილამაზე!

მარიტა ცისარტყელასავით დადიოდა სოფლის ორღობეში, თუმც ორშაურიანი ჩითის კაბა ეცვა! რა უცნაურია ბუნება! როგორ იცის ზოგჯერ უხვად დასაჩუქრება!

მარიტას სულის მშვენიერება აღემატებოდა მისს გარეგან სილამაზეს! გულში ია ამოსდიოდა!

თვითონვე ჰგრძნობდა მარიტა ბუნების მიერ მომადლებულ ნიჭს, გულში მადლიერობდა, რომ მშვენიერების ღირსი გახადა ბუნებამ და ამ ნაჩუქარ დიდებულ განძს, თავისი ზნეობითაც უვლიდა, ნაზად და სათუთად უვლიდა... იცოდა, რომ უხვად იყო დასაჩუქრებული! იცოდა, აფასებდა, უფრთხილდებოდა!

რამდენ ვაქს უნატრია: ნეტამც შვილად გავჩენოდი შენ! დედამთილსო!

— ახ, ვინ ბედნიერი გაისაკუთრებს? ვინ იქნება მისი მკუთვნელიო?

— გლეხის ქალი და ეგრე ლამაზი?

— განა ეთერიც გლეხის ქალი არ იყო, უღარიბესი მეწისქვილის ასული, მეფისწული აბესალომი რომ ეტრფიალა?

ჩემი სახლის დასწვრივ მოჩანდა ჩაჩიკას ქოხი, ვეება ლელ-

ვის ხეს გამობმული! ამ ქოხის შვილი იყო მარიტა! — ჩვენი ნათლული და ჩემი მეგობარი; დედით ობოლი, დიდედა ლელაურის მუხლქვეშ გაზრდილი.

მაშინ ის პატარა გოგო იყო, მეც მისი ტოლი ბიჭი ვიყავი!

ენკენისთვის მიწურულები იყო, როცა ყურძნები დაკრეფილია, ქვევრები ნიგვზის ფოთლებითა და აყალოთი ახლად არის წახურული, ეზოებში კი მოდებულია ბრელო ახლადმოჭრილი სიმინდისა. ამ დროს მოყვითლული დღეები კელაპტარივით იწვიან. ჰაერი გამჭვირვალეა, ცა ლურჯად ჩამდნარი, უციაგესი...

უჩუმრად იდგნენ ცივ-გომბორის მთები, ჩემი მშობელი მთები. ქვევით იორი ლაპლაპებდა ომში ამოღებული ხმალივით. ივრის ხასხასა ჭალები ნოყივრად შრიალებდნენ. უბნის გოგო-ბიჭები ჰაერში გაბმულ „ირმის დორბლებს“ ვიჭერდით, დავკუნტრუშობდით, ვმღეროდით.

უეცრივ, ჩვენს ეზოში შემოვიდა შუახნის, შეჭაღარავებული ცხენოსანი, უნაგირზე პატარა გოგო შემოესვა — მარიტა.

ყვითელი აბრეშუმივით თმა-კულული... ლურჯი თვალები... ისე ვიგრძენი, თითქოს ჩვენს ეზოში ია შემოვიდა, შემოვიდა და შემოეფინა... მე შევდექი და გაკვირვებულმა ცქერა დავიწყე, მერე მოწიწებით მივუახლოვდი, ხმის გაცემა გავბედე და... მალე ერთად ვთამაშობდით მე და მარიტა!

ახლად დაქვრივებული ჩაჩიკა ჩვენსას სტუმრად მოსულიყო თავისი დაობლებული პატარა გოგოთი. მალე მარიტას ნადედობიც გამოჩნდა — დიდედა ლელაური!

დედაჩემს ძალზე გაეხარდა ნათლულის ნახვა. კარგადაც დახვდა. მთელი დღე ჩვენთან დაიმყოფეს მარიტაანთ. მეორე დღეს, ჩაჩიკა სიდედრის ქოხში ჩასახლდა.

იმ დღიდანვე მუშაობას შეუდგა შრომამოუწყენელი ჩაჩიკა თავისი სიდედრის მამულში, თვითონ არაგვიდან იყო, ცოლი რომ მოუკვდა, იქ ვეღარ დადგა, ცოლის სიყვარულით მისს სოფელს შემოეხიზნა.

მშვენიერი ვენახიც გააშენა! სულ ერთთავად შიგ მუშაობდა! მეზობლები დიდ პატივსა სცემდნენ შრომისათვის:

— სირცხვილია, ჩაჩიკას ღვინო საქეიფოდ დაილიოს, წამლათ უნდა მიიღო და წვეთეულად იხმაროო!

ღარიბი იყო ჩაჩიკას ოჯახი, თუმცა ჩაჩიკას გარდა დიდედა ლელაურიც მხნეობდა.

, წერა-კითხვაში გაწაფული მარიტა ახლა სხვას ასწავლიდა ანაბანას დიდის გულმოდგინებით. რომ წამოიზარდა, საოცარი ხალიჩის მქსოველი დადგა! გაზაფხულის ყველა ფერით ხალიჩას ჰქსოვდა, გამოცდილ ოსტატივით!

მეც იმ დროებში დავიწყე ლექსების წერა. ორივემ ვიგრძენით, რომ ხელოვანნი ვიყავით და ალბათ ამიტომ სულის თვისტომები გავხდით... შეიძლება ესეც იყო მიზეზი ჩვენი ასე დამეგობრებისა; მაგრამ, მაშინ რომ ჩემთვის გეკითხათ, გეტყოდით, რომ მიზეზი, — მარიტას უნაზესი ხმა იყო და კდემამოსილი სახე, თანაც უჩვეულო, ქალწულებრივი სიმშვიდე.

რატომღაც მარიტას ზედმეტად სჯეროდა ჩემი პოეტობისა:

— მომეცი შენი ლექსი, ამ ფარდაგზე ამოვქსელო! — მეხვეწებოდა, — აქეთ-იქიდან კი, ვარდებს ამოუქარგამო!

მაგრამ სად მქონდა ისეთი ლექსი, რომ ღირსი ყოფილიყო მარიტას გულისყურისა, თუ მისი თითების შრომისა?

ახლაც კი ვერ დავარწმუნებდი მარიტას, რომ მის მიერ ხალიჩაზე ამოქსოვის ღირსი ლექსი ჯერაც არ დამიწერია!

ერთხელ, ჩემი მასწავლებელი, კომპოზიტორი ნიკო სულ-ხანიშვილი ჩამაცივდა:

— ჩქარა „საქართველოს ჰიმნისათვის“ ლექსი დამიწერეო! მალე განვთავისუფლდებით და ჰიმნი დაგვჭირდებაო!

ეტყობა, სულხანიშვილს, მარიტასავით, სჯეროდა ჩემი ნიჭისა!

ცხადია, თავი ხიფათში არ ჩავიგდე და კისრად ვერ ვიდე ბუსიკოსის დავალება, ისევე როგორც მარიტას თხოვნა.

ეს იყო 1916 წელს, რევოლუციის წინაწელიწადს!

საოცარია, როგორც მარიტა და ნიკო სულხანიშვილი მთხოვდნენ დაჟინებით ლექსს, ისე ჩემთვის აღარავის არ უთ-ხოვია ლექსი, არც ერთ რედაქტორს, არც ერთ თაყვანისმცე-ცელს!

საოცარი მშრომელი იყო ჭირდებული დიდედა ლელაური, მარიტაც მას მიემგვანა, მასაც სწყუროდა ცხოვრების წმინდა წყაროს წყალი!

მარიტა შრომაშიც ფაქიზი იყო, მუდამ ფურფუშებით და ფანცი-ფუნცებით მორთული წინსაფარი ჰქონდა აკრული — მარწყვის ყვავილით მოჩითული.

საშინლად მეცოდებოდნენ „მეთავთავე ქალები“ თუ ბალ-ღები. მკათათვის სასტიკ სიცხეში, ტვინი უნდა აედუღებინათ ცხარე მზის გულზე! წაღუნულებს, სისხლდაწკრეტილებს, ნამ-გლისაგან გაბნეული, დანარჩენი თავთავი უნდა მოეკრიფათ. წინსაფრით შინ ეზიდებოდნენ.

ეს მათი წლიური სარჩო იყო, ხოლო თუ ქალს ქმარიცა ჰყავდა, ეს მონაკრეფი თავთავი მაინც მისი პირადი ქონება იყო, ქმარი ვერ შეეხებოდა, ამას მიუმატებდნენ კალოს გალე-

წილ ჯელჯს და ბოლოს საკუთრად ლეწავდნენ. ამ პაპანებაში, სიცხეში საშინელ ჯაფით შეგროვილ გროშებით, ქალს შეეძლო მეწვრილმანისაგან ქმრის დაუკითხავად ეყიდა თავი-ჩითი საკაბე თუ ბამბაზია, საკუთრივ ან თავის შეუმოსავ ბავშვებისათვის.

მკათათვის დილიდანვე სამკალში გაშლილ დედაკაცებში ჩადგებოდა მარიტა და გულმოდგინედ ჰკრეფდა დაბნეულ თავთავს. მე ვერ ვიტანდი მარიტას სიცხიგულზე შრომას და ვეშველებოდი. ბევრჯერ დედაჩემი გამჯავრებია, მზე არ ჩაგივარდესო, მაგრამ თავთავებზე წახრილ მარიტას არ წავხმარებოდი, არ შემეძლო.

— წადი, გენაცვალე, არ დაისიცხო! — წყნარად მეტყოდა მარიტა და მისი უნაზესი ხმა უფრო მაბამდა იმ ადგილს, სადაც მარიტა ჰკრეფდა თავთავებს, ვიდრე მზის შუქი ჩაიკრიფებოდა.

იწვოდა დუბიანი, მზისაგან დამწვარი წითლობი, შორს ჰმშვენოდნენ 'გრილი ბაღნარები, მაგრამ საგრილობელი, ჯავრიანი ხეები მარიტასთვის არ შრიალებდნენ.

საღამოთი, სახემტკბარი მარიტა გამობრწყინდებოდა თავისს დერეფანში, სულაც არ ეტყობოდა მთელი დღის დაღლილობა. პირმოოქროვილი დიდედა ლელაური წადიერებით ეალერსებოდა საყვარელ შვილიშვილს.

— ჩემო სპეტაკო შროშანავ, ჩემო ბამბიქულავ! რად ვინდა მზითევი? შენი მზითევი — შენი აბრეშუმივით გადავარცხნილი თმებია! — ეტყოდა დიდედა.

— შენი მზითევი — შენი იისფერი თვალებია!

— მთვარისპირავ, შენი გულმკერდის ნათელი — შენი მზი-

თევია! — და ეგრე უნდა ჩაჰყოლოდა ანაგებად, თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე დიდის ალერსით დამტკბარი ლელაური.

კრძალული მარიტაც ჩუმად ნებივრობდა.

— შენთვის გაქარწყლდეს დიდედაშენი, ჩემო ობოლო, მარგალიტზე უთეთრესო! — განაგრძობდა დიდედა და თან ნაწნავს უწნავდა. წამოწოლილი მარიტა შველივით განაბულიყო.

— ვარდის ჩიტო, პატარა მტრედო გვიძინა! — არა ცხრებოდა დიდედა ლელაური.

— მზის ცისკარო!

ჩვენ დროს ბავშვთა ერთი ბედნიერი დღე „არიფანა" იყო — საძმო სუფრა, — ყვავილთა დღესასწაული, ყრმათა პურმარილის შეერთება. არიფანას ყოველწლიურად, ვარდობისთვეში ვმართავდით უბნის ბავშვები.

შინიდან წავიღებდით წინასწარ დამზადებულ სანოვაგეს, ტკბილეულს, ტკბილ სასმელს, შერჩეულ ადგილზე გავ'ძლიდით სუფრას, თავზე დავიდგამდით გვირილის გვირგვინებს. სუფრა კი ვარდ-ყვავილებით, ზიზილებით გვქონდა აყვავებული.

ვმღეროდით, ელექსობდით, ვცეკვავდით, ვთამაშობდით.

კარგად მახსოვს, უკანასკნელი არიფანა ჩვენი ვენახის თავში გავმართეთ, დიდი სამასწლოვანი კაკლის ჩრდილის ქვეშ.

მე, ძველი არიფანების მონაწილეს, მიფიქრია, რატომ ისევ არ შემოვიღებთ ჩვენი ბავშვებისათვის არიფანას, — ამ მშვენიერ ძველქართულ ჩვეულებას, — ბუნების დღესასწაულობას ყრმების მიერ?

უკანასკნელ არიფანაზე განსაკუთრებით დამახსოვდა

მარიტა, არიფანას დიასახლისი! უკანასკნელის, ვამბობ, რადგან ჩაშინ უკვე საარიფანო ჰასაკს გადავაღწიეთ, მოზარდობაში გადავდგით ფეხი, ერთი ჩვენი ტოლი გოგო იმ წელს კიდევაც გაათხოვეს.

და აი, უკვე სხვა თვალით მეჩვენა მარიტა, — გარდასხვავებული! ჩემს წინ შეღერებული, შედედებული, მკერდამოესებული ქალწული იდგა თეთრმოვარდისფრო კაბაში!

არიფანას სუფრაზე მარიტა ტკბილი მზრუნველობით დიასახლისობდა, რიგს გვაძლევდა, დაგვზრუნავდა, გვეალერსებოდა. ოდნავი სევდა უკრთოდა თვალებში, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენსავით ისიც სამუდამოდ ეთხოვებოდა ბავშვობას, უკვე მოზარდობის ჰასაკში გადასული.

ისიც შევნიშნე, რომ ჩვენი მეზობელი, ჭაბუკი მეძროხე გედია ნათელიძე, თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭი, სუფრის თადარიგში ეხმარებოდა; თან მოკრძალებითა და ღიმილით მისჩერებოდა; თითქოს რაღაცას ემუდარება, შეთხოვსო, ხან თითქოს კიდევაც ებუზღუნებოდა. ერთი სიტყვით, ისე მეჩვენა, რომ გედია ვერავის ამჩნევდა მარიტას გარდა. ის მშვენიერი ყვავილთა გვირგვინი, დიდის ეშხით რომ დაწნა გედიამ, სწორედ მარიტას დაადგა თავზე, ლეკურიც მასთან იცეკვა!

მარიტასაც ეტყობოდა უჩვეულობა, — უეცრად მოსწყდებოდა იქაურობას, გაირინდებოდა, თითქოს სხვა სამყაროში გადასულაო, და მის მშვენიერ, კამკამა სახისთვის თითქოს ნაღველს თავისი ფრთა გაეკრა...

შესამჩნევი ბიჭი იყო მეძროხე გედიაც — რჩეულებში ამორჩეული! მაგრამ მარიტასავით ღარიბი, უქონელი, უყოლელი, უმამულო!

მალე ხმა დაირხა, მარიტა და გედია შეყვარებულები არიანო! გედია აღარც მალავდა. ერთხელ ჩემთანაც წაიღიღინა, ტყეში რომ ვიყავით, შინდზე:

„შომენატრები, მარიტავ,
სული ამამდის ყელშია!“

გედია ზაფრადაცემულივით ტორტმანობდა, იკლაკნებოდა სიყვარულით, მოუსვენრობდა, საქმეს თავს ვერ უდებდა; სიყვარული შეჰსეოდა მისს თვითეულ უჯრედსა და ძარღვს.

„წყეულო სიყვარულო,
ვაი, ჩაგავლებ ხელსა,
სულ ლუკმა-ლუკმა დაგკუწავ,
მერე შეგიკეთებ ცეცხლსა!“

ბევრი სხვაც იყო მარიტას სხივოსანი სახით ელდადაკრული. თვალმცეცხლი ბიჭები ეტმასნებოდნენ მარიტას. არა ერთი ჭაბუკი მწყემსი, მევენახე, მეხრე თუ მეძროხე.

მარიტას ბრალი იყო, ზოგს რომ ხბოები ეკარგებოდა, ზოგი სამუშაოზე ველარ მიდიოდა, ზოგი ღამეს თეთრად ათენებდა, ზოგი დღისითაც გმინავდა.

— გაძნელდა უშენობა!

შორიდან შესჩიოდნენ მარიტას აჩრდილს.

მაგრამ ყველაზე მეტად დაჭრილი მაინც გედია იყო.

მახსოვს, სიონობა ჩვენ სოფელში, დღეობა და ღრეობა.

მოზარდობა ფოლორცზე ორ ჯგუფად გავიყავით. ერთი ცალ მხარეს იდგა, მეორე — მის პირისპირ.

ხელი ხელთ გვქონდა დავლებული. ჩვენ რომ სიმღერით

ვიტყოდით, თან სკუპით წინ მივიწევდით, მეორე ჯგუფი შეგვეპასუხებოდა სიმღერით და სკუპითვე უკან დაიწევდა.

ჩვენს ჯგუფში მარიტა იდგა, მეორეში — გედია.

გედიას ჯგუფმა ძველებურად მოგვიმღერა:

— ა, ნიშანი, მოგვეც, ქალო, თამროს გარდამაო!
ჩ ვ ე ნ ვ უ პ ა ს უ ხ ე თ: არ მოგცემთ და არ ვიკადრებთ, თამარ კარგა გვყაო!
გ ე დ ი ა ს ჯ გ უ ფ ი: — მეძროხის ცოლად ძინდოდა, თამროს გარდამაო!
ჩ ვ ე ნ: მეძროხე მოჩანჩალეა, თამარ კარგა გვყაო!

გედიას ალმურმა აჰკრა, გედიას ჰკენწლავდნენ. არა ცხრებოდა სიმღერა:

გ ე დ ი ა ს ჯ გ უ ფ ი: — მომე თოფი, მოვიტაცებ!
მ ა რ ი ტ ა ს ჯ გ უ ფ ი: — ვერც მოხვალ და ვერც ხელს ახლებ!
გ ე დ ი ა ს ჯ გ უ ფ ი: ნიშანი მოგვიტანია.
მ ა რ ი ტ ა ს ჯ გ უ ფ ი: არ გვინდა შენი ნიშანი!
გ ე დ ი ა ს ჯ გ უ ფ ი: — ასი თუმნის ფარჩა ვრი!
მ ა რ ი ტ ა ს ჯ გ უ ფ ი: არც შაურის ძონძებია! სანეხვეზე ნაგდებია!
გ ე დ ი ა ს ჯ გ უ ფ ი: მოველი და მოგიტაცე!

მისცვივდნენ მარიტას და გაიტაცეს თავის მხარეზე. ზაგრამ მოწინააღმდეგე ჯგუფმა ისევე უკან გამოიტაცა.

ამნაირად, არ ემეტებოდათ მარიტა მეძროხე გედიასთვის.

შემდეგ ორივე ჯგუფი შეერთდა, გაჩაღდა ტაშ-გოგონა.

თავდავიწყებული გედია უვლიდა, ცეკვავდა და თან ლექსს შესძახებდა რაღაც ჟინით:

ლე, ლე, ლეკურ-კაბა!

გოგოებმა შეუკიდეს:

დედამ კაბა შემიკერა, დარაია, შრიალაო!
აბა, ბიჭო, შემომხედე, როგორ მადგა ტანშიაო!

ბიჭებმა შეუძახეს:

ღმერთმა შენცა შეგარცხვინა,
შენი კაბის არშიაო!

გედიამ მარიტა გაიწვია საცეკვაოდ, მარიტამ თვალი მიანათა და... შეცურდა წრეში, ცეკვავდა მარიტა და ყველანი მას მივსჩერებოდით... როგორ უხდებოდა ქალწულს თვალთა ნარნარება! თითქოს ნიავი ცეკვავს ლერწმის წვერზეო! ყველამ სული განაბა და როცა მარიტას ბოლო წრე უნდა შემოევლო, სწორედ ამ დროს, თვალი შეჰკრა საყდრიდან გამოსულმა ბერდედა ლელაურმა, ხელი ჩაჰკიდა და წრიდან გაიყვანა.

მარიტა დარცხვენილი იდგა დამნაშავესავით, თითქოს უჩინთვალმა გაუგო გედიასადმი ტრფიალება და აუკრძალაო.

— რა შენი ტოლია ეგ ჭირსაჭმელი! — ცალკე საყვედურით უთხრა მარიტას.

მარიტას პირველად დაეწვა გული...

მეზობელი ბიჭებიც გადამეტი სიყვარულისათვის დასცინოდნენ მგრძნობიარე გედიას. — სად არის ამდენი დრო, რომ მარტო ქალს შესწირო, ათასი საქმე აქვს სოფელში ადამიანს და თავშისაცემი! გედია კი მარტო მარიტას გზას ადნობს თვალებსო!

— ეგრე არ უნდა შენ, ბიჭო,
ნიადაგ ქალთან სწორება.
ხან ხვევნა უნდა, ხან კოცნა,
ხანდახან მკლავზე გორვება,
ხანდახან კარზე გახვიდე,
უკან არ დაგრჩეს ცხოვრება!

განა ცხოვრებისაღა რამ ესმოდა გედიას? ერთ საღამოს შენიშნა გედიას დედის, ხათუთას სიტყვები, შვილს რომ მუდარით მიჰმართავდა დერეფანში, როცა ძროხის მოწველის მერე, ფეხი წამოჰკრა ქვას, საწველელი წაექცა და რძე დაეღვარა:

— დავბერდი, შვილო, შრომა აღარ შემიძლია, თვალთ აღარ მიჭრის, ნისლი რო მეხვევა, სუდარა მგონია! ცოლი მოიყვანე, ცეცხლის ამნთები მინდა! მარიტა მოიყვანე, სანთლით ნარჩევი ქალია!

რა იცოდა ხათუთამ, რომ მის შვილს უკვე შმაგურად შეჰყვარებოდა მარიტა! მოყვანა კი არა, წამსვე ხელს დასტაცებდა, ციმციმ გამოიტაცებდა, თავსაც შეაკლავდა. ლელაურისა ეშინოდათ, თორემ მარიტას თანხმობა კიდეც ჰქონდა მიცემული!

ავარდა სიყვარულის ალი! ავარდა და აგიზგიზდა!

მარიტასაც და გედიასაც ახლა შეეძლოთ „ვისრამიანის“

ენით ეთქვათ ერთმანეთისთვის: „ჩემგან კიდე საშენო სხვა აღარავინ იპოების და შენგან კიდე საჩემო! მე მაისი ვარ, შენ — გაზაფხული!“ ან ერთად ემღერათ:

„გინდ მოვიდნენ ცხრანი მზენი,
მე უშენოდ ვერ დამთბება!“

მარიტას „მისაფუძვლამდე“ შეერყია გედიას გული! მარიტა და გედია ერთმანეთის საფერისები იყვნენ, მაგრამ მათ ბედი გადაწყვიტა დიდედა ლელაურმა:

— გედია? ცუდი ბიჭი როდია, მაგრამ უარსებოა, ღარიბი! ჩემს ერთადერთ შვილიშვილს ვერ დავაჩაგვრინებ, ისიც გვეყოფა, რაც გვწეწა სიღარიბემ! — და თითისტარს ჩახვეულ ფარტენაზე ცრემლი დააგდო.

მაშინ მწყემსი შეთე დაუბეჯითეს და კიდეც მოიწონა.

— შეთე? — ცხვრის პატრონი, სიმდიდრით დამტკბარი! მისი ცხვრის ფარები თურმე თრიალეთის მთებს ღრუბელივით აშავებს და წვიმასავით იწველება!

— შეთეს ბეღლებში კიბით უნდა ჩაიხედო! სავსე აქვს ქვევრი, ჭურჭელი, გოდორი! ჩემი მარიტაც გაიხარებს; სიღარიბის პატარძლობა არ უწერია, სულ ვარდი უნდა აყაროს ცხოვრებამ; მზით უნდა იყოს გადანამქრული! ამის ღირსია! — წარმოსთქვა უმერყეო ბერდედამ.

ამ სიტყვებს წინ ვერა დაუდგა-რა...

თუმცა კი ჩაჩიკამ გაიკმარა საოჯახო თათბირზე:

— რათ უნდა უსიყვარულო სიყვარული? კალთაში ჩაეშლებაო! ოქროთი ვერ მოიგებ ბედნიერებას! — მაგრამ ვერც სიღარიბის დასასუსხად გაიმეტა და თანაც სიდედრის მკაცრმა კილომ გააჩერა:

— ჩემი შვილის უბედურებაც მეყო და ისიც, აქამდის რაც ვიწვნიეთო!

აგრე შერთეს მარიტას უნდომი, უნდო, უყვარული ქმარი შეთე — მლაშე, ზვიადი, ყომრალი კაცი, მგლისფერი!

პირანთებული მარიტა მიემკვდარა, რა შეიტყო თავისი ბედი, მაგრამ რას იქმოდა? ბევრჯერაც თვალებს დახუჭავდა, წარმოიდგენდა თავს გედიას გვერდით! დიდი იმედები გამტვერდა!

ვარსკვლავმა გვირგვინი ჩამოიყარა... ლალის საყურე გაშავდა...

ქორწილი რომ გათავდა, მარიტასა და შეთეს საქორწილო გვირგვინები ხმლითა და ხანჯლით აეხადეს, ვითომც უომრად. უბრძოლველად, უხმლოდ და უხანჯლოდ ამათ ვერავინ გაიყრისო. მარიტასთვის ნისლისფერა ცხოვრება დაიწყო...

შეთე, ნამშრალი, გოროზი, ყველასაგან უყვარული და ყველას უარისმყოფელი, დახარბებული იყო ცხოვრებას. დღეში ათჯერ დასთვლიდა თავისს ცხვარს და კიდევ არ ეკმაყოფილებოდა.

არ უყვარდა ღარიბი თანამოძმენი: გაბოტილი იდგა და ჰკილავდა.

ერთხელ ასეთი სიტყვა გათალა:

— თანატოლები რათ უნდა ვიყვნეთ ქონებული და უქონელი? — თან შავი ალმური ასდიოდა სახეზე.

მარიტას გულზე მჩხვლეტავი ნემსებივით ეჭედებოდა მგლის ნაკბილარივით შეთეს სიტყვები.

გედია? გარეგნულად არ შემკრთალა, წარბიც არ შეიდრიკა სიამაყით, მას ეგონა, თუ ქალმა გასწირა! ჯერ სულაც გაჰქრა სოფლიდან, მერე ორჯერ-სამჯერ ჩაიარა შეთეს ახალი სახ-

ლის წინ დათოვლილი ნაბდით, მარიტასკენ არც კი გაუხედნია!

დრო გადიოდა. ესე ამბავი ყველას დაავიწყდა, გედიას და მარიტას კი — არა!

ოი, სასწაულო, არ ვიცი, ვისი რჩევით, შეთემ გედია ნათლიად მიიყვანა, როცა ბიჭი ეყოლა. ბოროტი ენები მარიტას აბრალებდნენ.

გედია ისე იქცეოდა, როგორც ყველა ნათელ-მირონი, ეტყობა შეთემ არა იცოდა-რა, ან რა უნდა სცოდნოდა?!

გედია და მარიტა ცალ-ცალკე, უჩუმრად ებრძოდნენ გრძნობას და ვერ მორეოდნენ.

...და ერთხელ, როცა შეთე თრიალეთზე იყო, ხოლო მისი დედა გულიზარი ამიერ ქვეყნიდამ გასულიყო, გედია ჩავიდა მათს ოჯახში სამძიმრის სათქმელად.

მარიტასთვის სამძიმარი უნდა ეთქვა ნათლიას, მაგრამ ნამდვილად კი, მარიტას ღიმილი სწყუროდა! სულ ერთი სიტყვაც რომ გაეგონა მისგან, მთელ წელიწადს იკმარებდა ბედნიერებისათვის!

მარიტა შემთხვევით მარტოდმარტო დახვედროდა ოჯახში.

— გაუმარჯოს იმ ორ წვეთ თაფლს, რომელიც დღეს ერთ სიტკბოდ შეერთდება! — კისკისებდა სიო.

ლოყაწითელი მაისის იასამნის მიბნედილი სურნელი მხიარულობდა...

ასე შეხვდნენ ერთმანეთს — ახალი ტარიელი და ნესტანდარეჯანი...

მეზობლის შინაბერა ბალბალუკას, — „ნემსიპარიას“, კივკივით მოსიარულეს, არ გამორჩა გედიას სტუმრობა. კევიღეჭიამ გამოაქვეყნიერა ყოველივე.

სოფლის ენაკეციამ ნაზი, ქლარცი ენით მკმევარმა კრძალული და თავაზიანი ლაპარაკი იცოდა. და ამ ნაზ სიტყვათა გადაცემა-გადმოცემაში, თავისი ვითომდა კდემამოსილებით, მთელ სოფელს ამცნო გედიას და მარიტას ვითომდა საცოლ-ქმრო შეყრა.

ბალბალუკას ნაენავი, ჭორშესხმული ამბავი მივიდა სოფლის მეუფროსემდის.

— განა სოფელი ბრმა არი, განა გულზე გახვრეტა მეტიღა იქნება? — რისხვით ამბობდა ციციკორე.

— არა, ღობესაც თვალი აქვს, კედელსაც, ჯამ-ჭურჭელსაც!

— ქალი ეშმაკის თვალია! — წარმოსთქვა ციციკორემ და ხმის ამოღებაც ვერავინ გაბედა.

ცეცხლმოკიდებული სოფლის მეუფროსე ციციკორე თავზე ცივ წყალს ისხამდა. გმინავდა, თრთოდა, ტვინი გაუფიცხდა.

— მირონი დააქციეს, ტალახში შარიეს, ქვეყანა შეგვიგინეს, გაუგონელი ამბავია, ძნელად დასაჯერებელი, ქვეყნის გადაჯიშების ნიშანია სწორედ! მერე ვის დროს ხდება: ჩემს ხელში! ღმერთიც მე მომთხოვს პასუხს, ქმარიც, სოფელიც, ჩამამავლობაც!

— ვაი, თემო და სოფელო! — ბობოქრობდა ციციკორე.

— დამიძახეთ ელიას, ზაზას, გორიას, სოლომონს, ყანდუას, ზაქარას! — განკარგულებას იძლეოდა.

შუაღამისას სოფლის თავკაცების ფარული თათბირი გაიმართა ციციკორეს საბძელში. დიდი სჯა-კამათი იყო. ციციკორემ გულის ბოღმა-ვაება წამოცალა. თავისი დაიკინა; ზოგიკი წინაღუდგა, მაგრამ გავლენიანმა სოფლის მეუფროსემ

მაინც თავისი გაიტანა, და ვინც კი თავდაპირველად გაიკმარა, ბოლოს იმანაც კი ციციკორეს მხარი მოაბა მკაცრ გადაწყვეტილებაში!..

...ზაფხულის ნაცრისფერი დილა გათენდა, ნაწვიმარი, ნაცივარი, წუხანდელი წვიმის ღრუბლების ნაფლეთები კიდევ დახეტიალობდნენ ჩვენი სოფლის ცაზე, თითქოს ცაც იყო შეციებული, შეტალახებული, გამურული, ჰაერიც უგემური, წუხანდელ ნაწვიმარზე. წვიმით მტვერგადარეცხილი ძეძვის ორღობე უფრო ჩაშავებულიყო, ჩუმი წვიმის წვეთები ცრემლებივით ცვიოდა.

დილაადრიან, უეცრივ რაღაც ყრუ გუგუნმა თუ ზრზენამ გამომაღვიძა... ლოგინში ვნებივრობდი და ნათბილარს წამოდგომა მეზარებოდა... გუგუნი იზრდებოდა, ჩვენს სახლს უახლოვდებოდა...

მაშინღა ვეცი ფანჯარას.

ახლაც თმები მებურძგნება იმ სასტიკ სანახაობაზე.

სოფლის ბრბო უხმოდ მოდიოდა ღვარმოდენით, ჩოჩქოლით, გაონავრებული, გაძალიანებული...

აღრენით ღელავდა ბრბო, მრისხანებდა, გმინავდა, კვნესოდა, ჰბორგავდა, თითქოს გულის ნაღველს იწურავდა, ნიშნისმოგებით უხმაუროდ ზეიმობდა რაღაცას. მოდიოდა ღვარცოფულად, მაგრამ მუნჯად...

პერანგა ქალი უკუღმა შაესვათ ვირზე...

ახლაც მაგონდება იმ ქალის კუნთების თრთოლა. ეტყობოდა, სციოდა და სტკიოდა, სცხელოდა და იგმირებოდა, ალბათ, ენატრებოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი არსად ჩანდა და მისი ტანჯვა კი ძნელი იყო, ვითარცა სიკვდილი!

იმწამს იგი ათჯერ მოკვდა და ისევ ათჯერ ძალით აცოცხლებდნენ!..

...მოჰყავდათ სოფლის წამებული, თითქოს დედოფალი მოჰყავთო, და მთელი სოფელი მისი ამალა გამხდარიყო.

თრთოდნენ ქალის ანგელოზური მხრები და ბრბო კი ტალახსა და საქონლის ფუნას ესროდა თეთრ პერანგზე, რომელსაც თანდათან თავისი ფერი ეკარგებოდა.

არც ერთი ხმა...

არც ერთი შეძახილი... ეს იყო გასაკვირველი...

მაგრამ სიჩუმე საზარლად ხმაურობდა, ჩანჩქერივით გრიალებდა და თან იხვევდა ყველაფერსა და ყოველივეს.

წამებული ერთ წერტილს მისჩერებოდა, თითქოს იქით, სიცოცხლის გადაღმაა, და ამწამის ტანჯვას არცა ჰგრძნობსო და უცბად, როცა მოსახვევში შეუხვია პროცესიამ, მაშინ ვიცანი ის ქალი!

ჩვენი მარიტა! მინაცრებული, გამტკნარებული. — მარიტა ყოფილიყო! მაისის გამონაყოფი მარიტა!

დედაჩემი სულ კანკალებდა. თვალებზე ცრემლი ჩამოსდიოდა, გაოგნებულს თითქოს ფეხქვეშ მიწა გამომეცალა! ბრბო კი ჩუმად, უჩინრად მიჰქუხდა, როგორც ღვარცოფი, და მის წინაშე უძლური იყო თვით ღმერთი!

იმ საშინელი დღის შემდეგ გაუკაცრავებული, დამცრობილი მარიტა აღარავის სჩვენებია!

მარიტა მოკვდა სოფლისათვის!

თითქოს, სადღაც, უჩინრად გარდაიხვეწა...

ყველა უხერხულობდა მარიტას სახელის ხსენებას. ბავშვიც კი შეყოყმანდებოდა ხოლმე, ხოლო თუკი ენაზე მოადგებოდა

ეს სახელი, ენის ტარზევე შეირჩენდა და არც კი წარმოსთქვამდა...

ჩუმად იყვნენ მარიტას ნამეგობრალებიც... ყველა მიჰხვდა თავის შეცდომასა და ბოროტებას, ყველამ გაითვალისწინა საკუთარი დანაშაული...

გულგაგმირული გედია გადაიხვეწა ყაზახში, თათრებში, და იქვე მოეღო ბოლო უსაშველო დარდით, თავზე ხელაღებული ვიღაცას შემოჰკვდომოდა.

სოფელმა იგრძნო თავისი ნამხეცავი, ნაპირუტყვალი! აწყენინა თავის საუკეთესო შვილს, უმანკოს და უნაკლულოდ პატიოსან ადამიანს!

.მარიტა ზეზეურად დადნა და სულ მალე უთქმელი სევდით გადავიდა ეთერის ქვეყანაში!

გაიგო რა მისი ცოდვის მზიდველმა სოფელმა მარიტას სიკვდილი, საშინლად იტკივილა! მთელი სოფელი მოჯარდა მარიტას ეზოში.

მარიტას უხრწნელი სილამაზე — მთვარის საშუბლე, პიტალო ვერცხლური სახე, დამარმარებული ყელი, — სიკვდილშიც კი მომხიბლაობდა!

სოფელმა ზღვიერის ცრემლით დაიტირა თავისი მზეჯავარა. კუბოსთან ყველა წყაროსავით იღვრებოდა.

მხოლოდ გულჯავრიანი ციციკორე, ამაყი და გაძაგრული იდგა. ჩაღრუბლული, მძიმე ფიქრებში შესული, განა შემნანე, ხან ყავარჯენს დაებჯინებოდა, თითქოს სასტიკი მზერით ამოწმებდა, მართლა მოკვდა თუ არაო? საოცარი იყო, ციციკორე — მარიტას სიცოცხლის ხელმყოფელი, სოფლის ამტირებელი,

სულაც არ იტანჯებოდა, მას მართალი ეგონა თავი! მან ხომ სოფლის ძველთაძველი ზნეობა დაიცვა, სირცხვილი არავის შეარჩინა! მხოლოდ ნორჩი „გაუხარელი“ ქალი ენანებოდა, როგორც ადამიანს და თვითვე უკვირდა თავისი ძალა და გავლენა:

— სად დავკარი და სად გავარდაო!

„გამაძღო მე სიმწარითა, დამათრო მე ნაღველითა“—ცხოვრებამ... ბედმა... — შეეძლო გაემეორებინა მარიტას.

გლოვის კვამლით სოფელი გაშავდა...

სოფელს თავისი თამარ დედოფალი მოუკვდა... ხეებიც კი სტიროდნენ...

...და სამარის პირად, როცა დადგა უკანასკნელი წუთები გამოთხოვებისა და მიწის მიყრისა, იმ წამს, კუბოსთან მიჯრილმა მარიტას შეურაცხმყოფელმა ხალხმა, ახლა შეშინებულმა, უეცრივ უკან დაიხია, თითქოს ამაზე სხვა რამ უფრო საზარი დაინახა, კინაღამ ერთმანეთი გადათელეს და გათქერეს... რადგან ერთი მუჭა მიწის მიყრა ვერავინ გაუბედა ამ ღვთიურ სილამაზეს. ვერავინ... ვერავინ...

თვით უშიშარმა დოლენჯიმ, ბიჯიც ვერ წადგა, რომ მისაყრელი მიწა პეშვით აეღო დასაყრელად.

იდგა ხალხი და გულამომჯდარი ქვითინებდა.

ბოლოს, ისევ ციციკორემ გამოიყვანა ხალხი ბურანიდან.

ისიც ფეხის ბორძიკით მივიდა კუბოსთან, დაიღუნა, აიღო ერთი მუჭა მიწა და კუბოს მიაყარა...

უცბადვე დასწვდა ნიჩაბს და წავიდა მიწა ხრიალ-ხრიალით.

ეშველა ხალხს. გულს ეფონა... თორემ ცრემლი დაახრჩობდა!

კლდეთა ამონაყარ მიწაში ჩასვენდა მარიტა.

მიწას არ შერცხვა, მაგრამ ბალახი მიწაში ჩაძვრა სირცხვილით.

უცბად მზე გაჩაღდა, აბრიალდა, თითქოს ვისი ნაწილი მარიტა მასვე შეუერთდაო.

მარიტას სიკვდილმა, როგორც ხალხი იტყოდა, — მთები გადააბნელა, ქვეყანა დააცარიელა, ქვა დაადნო, კლდე დაშალა...

ხალხური ლექსი იტყოდა: მარიტას სული პეპელასავით გაფრინდა და ანგელოზები ზარის რეკვით შეეგებნენო!

იმასაც იტყოდნენ, ზეცაში მტრედი აფრინდა მახარობლადო — მარიტა მოდისო!

საიქიოში — ოქროს სკამი მიართვესო, დაღლილსაო.

ღვთისმშობელს ეთქვა თურმე: ფერზე გეტყობა, ძლიერ დაღლილხარ, დაჯე, შვილო, შორიდან მომავალი ხარო!

იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შუბლზე უნდა მოესვა, რომ გაეცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყოო, მიწაზე დასაბრუნებლად ვერ გაიმეტაო, მოინდომა, სულ გვერდით ჰყოლოდა, ახლაც გვერდითა ჰყავსო ვარსკვლავადო...

მთელი წელიწადი უწვიმარი იყო... ყანები ჩაიწვა. ვენახები გადახმა. ყანწი ვერავინ გაასველა!

დაშრა ჭური და საწნახელი!

ამ უბედურებას მარიტას უსამართლო სიკვდილს აბრალებდნენ, რომ სოფელმა უბრალოდ გასწირა მარიტა!

მახსოვს, დიდხანს იყო ამაზე მითქმა-მოთქმა, საუბარი. მერე ვიღას გვეცალა?!

მარიტა უკვე წაფერფლა ცივმა დრომ და გრილმა მიწამ! ვისღა ახსოვს?

მხოლოდ შემსწრენი და მახსოვარნი დაუჯერებელ ზღაპარ-ამბავივით გავიხსენებთ ხოლმე მარიტას სახისა და გულის სილამაზეს, ისიც ჩვენს შორის!..

. . . . . .

ამ გაზაფხულის პირზე ვინახულე ჩემი სოფელი და მარიტას ნაეზოვარიც.

ირგვლივ ყოველივე დამუნჯებულიყო. ნამოსახლარზე მარიტას სახლის ნაკედლარებიც კი აღარ ჩანდა.

იქ, სადაც მარიტას მამისეული სახლი იდგა, ახლა ქერის ბურდო ეყარა და ქათმებისაგან გარს მტვერი და ბუნგალი ირეოდა.

ყოველივე წალეკილი იყო „ზვირთთაგან მღელვარისა ამის მიუნდობლის საწუთროსათა“.

აღარც ერთი ხე აღარ გადარჩენილიყო მარიტას ეზოში. მხოლოდ ძველი კერის ადგილზე, თავისით ბროწეული ამოვარვარებულიყო.

ჩემს წინ, ახლად აყვავებული, ცეცხლისფრიანი ბროწეულის ყვავილი მიღიმოდა, მარიტას სახესავით ალაკრული!

ვუყურებდი მხიარულ მზიან ყვავილს და არა მჯეროდა, რომ მარიტა აღარ ამშვენებს დედამიწას! არც ის მეჯერებოდა, რომ ამ მტვერსა და ნაგავში ასეთი ბრწყინვალე ყვავილიანი ხე ამოსულიყო თავისით!

მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება?

ვინ იცის?!

ჩორეხი

სკოლიდან მხიარულად გამოცვივნულ ბავშვებს სოფლის დიდ ცაცხვთან დაგვხვდებოდა ჩორეხი და როგორც ბატკნებს მწყემსი, ისე გადაგვარჩევდა რამდენიმეს და გვმოძღვრიდა, გვწვრთნიდა, გვრჯულავდა, გვასწავლიდა...

ჩვენი ნამდვილი მასწავლებელი მართლაც ჩორეხი იყო და არა ჭროღა ლონგო, რომელმაც თავისი გაკვეთილების მეტი არაფერი იცოდა!

დარბაისელი ჩორეხის საგანი ერთადერთი იყო — საქართველო და მისი სიყვარული!

(და აი, ახლაც, ცაცხვის ქვეშ, გვიკითხავს „საქართველოს ისტორიიდან“ თევდორე მღვდლის თავდადებას და ბოლოს ლოცვასავით ჩაგვიკითხავს ზეპირად, როგორც გულში გადამდნარ საკუთარ გულისთქმას, და ჩვენ ხმამაღლა გაგვამეორებინებს „კალმასობიდან“:

— „ქართველნი წინაპარნი ჩვენნი, იყვნენ თუმცა კირთებასა შინა სხვათა და სხვათა მპყრობელთა მიერ, — მაკედონელთაგან, რომაელთაგან, ბერძენთაგან, ეგვიპტელთაგან, სპარსთაგან, სკვითთაგან, ოსმალთაგან და ჩინგიზთაგან, მაგრამ სიყვარული მამულისა და სიმაგრე სულისა ვერა დაატოვებიეს, იძლევდნენ და სძლიეს, იდევნენ და განდევნეს და ესრეთ მოიგეს უკვდავებისა სახელი!“

ამ სიტყვებზე ჩვენ ვბორგავდით, ვბობოქრობდით, აღარ ვიცოდით, სად წაგვეღო ხელები.

რა გვაწრთობდა მაშინდელ ქართველ ბავშვებს? — „დედა ენა“, „ჯეჯილი“ და რუსთა მეფის სიძულვილი!

მამულის თავისუფლების აზრის ცეცხლი იძვროდა ჩვენს სულში, მან დააალმურა ჩვენი გონებაც და უკვე მოზარდები. მამულის სევდით სახე-შეკომლილები დავდიოდით. ეს სევდა გვაკაჟებდა მაშინაც, ულვაშის გინგლი რომ დაგვეტყო, როცა „ყოველივე ფერმკრთალდებოდა ოცნების წინაშე“!

თუ აქამდე ჩვენ გვწამდა „წმიდანნი ზეცისანი“, ახლა შემოგვესხივნენ „წმიდანნი ქვეყნისანი“, — ჩვენი ქვეყნის მამულიშვილები, — ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე და, როგორც ჩორეხი იტყოდა, „ხმალშეუხსნელი ერეკლე“!

ერეკლეს სახელს ჩორეხი უსათუოდ ოხვრით დაატანდა:— ა, ბეჩავ, ბაგრატიონო!

ბაზალეთის ლერწმოვანები ჩვენთვის საიმედოს მღეროდნენ და ყურიც კარგად არჩევდა შორეულ მუსიკას.

„უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყეს მარჯვენე ჩვენი“! — ეს იყო ჩვენი პირველი აღთქმა მამულისადმი, აღთქმის საყვარელი გამოთქმა!

— ემთხვიენით ქართულ მიწას! — და ჩვენც ვემთხვეოდით.

— აკოცეთ წარსულის ნაშთებს! — ჩვენც ვასრულებდით ჩორეხის ბრძანებას და ძველი ტაძრის თუ კოშკის ხავსიან ქვებს დაჩოქილები ვეამბორებოდით.

ბავშვი ისე არ გაეტირება თავის დედას, როგორც ჩორეხი მისტიროდა საქართველოს წარსულ დიდებას.

გაშლიდა რუკას, შემოგვისხამდა გარს, დაადებდა თითს რუკაზე:

— მესხეთი, — შეეალერსებოდა, თან ღიმილით იტყოდა,— ჩემი გვარიც იქიდან არი! იქიდან ვართ წამოსულები!

— სამცხე, აჭარა, შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, ერუშეთი, სრულიად ჭანეთი, — აი, საქართველოს ნატამალი! კურთხეული მხარე! · არ დაივიწყოთ საქართველოს მოჭრილი ძუძუ! ჩვენი აკვანი! ქართული სალამით ამოდის იქ მზე, იქ გამოიგონეს ქართველებმა პირველი ფოლადი; იქ დაარტყა პირველად ურო თუბალაურმა!

„აწ მტვრად აღგვილან იგი ძალი და იგი ღონე“!

თითებს შემოატარებდა ჩვენს წაგლეჯილ მიწა-წყალს და მთრთოლვარე იტყოდა:

— იქ, ჩვენი ქედ-წაგრეხილი მოძმენი ცხოვრობენ, ქართველები. გადაწვეს ჩვენი ტაძრები, ციხე-კოშკები, სულ ნაღმებით ააფეთქეს, ბევრი იმაგრა მესხეთმა, ომში გადადნა, მაგრამ ძალამ აღმართი მოხნა, ბევრი სისხლი გვაქვს გამოშვებული!

— მეცოდება ჩემი სამშობლო — საქართველო ნაქარალი, ნაქორალი, გაგლეჯილი, გამოგლეჯილი, — დაჭრილი არწივი, ვეფხვი უსულოდ დანარცხებული!

მოსთქვამდა და მოსთქვამდა:

— ეჰ, როდის აიკუწება წიბონი გველეშაპისა? ვაი, მამულო, ნაჭირნახულევო, სისხლით შეღებილო, აკლებულო, დამწვარო, ტყვექმნილო, იავარქმნილო, ვაი, — ძნელბედო, ვაი, მამულო, გამესამედებულო!

ჩორეხი თვალნათლივ ჰხედავდა საქართველოს ჭრილობებს, თითქოს ხელს ურევს ამ წყლულებში და იქიდან იღებს გამოულეველ ძალას ბრძოლისას, სიყვარულისასო!

ეს იყო მისი გულის ნაღარი.

უცბად დაეცემოდა გულის სიღამე:

— ვაი, ნაოხრობას, დაქცეულობას! არ გესმით ნანგრევების ღაღადისი?

— იმარხება საქართველო, იმარხება ქრისტეს კუნძული!

— ღმერთო, შენი მაქვს იმედი! ფეხზე ააყენე ჩვენი მამული, ჩვენი შემფერხებელი ისტორია, მოგვეც განახლების ძალთა ღონიერება! ღმერთო, შენ დაამხე ჩვენი მტერი ქართველთ-ყლაპია!

— აღსდეგ, საქართველოვ! — თან ფეხს ღონივრად დაარტყამდა მიწას.

— აღსდეგინ, ღმერთო, და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი და ივლტოდეს მოძულენი მისნი პირისაგან მისისა!

— ესე არს დღე იგი, რომელი ქმნა უფალმან! ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა! — თითქოს წინასწარ ზეიმობდა ჩორეხის სული! — მალე გავიგონებთ მომავლის ხმას, მალე!

მაგრამ უეცრივ მოიღუშებოდა მისი შავი და მკაცრი სახე:

— შავ ზღვაში ჩავარდა მზე საქართველოსი! რაღა ამოიყვანს?

— რამ შეგადარდა, ჩორეხო?

— რად დაჩუმებულა საქართველოს წიაღი, რად? მესსია რად იგვიანებს? — გმინავდა ჩორეხი.

— პატარა ერი ვართ! ეჰ, რაც მკლავზე სისხლი დაგვდენია! სულ სისხლმა იავდრა ჩვენს მიწაზე! აი, ეს მარწყვიც კი, — ჩვენი წინაპრების სისხლის წვეთია. — იტყოდა ჩორეხი, როცა მარწყვს მოსწყვეტდა.

— ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა! საქმეა საჭირო, საქმე! — და თვალებში რომ სევდას შეგვატყობდა, გაგვამხნევებდა: — ისევ დაისხავს ჩვენი ვენახი, ისევ დაგვებადება რუსთაველი, აღმაშენებელი, თამარი! ნუ გეშინიათ!

იმედის დაოქროებაც კარგია! რა ვქნა, რა ვუყო ამ სიყვარულს, სათქმელად რომ დუღდება გულში!

— ქუდზე კაცი! ქუდზე კაცი გამოვიდეს და დავიხსნათ ბამული! — შესძახებდა უცბად აგზნებული ჩორეხი და თვალები ცეცხლით ევსებოდა.

— ქუდზე კაცი! — ყვიროდა ჩორეხი და ცოლი ორივე ხელს პირზე აფარებდა:

— დაჩუმდი, კაცო, არ გაგიგონ, არ დაგვღუპო!

და ღონემიხდილი ჩორეხი უღონოდ მიეშვებოდა ტახტზე.

— ო, ყური მომიგდეთ, რა არის თქვენი სამშობლო და კარგად დაიხსომეთ! — გვეტყოდა ბავშვებს და თვითვე მიუგებდა — „გარნა არს ქვეყანა მშვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთისა მიერ“!

— „ნაყოფიერი ყოვლითავე, ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვლითა, ფრინველნი მრავალნი, გარეულნი და შინაურნი, ზამთარ თბილი და მშვენი, ზაფხულ შეზავებული. წყარონი ცივნი, მშვენნი, ჭალა-ტყენი, ბალახნი და ყვავილნი მრავალნი“-ო, აი, ჩვენი სამშობლო!

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული.
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული!

ჩამარცვლით დააყოლებდა ლექსს და იქვე შეგვასწავლიდა...

— დიდი მშრომელი ხალხი ყოფილა ჩვენი წინაპარი ქართველობა! შეხედეთ, ჩვენ სამშობლოში პატარა გორაკიც კი არ არის, რომ ზედ არ იდგეს ტაძარი, ციხე-კოშკი, სიმაგრე! დიდი ოფლია დაღვრილი, დიდი! ეს უნდა გვახსოვდეს. მარტო ყანწის ტრიალი კი არ ვიცოდით!

სამაგალითოდ გვაჩვენებდა ძველ, საგვარეულო ხელნაწერს მისი პაპის პაპის მამამზეს მიერ ერთი კალმით გადაწერილს.

წიგნის ბოლოს მართლაც ეწერა:

„მოიხსენეთ, რომელ, ერთის გამოჭრილის კალმით დამიწერია, რომ არ გამომიცვლია კალამი და ჩვენ შემდგომ, ვინც ეს ასე მწერლობა ეცადნოს, საქებელ იყავნ“!

ჩორეხი ხელს დაჰკრავდა წიგნს და იტყოდა:

— აი, ვინ იყო ჩემი პაპა! მათი სული კიდევ მუშაობს,— ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანი დადგეს და არწევენ ახლაც, ამწამს, შიგ ოქროს ხუჭუჭთმიანი ყრმა წევს, ჩვენი მომავალი, ის ყრმა გაიზრდება და გაანთავისუფლებს საქართველოს!

ასე სწამდა ჩორეხს, სასწაულით ხელგაუნძრევლად თავისუფლების მოპოვება. გაიზრდება და გაანთავისუფლებსო! ჩაგვიკითხავდა ლექსს ბაზალეთის აკვანზე და შემპარავი სიტკბოთი შოგვიყვებოდა: ბაზალეთის ტბის ძირას ძვირფასი ოქროს სახლია თურმე! ჭერი ვარსკვლავებისა არის, იატაკი თვალმარგალიტით არის მოჭედილი, შუა იატაკზე ოქროს აკვანი სდგას თვლებითვე მოჭედილი. ზედ მტრედი ზის და არწევს ამ აკვანს... ის მტრედი, თამარ დედოფლის სულია!

დღევანდელ ცხოვრებისა ჩორეხს ბევრი არა გაეგებოდა რა, „არა შეესმოდა“, შოთას თქმისა არ იყოს, „სოფლის გაღმა გაებიჯა“. იგი მხოლოდ წარსულში იყო შელტოლვილი და იყოცა მისი მძევალი!

თვით მისი მეზობელი სოფლის მღვდელი ზირაქი, — სულის კაცი, — ისიც კი დასძენდა: — არც მეტის მეტი განტევება უნდა ცხოვრებისაგანო. ნათქვამია, ეშმაკი რომ სახლს აგებდეს, ერთი ქვა შენც დაადეო!

მაგრამ ჩორეხი მხოლოდ წარსულით სუნთქავდა.

როცა წარსულზე ჩამოვარდებოდა საუბარი, პირველად

თამარი უნდა ეხსენებინა. გზნებით აღიგზნებოდა: — ჯერ გული გავიწმინდოთ, სიტყვა მოვილამაზოთ, მერე ისე ვახსენოთ ჩვენი ლამაზი დედაო, და დაატანდა მამია გურიელის ლექსს:

თამარ! — ვინ იტყვის რა იყო,
მეათასედსა ნაწილსა!

თან დაადიდებდა: „დიდი თამარი, საქართველოს დედათა პირის წყალი“!

თამარის ნაწალმართევი საქართველოს ყველა გორაკსა და მწვერვალზეა დარჩენილიო, აბა, შეხედეთო! არ ასვენებდა თამარის ასხივებული დიდება:

— სიცოცხლითვე დედამიწას არ ეკარებოდა! ერთ ადლზე მაღლა დადიოდა მიწიდგან.

— მაშ, შვილი როგორღა ეყოლა?

— როგორ არ იცი, მზის სხივის მიერ ეყოლა ვაჟი!—ისეთი დარწმუნებით გეტყოდა, რომ შეუძლებელი იყო, არ დაგეჯერებინათ. ძალიანაც აწყენინებდით.

თუ რამეს დავაშავებდით ბავშვები, დაგვაშინებდა,—დიდი პირიმზე გაჯავრდება, თამარ მეფეო!

ერთხელ, ერთ მორჩილს, საფქვილე გუდაში ბლომად ფქვილი რომ ჩაუყარა, ჰკითხა:

— რომელ წმიდანს ემსახურები?

— თამარ ღვთისა სწორის სამლოცველოს!

— სად არი ეგ საყდარი?

— გომარეთში, ხევ-გაღმა, დვალეთთან!

აღარ გაუშო მორჩილი. მთელ დღეს დასვა, ასადილა, პატი-

ვი სცა. ფულიც აჩუქა და ბევრიც ელაპარაკა თამარ მეფეზე. მეორე კვირას, შეჯდა თავის კავშა ცხენზე და გაემგზავრა გომარეთს, თამარის ხატის სანახავად და დიდადაც კმაყოფილი დაბრუნდა.

შინგაზრდილი მწიგნობარი ჩორეხი „ვეფხისტყაოსანს“ „შოთას ძღვენს“ უწოდებდა.

— ნეტა ჩემს გახარებასა!—და გაშლიდა რუსთველის წიგნს:

— შენ პირს შაქარი, ოქროს ნისკარტო! — შეელხინებოდა, თითქოს ოქროს ბულბულს იჭერს წიგნის თითოეულ კაბადონზეო! კვირაძალზე შოთას სურათს სანთელს უნთებდა, როგორც წმიდანს და ოთახში ჩაკეტილი, მარტო, ხელაპყრობით ავედრებდა საქართველოს.

— დიდო რუსთველო, ლექსთა მამაო!

— ოდეს ენანი დადუმდეს და არავინ ღაღადებდეს, მაშინაც რუსთველის სიტყვა იჟღერებს მხოლოდ! შოთას ლექსის წინაშე ყოველი საქმე დადუმდება!

დიდად მონდომებულ იყო ჩორეხი წასულიყო რუსთავს და ჩოქით, თაყვანისცემით შემოევლო რუსთავის მიწა-წყალი!

— რა წიგნია! რა მაღლად და მშვენივრად თქმული! საქართველოსი კი არა. მარტო, სამთელქვეყნოა! ტყუილად არ უთქვამს თვითონ შოთას:

სხვა ჩემებრივ ვერა ჰპოვო,
ცათამდისცა ხელი აპყო!

— ნეტავ, რა გულიღა უნდა შერჩენოდა შოთას, როცა თავისი გული ასე მძლავრად გადაადნო თავის ნაწერში.

ტკბილად ჩაიკითხავდა:

„ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი,
ვით ზღაპარი, ასე ესმის, უბედობა, თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უძს, ვითა ტრედი!"

შოთას ამ ლექსში ჩორეხი უპირველესად თავის თავს ჰგულისხმობდა, დღიურ საქმეთაგან განდგომილსა და შორეულ ოცნებაში გარდასულ საკუთარ პიროვნებას. და მისთვისაც საგანგებოდ მოსწონდა შოთას პოემის ეს ადგილი. შოთას კითხვით დამტკბარი, აღფრთოვანებული ხელს მაღლა აიშვერდა და იტყოდა:

— რით არის სახარებაზე ნაკლები? — მიაჩერდებოდა მღვდელს და თან დასძენდა: — შემრისხენ და შემიწყალენ, მამაო, ვითხოვ მეოხებას!

მაგრამ მღვდელს არცა სწყინდა, არც ეცალა რუსთველისათვის. ის მეტად მიწიერი კაცი იყო და ხვეჭაში გართული.

— ვკითხულობ და გულს ძგერა ემატება! — განაგრძობდა ჩორეხი, განა ასეთი თაყვანისმცემელი და ტრფიალი სხვა კიდევ იქნებოდა რუსთველისა?

— მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები! ტყუილად კი არ უთქვამს დალოცვილს!

მაგრამ რუსთველის ლექსის გარდა, მამულიშვილ ჩორეხს კიდეე უყვარდა ბიბლიიდამ ეს ადგილი:

„მდინარეთა ზედა ბაბილონისათა დავსხედით და ვსტიროდით, რაჟამს მოვიხსენიეთ ჩვენ სიონი!
...ძეწნთა ზედა შორის მისთა დავკიდენით საგალობელნი ჩვენნი.
...უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ, დაივიწყეს მარჯვენე-ცა ჩემი!"

დადიოდა ქედდადრეკილი, გულშეძრული მამულიშვილი, ოხრავდნენ მისი გულის ბაგენი და გმინვანი შორს ისმოდა:

— ვაი, ძუძუ უწოველო!

— ვაი, ფრთამოტეხილო არწივო! ბოლომოჭრილო ხოხობო! ვაი, ქართლო, საქართველო!

მორწმუნე ჩორეხს სრულიადაც არ სჯეროდა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხდომილი იყო:

— ღვთიშობელო, თუ შენი წილი ვართ, შენი წილდებული და ხელდებული, რაღათ ააოხრებინე ლეკსა და თათარს საქართველო, ეს ვერ გამიგიაო!

— არა, ძმებო, თუ ღვთიშობლისა იყო საქართველო, განა თავისს მამულს ვერ მოუვლიდა?— იტყოდა გაკვირვებული.

სულ ერთთავად დადიოდა, ან შარაგზაზე უნდა გენახათ, ან ტყე-ღრეში იარებოდა აწოწილი, წვერულვაშიანი, სათვალებიანი, გამხდარი, ახოვანი ჩორეხი. მკაცრი შესახედაობისა, თმაგაბურძგნული, უქუდო, მტვრიანი, გაოფლიანებული. ძველებურ მასრებიან ჩოხაში, ხარაზულ წუღებში.

ყოველდღიური ხეტიალისა და წანწალისათვის მუდამ ჩანთით, წერაქვითა და ჭოგრით მავალს, წანწალოსანს უწოღებდნენ:

— მოდის ჩვენი წანწალოსანი!

სოფელში ალმაცერად უყურებდნენ. თუმცა პატივს სცემდნენ უანგარობისათვის.

— ნეტავი, დღეს რა გათხარა, სად რა ხაზინა იპოვა? — ჰკითხულობდნენ მეზობლები, მეგობრები, დასცინოდნენ. მაგრამ როცა მოუახლოვდებოდათ, პატივისცემით შეეგებებოდ-

ნენ, ისიც გააცნობდა თავის ახალ აღმოჩენებს, წყნარად, დამაჯერებლად.

ღამეობით ჩორეხს ერთთავად ვახუშტის ისტორია თუ გეოგრაფია ედო წინ და მის შემოწმება-შესწავლაში ათენებდა ღამეს.

— ვეჟო, ნუ მისცემიხარ უქმსა და უსიცოცხლო არქეოლოგიურ ოცნებებს! გეყო გუნდრუკის კმევა წარსულისადმი, სულს ნუ იჭუჭყიანებ წარსულის მტვერით! — შესძახებდა მეგობარი.

— ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა! — უპასუხებდა ჩორეხი და განაგრძობდა: — ჩემი გონების მანათობელი ჩემი ქვეყნის წარსულია! მისი შუქი მესხივნათელა! იცი, რა ტკბილია წარსულზე ოცნება!

მართლაც, წარსულზე ფიქრით იყო დაფერფლილი და მით სამშობლოზე მტლედ შემოდებული ჩორეხი.

— აფსუს, რა ბიჭი იღუპება ქვეყნისათვის! — გულმტკივნეულად დასძენდნენ მეზობლები.

დიდი ფიქრი ჰქონდა ჩორეხს ნატვირთავი, დიდ სევდას ატარებდა; მისი არავის ესმოდა და ასეთ განდგომასა და ხვაშიაღის კრძალულებას ზოგი ზვიადობაში ართმევდა.

დილით გასწევდა ტყისკენ, მთისკენ. ახალ-ახალი ისტორიული ნაშთების საძებრად. ხელით გადასწევდა დაბურულ შინდსა თუ თხილსა, კუნელსა თუ წითელ ასკილის ტოტებს, ტაძარს რომ გარსმოჰხვეოდა. გულმოდგინედ ეძიებდა ფრესკებს და უსურვაზიან ქვებზე ამოკვეთილ წარწერებს. სევდით ივსებოდა, გული ეტირებოდა, როცა ნანგრევებთან იხილავდა

გადაჯიშებულ ვაზს, — ველურ კრიკინას, ზოგჯერ მხარს რომ ძლივს შემოატევდი.

შინგანსწავლული აზნაური ჩორეხი უშვილუძირო იყო.

შავი გურანა თითქმის ძალით შერთეს, რომ გვარი არ ამოვარდნილიყო. უსწავლელი იყო გურანა, ძლივს იცოდა ყვავისფრჩხილოვანი წერა.

უმეცარმა და უწყინარმა პატარძალმა გურანამ მალე გამოაჩინა მიმალული ჭანგები. ტყე-ღრეში მოსიარულე ჩორეხს უსაფუძვლო ეჭვებით სტანჯავდა, საყვარელთან პაემანზე ხომ არ დადის ტყეშიო! ბევრი დღე უსამართლოდ გაუმწარებია ჩორეხისათვის, მაგრამ რომელ ქმარს არ გადაჰხედია „ესე ამბავი“ მგრძნობიარე ცოლისაგან?

ჩორეხმა ძილში ლაპარაკი იცოდა, და პირველ ხანებში ალქატი გურანა ჩუმად ხაშხაშს აპარებდა, აძინებდა და მთელი ღამეობით სულ თავთ ეჯდა ქმარს, ეგებ საყვარლის სახელი, ანუ საქმე წამოსცდესო! გაფაციცებით ეჭირა გულისყური! გათენებამდე ფხიზელსა და ღამენათევს, მხოლოდ დილით ჩაეძინებოდა. ასე ნებაყოფლობით იწამებდა თავს ბედკრული ქსანტიპა, ახალმა სოკრატემ კი არაფერი იცოდა.

რა უნდა წამოსცდენოდა ხეტსა და ოლოლოს თუ არა — ნადარბაზევი, ნაპალატევი, ნაქალაქარი, ნაკოშკარი, ნარუჯები, ნაოხრები, ნალეწები... ბევრი ღამე უთია მძვინვარე ცოლმა მშვიდად მძინარე ქმარს და ბოლოს მიანება თავი. ახლა კი ჩორეხს. გინდაც ათი საყვარელი მოეყვანა, სულაც აღარ ენაღვლებოდა გურანას. ერთი კი სჭირდა, საღამოობით, ნაშთების ძიებიდან დაღლილი, ტყე-ღრეში ნახეტიალები ჩორეხი შინ რომ დაბრუნდებოდა, გურანა უსათუოდ ცეცხლზე წყალს და-

ასხამდა, ეგონა, ძველ კოშკებიდან, ეკლესიებიდან, აკლდამებიდან ჩორეხს უსათუოდ ქაჯები, ეშმაკები და ავი სულები მოჰყვებიანო და შემოყოლილ ეშმაკებს ოხშივარი გარეკსო! ახლა იმათ ებრძოდა გამწარებული, ქმარი არ ვიმიხიბლონო, არ წამართვანო! აი, ასეთი თანამოაზრე მეგობარი ჰყავდა საბრალო ჩორეხს...

ერთხელ, ნაქალაქარის ტყის ნატაძრალიდან ძველი ხატი ჩამოიტანა. ზედ გამოსახული იყო წმ. გიორგი, ხუჭუჭთმიანი, ალისფერ ტანისამოსში, თავზე ჩაჩქანი უელავდა, ხელთ შუბი და ფარი ეპყრა. ძირს, წმიდანის ფერხთა ქვეშე ხმლით დასისხლული, კბილებდაღრჭენილი ვეშაპი გართხმულიყო.

— ერთხელ ვეშაპი დაამარცხა, ახლა კი წვიმის წვეთებს დაუჯაბნიათ! — შეწუხებული ხმით მეტყოდა ჩორეხი წმიდანზე და თან დასძენდა:

— ნაწვეთს უდენია ზედ ხატზე! ეჰ, რამდენი ძველი დახატულება იღუპება. წვეთი რო დასდით, თვითეული წვეთი მე გულს მიღარავს, გულს მიხვრეტს, ღამეებით არ მეძინება, ტანჯვაში ვარ, გამოუთქმელ ტანჯვაში! იღუპებიან ჩვენი სიძველეები ყოველწამიერ, შეიძლება ჩემს სიცოცხლეში სულაც წაიშალონ! იღუპება, ჩემს თვალწინ იღუპება! — გმინავდა ჩორეხი, გულთ ეყრებოდა და წამალი ვერსით ეპოვნა.

— რათ გინდა დაობებული ხატები?—შეკრებილებაში შეეკითხა ახალგაზრდა კნეინა. სჯობდა კი, რომ არ ეთქვა, ისე მრისხანედ შეჰხედა ჩორეხმა.

მახსოვს, იმავ შეყრილობაში ამბობდა გულმობრუნებული ჩორეხი:

— ვენაცვალე საქართველოს! რა მომცემი მიწაა! რძეც

წასდის და თაფლიც! ჩვენი ბუნება ერთი ხელით ოქროსა ჰყრის, მეორეთი—ვერცხლს! ღალიანი მიწაა, მაგრამ თვითონ ჩვენ, ქართველობა, რათა ვართ გადამწირული?

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ვითარებაც აფიქრებდა წანწალოსანს. ამიტომაც, ძველი ნაშთების გარდა, ხეტიალის დროს ღელეებსა და ხევებში მადნებსაც ეძებდა. დიდი სისათუთით ჰქონდა პარკებში შენახული ოქრონარევი ქვიშა, მომბზინავი რიყის ქვები და სხვა მინერალები, როგორც დიდი მადნების ნიშნები და დიდ იმედებსაც ამყარებდნენ მათზე, — მომავალი მოდგმისათვის.

ნაღვლიანი ჩორეხი მთლად იმედიანი გახდა მას მერე, რაც ერთხელ, ნანახი სიზმრის შემდეგ, უცნაური ქვა აღმოაჩინა საჩვენოში, უჯარმის ნანგრევებში, სწორედ იმ ადგილას, სადაც სიზმარში ეჩვენა, ქვემო კოშკის ლიბოში.

მეც თვითონ მსმენია ხალხში, რომ უჯარმის მფლობელი ვახტანგ გორგასალი ხელთ ოქროს ბურთს ათამაშებდაო.

აი, ამ ბურთად მიიჩნია ოცნებით მთვრალმა ჩორეხმა ეს მართლა ბურთივით მრგვალი ქვა, სხივნარა, ოქროს ზოდივით მომბზინვარე. ზედმიწევნით სჯეროდა ჩორეხს, რომ სწორედ ის ოქროს ბურთია, გორგასალი რომ ხელთ ათამაშებდაო! რაკი სიზმარმა უთხრა, რომ ეს ქვა კარგი ნიშანიაო, ჩორეხმა დიდი იმედების ნიშნად, პირდაპირ ეროვნების სამლოცველოდ გაიხადა ეს ქვა. ხან უჩოქებდა, ხან ემთხვეოდა, ხან გულში იკრავდა. მართლაც, სწორედ აგზნებულ ქადაგს ჰგავდა ჰაშინ ჩვენი ჩორეხი!

სულ გამოიცვალა, რაც მოიპოვა ელვასავით გამომ-

კრთალი, ბრწყინვალებით აელვებული ქვა; მას ეგონა, ქვის ოქროს კრთომა თავისუფლების ღვთის კრთომა იყო. არც ერთ მპყრობელს არ ჰქონდა ამქვეყნად ასე დანივთებული სიმდიდრე, როგორც მეოცნებე ჩორეხს.

— ნეტავ, სადმე კიდევ იმექონება ასეთი განძი და შესამკობელი? — იტყოდა გულში სახემტკბარი.

ახლა კი ეშველა საქართველოს! გულში გალობა და ზატიკობა უნდოდა...

ეს ყოველივე მისი ფიცხელი ოცნების ნაგონარი იყო და მეტი არაფერი! ჩორეხს ნამდვილ ეგონა, რომ ეს პატარა ქვა უცილოდ ზეგარდმო ნიშანი იყო სიკეთისა.

ბოლოს იხმო მღვდელი, დიდი საიდუმლოებით სახარების ფიცით გაენდო, ქვაც უჩვენა, თუმცა ხელი არ ახლებინა, როგორც სიწმინდეს, და ფიცის ჩამორთმევის შემდეგ დაავედრა, წმიდა ქვა ტრაპეზში დაეკრძალა, მთავრობისაგან ფარულად, შთამომავლობისათვის გადასაცემად. მხოლოდ წელიწადში ერთხელ უნდა ეხილა ეს ქვა თვით ჩორეხს, — სახელდობრ, აღდგომა ღამეს, ლიტანიის შემდეგ.

გორგასალის ქვა დაგულისგულებული ჰქონდა ჩორეხს, — მისი დარდების მოსაფონარი.

ახლა ქართლოსის საფლავი და ქართლოსის ძეგლის ოქროს თავი აიქინა.

— უნდა ვიპოვოთო!

— წმიდა ნინოს ლოცვით, სეტყვამ არმაზი კი არ დაამსხვრია, არამედ ქართლოსის ოქროს ძეგლი! ქართლოსს ოქროს თავი ჰქონდა გამოქანდაკებული, ბრწყინვალე! სეტყვის

და ქარიშხლის მერე ის თავი იქვე, ხევებში ჩაგორებულა, იქ უნდა ვეძიოთ, იქ არის სადღაც ჩამარხული, უნდა ვიპოვოთ და ისევ იქ დავდგათ ქართლოსის ძეგლი, სადაც უწინ იდგა!

მსმენელები იღიმებოდნენ — მოზღაპრე გახდაო!

ჩორეხი კი შეუპოვრად მისდევდა თავის ოცნებას. ვიდრე, ერთხელ, ჩვენდა საოცრად, სრულიად არ გამოიცვალა, რაღაც დარდმა მოიქვეშია, მაგრამ ვინ იყო მისი ახალი დარდის თანამხილველი?

ოდესღაც მტკიცე და ლაღი, ახლა რაღაც შესეტყვილი, მოღვეღილი გეგონებოდათ.

რა დაემართა, რა ჩაქრა ჩორეხის გულში ან საიდან გაჩნდა ამ კაცის გულში ნაცარი? რა სევდის ზღვა შემოადგა გულზე? ვერავინ ვერა სთქვა! იყო სიტყვების გადაკოწიწება, ნართაული სიტყვები ჭორელებისა, ფარული გაღიმებაც, მაგრამ კვანძი ვერ გაიხსნა, ვერა და ვერა!

— რა მოხდა? — საიდუმლო მერე ძლივს შევიტყვეთ, როცა მოვისმინეთ ჩორეხის აფოთებული ლაპარაკი. წირვის შემდეგ ვეება ცაცხვთან, ცეცხლმოკიდებული შეეძგერა ზირაქ მღვდელს, პირში წყრომის ალი ამოსდიოდა.

— ქვა მოუპარიათ, გორგასალის ქვა! მოიპარა მღვდელმა, რათა დაწინაურებულიყო მთავრობაში, ანგარმა, უძველეს ტაძარში ძველიდანვე დახიზნული ნივთეული, ხელნაწერები, საძნე ურმით ჩაუტანა თბილისში რუს ექსარხოსს, ზედ გორგასალის ქვაც მიაყოლა ტრაპეზში ჩამალული!

— ერის ქვა! ინდოეთიდან მოტანილი!

— რა პასუხს გასცემ ერს, შე უკეთურო, შენ ხომ გასძარცვე ქართველი ერი! მზეზე გაშავდა შენი სახელი! დაიღუპა

დიდი განძი, გორგასალის ქვა! საოცარი, იშედის ქვა, რომელსაც სითბოცა ჰქონდა, ცეცხლივით შუქსაც იძლეოდა. განა ოქროს სჯობდა? უოქროესი ქვა იყო, წმიდა ქვა, დალოცვილი, შელოცვილი. გორგასალის ხელით! — ჩორეხმა ხომ მღვდელს ჩააბარა შესანახად, ვიდრე „მამულის გამოხსნის დღე“ დადგებოდა.

ახლა კი....

გულაზავთებული, გულდამსხვრეული, ცეცხლმოკიდებული ეძგერა მღვდელს:

— რა უყავ ჩემი დიდებული ქვა — საქართველოს სიმტკიცე, წმიდა ქვა! ფესვი მოათალე ჩვენს სიმაგრეს და მტერს მიართვი, შენივე ხელით ჩააბარე! — მღვდელს კი არაფერი ესმოდა, — რა გესაწყენარა? — ჰკითხავდა მღვდელი.

— და ნუთუ არ იცი, რა მნიშვნელობა ჰქონდა გორგასალის ქვას ანუ ვინ იყო გორგასალი? — შე ღვთის გარეგანო, ურჯულო, უკეთურო, მწარედ ცოდვილო, გაქსუებულო, საქართველოს დამშლელო, დამაქცეველო! ჩემი ცოდვის პასუხი შენ გაეცი! — თითქმის თავზე ნაცარი გადაიყარა...

ზირაქ მღვდელი გაშტერებული იყურებოდა; სად ჰქონდა შესაქციელი, შესაგებარი სიტყვა? მას ჩორეხის რისხვისა არც ეშინოდა, მხოლოდ ენანებოდა, რომ სცდებოდა, საქმეზე მიმავალს უგვიანდებოდა და ჩორეხის პატივისცემით იდგა მის წინაშე, მეტი არაფერი!

მაღალი, ქერა, აწითლებული, ამოგანგლული, მუდამ ანაფორაშემოკეცილი, სოფლის ამაოებაში გართული ქვრივი ზირაქ მღვდელი, მეტად მიწიერი ადამიანი იყო, თუმცა სულის მხედრობას ეკუთვნოდა. მას წირვა-ლოცვისათვის არ ეცალა,

ერთგულად მუშაობდა თავის საოჯახო საქმეებზე და სხვასაც ამუშავებდა თავის გასამდიდრებლად.

სად ეცალა გორგასალის ქვისათვის? — ჰყავდა მოჯამაგირეები, მწყემსები, მეღორეები, მეჯოგეები. ჰქონდა საკუთარი წისქვილი, ჰყავდა ცხვრისა და ღორის ფარები, ვაჭრობდა ტყით, ჯონჯოლით, თაფლით, სანთლით, პურით, ღვინით, სინდისით; ჰქონდა საკუთარი ეტლი ანუ „დილიჯანი", თბილისში რომ დაჰყავდა მგზავრები, ჩუმად ჰხდიდა არაყს და ფულს ასესხებდა დიდი სარგებლით, ჰყავდა საყვარლები და ჩუმჩუმადვე კიდეც მაჭანკლობდა.

აბა, ასეთ მოუცლელ კაცს. სად ეცალა გორგასალის ქვაზე საოცნებოდ?

დიდი და პატარა მღვდელს ემორჩილებოდა სოფელში. უიმისოდ არც ერთი საქმე არ ისკვნებოდა: არცა მამულის სყიდვა-გასყიდვა, არც საძირკველის ჩაყრა და მით უფრო, არც ქორწილ-ძეობა-ნათლობა, სახლის განათვლა, სიკვდილი, საღვთო და საერო საქმე, სულისა თუ ხორცისა!

ყოველივე და ყოველიფერი ზირაქ მღვდელს უნდა დაელოცნა.

მრავალი ქორწილი ჩაშლილა მხოლოდ მისთვის, რომ მღვდელს სასიძო ან საპატარძლო არ მოსწონებია. მრავალი ვონჯი ქალი გათხოვილა კოხტად შეღერებულ ბიჭზე და მრავალი უსახური, მაგრამ შეძლებული ვაჟი, მღვდლის იმედით, ლამაზი ქალის პატრონი ხდებოდა! ამ ნიადაგზე მღვდელს მრავალი მომდურავიც ჰყავდა სოფლის მზეთუნახავებში! მაგრამ ვინ შეაბამდა „სულქონიან" კატას ეჟვანს?

ხშირად, ქრთამაღებული მღვდელი ასე ლოცავდა შებერებულ, შემჭკნარ პატარძალს: „გამრავლოთ, ვითარცა აბრამ და სარა, ვითარცა იაკობ და რახილი“-ო!

არ უყვარდა მღვდელს ბერწი, უშვილო, უნაშენო ხალხი, რომელთა საგულისხმოდ წამოიტყოდა ფსალმუნიდან: „ნეტარ არს კაცი, ვითარცა ხე დანერგილი, თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვისსა და ფურცელნი მისნი არ დასცვივენ“!

აივანის დაპირისპირებით, ეზოს ყურეში, შემოწნული იყო საქონლის ბაკი, იქ მღვდლის საქონელი ება. ბაკი სავსე იყო ნეხვითა და ყვითელი, ჩაგუბებული წუმპით. შებინდებისას დაეყრებოდნენ ნახირიდან მობრუნებული კამეჩები, ხარები, ძროხები, განარებული შავი ბუღა. ისმოდა თქერა, დგრიალი, ხვნეშა. ქვრივი მღვდელი იჯდა აივანზე, სვამდა ჩაის და თან პურისმცხობელ მარინეს ეაშიკებოდა.

აბა, მითხარით, სად ეცალა ზირაქ მღვდელს გორგასალის ქვისათვის?

გავიდა დრო, მღვდელმა არ აპატია და ჩორეხი დაასმინა. გაფითრებული ჩორეხი ჩუმად იდგა განრისხებულ ექსარხოსის წინაშე, როგორც მთავრობის წინააღმდეგ დასმენილი ვეამბოხე. ჩორეხს ხმაც არ ამოუღია... ციხეში ჩასვეს, რამდენიმე თვის შემდეგ გამოუშვეს, რადგან ხელმოსაკიდი ვერა უპოვნეს რა.

დაბრუნდა შინ ჩორეხი, მოტეხილი, მობერებული, მომჩვარული. თითქმის არავის არ სცემდა ხმას. მხოლოდ ჩიოდა, იმდენად ციხემ არ მომტეხა, რამდენადაც ქართველი კაცის ღალატმაო! მას ვერ წარმოედგინა ზირაქ მღვდლის საქციელი!

ამიტომ ცხოვრებაზე ხელჩაქნეული დადიოდა... ბოლოს ლოგინში ჩაწვა. სულის დროშა დაკეცა... ჩუმად დნებოდა, ჩაწვა, ჩაიმუმლა. ვერ შეებრძოლა უცნაურ სენს, არც უნდოდა...

შემოდგომის წვიმიან დღეს სოფლის დუქანში რამდენიმე კაცი „შესანდობარს“ სვამდა.

— რას წვალობდა, წანწალობდა ამდენს საწყალი?

— რა წაიღო, არაფერი! — სთქვა აზნაურმა დოლამ და თვალი შემოატარა სავსე სუფრას და კიდევ დასძინა:

— პურის მადლმა, არაფერი!

— რა უნდა წავიღოთ წუთისოფლიდან?

— არაფერი! თქვენმა დღეგრძელობამ! — დაიძახა ძგლიფამ.

— არაფერი! მამი თქვენის მზემ, არაფერი! — სთქვა კაპლომ და კვერი დაუკრა წვერიკმაზიამ.

— მაშ, დავლიოთ, — და აზნაურმა დოლამ დიდი ჯამი გაავსო ღვინით და ჩამოარიგა: — ღმერთმა შეიწყალოს ჩორეხი და სულით გაანათლოს!

— რა უნდოდა საწყალ ჩორეხს, არც ჩვენ გვიდებდა თავს! მთელი სიცოცხლე ნანგრევებსა და ხაზინის ძიებაში გაატარა! ეცხოვრა, ჩვენსავით ღვინო მაინც ესვა, არ ერჩივნა? ღმერთო, შეუნდე!

— ეჰ, იაროს ირმის ნატერფალზე, ახლა იქ ეძებოს ქარიფანტიამ ხაზინები, თამარ დედოფლის ნაქოშარი! — და ჩორეხი გულით შეიწყალეს, თუმცა ორიოდე შხამური სიტყვაც დააღევნეს...

ზირაქ მღვდელმა დამარხა. სიტყვაც კი შეაწია.

—უსყიდი კაცი იყოო, გარდაუწეველი მოსამართლეო, თუმცა ფიცხი და ეჭვიანიო! მშვიდობის ანგელოზმა დაამშვიდოსო იმქვეყნად! მადლი და მშვიდობა ვუსურვოთ ჩორეხის სულსაო, თუ რაც უსჯულოებანი და ცოდვანი ჰქონია, მაღალმა ღმერთმა აპატიოსო! — ეს იყო და ეს!

სოფელი არ შეძრულა... კუბოს გარშემო არ ისმოდა სალმობა, სულთქმა-მწუხარება... თმები არავის გაუწეწია... პირი არავის არ ჩამოუხოკია სისხლიანი თითებით. დასაკლისი ვერ გაიგეს. გურანა დაღვრემილი იდგა — ამდენი ჭირდებულება გამოვიარეთ ერთად, ახლა მარტოს რადა მტოვებო!

ანდერძის მიხედვით, ჩორეხმა კოტმანის წმიდა გიორგის სამრეკლოს ქვეშ დაიმკვიდრა საფლავი.

ასე წავიდა ამ სოფლიდან კეთილი, თუმცა ძველმანი ადამიანი, დახავსებული თვალებით, დაღამებული გუნების კაცი, რომელიც მხოლოდ წარსულის ღამეში ცხოვრობდა, რადგან არ ჰქონდა აწმყოს მხედაობა; იყო ცალმაგი, ერთმაგად ნაქსოვი ადამიანი, ერთის თვალით მხედავი!

— ახლა შენ გაიხარე, ჩორეხის მემკვიდრევ!

— ჩორეხის ნებაწადილობით შენ დაგრჩა მისი მამული— სახლი, კარი, მთა-ბარი, წისქვილი, ვენახი, სახნავი, სათიბი, მარანი, ბაღი, კალო, საბძელი, კარ-მიდამო, — მიჰმართა დიდი ჯამით წვერიკმაზიამ ახალმოზარდ ოფიცერს—მამრიკა ჩაღლაღაძეს — გურანას ძმისწულს, — ჩორეხის კეთილი სახსოვარი, შენ — კარგად ყოფნის სიხარული! შენ იცი, დღეიდან, როგორ კარგი მეზობელი გვეყოლებიო!

მამრიკა იღიმებოდა, თითონაც არ იყო ჯერ გამორკვეული, რომ ასე უცბად ხელთ ჩაუვარდა ამოდენა მამული, და დაბნეულიყო.

— ტომბახი ჩამოგვისხი, შენც მოილხინე, ხუმრობა ხომ არ არის ამოდენი მამული მოიგდე ხელთაო! — მიმართავდნენ ღვინის ნათლულები და მამრიკაც უხვად იხარჯებოდა მიცვლილი ჩორეხის ხარჯზე...

*

* *

მთელი სიცოცხლე ჩორეხმა ვახუშტის შესწავლასა და სიყვარულში გაატარა! რამდენი ღამე დასთენებია ზედ, ვახუშტის გამო, რამდენი წყრომა გაუგონია ცოლისგან! ისე მოკვდა ჩორეხი, რომ ცოლმა ვერ შეიტყო, ვინ იყო ვახუშტი, ან რა ფასი ჰქონდა მისს ნაღვაწს.

ჩორეხის სიკვდილის შემდეგ გურანამ მოკრიფა მისი მონაპოვარი თუ შენაძენი ძველი, არქეოლოგიური ნივთები: ქოთნები, სურები, მძივები, სამაჯურები, ჟანგშეჭმული ხანჯლები, მახვილები, მათთან ერთად სამადნე პარკები და მთლად გადაყარა, — „ნასაფლავარიაო!“ — ეზიზღებოდა, ეშინოდა. გოგოებმაც კი არ წაიკარეს მისაჩუქრებული ნამკვდრევი მძივები.

ხოლო ვახუშტის წიგნები, თვითონ ჩორეხის ნაწერები და წერილები გურანამ ხელიერთპირწმინდად გასახვევ ქაღალდად მიჰყიდა ისაკა ებრაელს. დარჩა მხოლოდ ვახუშტის სურათი, თვით ჩორეხის მიერ ფერადი საღებავით დახატული.

გურანამ სცადა სურათის გაყიდვაც, მაგრამ არავინ იყიდა, როგორც იყო, ჩარჩო გაასაღა, მაშინ გაძარცული სურათი გატეხილი მინის მაგიერ ჩასვა სარკმელში!

ჭუჭყიან ფანჯრიდან სევდიანად იყურებოდა დაღვრემილი ბატონიშვილი ვახუშტი... თითქოს ჩორეხის დაკარგვასა და თავისს ბედს დასტიროდა გურანას ხელში!

გურანას კი უკვირდა, რომ მისი მეუღლისაგან არავითარი საქმე და დოვლათი არ დარჩა. მართლაც, — აბა, რას უჯდა მისი კაცი მთელი სიცოცხლე?

ამ წიგნების იქით, ამ ძველმანების გადაღმა, გურანას კიდევ რაღაც „დიდი" ეგულვებოდა და ეს „რაღაცა" რომ ვერ აღმოაჩინა, რომ მას ხელი ვერ შეახო, — ეს ძალზე უკვირდა...

* * *

აღარ არი ჩორეხი — სამშობლოს ბედით მუდამ მჭმუნვარე, ჭირნანახი, სევდით გულდაღამებული, მხოლოდ წარსულის ტრფიალი, კეთილშობილი, თუმც უღვაწი კაცი, მაინც დიდი მოწადინე და სევდით ნაჯაფარი...

გულჭირიანს და ფესვმოკვეთილს, ღრმა ძილით სძინავს თავისს შავ სევდასთან ერთად...

მის გარშემო აღარ ტრიალებს ეჭვები და ჭორები.

რატომღაც მგონია, რომ ჩორეხი არ არის მკვდარი; და რომ სადღაც, შავს ტყეში თუ ძველ ნანგრევში არის შეხიზნული! თითქოს მისი ხმაც კი მომესმის მკაფიოდ; ხან ბინდი-

სას, ვხედავ შარაგზაზე აჩქარებიდ მიმავალს, თმადაბურდულს, აქეთ-იქით თვალის მაძგერებელს.

და ისევ ისე წრიალებს ჩემს ფიქრებში წარსულზე, — პირაკვამლებული, ჩანაცრული, მწირი ჩორეხი, სამშობლოს დარდით მოავადე.

ვერ მოესწრო ნასურვილარის გაცხადება, ვერ იხილა სამშობლო გაცისკროვნებული; არ ეღირსა თავისი ქვეყნისა და ხალხის კარგადყოფნის სიხარული...

. . .

და მე მიყვარს მისი სულის ჭაღარა ყვავილი...

ნიშაარძეულის წყალი

როდესაც რომელიმე კრებას თუ საქმიან თათბირს ვესწრები ხოლმე და ფიცხი ორატორების გამოსვლას ყურს ვუგდებ, მაშინვე ჩვენი ფორე მომაგონდება!

ფორე! გუგულიანი საათი რომ გამოიწერა ვარშავიდან! ნათლად მახსოვს ის დღე, როცა მან ჩემი დასწრებით ამანათი გახსნა და ყუთიდან ამოღებულმა საათმა ფორეს ხელშივე „გუგუ“ დაიძახა!

ფორე! რომელმაც 1910 წელს, ლევ ტოლსტოის სიკვდილზე სთქვა, რუსეთის მზე მოკვდა, მე რომ ფული მქონდეს, მთელ რუსეთს შავებს ჩავაცმევდიო!

ფორემ, პირველმა სოფელში, სამკალი მანქანა შემოიტანა, მთელი სოფელი ზედ დაეცა გაკვირვებული. ალბათ ასე აღტაცებული იყო ადამიანი, როდესაც პირველად წყლის წისქვილი გამოიგონეს და მძიმე ხელსაფქვავების ბრუნვისაგან გაანთავისუფლა მონა ქალები.

ეს ის ფორეა — ქრისტეფორე თამარიძე, რომლის ოთახის კედლებზე ეკიდა რუსთაველის, შექსპირის, სპენსერის, ოუენის სურათები. გორის საოსტატო სემინარია ჰქონდა გათავებული, მაშ, რა გეგონათ!

სწორედ ის ფორეა, რომელმაც მღვდელს შენიშვნაზე, — რათა სჭამ მარხვას, სულს გაუფრთხილდიო, უპასუხა: მეც იმიტომ ვჭამ, ცოცხალი ფერზე დავრჩე, სული არ დამემშესო!

რით იყო სახელდებული ფორე?

იგი იყო დაუღალავი წყლისთვის მებრძოლი, მეცადინე წყლის ჩაყვანისა თავის უწყლო სოფელში!

აქედან დაიწყო მისი გასახელება!

ჭეშმარიტად საყვარელი იყო ფორე, წყლის ტრფიალი, წყლის სიყვარულით გაშმაგებული! მთელი სიცოცხლე მეცადინეობდა, რათა მრავალქაფა ნიშარძეულის წყალი ჩვენს სოფელში ჩამოეყვანა.

სოფელში ფორეს სახელქება ისმოდა, მაგრამ არავინ არ ეხმარებოდა, მხოლოდ ორიოდე მეზობელი ტკბილი სიტყვით აქებდა ამ წმინდა საქმეზე! გაწყალებულ პატარა სოფელს, სიღარიბის ბურტყლი რომ ასდიოდა, რა დახმარების გაწევა შეეძლო მეოცნებისთვის? ვინ გამოიღებდა ხელს? არავინ! ამიტომაც შერჩნენ ერთმანეთს მარტონი, — ოცნება და ფორე, ფორე და სოფელი!

იდგა კლდის რქაზე და მუდამ პირდაცული ფორე ახლა მტკიცე გონებით ღაღადებდა:

— მოდით, მხარი მომაბით, მიშველეთ, სათხარი, მიმართება მივცეთ ამ ფურის ძუძუსავით ნაწველ ნიშარძეულის წყალს!

დაწვრილებით აგიხსნიდა რა დამართებით უნდა წაეყვანა წყალი: აი, — აგზნებით ამბობდა ფორე, — ჯერ წმინდა კაჟის კლდეზე გადმოვაქცევთ, მერე ხმელი კლდის გამოვლით დიდგვერდაზე, გოხიან კლდეებზე, კამაროვანსა და მარმაროვანზე გადმოცურდება, რომ იმინდვრებს, ურწყულ მინდვრებს სარწყავად გაჰხდის, გამინდვრებულის მერე, სოფელში შემოსრიალდება ნიშარძეული და ბელტს დაალბობს. მერე... ფესვმა უნდა გაიბას ჩინჩლი; როგორ იმედიანად აიყრის ზრო ტანს და დაყვავილდება ბუტკო; — აგიყვავდებათ ძმებო, მწვანილი, ფეხის მოსავალი, დაისხამს ვაზი, ხეხილი! სამპირ მოსკდება — შავფხა, შავთაველა, წითელი დიკა, დატაროვებული სიმინდი; მაშინ ნახეთ საქონლის მეხორცულობა, ყოჩი, შაქი! ნახეთ ავსებულობა,—წველა, რძე, ერბო, თაფლი! თქვე პირუბანელებო, პირი ვერ დაგიბანიათ უწყლოობით. საწყალობელნო, უწყალო გაჭირვება გადგათ კარს! სად არი ღვთის წყალობა, მისი მოიმედენი რომ ხართ! „წყალობა“-ც ხომ „წყალი“-დან მოდის? გაანძრიეთ ხელი, მიშველეთ ერთკილოვნად, უგზაური ნიშარძეულის წყალი სოფელში ჩამოვიყვანოთ, მუხათწყაროში!

ასე მოუწოდებდა მიწურებში ჩასულ სოფელს, გულში კი უფრო თავისი ფხისა, გამჭრიახობის და მონდომების იმედი ჰქონდა! უნდოდა, ერთ დღეს, აღდგომის წითელ კვერცხივით მიემკვლია სოფლისათვის ნიშარძეული!

თითქმის ყოველ კვირას ნიშარძეულში ადიოდა ფორე, იქ ჩანჩქრის ჩქროს ესაუბრებოდა, ესაყვარლებოდა, ელაციცებოდა. მართლაც და, უპაემნო რა კაცია? უმიჯნურო სიარული რა ცხოვრებაა!

წყლის მხურვალე მაძიებელსა და გამომძიებელს გახრიოკებულ სოფელში შემრგო, სუბუქი, გემრიელი და იაფი წყალი შემოჰყავდა! რა იყო ამაზე კეთილშობილური საქმე? და აი, ზრუნვაში გართული ფორე ძიობდა წყლებს ჩვენი მიდამოების ტყესა თუ ღრეში. ჰსინჯავდა წყაროებს, ნაკადულებს, წყაროსთვალს, კოდას, ხევებს, სჩხრეკდა მათ სათავეებს, — სათაურებს, უსინჯავდა ფესვებს, ნიადაგს, ეძებდა მოკლე სადენ გზებს, გეზებს, ჰსახავდა გეგმებს, ჰხაზავდა მიმართულებას; დღემუდამ ჩოთქი ეჭირა ხელში, წყლის გამოსაყვან ხარჯთაღრიცხვას ანგარიშობდა; კიდევ კაპიკებს სწურავდა, მომჭირნეობდა.

ფორეს ჰნახავდით ტყის შეუვალ ტევრში, კლდის რქაზე, უძირო ხევებში, ჩამორიყულ ხევწვრილებში, ჭალებში, მწვერვალებზე.

ოცნების მიმდევარი, ხალხისათვის ბედნიერების მაძებარი, ხელში წერაქვით, ქაფჩით, რაღაც შინგაკეთებული საზომებით, მუდამ საწვიმარგადაცმული; გახუნებული ქუდით, ტალახიანი, მტვრიანი ფეხსაცმელებით, შეჭაღარავებული, შუბლდანაოჭებული, სევდიანი, საქმიანი, მზისაგან ამწვარი, გარუჯული, სიცოცხლის ალმურადენილი, ზეშთაგონებული! აი, ფორეს მაშინდელი სურათი!

გაზაფხულდა, მწვანე ნერგი აყვავდა...

აპრილის ბალახი ნიავზე სივსივებდა. ვენახის დედოფალი — ატამი ყვავილით ბრწყინვალებდა.

თაფლატყეში, შხეფით სოველ კლდეზე იდგა ფორე და ნიშარძეულის ჩანჩქრის სამყვირალო ხმას ისმენდა. თითქოს ჯიხვების ჯახანი ისმისო. უყურებდა პიტალოზე ალმასგადმოფანტულ ჩანჩქერს.

და თითქოს გულში შესძახოდა:

—მე დაგიმორჩილებ! მე შენზე ღონიერი ვარ!

მთაში ნაშობი თეთრ-ლურჯი ქაფი, თითქოს რძის ათასი აუზი გადმოსჩქეფსო გრიალით, ჩადიოდა ჩახეულებულ ღრანტეკლდეებში და მერე ჯურღმულებში იკარგებოდა.

ბროლით ამტვერებული გარდმოსაქანელი, შვიდ-წალიკად ჩამოდიოდა. მთების ძუძუს წყარო პიტალოზე შხეფსა და ბუნგალს იტყორცნებოდა...

უყურებდა სიხარულით მორჭმული ფორე წყლის მჩქეფარებას, კაშკაშს და ჩანჩქერის სიფიცხე მის სულს ემატებოდა. ფორე წყალს დაშტერებოდა, თითქოს ცხენთა ჯოგი დგრიალებსო, და ფორეს უნდა ქამანდი ესროლოს, რომ ეს ათასობით თეთრი ქურანი გააბასო.

სანახაობამ დაბანგა...

— ჰეიდა, გულს აღარ უნდოდა შემოცდა! პირდაპირ ჰსურდა, ახლავე შესდგომოდა მდინარის დაურვებას; მოცდა, მოსაათება ეძნელებოდა...

— ჩაიყვანე სოფელში და გააძღე წყლით მიწა!

ჩანჩქერი კი... იფრქვეოდა და კლდე იწველებოდა, როგორც სიმაძღრის ძუძუ და ვერცხლის ღვარს მოჰქონდა ლოდნარი, ქვაყრილი, ძელყორე...

უსაღვთოესი, მყოფადი ოცნება ახლა თითქოს ხორციელ-დებოდა. ფორეს გონებაში ამ წყალს სოფლის ვენახებსა და ხოდაბუნებში ჰხედავდა უკვე. ორივე ხელი გაეშალნა და არ ვიცი, მღეროდა, თუ ჩანჩქერს შესძახოდა:

— მე დაგიმორჩილებ, დაგიურვებ, მე ხომ შენზე ღონიერი ვარ!

ჩანჩქერი, რომ იტყვიან, ღმერთში ადიოდა შეუწონელი ძალით.

რაღა უნდა ენახა ფორეს — დასიცხულ, დაგვალულ სოფლის შვილს, ამაზე უსანატრესი, უტკბესი?

— იცი, რა არი ნიშარძეული?

— ოქროს ჯიღა!

ზემო მთებიდან მომავალი გლეხი წაადგა ფორეს კონცხზე მდგომარეს, ნეტარების ბურანში დაბანგულს, მოხათრე გლეხმა გაუბედავად შეახო ხელი:

— მოგწონს?

— განა რომ საყვარელია? — უპასუხა ფორემ.

— როდის გახდება ჩვენი ნიშარძეული? — შეეკითხა გლეხი ჩანჩქერს.

— ხვალ! — მტკიცედ უთხრა ფორემ.

ეს იყო დიდი ხნის წინათ...

კაი სახელებია: ვარდისოფელი, ვარდიგორა, ოქრობაგეთი, ოქროწყარო, მაგრამ ჩემი სოფელი მუხათწყარო მეკერძებოდა: თუმცა აღარც მუხა იდგა, აღარც წყარო მჩქეფარებდა. სიპოხეგამოწოვილი მიწა თვალცემულივით ბერწობდა.

— მოხრეკილი ხევი, მშრალხევი, გოხნარი, ნაწყაროვალი, ნატბეურა, ნარუალი, ნაჭალევი — ასეთი სახელები ერქვა ჩვენი სოფლის მიდამოებს და აქედანაც კი ჩანდა უწყლობა, თვალიც რომ არ გადაგევლოთ უხეტყეო, მაგრამ ოდესღაც ნატყევარი მიდამოებისთვის.

ბავშვებს არასდროს არ ენახათ არც ჩანჩქერი, არც ჩახრიალა, არც შადრევანი, არც უხვი წყლით გახარებული ბაღნარი, არც მტევნის ძუძუ, არც მზის ყანა!

ბავშვობიდანვე ებრძოდნენ მეზობლები გვალვას, სიცხესა და მტვერს, შესთხოვდნენ კმასაყოფელ წყალს, წვიმის მომცემელ ლაზარეს — ქვეყნის ნაყოფით გამომზრდელს და ცხოვრობდნენ ნაკლულად, მწყურვალედ!

ეჰ, რა უსაწყურვილესი იყო სოფელი! ოჰ, რა ბრეს ადენდა ხორშაკი ქარი! სოფელი მტვერში ეხვეოდა; რასაც დასთესდნენ ბოსტანში, თიბათვის დამდეგ აიფშრუკებოდა, მკათათვეში ამტვერდებოდა.

— რაღადა სთესთ? — შეეკითხებოდი სოფლის დედაკაცებს.

— მაშ, რა ვქნათ, სოფელს ხომ არ გავაციებთ, სირცხვილია!

ერთადერთი ნუგეში წვიმაღა იყო, თუ ავდრიანი გაზაფხულ-ზაფხული იქნებოდა, ჩვენი ბოსტნებიც ღაღანებდნენ, ხეხილიც მხიარულობდა. ვაი, რომ უფრო გვალვა იცოდა ჩვენს მხარეში! გაქვავებული ნახეთქი, უხალისო, გამშრალი მიწა, აბუზული ხეები სევდიან სიჩუმეს გამოსცემდნენ. სოფელს

თვალები ცაზე ყურებით სტკიოდა შავ ღრუბლის ცვარის მოლოდინში!

ჰხედავდა ფორე სოფლის არემარეს, ამპირ-იმპირ გადამწირულს, გადაბუგულს. წარღვნის წყალი არ ეყოფა ამ ნამშრალ მიწას! იტყოდა გულში:

— ახ, ბედი გაიხსნებოდეს! ახ, შეიმარეშოს აქ წყალმა მადინარმა!

ბოლო ხნის გვალვების გამო, სოფელში რაც წყაროები იყო, ან დაშრნენ, ან დამოკლდნენ. ჩვენი უბნის წყაროს ნაწრეტი წყალიც ნეკის სისხოდღა მოღანცალებდა. აღარ ისმოდა მისი ცქაფი ჩქრიალი, ყრმობისას რომ სიმღერასავით მომესმოდა.

წყაროს თავზე მდგარი ნაგალი ხეც ჩათუთქულიყო, დაღონებული ტოტები ჩამოეყარა: უხალისო ფოთლები სევდიანად შრიალებდნენ.

— ახ, ერთი მენახა ჩემი სოფლის მიწა გასველებული! წყალგამჯდარი! ჭყანტი იდგეს, ბჟანტალი ნიადაგი მენახოს!

და როცა ხალხზე ზრუნვას უქებდნენ,—ბარაქალა, ფორე!

— რა დროს ეგ არი? — შეაწყვეტინებდა გაღიმებული. — წყალი გამომაყვანინეთ თქვე უღმერთოებო, დამეხმარეთ, მიშველეთ!

...და ისევ უღრან ტყეში, სოფლიდან დიდად მოშორებით გადმომჩქეფარე წყალს ჰზვერავდა, ზვირთებს უთვლიდა! შინ, კი ისევ ანგარიშობდა, ჰხაზავდა, დაფიქრებული ჩაჰყურებდა ნახაზსა და ციფრებს. ჯიქურად წინ დასდგომოდა პირდაპირ შეუძლებელ საქმეს, წამიერად კიდევაც ხედავდა სოფელში

ჩამოყვანილ წყალს და იმ წუთას იგი ახალგაზრდებოდა, ცმუკავდა, კიდევაც ღიღინებდა.

თუ ჩვენს კუთხეში შემთხვევით ინჟინერი ან ტექნიკოსი მოხვდებოდა ან სტუდენტი შემოივლიდა, ხელს ჩაავლებდა, წაიყვანდა, დაატარებდა, საწყლო ადგილებს აჩვენებდა, თავის აზრს გაუზიარებდა. რჩევას ჰკითხავდა და კიდევ ერთხელ აღიგზნებოდა, იქაურობას დააკორიანტელებდა!

მაგრამ მხარს არავინ აბამდა! მარტო იყო ფორე თავისს საქმიანობაში!

ბოლოს გადაწყვიტა თავდაპირველად ხარჯი თითონ გაეღო. დაინახავენ, მომიდგებიანო! გაყიდა ცხენი, გაყიდა ფუტკარი, გაყიდა პატარა ვენახი, სამიოდე თხა, ათი კოდი პური შარშანდელ მოსავლიდან შემონახული და ყოველივე ფულად აქცია! მაგრამ არ იყო საკმარისი მუშაობის დასაწყებად. ახლა მან გაბედა უქნელი საქმე. ერთ დილას იგი მიადგა ჩვენი დაბის წმიდა გიორგის მღვდელს და მაზრის ბლაღოჩინს მამა თევდორეს, — მდიდარს, შეძლებულს, ძუნწსა და ხელმოჭერილს.

ფორემ მოურიდებლად სთხოვა ფულით თანაშეწევნა და დაჰპირდა თავისი მამულის გირაოდ მიცემას.

თევდორე მღვდელმა, რომელიც ფულს სარგებლით ასესხებდა ხოლმე, მოიმიზეზა წმ. გიორგის საყდრის შეკეთებისათვის შემოწირული ფულის უკმარობა.

— მე მხოლოდ წმ. გიორგის მოვალე ვარ! — განაცხადა ბლაღოჩინმა.

— თუ მართლა წმიდა გიორგი გიყვარს, მაშინ მისი საქმე გააკეთე!

— რა საქმე?

— ხომ იცი, რად გვწამს ქართველებს წმიდა გიორგი მთავარმოწამე? რად არი ჩვენი თავსალოცავი? თუმცა შენ ჩემზე შეტი უნდა იცოდე, მოგახსენებ... გველეშაპმა ხალხს სასმელი წყალი შეუკრა, თავის მყრალი ტანით ზედ გადაეფარა წყაროსთვალს, კლანჭებში ჩაამწყვდია. ხალხი უწყლოდ იხოცებოდა. გმირი და მხედარი გიორგი შეებრძოლა ვეშაპს, ჩასცა შუბი, სული გაანთხევინა და სახალხო წყალი დაიხსნა! ამ გმირობისათვის იწამა წმიდანად ქართველმა ხალხმა, თორემ წმიდანი არა ყოფილა! და თუ შენ, წმიდა გიორგის მოსავი ხარ, დაგვეხმარე წყლის გამოყვანაში; გახდი წმიდა გიორგის მიმდევარი, წყალი მიეცი ხალხს!—უკვე ფიცხად შეუძახა ფორეემ მამამთავარს.

ბლაღოჩინს მხოლოდ წყნარად გაეღიმა მეამიტ ფორეს ახალ დებულებაზე წმიდა გიორგის შესახებ... ეს იყო და ეს...

როდი იცოდა ფორეემ შეპოება! მან იყიდა სამოციოდე მილი და ეზოში დაალაგა, არხი კი ჯერ არ იყო გათხრილი! ეშმაკები ტიკებს ალბობდნენ, ღვინო არსად იყოო!

დიდი ფიქრის შემდეგ ფორეემ გადაწყვიტა ნიშარძეულის ფონდის დაარსება გაზეთში და ამ მხრივ შეწირულების მოგროვება. ამ გამოგონებაზე ისევ გაუთბა გამყინვარებული გული, ისევ შემოიქროლა იმედმა, ისევ ეჩვენებოდა, რომ დაიმორჩილა ჩანჩქერის წყალი: ეჩვენებოდა თითქოს ნიშარძეული მერანი იყო და ქეჩოზე ხელწავლებული მოჰყავდა და მერანიც მშვიდად მოსდევდა სოფელში! ხან თითქოს ფორეს კვერთხი ეჭირა და მისს კვერთხს უკან მოსდევდა, მოსთრევდა წყალი! რას არ ჰხედავდა, რას არ წარმოიდგენდა! საორაგუ-

ლე ფაცხებს სდგამდა მდინარის ტოტში, შიგ მურა კალმახს იჭერდა!

მაგრამ გრიგალ-ქარივით ატყდა მსოფლიო ომი და ყოველ კეთილ დაწყობილებას მიეცა თავისი აღსასრული! ბევრი მწარე გაკვნიტა ხალხმა!

გავიდა დრო, ჩვენი ფორე მობერკაცო გახდა, სამოცს გადასცილდა, — მობერდა თავისი აუხდენელი ოცნების გაცამტვერებით. ფორეს შუბლი დაეღარა გუთან-გავლებულ მინდორივით, წვერ-ულვაში გადაეთოვლა, სახე შეუჭკნა, მის ღიმილს მადლიანი ეშხი გაუქრა, მოწუწუნეც გახდა, მწვავედ ჰგრძნობდა, რომ ხელიდან უსხლტებოდა ის ერთადერთი ნათელი ოცნება, რითაც იგი აქამდე ჰსუნთქავდა, სცოცხლობდა, მოქმედობდა!

მაინც ვხედავდი ნიშარძეულის კლდის ქიმზე ზევიდან გადმომზირალს! უყურებდა ტანშეევერცხლილ ჩანჩქერს, ეალერსებოდა მის თვითეულ ზვირთს; ჩანჩქერის თვითეულ წვეთში იყო ჩამწვარი ფორეს ფიქრიც და ოცნებაც!

სულ პირუკუღმა მიდიოდა ფორეს საქმე. წყალზე დაადნა ფორეს თვალგული! მაინც არაფერი გამოვიდა! არავინ წაეხმარა! ომმა სულ მოფშვნიტა სოფელი, ვინ იყო მხსნელი?

— დაიწვას ცარიელი ჯიბე! — წაიკვნესებდა ბერიკაცი.

უფრო დაბერდა ფორე, სამოცდაათს გადასცილდა. „ძია ფორე“ „პაპა ფორემ“ შესცვალა, მაგრამ წყლის საქმეს არა ეშველა რა!

ახლა სიტყვითაც აღარავინ ეხმარებოდა წყლის მებრძოლს, თანაგრძნობაც სამგორის ქარს გაებურთავებინა! სოფელში უკვე ლაპარაკიც ეზარებოდათ ნიშარძეულის წყლის გამოყვა-

ნაზე, როგორც გარკვეულად აუხდენელ ოცნებაზე და ფორეს კიდევაც ალმაცერად უყურებდნენ.

— თავში იწყვიტოს, ფორე უცოლშვილოა, შესანახი არავინა ჰყავს, ნება აქვს ქარიანობისა, ოცნების აყოლისა, ჩვენ კი— წვრილშვილებს რაში გამოგვადგება ფორეს აყოლა?!

ასე ფიქრობდნენ ზედმიწევნით ფორეს მეზობელი გლეხები, რომელნიც სიღარიბით ისე დაიხელთნენ, რომ ვერაფრით ვერ შეეწივნენ სოფლისთვის მარტომბრძოლ ფორეს!

ხანიერმა, სახენაცვალმა ფორემ ერთხელ კიდევ შეუტია სოფელს ცეცხლოვანი მოწოდებით:

— ძმებო, გავიდეთ კლდის გამკაფველებად, ბელტის მჭრელებად, რუსხმულის მკეთებლებად, არ დავზოგოთ უკანასკნელი კაპიკი, კალაპოტში ჩავსვათ ჩვენი გიჟმაჟი ნიშარძეული და სოფელში გამოვიყვანოთ! რომ იცოდეთ, რა შემრგო წყალია, რა მსუბუქი, თამარ-მეფეს აუწონია ლერწმის წბილით!

ახლა ამის პასუხად სოფელში თქვეს: ფორეს ტვინი უფრინავს! ურგები კაციაო! სალექსედ გახადეს.

დანართვილარი გული კიდევ ემხურვალებოდა, მაგრამ აღარავინ არ გამოეხმაურა, ყურიც არ მიუგდეს! მობეზრდა სოფელს უქმი საქმე, სიტყვა უსაქმო! დრო მიდიოდა, ფორე თითონ უძლურდებოდა, მუხლში სიბერემ ჩაიბა ფესვი, გულს მყინვარი შეეპარა! მხედველობა მიუსუსტდა და... ამაზე უბედურება რაღა იქნებოდა, ნიშარძეულის სანახავადაც კი ვეღარ მიდიოდა, გულჯავრეული, ბღუნვით მავალი! ჩამოძენძილი ჩოხით, ჩამორღვეული პაჭიჭებით მოსიარულე.

რაღაც სასიცოცხლო მოაკლდა ფორეს, თითქოს მისი არსება გამოიფიტა, გამოშრა, თითქოს სამოთხეს მოსწყვიტეს!

ვერც ვერავის ანდობდა თავის სევდას და ხვაშიადს. ჩაიკეტებოდა თავის ოთახში, თავის გულში და თავის მზერაში და ისე, უნახავად ჰხედავდა ნიშარძეულის ჩანჩქერს გახურებული გულით, შუბლგაცხელებული, გაფაციცებული!

მტკიცედ გამოფიცული, უცვალებელი ოცნება მაინც ცოცხლობდა ფორეს მკერდქვეშ.

ამ დროს ფორეს გული ნაღვერდალს ისროდა! მაგრამ ღამეობით იყო ძნელი! ვეღარ იგებდა ფორე, თუ სად იყო, შინ თუ ნიშარძეულზე? გახელებულ ტრფიალს ხშირად ეჩვენებოდა ქაფიანი ჩანჩქერი და გულს უხოკავდა შმაგური სიყვარული!

ეს იყო ფორეს საკვებელიც და გულის სატკივარიც!

აი, უეცრივ, ძილში თითქოს არწივთ გუნდმა იხუვლა მთიდან და ფორეს ეზოში ჩამოვარდა, მზის ჭიატმა ციალა შუქით შეანათა ფორეს გამოხუნებული, მოგოლვილი კარ-მიდამო.

მოხრეკილს, მტვრიან ეზოში მიწიდან სცემდა და სცემდა აფეთქებული შადრევნები, დაბროლებული, შარჯნით ნაელვები ჩქეფები; შიგ მიჭვრიტანული კდემით სრიალებდნენ ელვამდგარი ცისარტყელები, ჩაცრილი ოქრო, ლურჯანა, ნარგიზფერი — ერთად.

ვერცხლურ ღვარიდან მოსრიალებდნენ ცისფერი ბაღდადები, მარმაშა ზვირთებში წყობისად იდგნენ დასხმული ვაზები, ვაშლ-ატამის ბრიალა ტოტები, ყვავილნარი, ხევნარი, კორდი, მდელო, მტილი, მოლი, ირგვლივ შემობურვოდა კაკლის ჭალა. ნიგვზნარის ხასხასა შრიალი საამოდ ელამუნებოდა ფორეს გაბადრულ გულს.

თითქოს ირგვლივ დაჰქროდნენ ფრთალაქვარდული ჩიტები, ფირფატები, თოლიები; თითქოს მოქუქუნე ქალები გალობდნენ ტკბილად საგალობელს და მრგვლივ საყნოსავი ყვავილსურნელება იდგა და მღიმარი ყვავილები უმწიკვლო ღვარებში ელვარებდნენ. უთეთრესი, უბროლესი, ულურჯესი და უოქროესნი, ანკარა, თაფლისა და რძის ნიაღვარშხეფი გამოსჩქეფდა თქართქარით. ნაღმივით ავარდნილი, დამძლავრებული შხაპი მარგალიტს იტყორცნებოდა, მცინარი ლალის გამოსხივებანი გულს ანათებდნენ, თვალებში უსრიალებდა საფირონისა, ფირუზისა და ბადახშანის ციმციმი. დაჩითული კალმახები მიმოქროდნენ ზვირთებში! ფორე სიხარულით ჰბორგავდა ძილში. როგორ შეაყელთა უწყლობამ, რამდენი იტანჯა, იწვალა და აჰა, თითონ ჩამოსულა წყალი სოფელში, გაურჯელად!

აუსრულდა ფორეს უსაწადლესი ნატვრა!.. სახეატკრეცილი, გაგანიერებული თვალებით, ხარბად შეჰყურებდა წყლის კაშკაშს, ბროლის მცვრევას და თვალს როდი უჯერებდა უეცარი სანახაობით მონადირებული! თითქოს ტრფიალი და სატრფიალო ერთმანეთს შემოჰხვდნენო! მადლი, მშვიდობა, სიხარული ჰსუფევდა ეზოში! — სანატრელი სახილველი!

ჰქუხდა ჩაქუხა ჩანჩქერი და ემადლებოდა ფორე მოულოდნელ სიხარულს.

ვაგლახ, ნაგონარი გამოდგა, მეოცნების ფიცხი გამონაფიქრი!

გამოიღვიძა, თვალშეხედული მოჩვენება განქრა! გვერდით მდგარ ლიტრაში ისევ დუბელა წყალი იდგა ნადუღარივით. თითონ სიცხესა და სიზმარს დაედუნებინა, ფორეს მკერდზე

ხვითქი სდიოდა. ისევ უყვარული სინამდვილე... ისევ ურწ-ყული, უძუძური მიწა... ამტვერებული შარა... გამხმარი ხეები. მიმჭკნარი ბოსტანი, ულიმლამო დედაკაცები, სევდიანი ბავშვე-ბი... ოცნების უსაზრდელობა...

სადღაა ბროლის ტბორები, შუშხუნასავით მფეთქავი ტან-ბროლა შადრევნები?!

ისე დააჭმუნვარა ფორე, ისე შეარყია ამ ცხადივით ჩვენე-ბამ, რომ მთელი დღეები გარინდებული იჯდა დერეფანში. აღარ საქმობდა, მხოლოდ იმ ადგილებს დაჟინებით უყურებდა დერეფანში, საიდანაც სრიალა შადრევნები სცემდა სიზმარში, კვიპაროსივით ასული, მაშხალასავით ცაში შეტყორცნილი!

სად წავიდნენ? ცაში თუ ავიდნენ დაუბრუნებლივ!..

მართლაც, სად წავიდნენ შადრევნები? სად წავიდა ახალგა-ზრდობა, ღონე, იმედი? — დაფიქრდებოდა ღამენათევარი, როცა მთვარე თეთრად დაანათებდა ბალიშს და აღარ აძინებ-და მოხუც მეოცნებეს.

— სად წავიდა ოცნება, სიყვარული?ახალგაზრდობის ჩოხა გაცვითა, გული, გონება, შეძლება თავისს ოცნებას გარდააგო და რა უეცრად გაცურდა თითებშუა ყველაფერი, რა ძნელია, რა ძნელი ყველაფრის გაქარწყლებანი?

და სულ პირველად, ფორეს თვალზე კურცხალი დაიწურა, თითქოს მისი ცხელი ცრემლი ნიშარძეულის ჩანჩქერს შეუერ-თდა, მისივე ხმელი გულისა და მისი მშობლიური მიწის მოსა-რწყავად!

წყალს შეალია ფორემ თავისი ახალგაზრდობა, ოცნებას დააწვევინა! ქვასა და კლდეს შეაცხო თავისი სიცოცხლე, მაგ-რამ მარტოდმარტომ ვერ დაიმორჩილა ვერც ჩანჩქერი, ვერც

ვერავის გული! ერთი საქმიანი თანამგრძნობელი არ მისცა ბედმა!

ფორე სანახევროდ კიდევაც დაბრმავდა! ეზოშიც კი ვერ იარებოდა უჯოხოდ, მაინც დიდ მეოცნებეს სჯეროდა, რომ ნიშარძეულის წყალი სოფელში უსიკვდილოდ ჩამოვიდოდა!

და აკი ერთ ღამეს, თითონაც გადამდნარიყო იმ ოცნებაში!

ნიშარძეული კი მხოლოდ წრეულს ჩამოვიდა მუხათწყაროში.



ჭ ა მ პ უ რ ა

გარეტყიდან ვბრუნდებოდით სანადიროდ წასულები, მე და ჩემი ძმობილი ბათხო. ვერაფერი მოვკალით, ვერც ვერაფერი ვნახეთ. ვნატრობდით, არავინ შეგვხვედროდა, რომ არ დაეცინა,—აბა, სად არი თქვენი შველი, ირემი, კურდღელიო!..

ხელცარიელები, გატლეკილები, მთის იქეთიდან მთის აქეთში მოვჩანჩალებდიო.

ახლა გზა აგვებნა ბურვილ ტყეში. ცა აღარა ჩანდა. ბევრი წოწიალის შემდეგ, როგორც იყო, მესამე დღეს, ტყის ტევრს გამოვაღწიეთ და დაბა თეკენას წავადექით თავზე, ბექობზე გამოვსულიყავით. ბექობზე კი გზა შეგვიწყდა,—აქ უკვე სა-

სოფლო სასაფლაო იყო გადაჭიმული ძეძვიან ჯაგნარებში. ქვემოთ იორი ადიდებულიყო დიდწყლობაში—სეტყვა-თავსხმანიაღვრისაგან, ბორანი გაცოფებულ მდინარეს წაელეკა, გაწყვეტილი ბორნის ჭაპანი საბრალოდ ქანაობდა.

უკან ვეღარ დავბრუნდებოდით უგზოობის გამო, წინ იორი არ გვიშვებდა.

გარიყულებს გუნება დაგვიძმარდა.

მძვინვარედ გვშიოდა. უკანასკნელი ლუკმა გუშინ შევჭამეთ! ბევრიც არა წაგვიღია რა შინიდან; ხომ არ ვიცოდით, გზა აგვერეოდა, ამდენ ხანს დავბანდდებოდით ერთი დღით წასულები?

და აი, ახლა ორ ნაბიჯზე ვხედავდით ველზე გადაჭიმულ პურიან-ღვინიან-თევზიან-დუქნიან თეკენას და ჩვენშუა გველეშაპივით გაწოლილი, აღვარებული ხეთქების ღვარით მღრინავი იორი კი გვიკრძალავდა შიგ ბიჯის წადგმას.

თან მარილკვნიწიც არ გვედო წინ, ლუკმის უპოვარებს!

მზეს ვემუდარეთ, ვემეოხეთ, არა გამოვიდა რა...

მუდამ ტკბილად შესამჭვრეტელი, ფირუზთვალა, მტრედივით გასუნთქული იორი, ახლა დაძალებული მოჰქროდა, ფეთი დაჰმართოდა, ზღვიერად მოიგრაგნებოდა, ნაპირებს ბასრი ჭანგებით მოჰკაწრავდა; ზოგან ბაღ-ვენახი პირწმინდად მოელოკნა.

ეს დღეები აქეთკენ სეტყვა-ღვართქაფიანი, ელვა-წვიმებიანი ყოფილიყო. მთაში წვრილხევები გაცოფებულიყვნენ და ახლა ყიჟინით ყირამალა გადმოდიოდნენ იორში! თან კლდეს-აგლეჯილი ქვისნათალი სიპები მოჰქონდათ, ქვებს მოაქანებ-

დნენ — თითო სახლის ასაშენებელ ლოდსაკიდურად გამოდგებოდა... იორი რაღას იზამდა?!

რა გვექნა? წინ ჩამოცხვირული კლდე გვეყუდა. მდინარის უვალი ნაპირყურე, ნაღრანტებით, ჯღრედეებით შემოციხული ლიტაო, ლიპი კლდეები. ხაფანგში მოვემწყვდიენით, ქვეყნის განაკიდეს შევრჩით. შევკრთით კიდევაც, იდუმალი შიშიც ვიგრძენით, სევდა, ტლუობა, თავს ნისლის კოტორი დაგვტრიალებდა ძერასავით.

რამდენი ვწყევლეთ გიჟი, დამთხვეული იორი, ჩვენი უგუნურობა, მიუხვედრელობა, რომ პირიქითიდან პირაქეთში ჩამოვრუყდით! დაბა თეკენა კი თითქმის ჩვენს წინ იდო, ჩვენთვის მიუწვდომელი და სანატრელი! ისე ახლოს იყო, რომ წყალგაღმაველთა ლაპარაკიც კი მოგვესმოდა. სამზირალი ხომ კარგი გვქონდა!

აგერ ყოტი მღვდელი გლეხებს დაჰყიოდა ნიშნის მოგებით, — ხომ დაგსეტყვათ, დაგსეტყვათო! ეს იმიტომ, რომ უქმე დღეებსა სტეხავთო!

ვინმე თამამად მიუგებდა: — შენ საქმის დღესაც უქმადა ხარ და... რატომ შენ...

დუქნიდან გამოვარდა თეთრ კიტელში აყლაყუდა ბოქაული და ვიღაცას სხაპასხუპით მიაყარა:

— გაგმუშტავ, მოგჩექმავ, დაგანიავებ!..

მგონი, სილის ტკაცანიც გაისმა!

ლაპარაკი კი არა, წყლის გაღმიდან საჭმლის სუნიც კი მოგვდიოდა. არ დაიჯერებთ, მაგრამ ზედ იორზე მდგარ ქოჩორას დუქნიდან ახალი თევზის სუნი გვეცა, დუქნის წინ შედგმულ ვეება ქვაბებს ოხშივარი ასდიოდა, შიგ ნარიყი შეშით თევზს

ხარშავდნენ. ეზოში დაწყობილ ლასტებზე მოხარშულ ჭანარს ალაგებდნენ.

თევზის დანახვაზე შიმშილმა ორკეცად შემოგვიტია, გადამღვრძალები, წადიერებით აღგვაგზნო! გავბედეთ, ჩაველით იორზე, გასვლის გზები მოგვესინჯა, მაგრამ დალაღებულმა ტალღამ ხვადი ლომის ძალით დაგვათხრიალა და უკანვე გვაქცია.

ვისხედით „მდინარესა ზედა ბაბილონისა“ და...

— ჰაი, მოყუდებულო ჩარექავ!

— ჰაი სავსე ხონჩავ!

— ჰაი ლობიოს ჯამო, თავმობმულო! — და სწორედ ლობიოს ქინძის დამათრობელი სუნიც მყისვე ცხვირში გვეცა.

— სად წაუვიდეთ?

— სად არი მეხიდური?—ერთხმოვანი წყლის ჩქრო გულს გვიხვრეტდა.

— ახ, რა გემრიელია ივრის თევზი! ზედ წითელი ღვინო!— ცოცხალ თევზს წყალი. უყვარსო, მოხარშულს წითელი ღვინოო! — აკი გვეტყოდა მოხუცი ლოჭო.

— ახ, ქინძმარავ, შენ დადაგე ჩემი გული! — ნდომით წამოიძახა ბათხომ და თვალი დახუჭა.

— ეს არი და საკვნესარი! — დავსძინე მე.

— ტაბაკა რომ გაგიტკბება, ძვალი რომ ჩადნება პირში, ჰა, რას იტყვი? — შემომაჩერდა ბათხო.

— ჯერ ქადისგულა უნდა ახსენო, მერე ფშაური ხინკალი!

— მსუქანი გელაქნურები? მუცლიანი ზუთხი, ტარაღანა! ხიზილალა?

— დედალი ნიორწვენით?

— ზაქის მწვადები?

— ბროწეულივით გაწითლებული შემწვარი ინდაური?

— თუ ასეა, მოდი, რიგით მოვიყოლოთ. დავთანხმდეთ იმ პურ-მარილზე, რაც შარშან ზაფხულში ბაქარიაანთ (ჩვენი კუთხის შეძლებულები) ჰქონდათ. მეც ხომ ვიყავი დაპატიჟებული. აი, მათი სადილის რიგი: ჩიხირთმა, კუპატები, ფლავი ხოხბით, დურაჯი, მწვადები, კალმახი, ზუთხი, სუკები, ძროხის ბეჭი ცივად, ზედ მწნილები, საუზმეული, ლობიო, კაპარი...

— შეწყვიტე, შე უღმერთო, გაჩუმდი; ცოდვა ვარ, შემიბრალე!

იმუდარებოდა ორი დღის უჭმელი, სულმოკლე ბათხო.

მეც დავჩუმდი... მაგრამ მალე თითონ ბათხომ წამოაყრანტალა: — ერეკლე მეფემ რომ ინატრა დეკაზე ნახუხი მწვადი და ზედ თოვლის ნაჟური? აქ მაინც იყოს ის მწვადი და ის დეკა!

ნაჟურის გახსენებაზე, ახლა წყალი მოგვწყურდა, პირი გვიშრებოდა, ყელი ამოგვეხახა, მაგრამ საშველი არსად იყო. ნიაღვარს ვერ შევსვამდით, სასაფლაოზე წყაროს წყალს რა უნდოდა! წინ კი, ნიაღვრიანი ხმოვანსავსე, ლომდარი იორი მრისხანებით მიიზავთებოდა, მიგრიალებდა, თითქოს მთა აწყვეტილა მიწიდან და შურისძიებული ვიღაცას უკან დასდევნებიაო. მშიერ-მწყურვალები ისევ საფლავის ქვაზე ჩამომსხდრები, უიმედონი, უსასონი ერთმანეთსღა შევცქეროდით.

— გვეყო ამდენი შეცქერა, რამე ვიღონოთ! — და გადავხედე მგელივით ატროვებულ ბათხოს.

— რა უნდა ვიღონოთ? რამდენიც გინდა, უმზირე მშობ-

ლიურ ტატნობს! სწორედ ჩვენზე უთქვამს ვაჟა-ფშაველას: — სთქვა ბათხომ, სოფლის დუქანზე თვალმიმსჭვალულმა:

„გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ,
შუაზე მოდის მდინარე,
ხიდი არ გვიძევს წყალზედა,
ფიქრი გვკლავს მოუთმინარე,
მინდა გაკოცო, მაკოცო,
შენ სახეს ვხედავ მღიმარეს,
მაგრამ ვერსაით გამოვედ,
ამ სატიალო მდინარეს...“

— მშველელიც არვინ გვიჩნდება,
არც ციდან, აღარც ძირითა... —

დავუმატე მე.

მართლაც, უნუგეშო ყოფნა იყო: ჩვენს წინ მდინარე შავად ინჩქრეოდა. იქით დაბა-დუქანი — შემრგო თევზით, ცხელ-ცხელი მწვადებით, წითელი ღვინით, აქეთ კი — შიმშილი, წყურვილი, სასაფლაო!

ორივენი მზესუმზირასავით თავჩაქინდრულები ვისხედით, რომ უეცრივ ბათხომ შესძახა:

— ამას დამიხედეთ! მოგვშიოდა, მაშ რა იქნებოდა, აგერ, თურმე ჭამპურა გვიყურებს! — და ბათხომ ჯოხი მიადო მოპირდაპირე საფლავის ქვას და ზედ აკი ჭამპურას სახელი და გვარი იყო გამოჭიმული! თან ლექსი ჰქონდა დართული:

„სიკვდილო, შე დაწყეველილო, უცაბედად მიგდე მახე,
პურმარილის ტკბილი მამა რა უჭმელად დავიმარხე!

ასე ეწერა საფლავზე. წარწერას აქეთ-იქიდან ქვაზე ამოჭრილი შოთი პურები, ყანწი და ხელადა ამშვენებდა.

— თქვენი ჭირიმე, რაღა ჭამპურას გამოცხადება გვინდოდა! — დაიძახა ბათხომ და მეც გულიანად გამეცინა.

— მახსოვს, ჭამპურამ ერთ ჯერზე, ზეზეურად ბიჭა-ბატკანი გაათავა, ბოტიტანას სანაძლეო რომ მოუგო? როგორ უყვარდა საკვებელი?

— ერთი აზოსუნთქვით ორყურა რომ დაცალა მეღვაროობის დღეობაზე, გახსოვს?

— ბოზბაშს რომ აკეთებდა დუმითა და ფილტვით!

— მოიგონე, სანაძლეოზე რო სჭამდა, მთელი ცხვარი ზურგთუკან ედო და ზურგიდან ხელებს ატანდა, ისე სჭამდა, რომ თვალი არ გამიძღესო! ახლა სად დასახლკარებულა, აქ როგორ უნდა გასძღოს?

მეყანწიშვილი ჭამპურა (ნამდვილი სახელი — სოლომონი) ჩვენი ბავშვობის მოგონება იყო, ჩვენ რომ თბილისში ვსწავლობდით, მაშინ მომკვდარიყო და მისს საფლავს ახლა პირველად შევხედეთ! დიდჟამის მკვდარი იყო.

— ლობიოს ჯამს რომ მიესაყვარლებოდა ხოლმე: აბ, შე სულის შემტაცებელოო! სიმინდის ფაფა რომ უყვარდა, ღორის ქონით... „შემოგხედე, დაგინახე, დავდნი ღორიჰ ქონივითა“. — ზედ რომ დაატანდა...

— გახსოვს, ლობიოსადმი ჰიმნს რომ წავაკითხებდით ხოლმე?

— „ლობიოს დაუჯდომელი“? — და მშიერმა ბათხომ უთხოვნელად თითონვე წარმოსთქვა ლობიოს დაუჯდომელი, ჭამპურას რომ ათქმევინებდნენ ხოლმე საგანგებოდ:

„ჰოი, ყოვლად ნოყიერო, გემოთი საამო, ყნოსვის დამატკბობელო შეჭამანდო სამეფოო, ფასდაუდებელო, ლობიო

ქართლისაო! დიდ არს ღვაწლი შენი, წინაშე ერისა ქართველისა, რამეთუ შენგან იზრდების და იკვებების ქართველი თვითეული, უმეტეს სხვათა საზრდელთა შორის, სიყრმიდგან ვიდრე სიბერემდე.

„დიდ არს სახელი შენი ივერთა ქვეყანასა ზედა და ხმოვან არს ძახილი შენი! ჩვენ, ყოველნი დადგრომილნი ფერხთა ზედა წინაშე შენსა კოვზითა და ციცხვითა ველით აჩუხჩუხებასა და ამოზელასა შენსა სახმარებლად ჩვენდა და ხმით დიდითა გიღაღადებთ შენ: დიდება მრავალფეროვნებასა შენსა, დიდება წინწკლებსა ჩუხჩუხისა შენისასა! დიდება ლაბასა წვენისა შენისასს! დიდება ქოთანსა, რომლის შინა დამკვიდრებულ ხარ და ძირსა მისსა, რამეთუ ძირი მისი არს ტახტი შენისა ძლიერებისა და ნოყივრობისა!

„დიდება ბუხარსა მაღალსა, რომელმან გიტვირთა შენ, დიდება კეთილსურნელოვანსა ქინძსა შენსა, ყნოსვისა ჩვენისა დამამტკბობელსა; დიდება დანაყილსა ნიგოზსა შენსა, რამეთუ არს გვირგვინი გემოვნებისა შენისა!

„დიდება ჯამსა თიხისასა, რომელსა შინა შთაგასხმენ შენ; დიდება შენდა, სამოთხიდან გადმორგულო, სუფრის მამშვენებელო ლობიო, შეჯამანდო სამეფოო!“

გახსოვს, ამ დაუჯდომელის წაკითხვით რამდენი სადილი და ვახშამი გამოიგდო ჭამპურამ?

— მახსოვს, როგორ სწამდა ჭამპურას: პურადი კაცის სახლში ნაკლული ჭურჭელი ღამ-ღამობით თავისთავად ამოივსება ღვინითო!

— როგორ ტანტალებდა დღეობებში, ქელეხებში? ახლა გულზე ხელები დაუკრეფია!

— მე მძინავს და ჰღვიძავს სულსა ჩემსა! ვინ იცის, ამბობს ჭამპურა; — ვინ იცის, რა საჭმელზე ფიქრობს ახლა მისი დამიწებული კუჭი! — შემომცინოდა წუთით გაჭირვებადავიწყებული ბათხო.

...და მოვყევით და მოვყევით ამბები ჭამპურას მადის შესახებ.

ჭამპურა მართლაც თავჩინებული კაცი იყო! „ჭამპურა“ მისთვის ერქვა, ჭამა უყვარდა და ისიც სხვის სუფრაზე. ძუნწი არ იყო, მაგრამ არა ჰქონდა რა, რა ექნა? გლეხზე უარესად ცხოვრობდა სიღარიბის მტვერთადენილი აზნაური! ისიც ხუთმეტი შვილის მამა!

— ყველა ვინმე კი არ გეგონოთ, ძველი გვარის ნაკვირტალია! — იტყოდა მისი ცოლი თებრო, რომელსაც ქმარი გადასძახებდა:

— შუშაბანდის ვარდო-ო!

და ბოლოს, რით სცხოვრობდა ჭამპურა-სოლომონი? თხუთმეტი შვილის მამა?

ჭამპურა თუ თვითონ გამოდიოდა იოლად დღეობებსა, წვეულებებზე, სხვის ფსონებზე, ხუთმეტ შვილს თან ხომ არ წაიყვანდა?

მისი შემოსავლის მთავარი წყარო იყო ის შავი წიგნი, რომელსაც ჯალინოზის კარაბადინს უწოდებდა. მათი საგვარეულო წიგნი იყო.

წიგნის ყდაზე, როგორც ბავშვობიდან მახსოვს, გამოყვანილი იყო სხვადასხვა დროის წარწერები, მინაწერები:

„ხაფილანდრესი ვარ“.

„არღარა ვარ ხაფილანდრესი, მიმტაცა ტიმოთემ“.

„აქა ივანე ქიშბერდიანმა ცხენი მთხოვა, ჩემი ცხენი უკანვე ვთხოვე და მევე გამლახა“.

„ივანე პომპოლიკი. მიიცვალა ჩყთი წელს“.

„ერთხელ ვცდი და შევჯექ ვირსა,
გადმომაგდო, დამცა ძირსა!“

„დიდება მამასა და ძესა,
რა სჯობია მაწონსა და რძესა!“

„ქალს რომ ქონი მოერევა, საღერღელი აეშლება“

„კორკოტის ქალი ნინა დაიბადა ჩ... წელს, მაისის 8“.

„ღმერთო და ტკბილო უფალო, პირი სამოთხისაკენ მიყავი მე ცოდვილსა, ანგარსა, მემრუშესა მელქისედეკს“ და სხვა ამგვარნი.

ეს შავი წიგნი, ამ სასაცილო წარწერებით, მისი პატრონისთვის უდრიდა ვენახსაც, ყანასაც, ძროხასაც. იგი იყო მისი რთველიცა და კალოც... მართლა, ნატვრისთვალივით ჰქონდა ოჯახს. ერთი სიტყვით, ამ „შავი წიგნის“ წყალობით, ოჯახს უხვად შემოსდიოდა საზრდო და სანოვაგე.

ერთი სიტყვით, გაგეცინებათ, მაგრამ ჭამპურა-სოლომონი სოფლის მკურნალობასაც მისობდა. თავის მიერ შეთითხნილ თითო ფხვნილში, თითო ქათამს მაინც ართმევდა. ზოგი წამალი ჰქონდა, — ერთ ჭმეულ ცხვარადაც არ მისცემდა, თითონ ჯალინოზის გამოგონილიაო!

ხალხიც უჯერებდა ჭამპურა-სოლომონს და მისი ძლიერების ხმა შორს იყო გავარდნილი.

მაგრამ ერთხელ, ბეწვზე ეკიდა სოლომონის სახელი:

აღდგომის მესამე დღეს, აზნაურმა ბაშხადუნმა, სოფლის ანგალმა და ენამაკრატელამ, დუქნის წინ შეგროვილ ხალხში, თავისი უკორძო ენით, ასე მიმართა სოლომონ-ჭამპურას:

— თუ მართლა სიბრძნის უფსკრული ხარ, მაშ ისიც გეცო-

დინება, თუ როგორ უნდა შეაწყვეტინო ვირს ყროყინი, როცა აღარ დაიშლისო!

ხალხში ფრუტუნი გაისმა. ბევრსაც გაეხარდა ექიმბაშის მახეში მომწყვდევა; ბევრიც საგონებელში ჩავარდა: ვირის ყროყინის შეჩერება ვის შეუძლია? იყროყინებს და იღრიალებს, ვიდრე მოსწურავდეს გულის ნაღველს!

მაგრამ სოლომონს არცა სწყენია, არცა შეშინებია ბაშხადუნისა, პირიქით, გულში თითქოს კიდევაც გაეხარდა!

მან გამოითხოვა ნება შინ ორი წუთით წასვლისა, რის დასტურიც მიიღო.

მალე სოლომონმა შავი წიგნი ჩამოიტანა, გადაფურცლა, სადაც სანიშნედ ნიახურის ფურცელი ჩაედვა და იქ, ხალხის გასაგონად ხმამაღლა და მკაფიოდ ჩაიკითხა:

„იქნება რომე, კაცის შეჯდომაზედ ვირი ყროყინს დაიწყებდეს მეტად, იმ კაცმა მოიტანოს შირბახტის ზეთი, ან წმინდა ერბო, ჰსცხოს, შიგნით ცხვირის ნესტოსა. რასაც ხანს ის საცხები იმაზედ იქნება, აღარ დაიყროყინებს ნებითა ღვთისათა“.

ბაშხადუნი გაშრა და მთელმა ხალხმა შეაქო სოლომონის მცოდინარობა, მეცნიერება.

მაგრამ ბაშხადუნმა მაინც თავი გამოიდო და ეჭვი დაჰკრა: ვაითუ წამალს ვერ გაეჭრა სინამდვილეში! რა ვუყოთ რომ წიგნში სწერია, იქნებ ვერ გასჭრას? ეჭვს ნაძლევიც მოჰყვა,— სადილი. მაშინ გადაწყდა: ერთს ამორჩეულ კაცს უნდა დაეყარაულებინა სოფელში იმ ერთადერთი ვირისათვის, რომელიც გლეხს ტალეს ჰყავდა, — თუ როდის შემოეჭიდებოდა ვირს ნაღველი და წამალიც მყისვე ეცადნათ.

ამ შეთქმულობას მთელი სოფელი ყურს ადევნებდა. დია-

კვნის წვერიკვნეტიას მეთვალყურეობით დავა იმავე კვირაში გადაწყდა სოლომონის სასარგებლოდ.

ბაშხადუნმა დედის ნახსოვარი ფირუზიანი ბეჭედი მისცა სადილის ხარჯად სანაძლეოში, — რაკი ფული არა ჰქონდა, თავი კი არ შეირცხვინა, ხოლო სოლომონ-ჭამპურას ძლიერება კი დარჩა მტკიცე და უცვალებელი!

ერთი სიტყვით, ჭამპურა პურ-მარილის ქურუმი გახლდათ, მთელს ხეობაზე განთქმული! უყვარდა ჭმეულობა, სმეულობა, მაგრამ ფსონსა და მამითადებს ერიდებოდა!

— დალიე, სიკვდილი გვერდით გვიზის! — ეტყოდა ჭამპურა თანამესუფრეს. — დალიე, რა არი ჩვენი ბოლო? მტვრიანი მიწა უნდა ავშალოთ!

— ვჭამოთ, ვსვათ, ცას ხომ არ გამოვეკერებით, თუ გიყვარდე! — ყოველს წინადადებაზე აუცილებლად დაატანდა „თუ გიყვარდე“-ს, „მოდი მაკოცე“-ს.

— ჭამე, ჭამე, ვჭამოთ, ჭიანჭველაც კი თავისი მუცლისთვის იბრძვის. გადიღევი, ეს ქათმის კურტუმი ძალიანი ნაჭერია, თუ გიყვარდე! — შემოგთავაზებდა თეფშით, მაგრამ სული წასძლევდა და გზად, შენზე უმალ თითონვე აიღებდა იმ შემონაძლევ ნაჭერს.

— ჭამე, არ ვარგა ურგები კაცი, სუფრის ზარალი! მოდი, მაკოცე!

ვიწრო წრეში სიმღერებიც იცოდა სუფრაზე:

„გემი ზღვაში არა რჩება,
სული გვამში არა რჩება,
ნეტა სიკვდილს რასა ჩივის,
საყვარელი სხვასა რჩება!“

ან კიდევ:

„სადღეგრძელო მისი იყოს,
ვისი გულიც ვისთან იყოს!
ადღეგრძელოს ის ბულბული,
რა ბულბულიც ვარდზე ხარობს;
ის ყვავილიც ადღეგრძელოს,
რა მებაღეც ბაღზე ხარობს;
ის ვაქკაციც ადღეგრძელოს,
რა ვაქკაციც ქალზე ხარობს!

ნაზი და გუნებიერი მჭამელი იყო ჭამპურა! სულაც არა ჰგავდა ღერენას, ქვაბობრივ რომ სჭამდა ხინკალს; არც ხუნჩალეს, რომელსაც დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო „სუფრის კომბაინს“ შეევარქმევდი; არც გოგრაჭას, ყაყანითა და ყრიალით რომ უყვარდა ჭამა-სმა.

ულვაშის მწყაზვრითა და წკეპით გეტყოდა ჭამპურა:

— მიყვარხარ, მეტი რა გითხრა! თუ ხატში წასვლით ცხონდება კაცი, განა კაი სუფრის გაშლით უფრო არა ცხონდება?

— ერთი, შენს ქვევრს გაუტეხოთ თავი, სისხლი მოიღვაროს! — იტყოდა ჭამპურა, კარგი სუფრის მოლოდინით დაღლილი, — მოდი, მაკოცე, თუ გიყვარდე!

— რას შვრები, ძმაო, განა მარილი არ აგიტირდა აქამდე?— და როცა დაჰპატიჟებდნენ, ჯერ თავაზიან მადლობას ეტყოდა, მერე დაატანდა, — მოვალ, მოვალ, ხელადას ძირს არ დავცემ! ისე ვიქეიფოთ, რომ შენი ქვევრი მოვამშრალოთ; მოდი, მაკოცე, თუ გიყვარდე!

სუფრაზე უფროს-უმცროსობა უყვარდა:

— საღვინე წინ დამიდგი, სუფრის წინ დამიმწკრივე ლავაშები და შოთები. — მშვიდად ეტყოდა დიასახლისს.

ჩვილი, გულნაზუქი ჭამპურა იტყოდა:

— კიდევ ჩამომისხი ნამი, გენაცვა, მაგ შენი ტიკჭორიდან! ჯამი რომ წითლად ელვარებს, გულს შემინათებს ხოლმე! — ხელში დაიჭერდა ჯამურას — ამ ჯამზე გაგიმარჯოსო!

— დამისხი, ჰეი, მეჯამევ, მეხელადევ, ღვინის მოლარევ, პატივდებულო კაცო! ჩემსავით ვინ არი დამლევი? — და როცა კმაყოფილი იყო დახვედრით, ან კაი ღვინით, სახეგაბადრული დასდგამდა გაცლილ ჯამს და იტყოდა: — რა ღვინოა, სწორეთ მზის თვალი აქვს ჩაყოლილი! გაიხაროს შენმა მამის გვარმა!

— მოშენდეს უბე დედაშენისა!—მიჰმართავდა მასპინძელს.

ჭამპურას არავითარი სხვა რამ არ ადარდებდა, გარდა იმისა, რომ მყუდროდ ესვა და ეჭამა. დიდი, კაცმრავალი სუფრა ტყრაშითა და ტყრიალით არც უყვარდა — წუთია წუთისოფელი, წუთის წებოთი იწვებაო! ეს აფორიზმი ეკერა პირზე და განა მართალი არ იყო?

ფაქიზიც იყო ჭამპურა, სუფთად ჩაცმული, მუდამ წვერმოპარსული, შავ ჩოხა-ახალუხში, ზამთრობით ტყავ-ფარაჯიანი, ოდნავ შეჭაღარავებული, დაზვინული, ბრგე კაცი. ყველას საყვარელი, ტკბილი და მოხათრე. უმართლესი იყო, სძულდა პირუჭეშმარიტობა, უპირული ქართული:

— ღმერთო, ნაწილის გამჩენო, — ასე დაილოცებოდა ხოლმე დილის საუზმეზე პურს რომ გასტეხდა ჩვენსას, ზედ რომ სავალდებულო დილის არაყს დააყოლებდა.

— კაცი პურადი უნდა იყოს, ნადიმნათელი! — ეტყოდა ხოლმე მამაჩემს ჩვენს სუფრაზე. ეს იყო მისი მთავარი ნამცნები!

და შეექცეოდნენ წმინდა პურს, ტაბაკას, მწვადს, თითო ხელადას დააყოლებდნენ და წავიდოდნენ თავთავის საქმეზე, სა-

ლუკმაპურო შრომაზე, უწყინრად, უზრუნველად, მართებულად — პურტკბილობაში შეტკბობილები.

— უმეგობრო კაცი ხომ ავადმყოფია, ბოროტი აგებულებისაა, რა უნდა გაიხაროს საცოდავმა ამ ქვეყანაზე, ფიფქივით დადნება! — იტყოდა მამაჩემი.

ჭამპურაც თანხმობის ნიშნად თავს დაუკრავდა და ეტყოდა: — აბა, ის რა კაცია, ვინც ლხინით არ მოსჭამს საწუთროს! თუ გიყვარდე!..

— ჭამა-სმა რა ბედენაა, თუ მეგობარმა მეგობრის გულში არ ჩაიხედა! — იტყოდა ჭამპურა და ზედ დაატანდა — „თუ გიყვარდე“-ს, „მოდი მაკოცე“-ს.

ჭამპურა გულსავსე კაცი იყო, სხვის სახლში სტუმრის დიდად სტუმართმოყვარე! ისე აღტაცებით მიიღებდა თითონ სტუმარი სხვის სტუმარს, სულ ფიანდაზად გაეშლებოდა, — ფიცხად საჭმელებს მისთავაზებდა, ზრუნვით ამა თუ იმ ნაჭერსაც ურჩევდა, საყვედურსაც ეტყოდა მასპინძლის მაგიერ, — ამდენ ხანს რად შეიგვიანეო! და საერთოდ, — რად დაგვიგვიწყეო!

— ისე გაგვიხარდა ჩვენ შენი მოსვლა, როგორც ყინვაში დამზრალს თბილი მზე!

ვინ „ჩვენ“? გულში იკითხავდა გაკვირვებული სხვისი სტუმარი.

მართლა, ჭამპურა ისე ირჯებოდა, თითქოს ამ ოჯახის გაუყრელი მოწილე ყოფილიყო!

მოსვლამც ქნა კაი სტუმრისა,
შინ წასვლა წესიმც არ იყოს,
ღვინოს გაჰქონდეს ლიცლიცი,
გათავებაიმც არ იყოს!

დაატანდა ზედ საყვარელ ხალხურ ლექსს, მერე ორივე ხელ-გაშლიდა და სტუმრებს მიმართავდა:

მოხვალთ, გვალაღებთ მოსვლითა,
არ მოხვალთ, — მოლოდინითა;
არ მოსულიყავთ, მოგვკლავდა
უნახველობა თვალითა!

— სწორე არ არის, თუ გიყვარდე? მოდი მაკოცე! — ეტყოდა ჭამპურა მასპინძელს, და ისიც იტყოდა:

— დიამც, დიამც!..

ჭამპურას ასეთი ფუჭი ლაპარაკი ანუ ფეოლურსიტყვაობაც უყვარდა და ასეთი შეკითხვებიც იცოდა, მაგალითად:

— მაშ, დელამუტი არ გიჭამია? არც იცი რა არის დელამუტი, თუ გიყვარდე?

— საჭმელია, მერე როგორი! ძროხა რომ ხბოს მოიგებს, მაშინ მოსწველიან ხსენს და იმისას აკეთებენ. აადუღებენ და გამაგრდება. მერე, მარილს დააყრიან. იცი, რა გემრიელია?

— მაშ, დელამუტი არ გიჭამია?— ჩაიქნევდა ხელს გაკვირვებითა და ქოთქოთით, მერე ისევ ხელებს გაშლიდა და ისევ გაოცებული შეგეკითხებოდათ:

— მაშ დელამუტი არ იცოდი რა იყო; აბა, რაღა ქართველი იყავი! მოდი მაკოცე, თუ გიყვარდე!

— შენ გეტყობა სიმინდის ღურღუჭაც არ გეცოდინება!

— არა, არ ვიცი — ეგ რაღა ხილია!

— მა, რაღა გელაპარაკო, რა მოცლილი კაცი მე მნახე?— და შემოგხედავდა აღშფოთებული შენი უვიცობით.

როცა მოიკითხავდით, შეკითხვაზე, — როგორ მოისაძლი-

ებთ; როგორ ბრძანდებით? — დაზვინული ჭამპურა ალერსიანი კმაყოფილებით გიპასუხებდათ — შუახორცათ, შუახორცათ-ო!

რაკი ლაპარაკი ჩამოვარდა ჭამპურას კარგა ბრძანებაზე, ისიც უნდა ვთქვა, რომ ჭამპურას აუმღვრეველ მყუდრო ცხოვრებას დიდი ქარიშხალი მოქყვა, — რევოლუცია. მისი სიტყვით რომ ვთქვათ, ქვეყანა აირია; მყუდროება მოისპო, თბილი ბუხრები გაცივდა, დადგა „დასაქცევი დრო", შიმშილობა ჩამოვარდა. მჭადი დასანატრელი გახდა და ლობიო. ვის ეცალა ჭამპურასათვის? პატივი მოაკლდა შინ და გარეთაც; ყველა თავის კვერცხში წიოდა. ჭამპურამ ვერ აიტანა ამდენი უპატიურობა, ამდენი დაუპატიჟებლობა, გახდა, ველარ იყო „შუახორცათ" და ერთ დღეს, უცნობლად ავად გახდა, მერე უცნობელადვე გარდაიცვალა და უსახელოდ დაიმარხა...

ასეთი იყო ჭამპურას ბოლო...

*
* *

— ახ, ღელაღუნტის ძირი მაინც იყოს! ლამის არის, ძირხვენა მოვთხარო! ყინტორა მაინც იდგეს ამ სატიალოზე. იოლად გამოვიდოდით, — გმინავდა ბათხო.

— გვეღირსება კიდევ პირის ახსნა? — ვფიქრობდი შეწუხებული, ყუაზე მიმდგარი.

შეუმჩნეველად, ჩვენი სულის მწყობრი დაირღვა, გულის სატკივარი გაგვიარჯლდა! დაკორძილმა, პილპილიანმა, გამძვალებულმა სიტყვამ გაითამაშა ჩვენს შორის, ცეცხლის წამკი-

დებელმა შიმშილმა ერთმანეთს გადაგვკიდა ორი ძმობილი! ერთურთს ვშაშრავდით; ერთმანეთს ვაბრალებდით უაზრელ ნადირობას, ულუკმოდ დარჩენას და ეშმაკის სიბრიყვეს. ცხარედ ვიდექით ორთავენი. ერთმანეთს თვალებში ვეჩხვლიტებოდით, ერთურთის სიტყვას გავიკმარებდით.

— ეგ იყო შენი ნაბეჭობი, თავძერავ!

— აი, სად მოგვიყვანა შენმა სიბრძნემ, თავქარავ!

— ნუმცარავ!

— წინამასწარავ!

— ჩიტის ჭკუავ, როდის იყავი თვალსაზრიანი? ვის რად უნდა შენი ფეხმოკლე აზრები?

ნათხევარი, გულის ნაღარღალი წამოვიდა... სახეზე ალმური წაგვეკიდა. აკი ერთძმანი ვიყავით? რწყილის დედასავით ვბზუოდით ორივენი, ტუჩაბზუკულები. ერთმანეთის მუქარაში, უიმედობაში, ვისხედით საფლავის ქვებზე და ველოდით წყალცოტაობას, მკერდსავსე მდინარის დატოტებას. თან ჯავრი მოგვდიოდა იორზე, რომელიც ჩვენს წინ გაწოლილიყო გველეშაპივით და არ გვიშვებდა სოფელში; ჯავრი მოგვდიოდა გადამწვარ, გამოხუნებულ მიდამოებზე. რამ გაახრიოკა ტიალი?! და შენატრებულები ისევ შორიდან ველამუნებოდით წყალგაღმა მდებარე დუქანს, როგორც მორწმუნენი — წმიდა ტაძარს!

თავქვეჩამდინარი წყალი ხუოდა, დგრიალებდა...

ჭამპურა კი საფლავის ქვიდან გადმოგვყურებდა თითქოს ნიშნის მოგებით: მანამ ვიყავ, ვჭამე და ვსვი, თქვენ კი შიმშილით იხოცებითო და გვაბრაზებდა, გვკბენდა თავისი სწორუპოვარი მადით, საჭმლიანი თავგადასავლით და ერთხელ ისიც მომესმა, ჭამპურამ ჩვენზე ჩაიხითხითა.

— ჭამპურავ, გვიშველე, გარდმოავლინე ჩვენზე პურ-ღვინო! — შევძახე ვითომდა ხუმრობით, მაგრამ ბათხოს სულაც არ გაეღიმა, მუცელზე ხელი მიიჭირა, თითქოს ტკივილმა მოუარაო.

— დავდნი, დავიღვარე, გავთავდი! — და მწარედ დაიგრიხა.

მე შევშინდი...

— მიშველეთ, ქრისტიანებო! — იხლაკნებოდა ბათხო.

— რა დაგემართა, ძმისავ! — თავს წამოგვადგა დაღრუბლული ბიჭი, ამირანის თვალებით, ჩვენი ძველი ნაცნობი „ქორია“, მხარზე ჭრელხურჯინაკიდებული.

— არ გასტყდეთ, ქართვლის შვილებო, არავინა სთქვას, გავტყდითო!

ვუამბეთ ჩვენი შიმშილიანი თავგადასავალი.

— ახლავე! — და ქორიამ ჩამოიღო ხურჯინი; მალე ახსნა ხურჯინის თვალს თასმები, ბაწრები, მერე მიწაზე ღვინისფერი ბაღდადი ფრთხილად გაშალა და ზედ დააწყო: ჯერ შავგვრემანი შოთები... მაშინვე გლემურჯიკით ვეცით პურს...

— დაიცათ, ვაქებო, დაიცათ! მადა შეინახეთ, — მოგვაძახა ქორიამ და წინ დაგვიწყო: ნაზუქები, მოხარშული კვერცხები, ორი სავსე დედალი... მერე ტიკჭორა წამოსვა სუფრის თავზე. ახლა უბიდან ხის ჯამურა ამოიღო და ღვინო ჩამოგვირიგა.

უცხადებულესად ვხედავდით ყოველივეს. ლუკმა დაგემოვნდა პირში. მაინც არა გვჯეროდა, ვფატრავდით, ვხლეჩდით დედალს, პირს ვიტენდით, მაინც არა გვჯეროდა; ღვინით გულს ვიგრილებდით, მაინც არ გვჯეროდა!

ბათხომ ამოისულთა, მეც!

წარმოსადგენია, რა შესახედავებიც ვიქნებოდით?!

როგორც იყო, ვიგრძენით ჭირმორჩენა, გულზე ვარდი გაგვეშალა. ყოველივე სასწაულად მივიღეთ. იმას კი არ ვფიქრობდით, რომ ქორიას პურ-მარილი შეიძლება ნაქურდავიც ყოფილიყო.

ბავშვობიდანვე ხელშინაური, მუცელა ქორია ახლა განთქმული ქურდი იყო, — „მგლის მუხლსაც“ ეძახდნენ, „ჩამოხეთქილ ზვავსაც“, „ეშმაკის სახნისსაც“, „ძუძუნასხლეტსაც“.

ჯერ კიდევ ბავშვი იყო, რომ გამოუთქვეს:

ვენახის გაღმა დამარხეთ,
ხილი არ მოიპაროსა!

ჩვენებური დედაკაცები გაცხელებული გულით სწყევლიდნენ:

— აი მიწამ კი ჩაგჩიჩქნოს მალე! შენ კი გაგეპაროს წამალი! შენ კი მოიშალე მადლისაგან! ლეგა მგელო, უნდა ფიცარზე გაგაკრას კაცმა და სულ შამფურებით დაგხვრიტოს, შე დაყროლებულო მძორო, ყომრალ სულისავ!

ერთხელ ქორიამ თავი მოიმკვდარუნა, მოინდომა სოფლის სიფხიზლე დაეძინებინა, ქალაქში მივდივარ სამუდამოდაო, მეზობელი დედაკაცები ასეთი სიტყვით აცილებდნენ გამომშვიდობებისას: წადი ჭირში და სიკვდილში! სადაც წახვიდე, სულ შავითა და ბნელით იარეო!

რის ქალაქი! ქორიამ იმავე ღამით კამეჩების ხრო წაასხა; ძლივს დააყრევინეს!

აი, ვინ იყო „ქორია“, ჩვენი უუსასოესი მასპინძელი, თავცეცხლა, მიწიმწვარა, ძირუპოვარი ქვა! რამდენჯერ იჯდა ციხეში, მაგრამ ამაოდ!

დახეთ, ჩვენ მისი სტუმრები გავხდით, ის — ჩვენი მასპინძელი შეიქნა!

საიდან მოდიოდა ამჟამად ქორია, სად მიდიოდა, ვინ უწყოდა, განგების გარდა, საიდან შევიტყობდით. არც გვეკითხებოდა; არც იმოდენა ღონე შემოგვრჩენოდა, რომ გამოგვეძალა მისგან, რას გამოტყდებოდა ათას თოკში გამოვლილი ქურდი!

„ქორიას“ ბავშვობიდანვე ვიცნობდი. პატარა ქორიას ოცნება „მაძღრისად ჭამა“ იყო. ქვრივი დედაკაცის შვილი, ჭამას დანატრებული, ახლა მტვრის ამდენი მტაცებელი გამხდარიყო. ულვაშშემოყრილს თავისი საწადელი შეესრულებინა, ახლა უკვე თითონ შეეძლო სხვისი დაპატიჟება და აკი ლუკმა მოგვიწუნწრუქა კიდევაც. ამ მაწუნწარამ, მე და ბათხომ რომ ძმად შევისადარეთ!

გულნება დავკარგეთ და ნებისა მნებებლობა!

რამდენჯერ გაგვიკილავს, გაგვილანძღავს, ზიზღით პირიც აგვირიდებია გზაზე ოჯახისა, გვარისა და სოფლის შემრცხვენლისათვის, ახლა კი, ყბაგამოტენილი ბათხო ქლარცის ენით გუნდრუკს უკმევდა: აი, შე უტოლო, უებაროო; აი, შე ოქროს ნათალო, ოქრო ხარ, გამოწონილიო! ეუბნებოდა უქვემოესი გრძნობებით.

მეც ტკბილსა და ზეშეფრქვეულ სიტყვებს ვხარჯავდი და არც უიმისობა იქნებოდა! სხვაფერობა იყო, მაშ, რა?

ერთი სიტყვით, ეს ცუდსახელა, მიწის დამამძიმებელი, ეს ქვეყნის ამამტუტებელი, გამაწყალებელი კარგად დავბასმეთ, — სიკეთის კაცად გამოვიყვანეთ, ერთმანეთისობას შევპირდით; ძმად შევიყარენით! — სახელდიდება შენ, ჩვენო გულისძმავ, გადაგვარჩინე და ეგ არი! მადლობა გადაგვეხადოს,

ჩვენც შენი შემმატებელნი და დამსარგებლენი ვყოფილიყვნეთ სიტყვის გარდაუალად! — ვიძახოდით ჭამა-მოჯერებულები და თან გულიანად ვიღმურძლებოდით ორი დღის დამშეულები. ღვინოსაც წურბელასავით მოვეკიდენით!

რას ვიზამდით, ქორიამ მარჯვე მიზეზი გვიშოვა, ხელთ ჩაგვიყარა, დაგვიძმაკაცდა!

და ასე უსირცხვილოდ ვსვამდით ქონებულ ქორიას სადღეგრძელოს, ვუსურვებდით გამარჯვებას (ალბათ, ქურდობაშიც!) და თითქოს ვერც ვამჩნევდით, თუ რას ჩავდიოდით.

სიკეთის მოჩემარი ქორიაც იფერებდა: — პურადი კაცი ქვეყანაზე არ დაილევაო! მოყვარესთან ძღვენი მიმქონდაო, მაგრამ თქვენზე უკეთესი მოყვრები ვინა მყავსო?! — მოყვრებადაც კი გაგვიხადა!

კმაყოფილი ბათხოც დასძენდა: აი, ამას ჰქვია მოყვრობაო!

ქორია გვეკითხებოდა: ერთი მითხარით, ვინ უფრო მეტია, პურადი თუ გულადიო! თვითონვე გვიპასუხებდა: პურადი კაცი მეტია! გულადობა გაცვდებაო, პურადობა დარჩებაო! პურადი კაცის სახელი შვილიშვილს რჩება სახელადო. მართალი იყო ქორია, აკი ხალხიც ასე ამბობს!

მალე დავღვინიანდით...

ქორია განაგრძობდა, — გეჯერებოდეთ ძმებო, ქვეყანაზე კაი კაცი არ დაილევა! — თავის თავზე ამბობდა ჩვენი მხსნელი, აკი პურადის სახელი დაითავისა. ჩვენც გულაჩუყებულებმა ეს ქურდი, გაწუწკებული ბაცაცა, ეს მავნე, ეს მგლის კბილი, ეს ხეძგერა, ეს მიწის ლუკმა ყველაზე ძვირფას ადამიანად ვიწამეთ ახლა დედამიწაზე!

— აყვავდეს ყოველი ბალახი, თითოეულმა ხემ იმსხმოია-

როს, გაიხაროს კაცის გულმა, მოკვდეს ავგული, სცოცხლობდეს პირტკბილი და პურტკბილი! გაუმარჯოს იმ გულს, ვისაც უყვარს ყუათიანი, მარილგაცხებული ლუკმა და კეთილი გულით უჭირავს ჭრელი საღვინე!

— მაშ ჭამპურას გაუმარჯოს, ჭამპურას! — თითქმის ერთად შევძახეთ მე და ბათხომ და ქუდები მაღლა შევისროლეთ ნაღვინარებმა. უეცრივ ბათხო ჭამპურას საფლავის ქვაზე შედგა, დოინჯშემოყრილმა წარმოსთქვა: ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობაო! და ერთი დიდი ჭიქით ღვინო ჭამპურას ქვას გადაასხურა.

ვიგრძენით ჭამპურა საფლავში შეინძრა.

— დაიტირებდეთ, მარნებო, გაუგზავნიდეთ ნამსაო; იგლოვეთ, სამზარეულნო... — ვალექსებდით ჭამპურას.

— განა ჩვენ კი ჭამპურები არა ვართ? ჭამპურას რაღას დავცინით; ორი დღის შიმშილი ვერ ავიტანეთ! — შეეწყვიტე დაცინვა.

— ყველანი ჭამპურები არა ვართ, განა? — ხითხითებდა ბათხო, კინაღამ ქათმის ბარკალი არ გადმოვარდა პირიდამ.

ატყდა ერთი სიცილი, ჩანჩხარი... ღვინო საყელოზე ჩამოგვესხა. ჩვენსა, ქორიას და ჭამპურას შორის ზღვარი წაშლილიყო.

ქორია ღიმილით შემოგვყურებდა. მერე ასწია ხელთ შემორჩენილი ჯამი და... ხარჯი ხარჯიაო, ჭამპურას გაუმარჯოს!

— თქვენც კაი ჭამპურები ჰყოფილხართ, მე და ჩემმა ღმერ-

თმა, ჭამპურას თავმოწაფენიო! — გვითხრა ალერსიანი ხუმრობით და გადალიცლიცებული ჯამი გადაიწურა.

ორიც, თეკენას დუქანიც, გულამღვრეული ღრუბელიც ცულ აღარ გვეკითხებოდა...

ქორია საძილისკუდედ მწვადებსაც გვპირდებოდა.

ბათხო მთლად ჩაილღვა ღვინოში...

ბუნბულა

დალაქი ბუნბულა ფარსმანიშვილი მეტად ჩვილი, გულნაზუქი მახსოვს, — მოსიყვარულე, უწყინარი, ძვირუხსენებელი, მეგულკეთილე, თან გაგებული, შესმენილი კაცი.

— არავის აწყენინო, მოშიშება უნდა გქონდეს, ჩვენი ბოლო სამი ფიცარია!—ზედ დააყოლებდა ამ სიტყვებს, სამართებელს რომ ღვედზე ლესვას დაუწყებდა. კარგი მემუსაიფე იყო. ხალხის შემაქცევარი. სიტყვის თავზე „ჩემი ხარ ბატონი“ არ დაავიწყდებოდა.

— სიწმინდის დარზე ვიდგეთ, და-ძმობაზე ვიაროთო!

— თავი და თავი გულის მოსავალია! ჯერ გულის მოსავალი მოირეწე და მოკრიფე, მერე მიწისა!

ბუნბულას მიერ შემეცნებულნი თავს აკანტურებდნენ ნიშნად თანხმობისა და თვით ბუნბულას საპატიურობისა.

დალაქის აზრით, სივაჟის მოგებული არაფერია სინდისით მოგებულთან! ადამიანს რომ შეხვდები, მარტო საქმეზე კი არ უნდა ელაპარაკო, გუნებიერად მოიალერსე, გუნება მოიმყუდროვე, ორივეს ჯანი და აგებულობა დაგიმშვიდდებათო!

იმდენად სათნო და წმინდა ადამიანი იყო ბუნბულა, რომ მისმა მტერ-მოყვარეებმა ხმა დაუყარეს, ბუნბულამ სთქვაო, ჩემს ჯეილობაში ქალები სულაც არ ყოფილანო!

იყვნენ თუ არა ქალები მის ახალგაზრდობაში, არ ვიცი, მაგრამ თითონ თორმეტი შვილი კი ჰყავდა: გოგოები — თათია, ნია, ფაცაცი, მზეხა, გაია; ბიჭები — ბატატა, საჩინო, ჯაბა, გეგენა, ბათუა, ხოხორა, ბაბღია. ზოგი დაოჯახებულიყო, ზოგი ახლად იდგამდა ფეხს.

მე მიკვირდა, როგორ ეტეოდა ამოდენა ხალხი ბუნბულას ორ პატარა ოთახში? ერთხელ კიდევაც შევეკითხე.

— ზოგი იატაკზეა, ზოგი სხვენზე, ზოგი ჭერში, ზოგი ერდოზე, ზოგი აივანზე, ზოგი ეზოში, ზოგი წყალზეა წასული, ზოგი პურზე, ზოგი დუქანში და ასე — ვეტევით. იოლას გამოვდივართ, — მომიგო ბუნბულამ. ამდენ შვილებში ყველაზე მეტად ბატატა უყვარდა, მე მგავსო, ხელს გაიშვერდა ბატატაზე და სიამაყით იტყოდა: — ჩემი გვირგვინის შვილია!

ძვალად, ძარღვად კარგი იყო ბატატა მამასავით, ვაგრამ ნიჭმოკლე, გონების თვალით უხედავი, დაბდური, ოტროველა.

— რას აქმევ, რითა ჰკვებავ შვილებს?

— სამართებლით! განა არა ვარ გაოგნებული? ფიქრით სოფელი გადავაბნელე! ბედის ბედაური გავაჭენე და ეს მომერგო საწუთროში!

მაინც საწყენი, საკრულავი სიტყვა პირიდან არ ამოუდიოდა. ენად კარგი იყო. გულდებით იცოდა საუბარი, თითქოს ცეცხლზე შემდგარი თაფლის ქვაბი ტკბილი ჩუხჩუხით გელაპარაკებაო. სადალაქოში უყვარდა პოლიტიკაზე ლაპარაკი, პოლიტიკოსებს საქმიანობას უწუნებდა, თუ კაი ხალხია, ომი რად უყვართო, ომს რად აჩენენო! ნაპოლეონიც მიყვარს, გიორგი სააკაძეც, მაგრამ ომები იმათ მოიგონეს, მათი ძვლები ხალხის ცოდვით ვერ მოისვენებენო!

— ყველა ნადობი, ნაძმობი, მოკეთე, სახლიკაცი, მეზობელი, თვისტომნი და მოყვარენი ვართ! ყველა რომ სიამტკბილობით ვიყვნეთ, განა ავკაცობა მოხდება დედამიწაზე? ჩვენი ბრალია, ჩვენით მოდის ყველაფერი! შუღლს შფოთი მოსდევს, შფოთს ჩხუბი, სისხლი და ციხე! სისხლს ომი მოსდევსო.

პირველი მსოფლიო ომი რომ ატყდა, ბუნბულა მართლა შეგეცოდებოდათ. კინაღამ არ შეირყა.

— ქვეყანა ბოროტების მტვერით აივსო! აჰა, ეგეც სიმწრის ჭაშნიკი! ვაი, სადა ხარ, სირცხვილო, ვაი, ადამიანის გაღორებას!

— ღმერთო, ჩვენსკენ მოღერებული ხანჯალი დაუმოკლე ჩვენს მტერს!

და შეწუხებული, დამწუხრებული ბუნბულა მიადგებოდა გამვლელ-გამომვლელს.

— კაცი არა ხარ?

— მერე?

— განა ძმები არა ვართ, გულის ძმავ?

— მერე?

— ხომ ადამიანი ხარ? ხომ ვართ ადამის შვილები!

— მერე?

— მერე ისა, რომ ჩემი სული შენს მუჭაში დევს!

— რა გინდა?

— ის მინდა, რომ თუ საქართველოს მირონი გიყვართ, შეეერთდეთ, ერთმანეთს მხარი მოვაბათ, ხელმწიფესთან წავიდეთ, დავუჩოქოთ, შევეხვეწოთ — ომი არ გვინდა-თქო!

— ვინ მიგიშვებს ხელმწიფესთან?

— ჩვენ ჩვენი საცადური არ დავაკლოთ!

— მერე რა გამოვა?

— როგორ თუ რა? ფარა ცხვარმა ხეს შეჰბღავლა და ხე გახმაო! ხატიცხოვლის მადლმა, მართალია! როდის ვამბობ გულის მოსაპირავად?

საწყალ დალაქს გულწრფელად სჯეროდა კეთილ ადამიანთა ნების შეერთების ძალა.

— ეჰ, მოგცლია! — ეტყოდა ვინმე ილაჯგაწყვეტილი.

— მაშ, ხალხი არ გენანება, დედამიწა, ცა-მზე? მაშ სიცოცხლე უნდა ყმად მიუგდოთ სიკვდილს? მაშ, საკაცო მადლი დავკარგოთ?!

— ენდე ღმერთს! ხელმწიფესთან წავიდეთ, ფეხქვეშ ჩავუცვივდეთ, მუხლ-დადგმით ვთხოვოთ, შევეხვეწოთ,—მუდარით შესთხოვდა ბუნბულა უცნობსა თუ ნაცნობს, ახლობელსა თუ შორეულს, გამვლელსა თუ გამომვლელს. მაგრამ მის წი-

ნადადებაზე ყველას ეღიმებოდა. ერთმა ვირულა ბიჭმა შეჰ-კადრა კიდევაც: ტვინი ამოგიღვარესო?

სიმართლისა და მშვიდობის მაძიებელი დალაქი გაოცებუ-ლი იყო ადამიანთა უმადურობით: — ვაი, გზა ვერ ვიპოვე ვე-რავის გულში! — ბოლოს წყრომამ ამოხეთქა მის გულს:

— მაშ, არ გინდათ ერთობის კარი? არ გსურთ ომი ავიც-დინოთ? მაშ, ქრისტეს სამართალში მომეცით პასუხი! — ჩაიქ-ნია ხელი და გამარტოვდა.

ხან ვენახში მუშაობდა, ხან ბოსტანში, ხან თავის ხელობა-ზე. უფრო კი დაშინაურდა, დვრიტა დაიდვა... თავი ვეღარ მოიძია... ცალარქად დადიოდა.

... ერთ დღეს, ბუნბულა გაჰქრა სოფლიდან. ცოლ-შვილი დარდობდა, დაეძებდა, მოკითხულობდა, თუმცა ამაოდ. ატყდა ზრინვა-ტირილი, ვაი-უშველებელი. ცოლმა — გულჩინამ ხატს ზვარაკი აღუთქვა. ვიღაცამ სთქვა, მატარებელში ვნახეთო! ცოტათი დაშოშმინდნენ.

ბუნბულას თანაზიარი ბიძაჩემი სულხანი ძალზე შეაწუხა მეგობრის დაკარგვამ და საყვარელი კაკლის ქვეშ პურისჭამა აკვეთა.

— ნაწყენი ვარ, ნაწყენი! ჩემზე უმახლობლესი ვინა ჰყავ-და, რომ ხვაშიადი არ გამიზიარა, თუ სადმე წავიდა, — მაგრამ ავიტან, ავიტან, ოღონდ მშვიდობით დაგვიბრუნდებოდეს! — ეუბნებოდა ბიძაჩემი გულჩინას.

ბუნბულას ოჯახი და ბიძაჩემი ბუნბულას გზას დაეძებ-დნენ, ფოსტალიონს ავედრებდნენ, მოვიდეს წერილი თუ არა, მყისვე, იწვე თუ იდგე, მაშინვე გამოექანეო!

გულჩინა ჩიოდა; ვინ იცის, სად რა კლდის ფხაზე სძინავ-

სო! ვინ იცის, უსაზრდელო მთხოვრად დადისო, ვინ იცის, ყელიც გამოსჭრეს ავაზაკებმაო!

ბიძაჩემი ანუგეშებდა: — ქვეყნის დამრიგებელი კაცია, რა უნდა გასჭირებოდაო, ესეც არი, ავი ამბავი ცხენით მოჭენდება და მადლობა ღმერთს, ჯერ ხომ ცუდი არა გაგვიგია რაო, წინასწარ გული რაზე გავიხეთქოთო! შეიძლება სოფელი უდალაქოდ დარჩესო! მართლაც ვერ წარმოედგინა, როგორ გაუბედავდნენ სოფელს?

ბუნბულას ოჯახში კი ისევ გაისმოდა კვნესიანი სიტყვები: ვაი დაქცეულობას, გატეხილობას! დარდი ცალკე ჰკლავდა ოჯახს, უცნობლობა ცალკე.

თორმეტი შვილი ერთად ტიროდა, ცოლი ცალკე იმდუღრებოდა.

მეზობელი ქალები აშოშმინებდნენ. ისიც კი გაუბედეს: ვის რათ უნდა შენი ბეხრეკი ბუნბულაო, ვინ გაიტაცებდაო! ზოგმა ბოროტმა ჭორშესხმული ამბავიც დააფრინა:

— ბუნბულა ქარიან ცოლს გაექცაო და თორმეტი შვილის შენახვასაო!

გულჩვილი ბიძაჩემი დარდით მთლად მომჩვარდა, ხმას არ გვცემდა, ბუნბულას განსაცდელზე ფიქრობდა.

მახსოვს, კვირა დღე იყო და სადილად ღვინო აღარ მიიღო. მაგრამ იმ საღამოს ისეთი ამბავი მოხდა, რომ ბიძაჩემმა ხელადა ღვინო მარტო გამოცალა და ბაღდადურიც კი დაუარა!

რა მოხდა? ის მოხდა, რომ... მარაგიანი ღამე იყო. ახლად პურმოხდილ თონის ფიცრებზე ვისხედით ბალღები. თონე ნებივრად გვათბობდა. თონის განელებულ ცეცხლში ახალი კარტოფილი იწვოდა. მოჯამაგირე ჯუღურა გრძელ ზღაპარს გვი-

ყვებოდა მზის ვაჟზე, რომ ამ დროს შმაგურად შემოვარდა ჩვენს ეზოში ბუნბულას ვაჟი ბატატა, კიბე სასწრაფოდ აირბინა და ბიძაჩემს შესძახა: — სამახარობლო, სამახარობლოო!

ბიძაჩემი სიხარულით შეტორტმანდა კიდეც, მაგრამ თავს მოერია, არ წაიქცა!

სირბილით, ფაცაფუცით, ყველამ ბუნბულას სახლს მივაშურეთ.

ბუნბულა დარცხვენილი იდგა, ტანისამოსშელახული. აღშფოთებული მამასახლისი უღრინავდა:

— რაები დაგიწყვია ქალაქში, ვინ მოგცა მთავარმამობა, რომელი სისხლმაჭარა ხარ, რომ ხელმწიფის საქმეში ერევიო! ქალაქიდან ჩაგვაბარეს შენი თავი, ფეხი არსად გადგასო. დაჯექი და ლუკმა ლოღნე!

თავდადრეკილი ბუნბულა არას ამბობდა, მხოლოდ ცოლს უთხრა, — მაერიალებსო, საბანი წამახურეო და, საბანს თავზე იფარებდა. ბიძაჩემისთვის ხმა არ გაუცია, ისე რომ, ბიძაჩემი სულხანი ნაწყენივით დარჩა. — მე მაგისთვის ღამეები არ მეძინაო და მაგან კი ზედაც არ შემომხედაო! ახლა ეს საჭირველო ფიქრი გაუჩნდა.

ბიძაჩემი ამაოდ ეჭვიანობდა. ერთი კვირის მერე ბუნბულა თითონ ეახლა ბიძაჩემს სადილობისას, კაკლის ქვეშ და ყოველივე უამბო.

გრძელ სიტყვაობას რომ მოვერიდოთ, ბუნბულას ოხვრანი და გმინვანი რომ გამოვტოვოთ, მისი თავგადასავალი ასე ყოფილა:

შაშვის წყაროზე მჯდარა. — თვალი რომ მოვკიდე მწვანე ხევჭალებს და ვენახებს, გულმა ძაგაძუგი დამიწყო, ცრემ-

ლმა დამხეთქა, — მაშ, აღარ უნდა იმწვანილონ, აღარ უნდა იკეკლუცონო? მაშ, სისხლმა უნდა დაფაროს-მეთქი! როგორ უნდა გაიმეტოს ადამიანმა დასაბუგად ეს შრომილი სილამაზე, მონაგარი ჭირნახული, ახლავე უნდა ვუშველოთ, სანამ დიდი ვეშაპი ზღვაში შეიძვრება-მეთქი! აქ ხომ არავინ მიგდო ყური, ქალაქში წავალ, იქ განათლებული ხალხია, დამიჯერებენ, ხელმწიფესთან გამყვებიან, სიცოცხლის საქმეზე გაირჯებიან, მე ხომ ჩემი ოჯახისას არასა ვცდილობ-მეთქი! გული ამიჩუყდა, გადაღმა რკინიგზის სადგურში ზარი აწკარუნდა. ქალაქის წასვლის ნდომამ უფრო და უფრო დამრია ხელი, სულ ვტორტმანობდი, იქნებ ხალხი გადავარჩინო-მეთქი. ცოლ-შვილს არაფერი შევატყობინე, ვიცოდი, არ გამიშვებდნენ. შენ ხომ იქ არ იყავ, რჩევა მეკითხნა. მე კი ხალხის შველა მინდოდა. როგორ მოგრიალდა მატარებელი, როგორ ჩავჯექი, მე თვითონ არ მახსოვს და არც ის, როგორ ამოვყავი თავი ქალაქში. მეტის სიხარულისაგან თავბრუ მეხვეოდა.

პირდაპირ სასახლისაკენ გავწიე მთავარ-მართებლის სანახავად, რომ მეთქვა ყველაფერი, არ უნდა ხალხს ომი-მეთქი! სასახლის კართან დავდექი — გამომიცვივდნენ, აქ რა გინდაო, მუჯლუგუნი მკრეს, ქიმუნჯებით გამომაგდეს.

— არ წავალ, საქვეყნო საქმეზე ვარ მოსული-მეთქი! წამითაქეს, ახლა ქუჩაში შევჩივლე ნაცნობს თუ უცნობს. ერთს გადავუდექ, — გაიცინა, მეორემ — შემომაგინა, მესამემ — გიჟიაო! ეს არ მაკმარეს, ახლა პოლიციამ ჩამჭიდა ხელი, ვინა ხარ, ალბათ ჯაშუში იქნებიო, სხვა სახელმწიფოს მოსყიდულიო!

პოლიციაში წამიყვანეს. ერთი კვირა ცარიელ ფიცრებზე

ვიწექი ᲛᲨᲘᲔᲠ-მწყურვალი, ჩამაცივდნენ, მეკითხებოდნენ. მაწვალეს, მცემეს, რაც გროშები მქონდა, ქრთამში ამართვეს, მერე გამაპანღურეს. გასწი, აქეთ აღარ მოიხედოო, შენი ფეხი არ ვნახოთ ქალაქში, შე მეტიჩარაო! რას მერჩოდნენ? მე ხომ საქვეყნო საქმეზე ვიყავ წასული, ქვეყნის სამჯობინარი მინდოდა? რად ჩამცეს წიხლი შიგ გულში? რისთვის? რატომ არ ესმით, რომ ვიღუპებით? რამ გააქვავა ადამიანის გული? ვის დარჩენია ქვეყანა? მე მეგონა, ადამიანი განაგებდა! ასე დაებრუნდი გაუკაცრავებული, თითქოს დანაშავები მქონდეს. ახლა რა ვქნა? — შეეკითხა ბიძაჩემს თვალგანმარტებით. სასოებით.

მდუმარე ბიძაჩემს თავი არ აუღია. ბოლოს, აიღო ხელადა, ღვინო დაუსხა ბუნბულას და ჯამი გაუწოდა.

ბუნბულამ ხელი გაასავსავა — მე ღვინის ულუფა აღარ მერგება! იქ იმოდენა სისხლი იღვრება, მე ღვინოს როგორ დავლევო, სისხლს მაგონებსო! ჩემ გულს სიმწრის ბოლი ასდის, რა დროს ღვინოაო!

ბიძაჩემმა გაკვირვებით შეჰხედა, მერე აიღო თავისი ჯამი: — ეს გაუმარჯოს ჩვენი მეომრების მშვიდობით დაბრუნებასო!

ბუნბულა გათავისდა, ხალხს აღარ ეკარებოდა. დადიოდა განაპირებული, განკვეთილი, გადაცოდინარებული, მისი გული სევდის სადგური გამხდარიყო. წინათ, სიტყვით მაინც იკლავდა ჟინს, ახლა სიტყვის ნებაც მოუსპეს. ისე მოჰპარსავდა მუშტარს, ერთ სიტყვასაც არ გასცემდა. გულის ძარღვებშივე ჩაუსრისეს რწმენა და ჭეშმარიტებაც. რაღა დარჩენილიყო ბუნბულას არსებაში? მხოლოდ ჩენჩო, მხოლოდ ცარიელი

ლენჯო, ეს იცოდა ბუნბულამ და მიწის ზურგზე სიარული ეზარებოდა. ჩამქრალ თვალებს აქეთ-იქით უიმედოდ აცეცებდა იმ ორიოდე სიტყვასაც ზოზნით, უხალისოდ იტყოდა.

იყო კაცი თავმომწონე და გარემოებამ ნაკაცარი გახადა. მერე რისთვის? — კაცობრიობის გულისათვის!

ასეთი იყო ბუნბულა დალაქის ბედი!

სარჩევი

დედას	3
მშობლიურ ხეთა ჩრდილებში	5
ნატვრის ხე	13
ჩვენი ჭერამი	18
თაღრია	23
ფუფალა	30
მეეტლე იაგორა	48
ხვედია	53
ორი შემოხედვა	57
სამთო საბალახო	67
მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი	75
ჩირიკი და ჩიკოტელა	79
„სახელის მილოცვა“	99
ღვინჯუა	117
დეიდა მაიკო	173
სოფლის შარაზე	191
ციციკორე	205
მარიტა	241
ჩორეხი	264
ნიშარბეულის წყალი	289
ჭამპურა	305
ბუნბულა	329

Леонидзе Георгий Николаевич

Волшебное дерево
Новеллы

(На грузинском языке)
Художник Т. Мирзашвили
Детгиздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1962

* * *

რედაქტორი ხ. ბერულავა
მხატვარი თ. მირზაშვილი
მხატვ. რედაქტორი ო. ჯიშკარიანი
ტექრედაქტორი რ. მელაძე
კორექტორი მ. გვარამია

* * *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/I-62
ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 7$
ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_{32}$
ნაბეჭდი თაბახი 21,25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,1
ტირაჟი 20.000 შეკვ. № 543
ფასი 50 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო
გამომცემლობა „ნ ა კ ა დ უ ლ ი ს“ სტამბა.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография Государственного издательства
детской и юношеской литературы «Н а к а д у л и»
Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.